



האזנה

1982

2

1982

ԶԿՈՒՄ
ԶԿՈՒՄ
ԶԿՈՒՄ
ԶԿՈՒՄ
ԶԿՈՒՄ

სსსს

296

განმარტების მდგომარეობა წელი

2

თავისთავი

1982

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. „რევოლუციურს, ჯერ არანახულს...“

კოეზი და პრეზა

5. მარიკა ბარათაშვილი — ნატვრა. ლექსი
6. შილა ხეთაბური — რა უფლება მამეს... ლექსი
9. ლალი დეანოსიძე — თალაღი. მოთხრობა
12. ნოდარ ჯალაღონია — ლექსები
14. სიმონ ჯაფარიძე — ზიში. მოთხრობა
19. თენგიზ ბუაჩიძე — ზზა ბავშვობისაჲმ. რომანი. გაგრაველება
66. თეიმურაზ აბულაძე — ლექსები
69. ჯემალ ჩახავა — ლექსები
72. ვიტალი მიქიაშვილი — ქალი და... მხინჯი ან-ბეღი. მოთხრობა
99. ნანა გოგიჩაშვილი — ლექსები
101. ამირან კალაძე — ლექსები
104. ვახტანგ გოგოლაშვილი — ლექსები
108. ივანე ჯახუა — ლექსები
110. ჯუშუბერ ტიპარაძე — სასწაულები. რომანი. გაგრაველება
130. ილია არსენია: ბადრი სვანაძე: ვახტანგ მებაღი-შვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

131. სარვეშვარ დანილ სპანან — შვიბა. მოთხრობა. პინ-დურიდან თარგმნა ნიკოლოზ კენჭოშვილმა

გრძელა მავნე გადმოწაშების წინააღმდეგ

133. ამირან ცხრევაძე — ბარდატანის პერიოდ

ხელოვნება

138. მარინე ბუჭუაშვილი — „პარადოქსი მსახიობებში“

უსიკეთის გზებზე

142. ჯურაბ აბაშიძე — იოგას პირველი გაგმეთილი

მთავარი რედაქტორი მორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭორი,
გურამ გვერდნითელი,
რისაბ გორდუნიანი,
გიორგი გუგულია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ვაჟა ლორთქიფანიძე.

მთავარი რედაქტორის
მოადგილე

ოტია პატყორია,
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
სოსო შინსაძე,
გივი ძეგლაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წიფჩივაძე,
ტარიელ ტანთურია,
რაქო შიშვილი.

„ჩაქოლუშიურს, ჯერ კანახულს...“

მშენი ათეული წელი გავიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. ისტორიის საკუთრება გახდა განვლილი სამოცი წელი. განვლილი სამოცი წელია ქართველი ხალხის ახალ გამარჯვებათა და დიდებული მიღწევების მყარი საფუძველიცა და სანინდარიც.

სამოცი წელი გავიდა იმ ისტორიული დღიდან, როდესაც სრულიად საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია და ამ კონსტიტუციით კანონმდებლობად განმტკიცდა საქართველოში საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ხალხის ტრიუმფალური სვლა, ამ დღიდან შეაქვს თავისი წვლილი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ოჯახის სრულუფლებიან და ერთ მონი-ნავე წევრს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, კომუ-ნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

იმ ახალი, ნათელი განთიადიდან დღემდე საბჭოთა საქართველო მოძმე რესპუბლიკებთან ერთად მუხლმაგარი ნაბიჯით მიიწევს წინ, იპყრობს ახალ-ახალ ზღუდეებს, აშენებს მშრომელთა კეთილდღეობას, მათ შვილებს საბედნიეროდ ქმნის, იღწვის, იბრძვის, რათა ტოლი არ დაუდოს სხვას...

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა წერილში (1921 წლის 14 აპრილი), რომელიც ეძღვნებოდა კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტულ პროგრამას. ღრმა მეცნიერული სიზუსტით ჩამოაყალიბა საწარმოო ძალების აღმავ-ლობის, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და მშრომელი მასების მა-ტერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გადაუდებელი ამოცანები.

ლენინური იდეოლოგია არის ხალხთა მეგობრობის, ძმობის, მშვიდო-ბისა და უშიშროებისათვის ბრძოლის შეურყევე, მტკიცე ბასტიონი.

საბჭოთა საქართველომ ბოლო ცხრა წლის მანძილზე სახალხო მეურ-ნეობისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატე-ბებისა და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ზე-დიხედ მეცხრედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენ-ტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის გარდამავა-ლი წითელი დროშა. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია საქართველოს კო-მუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სწორი, პრინციპული და ბრძნული ხელმძღვანელობისა. ჩვენი რესპუბლიკის პარტია და მთავრობა ძალდონეს არ იშურებს საიმისოდ, რომ უღმობლად აღმოუჩვენას ყოველი ნაკლი და ფართო ასპარეზი მისცეს მშრომელთა შემოქმედებით ინიციატი-ვას, დააფასოს მშრომელი კაცის ღვაწლი და რუდუნება, წაახალისოს ყო-ველი ახალი წამოწყება, იქნება ეს მეურნეობის, მრეწველობის თუ შემოქ-

პ. მარტის სპ. ს. სსრ
საგარეო საზღვარი
308500000

მედებითი ინტელიგენციის მოღვაწეობის სფერო. შედეგმაც არ დაახანა, თვალსაჩინოა და უეჭველი ჩვენი წარმატებები, სათანადოთ აღინიშნა და ფასდება ხალხის მოწინავე შვილთა ცალკეული გამარჯვებები, დაფასდა მთელი ჩვენი რესპუბლიკის გამარჯვებაც.

ვაშა, საქართველოს მკლავმოულელ მშრომელებს!


გაზეთი „პრავედა“ 1976 წლის 22 ოქტომბრის მოწინავე წერილში წერდა: „ამ უკანასკნელი წლების მანძილზე შემოქმედებითმა კავშირებმა ბევრი ღონისძიება განახორციელეს, რათა დახმარება და მხარდაჭერა გაეწიათ დამწყები ლიტერატორებისათვის, მხატვრებისათვის, კომპოზიტორებისათვის, მსახიობებისა და რეჟისორებისათვის, საქმე ეხება, უპირველეს ყოვლისა, ნიჭის გამოვლინებას, ახალგაზრდათა აქტიურ ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დადებითი როლი შეასრულეს თეორიულმა სემინარებმა, დისკუსიებმა, თათბირებმა. მაგრამ საფუძველი არა გვაქვს, დავჯერდეთ მიღწეულს. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდობასთან მუშაობის კომისიები და საბჭოები უფრო მიზანდასახულად მოქმედებდნენ, რომ უყურადღებოდ არ რჩებოდნენ ნიჭიერი ავტორები, რომლებიც ჯერ არ გამხდარან შემოქმედებითი კავშირების წევრები“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ჩვენს წინაშე ახალ ამოცანებს სახავს. მიგვითითებს, თუ რა გზით უნდა განვითარდეს ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის შრომა და ცხოვრება, როგორ უნდა დავეხმაროთ მათ თვითგარკვევისა და ზრდის რთულ პროცესში. იმავე დროს, მოგვინოდებს ვიყოთ უფრო ინიციატივით, ვიპოვოთ უფრო ეფექტური ფორმები ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა. ჩვენ მთელი სიღრმითა გვაქვს შეგნებული ამ ამოცანათა სერიოზულობა და მნიშვნელობა და წუთით არ ვივინყებთ — ხალხის ზვალინდელი დღე მისი ახალგაზრდობაა, მას უნდა გადაეცეს ბრძოლასა და შრომაში გამოტარებული, ჩვენი სიამაყისა და თავისუფლების, მშვიდობისა და ნათელი მომავლის სიმბოლო — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წითელი დროშა.

„თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“... ასე ამბობს ხალხური ლექსი. სიცოცხლის გაღვიძებას, სიცოცხლის დასაწყისს გვამცნობს თებერვლის დადგომა. დიახ, სიცოცხლის, ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო მაშინდელი თებერვალი, ექვსი ათეული წლის წინანდელი თებერვალი.

„ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა. შენებას!“





მარიკა ბარათაშვილი

ნატვრა

ყველა გულში ჩავიტიე —
 ლიხს იქით და აქეთი:
 ჩემი ქართლი, იმერეთი,
 გურია და კახეთი;
 სიყვარული დამყოლია
 რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის,
 აჭარის და სამეგრელოს
 და აჭარას რაც ერთვის...
 მიყვარს თუშ-ფშავ-ხევსურეთი,
 ვეტრფი მესხეთ-ჯავახეთს,
 შემომცინებს აფხაზეთი, —
 დიქრის თვალს რომ გავახეღ...
 ვიყო მათი სანაცვლო და
 ვიყო მათი სანთელი,
 შემრჩენოდეს ყველა თავის
 საქმითა და სათქმელით.
 ღმერთო, მერე აღარც მევლოს,
 გინდა ერთ დღეს დამკალი!
 მოუმრავლე საქართველოს,
 ბუხარი და აკვანი!



მზია სიმთავური

რა უფლება მაქვს...

ვით შეედრება ზეიმი წუხილს!
სად ქრება ნეტავ, საით მიდის ალტაცება,
მზისფერი სიტყვა, ხმების ბოგინი...
სად იშლის ლოგინს,
სად ფშვინავს მშვიდად ის ფორიაქი,
უცნაურ სიტყვას — „სიყვარულს“ რომ ვარქმევთ ხოლმე.
ჭრელი ფიქრები — პატიმრები ჩემი ციხიდან
როგორ დამისხლტნენ,
სად წავიდნენ, ნეტავი. საით!
დღეს იმ ალაგას დათარეშობს
მადლი ჩემი და ცოდვა ჩემი.
სევდა ჩემი და საზეიმო წუთის ლოდინი...
დი დე და ჩემი...
მისი სიცოცხლის წლებიც მახსოვს და
გარდაცვალებაც,
ნიორივით გაპარვოდა სხეული და
ისე მსუბუქად ფათურობდა აივანსა და ეზოში,
საკუჭნაოსა და სარდაფში. — რომ ახლა ვეჭვობ:
იქნებ ხორცი სულაც არ ესხა და მხოლოდ სული,
მისი ანკარა კეთილი სული
დაფარფატებდა პეპელასავით...
მეც ახლა თითქოს უსხეულოდ დავიარები.
ყველაფერმა რომ მიმატოვა:
ალტაცებამ, აღშფოთებამ, ცრემლმა და სიცილმა —
იმიტომაც დავცარიელდი.
ეს რა წონა ჰქონია გრძნობებს,
რომლებსაც ასე ვულალატე!..
ნეტავ, გული რომ გამიგრილდა,
ჩემს სახეზე თუ აღიბეჭდა?
ერთი, სარკვეში ჩავიხედო...

ამ სახეზე ნაღველიც ჩანდა და სიხარულის
ცისარტყელაც,
გულგრილობა კი — არასოდეს.
გულგრილობაც ხომ გრძნობათა ნაწილია?
მე კი სადღა მაქვს გრძნობები, აბა!
ერთი მაგარი სილაც რომ მტკიცონ — არ მეტკინება;
აბრიალებულ კოცონში რომ გადამიძახონ —
ეგ არის რომ ფერფლად ვიქცევი...
ჭრილობაზე მალამოც რომ წამცხონ — არ მეამება,
რამეთუ ჭრილობებიც აღარ მანუხებს.
სულ თავისით ჩაიარა ყველაფერმა, სულ თავისით...
რა უნდა მომიტანო, რომ გამიხარდეს,
რა უნდა წამართვა, რომ გული დამწყდეს...
არც ძვირფასი სამკაული აღმიტაცებს და
არც უბრალო, მინდვრის ყვავილი.
მაგრამ ვიცი: აი, ახლა, ამ წუთში
ამღერებული სულთ ემზადება ჩემსავით ქალი
შენსავით მამაკაცთან შესახვედრად:
ვიცი: აი, ახლა, ამ წუთში
იზადება ყველაზე ბედნიერი მშობლების შვილი.
ვიცი: აი, ახლა, ამ წუთში
ვილაც კვდება და მისი სიკვდილი კიდეც ვილაცისთვის
მთელი სამყაროს დამხობას ნიშნავს.
ვიცი: ახლა, ამ წუთში,
ბოროტებას თხზავს მავანის ენა
და იმედით, რომ ხვალისათვის გამოიყენებს, —
მშვიდად სადილობს.
ვიცი: ახლა, ამ წუთში
ერთმანეთთან ჭიდილი აქვთ ომს და მშვიდობას
და კვლავ მშვიდობა იმარჯვებს. რადგან
გაშლელ გამზირზე მანქანები არხეინად დასრიალებენ.
მე ისიც ვიცი, რომ ახლა, ამ წუთს
ჩემი სამშობლოს საზღვრების მიღმა,
ისმის კივილი. კვდება ხალხი,
და ჩემი შვილების ტოლი ბავშვების...
და ჩემი შვილების ტოლი ბავშვების...
ჩემი შვილების ტოლი ბავშვების
მკაცრი ანბანი და სათამაშო —
არის ციდან ჩამოყრილი უფრთო ბომბები.
და ვიდრე ჩემს ტვინში არსებობს აზრი,
და ვიდრე ჩემს ფილტვებში შხუის ჰაერი,
და ვიდრე ჩემს ძარღვებში ბრუნავს სიცოცხლე,
და ვიდრე ჩემს სულში კრთის სილამაზე —
მალეღვებს მხოლოდ ფერადი ვეფხვი
შორეულ ბავშვებს ცისარტყელა რომ ჰგონიათ,
მკლავზე რომ ინვენენ...

მალეღვებს, რადგან ჩემში ახლა დაბორიალობს
ყველაფრისადმი გულგრილობის ჩუმი წუხილი.

და ვხედავ. მესმის — მოთქრიანებს ბადაგი ქვევრში,
შემოდგომით ივსება სახლი,
იქ კი, უცნობ: ხრიოკ მიწაზე
იღვრება ცხელი ცრემლი და სისხლი...
სისხლის დაღვრა კი ომს ნიშნავს მუდამ,
ყურძნის ნვენი ნიშნავს მშვიდობას...
რა უფლება მაქვს. ვიტანჯებოდე,
რომ სიყვარულში ვარ შენზე უფრო თავგანწირული...
და თუ მომიტან მინდვრის ყვავილებს, —
რა უფლება მაქვს არ დავინა გვირგვინი და
ცად არ ავიჭრა მსუბუქი ფრთებით.
რა უფლება მაქვს, ჩემს გულგრილ მზერას
სარკეში რისხვა არ მივაგებო,
რა უფლება მაქვს, არ მივანჯდინო
შორეულ ძახილს პასუხი — ექო.





ერთ პატარა სოფელს სიცოცხლე ერქვა, სადაც მოხუცი ხუროთმოძღვარი თალაღე ცხოვრობდა. აშენებდა სახლებს თეთრი თლილი ქვებით და ახლად მოსულებს ახვედრებდა.

ბევრი შრომისაგან ხელები დაეკოჟრა, ხოლო ფიქრისაგან ისე გაუთხელდა შუბლზე კანი, რომ დაბერილი ლურჯი ძარღვის გაწყვეტის ეშინოდა და ყველაფრის რცხვენოდა. როგორც კი ვინმე პირს გააღებდა და „მეს“-ს გაიგონებდა, მაშინვე კუთხეში დაჯდებოდა, შორიდან უსმენდა რას იტყოდა შემდეგ. მაგრამ ხშირად არ ეცალა მათ მოსასმენად. უხდოდა ყოველი მათგანის „მე“ გაეჩუმებინა და როცა ტყეში შეშას სჭირდა, იტყოდა: „შენ“. თუ ყანას მკიდა, მოაგროვებდა პურის მარცვალს და იფიქრებდა: „მას“. მერე დატრიალდებოდა, ააგებდა სახლებს, „თქვენ“ — დააწერდა, რასაც გააკეთებდა და დღის ბოლოს ისე კმაყოფილი რჩებოდა, თითქმის ყველაფერი მისთვის გადაიწახს.

თავად, სიძველისაგან ქარვისფრად ქცეული ლერწმის ქოხი ჰქონდა. შინ ერთი დედაბერი ჰყავდა, რომელიც თიხის თევზზე მოკეპილ მინდვრის მხალს და კეცებში გამოშუშებულ მჭადს დაახვედრებდა; დაბალ სუფრას გაუშლიდა, სამფეხა სკამს დაუდგამდა,

ხელადით ღვინოს მიუტანდა და ეტყოდა: ერთხელ შენც დაისვენე, ბერიკაცო.

— სოფელში შვილები და შვილი-შვილები კარგად არიან, სხვა რაღა მინდა. — მიუგებდა მოხუცი.

მისი საათი მზე იყო. ამოვიდოდა და გაედვიძებოდა. მოეფარებოდა მთებს და დაიძინებდა. აშენებულ სახლებს, სანოვაგეს, სითბოს, ყველას დაურიგებდა. შინ კი ჩასისხლებულ, დაწეწილ თითებს, დაქანცულ ძვლებს და სახვალიო ფიქრებს მოიტანდა. მას არაფერი სურდა მეტი, არც იცოდა რა უნდა მოეთხოვა ამისათვის.

ერთ დღეს ძალიან შეაწუხა ხალხის ყვირილმა. ააწია თავი, იქნებ ვინმეს შველა სჭირდებო, მაგრამ შეამჩნია, რომ ადამიანების თავის ქალაში ვეებერთელა კუჭი მოთავსებულიყო, მუცელში კი განდიდების წყურვილი.

თალაღეს გაუკვირდა, ასე უწესრიგოდ რამ მოაწყო ეს ხალხიო.

— სიკვდილის შიშმაო. — უთხრა დედაბერმა. გაიგეს, ჩვენს სოფელში დიდხანს ვერავინ სძლებს და სურთ ყველაფერი მოასწრონო.

მოხუცს გაელიმა: რაღაც დაავიწყდათ ალბათ, თორემ სიკვდილი რა საშიშიაო. აიღო ქაფჩითა და ხერხით, შალაშინითა და სატეხით საესე აბგა, ამათ

საქკერად სადა მცალია, ხვალ ახალი აღამიანები მოვლენ, ნათელი ბინები უნდა დავახვედრო, დღესვე უნდა დაიწყო ამენებაო.

გავიდა მწვანე მინდორზე და დაიწყო შენება. კარებს და ფანჯრის ჩარჩოებს მუხის გულისაგან თლიდა. წითელი კრამიტებით ჰხურავდა ოდებს. მოათავა იმ დღის საქმე. მზის ჩასვლისას შინ გასწია. გზაში ჩურჩულს მოჰკრა ყური: — სიყვარული არ არსებობსო — და საგონებელში ჩავარდა.

— რა იყო ბერიკაცი, სახეზე ფერი აღარ გადევს. — ჰკითხა შინ მისულს შემკრთალმა დედაბერმა. კაცმა არ გაუმხილა დარდი, უფახშმოდ დაწვა, თან ფიქრობდა: რად უნდათ მაშინ ეს წვრილი კენჭებით მოფენილი გზები, პურით საესე ბელღები ან ქსოვილით დატვირთული სიკვრები, სიძულვილმა ისეც საკმაოდ დაანგრია ქვეყანაო და გათენებამდე გაიპარა სიკვდილის საძებნელად.

დილით შეშინებულს გამოედვიდა დედაბერს. ძალიან უყვარდა ბერიკაცი. მისი ფიქრი რას გამოეპარებოდა. დახუჭა თვალები, ხელი ჩამოიკრა ჩავარდნილ ლოყებზე და დაინახა, როგორ მუქისტოლად გადაექცია თალაღი სევდას. მეგრძზე სცემდა თეთრი წვერი, სახელოზე მიხმობოდა ალიზი.

— რამ გაფიქრებინა სიყვარული არ არსებობსო! — დაიძახა დედაბერმა და თვალები გაახილა. მაგრამ ისიც იცოდა, თალაღეს სურდა, ყველას ძალიან ჰყვარებოდათ ერთმანეთი და ამით ვერ დაამშვიდებდა. რაღა ექნა, გამოვიდა ქოხიდან, შეიღებს მიაშურა. მაგრამ მათ აღარ ეცალათ მისთვის. განდიდების წყურვილის მოსაკლავად გარბოდნენ.

დიდება კი ეკლით შემოხლართულ მწვერვალზე იდგა. ჩამოიშალა თეთრი თმები ქალმა და მწარედ ატირდა, რომ უსიყვარულოდ ჰრებოდა დედაშვილობაც.

მიდიოდა და აღარავის უცქერდა ბერიკაცი. მარტო იმაზე ფიქრობდა, როგორმე პირისპირ შეხვედროდა სიკვდილს. მდინარესთან ჩამოჯდა, სადაც ერთმანეთს ჩახუტებოდნენ ქვები. მათზე გადაფარებული ხავსიდან კამკამა წვეთები მოჟონავდა. ჩურჩული მოესმა, ყური მიუგდო.

— მე რაინას ვკამ, ის მაწუხებს, მაგრამ შენ რა დარდი გკლავს ხავსო? — ჰკითხა ძველ ნალზე შემოხვეულმა ქანგმა.

— ეჰ, ჰე, ჰეი, ყველას ჰგონია მისგვარი დარდი და ტანჯვა არავის გადაუტანია.

— წყალმა ქანგად მაქცია, გესმის?

— მერე შენი თავის გულისათვის ყველა უნდა შეჰკამო?

— იცი რა რაინა ვიყავი?

— მეც ვიყავი ყლორტი, ცისკენ ვისწრაფვოდი, ერთ დღეს მოტრიალდა ქარი და ხერხემალი გადამტეხა; ფესვები შემრჩა მარტო მიწაში, ელარ წამოვიღე წელი, მაგრამ იმას ვდარდობ, რატომღა ქარი ასე ბოროტი.

— მერე როგორ შეძელი, ქვაც რომ სიმწვანით შეგემოსა? — შეშურდა ქანგს.

— ეჰ, რა ვიცი.

წამოდგა თალაღი, ფრთხილად გადაუსვა ხელი, დააპირა აეყვანა ქვიდან, მაგრამ ხავსი შეეხვეწა: ნუ მომაშორებ ჩემს მიწას, თორემ სული ამომხდება. სად მიდიხარ ბერიკაცი?

— სიკვდილის საძებნელად.

— მერე სიკვდილს ვინ მისცა იმის ძალა, როცა დაეძებ, მაშინ გამოჩნდეს. გაბრუნდი და შენი საქმე აეთე.

— ეჰ, ხავსო, აბა ერთი ჩემს სოფელს გადახედე.

— ჰო, ვიცი. ყველა რომ თავის ტვირთს ეზიდებოდეს, რა დამაკვნესებდა.

— თალაღე! — ამოსძახა მდინარემ. ჩემს ძალას მოგცემ. თუ მათი შველა გინდა, ნუ გამოექცევი. ჩამოვატარებ

ტალღებით სიყვარულს, ხოლო მისი წაღება და გაფრთხილება შენზე იყოს. — და მართლაც ამოვიდა თეთრი შადრევანი, ესხურებოდა მოხუცს და ძაღლონეს მატებდა. მერე ნათელი სხივებით ამოტივტივდა სკივრი და თქვა: როცა შენს სოფელში მიმიტან, გადამაგდე. ხან გაიცინებენ ისინი, ხან ატირდებიან, მაგრამ მათ თავის ქალაში გაქრება კუჭი.

თალაღე ორივე ხელებით დასწვდა სიყვარულის სკივრს და გაიქცა. სურდა, სოფელში მიეტანა სიხარული, მაგრამ მისმა სიმძიმემ ისე ჩაუხნიკა მკერდი

და დაუტევა ხელები, რომ თითებიდან წვეთა დაიწყო სისხლმა. მაინც მიაღწია სოფელამდე. მდინარის ძალით მოიქნია სკივრი, დამსხვერეული სკივრიდან გული გადმოვარდა. მაშინვე გამოფხიზლდნენ ადამიანები. ტირილი შეწყვიტა დედაბერმა. ეხვეოდნენ ერთმანეთს და უხაროდით რაღაც.

მთიდან მოკრძალებით ჩამოვიდა დიდება, სისხლის ნაკვალევს მიჰყვა, რომ მისწეოდა ბერიკაცს, რომელიც ღიმით უცქერდა, როგორ ნაწილდებოდა სკივრის ნამსხვრევები.



რჯულგამოცვლილი კაცის გოდება

გამოცვლილი მაქვს გვარი, სახელი,
ვაიძე, რჯულიც გამოცვლილი მაქვს.
ჩამქრალა ჩემი სანთელ-საკმელი.
არც მოსვენება და არც ძილი მაქვს.

ისევ ჩემივე თავის ბრალია,
უცხო მიწაზე თუ ვარ დაბმული.
გამხდარა ჩემი ოქროს გალია
ეს ისპაჰანი თუ ისტამბული.

და დამსხვრეული ჩემი მიზნებით
ისევ ჩემს ცრემლებს თუ ვეზიზნები.
ჩემი ბავშვობის ტკბილო სიზმრებო,
თქვენ მაინც რატომ არ მესიზმრებით.

მითხარით, რატომ არ მესიზმრებით,
მესხეთის ცაო, მთებო, მინდვრებო.
რაც წლები გადის, უფრო მჭირდებათ,
რაც წლები გადის, უფრო მინდებით.

ნუთუ სიზმარიც არ გემეტებათ,
სანამ სიცოცხლე გამითავდება.
ვაი, ჩემთვის რა გვიან თენდება,
ვაი, ჩემთვის რა ადრე ღამდება.

მე ახლა ვიცი, რით მიყიდა
ფაშას ჩალმა თუ ხანის ხალათი.
თურმე სიცოცხლე მხოლოდ ტვირთია,
თუ შეძენილი არის ღალატით.

მე ახლა ვიცი რაც ემართება,
ვინც უცხო გზას და რჯულს
დაადგება.
თურმე სხვის მიწას არ ემატება,
სამშობლოს მიწას ვინც დააკლდება.

ვერც ოქრო-ვერცხლი, ვერც
ლალ-ბადახში
ვერ გაიხადა სულმა სავანედ.
ვაი, რა ადრე აგნებს ბალახი
უსამშობლოო კაცის სამარეს.

ამაყო მთებო, წყალნო არაგვის
კრწანისის მიწავ — ქართულის იარავ.
ზოგი ქართველი ღირსი არ არის,
თავის სამშობლოს ცის ქვეშ იაროს.

დიდგორის ველო, ციხევ თამარის,
ჩემო ჯვარო და ჩემო კლდეკარო.
ზოგი ქართველი ღირსი არ არის,
გულზე სამშობლოს მიწა ეყაროს.

კანტაპრი

რა საჭიროა მითები ძველი,
დღესაც დანახვა არ არის ძნელი:
ნახევრად — ცხვარის, ნახევრად —
მგელის,
ნახევრად — ლაჩრის, ნახევრად —
ქველის.

განა ზღაპრებში?

ადამის ძენი —
არის რამდენი ნაცნობი ჩვენი:
ნახევრად — ბრიყვი, ნახევრად —
ბრძენი,
ნახევრად — კაცი, ნახევრად —
ცხენი.



მეჩ

ინდიგო ტომარაძის უმცროსი გოგო დაორსულდა.

უცებ დაეტყო მუცელი თინას. კარგა ხანს მალავდა, კაბებს აფართოებდა, მერე საგანგებოდ გაშლილი კაბა შეიკერა, მაგრამ წამოზრდილი მუცლის დაფარვა შეუძლებელი გახდა და ხელი ჩაიჭნია, რაც იქნება, იყოსო, გადაწყვიტა, ამდენი მალვისა და დაძაბულობის მერე უცებ მოისვენა, დამშვიდდა. წელში გამართული დადიოდა, მაგრამ წამოზრდილ მუცელს ვერაფერს ამჩნევდა.

ხუთი შავი გოგო ჰყავდა ინდიგო ტომარაძეს და ხუთივე გაუთხოვარი. თვითონ ხომ შავი იყო, ცოლიც შავგერემანი შეხვდა და შვილებიც მშობლებს დაემსგავსნენ. ისეთი შავები იყვნენ, ყველანი ერთად მაგიდას რომ შემოუღუსხდებოდნენ, ოთახში ჩამოხრებოდნებოდა.

ინდიგოს მშვენიერი ხმა ჰქონდა, თავის ღროზე რაიონის გუნდში მღეროდა და რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე დიპლომიც კი დაიმსახურა. შვილებს მამის ნიჭი გამოჰყვავთ, ერთად რომ ამღერდებოდნენ, მათ მოსმენას არაფერი სჭობდა.

პირველი ბიჭი უნდოდა ინდიგოს მაგრამ გოგოს გაჩენაც ძალიან გაუხარდა. ყველაფერი წინასწარ იფიქრა. მე-

ორე გოგო რომ დაიბადა, არც ამაზე დაკლებია გულს, ერთმანეთს გამოადგებიან ღებო. მესამე გოგოზე გული კი დაწყდა, მაგრამ არ შეიმჩნია. სხვა ბედს შეურიგდებოდა და მოისვენებდა, მაგრამ ინდიგო ჭიუტი კაცი იყო, სანამ თავისას არ გაიტანდა, არ მოისვენებდა. მეოთხე გოგოზე ერთი კარგად შეუყურთხა მახარობელს. წავიდა და მაგრად გამოთვრა. ღმერთი არ სწამდა, მაგრამ რაღაც ძალა რომ არსებობდა, ნამდვილად სჯეროდა. მეხუთედ რომ დაორსულდა ტასიკო, ინდიგო ბარაკონზე ავიდა, სანთელი აანთო და სათხოვნელი გულში გაიფიქრა. მერე სანადირო თოფი მოამზადა, რომ სოფლისთვის ბიჭის გაჩენა ემცნო. მაგრამ თოფი არ გავარდა, ინდიგო კი ხუთი გოგოს მამა გახდა. ამის მერე ინდიგოს სიმღერა არავის გაუგია. ომიანშემდგომი მძიმე წლები იყო, ძალიან უჭირდათ, ვი-ვაგლახით გაზარდეს ხუთივე და ერთი დარდი აწუხებდათ — გოგოები როგორმე დაეთხოვებინათ, მაგრამ მარტო სიმღერა არ შეელოდა ამ საქმეს, ძალიან შავები იყვნენ ტომარაძის გოგოები და არავის მოსწონდა.

სამუშაოდან დაბრუნებულ ინდიგო ლობიოს შეექცეოდა. ზედ ღვინოს აყოლებდა და კარგ გუნებაზე იყო.

ოთახში თინა შემოვიდა, მწნილი მაგი-
დაზე დადო. ინდიგომ ჰიკა გამოცალა,
მაგიდაზე დადგა, უცებ ქალიშვილის
წამოზრდილი მუცელი შენიშნა, თვალს
არ დაუჭერა, მომეჩვენებოდაო, გადა-
წყვიტა, მაგრამ ეჭვი ვეღარ მოიცილა
და გუნება წაუხდა. თინამ კარადაში
რალაცის ძებნა დაიწყო. ინდიგო შვილს
პიაჩერდა, თვალი ხომ არ მატყუებდნენ,
ფიქრად, ერთხანს თვალდახუჭული იჯ-
და, მერე გაახილა, მაგრამ სანუგეშო
ვერაფერი დაინახა — გოგოს აშკარად
ეტყობოდა წამოზრდილი მუცელი.

— მოდი, ბოშო, აქ! — დაუძახა ინ-
დიგომ.

თინა მაგიდასთან გაჩერდა.

— რაა, ბოშო, ეს?

ინდიგომ თითო მუცელზე ანიშნა და
შვილს მიაჩერდა. დაჯერება არ სურ-
და და რალაც იმედისმაგვარი კიდეც
ბეჭუტავდა გულში. თინამ თავი დახა-
რა, თვალები ცრემლით ავესო.

— სულ არ მინდოდა მე... — აზლუ-
ქუნდა გოგო.

ინდიგოს სისხლი თავში აუფარდა, მო-
ვკლავ, მაგისო!.. იყვირა და კედლიდან
სანადირო თოფი ჩამოხსნა.

— ჯერ იმას მოვკლავ, მერე შენ! —
დაიმუქრა და გარეთ გავარდა.

დაღმართზე დაეშვა, მერე გაახსენდა,
რომ არ იცოდა, ვინ უნდა მოეკლა, თო-
ფი ყორზე მიაყუდა და სულის მოსა-
თქმელად ქვაზე ჩამოკრდა. ვინ შეიძლე-
ბა იყოს ბავშვის მამა?.. სოფლის ახა-
ლგაზრდები გაიხსენა, მერე მიხვდა,
რომ ასეთნაირად ვერაფერს გააკრევე-
და. სოფლის თავზე სავსე მთვარე ჩა-
ნდა და გაბრიკიძეების კაკლის ჩრდი-
ლი უმოძრაოდ იწვა გზაზე. ერთხანს
ჩრდილს უცქერდა, მერე გარშემო მი-
მოიხედა, თოფი ღობის იქით გადადო,
კოლმეურნეობის ვენახში გადავიდა და
გინმეს რომ არ დაენახა, სახლისკენ მი-
მავალი გზა მოკლევით აჭრა.

ცოლი ეზოში დახვდა.

— რა მოხდა, კაცო? — ჰკითხა შემ-
ოთხებულმა. — სად იყავი?

— შენ, ქალო, კუთრში ხომ არ ზი-
ხარ? — შეუტია ინდიგომ.

— რა მოხდა, აღარ იტყვი?

— რა მოხდა და... — ინდიგომ თა-
ვი შეიკავა, მეზობლებმა არ გაიგონო
და სახლში შევიდა.

— თქვი, შე კაცო, რა მოხდა?

— რა მოხდა და, გაბერილი რომ და-
დის შენი ქალიშვილი, ვერ ატყობ?

— რას ამბობ, კაცო, რომელი?

— რომელი და თინა.

— უიმე, უიმე, მომიკვდეს თავი, ეგ
რა მითხარი, კაცო, ვინ დაგვლუპა, ვინ?

— გეყოფა ახლა! მომიყვანე აქ ის
გათახსირებული!

ინდიგო ოთახში დადიოდა და ფიქ-
რობდა როგორ დაეწყო დაკითხვა. ცხა-
დია, თინა ასე ადვილად არ გამოტყ-
დებოდა, ამიტომ რაიმე ეშმაკობა უნდა
ეხმარა — ჯერ გაევიგო ვინაა და მერე
მე ვიციო.

ტასიკომ თინა შემოიყვანა. გოგო კა-
რთან გაჩერდა და თავი ჩალუნა.

— მოდი, შვილო. აქ, — დაუყვავა
ინდიგომ, მაგიდასთან დასვა და თავზე
ხელი გადაუსვა.

— რას იზამ, შვილო, ყველას შეიძ-
ლება მოუხდეს მასე... — გაჩუმდა, მე-
რე განაგრძო: — თქვენ თუ გათხოვდე-
ხით, შვილო, ჩვენც ეგ გვინდა. თუ
ერთმანეთს ყვარობთ, გადაგიხდით ქო-
რწილს, შენც გაიხარებ და ჩვენც.

— სულ არ მინდოდა მე... — აზლუ-
ქუნდა თინა.

— აბა, ძალათი მოხდა ეგ ამბავი?

— არ ვიცი მე...

— მითხარი, შვილო, ვინაა, ნუ გე-
შინია, ხომ იცი, კარგი შინაა შენთ-
ვის. თქვენ რაც მალე დათხოვდებით,
ჩვენთვის უკეთესი არაა? ვინაა, შვი-
ლო, ჩვენებურია?

— არ ვიცი მე...

— რაფა არ იცი, ბოშო?! — ხმას აუ-
წრა ინდიგომ.

სიმონ ჯაფარიძე
გ.ი.მ.

— არ ვიცი, არა... — ზღუტუნით იმეორებდა თინა.

— რაღა არ იცი, ბოშო. ვინ იყო? — ინდიგომ მოთმინება დაკარგა.

თინამ სახეზე ხელები აიფარა და ხმამაღლა აზღუტუნდა. ოთახში ჭერ უფროსი ქალიშვილი შემოვიდა, მერე დანარჩენებიც შემოლაგდნენ. ამდენი გასათხოვარი ერთად რომ დაინახა, ინდიგოს ნერვები აეშალა. გაეთრიეთო. უყვირა. გოგოები როგორც შემოვიდნენ, ასევე უხმოდ გავიდნენ.

— ვინ იყო, გოგო, თქვი, თვარა, იცოდე, ჩემი ხელით მოგკლავ! — იყვირა ინდიგომ.

— არ ვიცი, არა, თავი დამანებეთ ყველამ! — თინა წამოხტა. კარისკენ გაიქცა, მაგრამ ინდიგო გადაეღობა, მარცხენა მკლავში ჩაავლო ხელი, მარჯვენათი სილა გაუტყლაშუნა.

— არ იცი, ხო, შე გათახსირებულო, შენა! — ყვიროდა ინდიგო და გოგოს ანჭლრევდა. — ვინ იყო, თქვი, ახლავე!

— რას შერები, კაცო, ბავშვი არ მოკლა! — ტასიკო მათ შორის ჩადგა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, სანამ გოგოები არ შემოცვივდნენ და გააყვებულ მამას თინა არ გამოგლიჯეს.

ერთი კვირა არკვევდა ცოლ-ქმარი ღინ დაღუპა მათი ქალიშვილი, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. ოთხივე ქალიშვილმა თითქოს პირი შეკრა, არაფერი ეიცითო. გაიძახოდნენ და შეთქმულებივით დუმდნენ.

ბუგეულში განთქმული მკითხავი ცხოვრობდა და ტასიკო მას მიადგა. დედაბერმა დიდხანს უცქირა თინას მუცელს, მერე იატაკზე დასვა და, ბიჭიო, უთხრა. ბავშვის მამაზე მხოლოდ ის თქვა, მთვარიან ღამეში ცაში ყურება უყვარს და ბიჭი მამას დემსგავსებო.

ინდიგომ მოსვენება დაკარგა, ღამე არ ეძინა, სულ იმაზე ფიქრობდა, ვინ შეიძლება ყოფილიყო ბავშვის მამა ისევე თინასგან თუ გაიგებდა რამეს, მაგრამ გოგო არ ვიცო, ჩუბუტად იმეორებდა ერთი და იგივეს. ერთხელ ინ-

დიგო ისე განერვიულდა, თინას კისერში სწვდა, გოგოებს და ტასიკოს ხელიდან რომ არ გამოეგლიჯათ, ნამდვილად დაახრჩობდა. მოკლედ, არავინ არაფერი იცოდა და ისე გამოდიოდა. თითქოს ბავშვი უცოდველად ჩაისახა.

ორი დღე ინდიგოს ხმა არ ამოუღია, მესამე დღეს ცოლს უთხრა:

— უნდა მოიცილოს, თვარა მოგვეჭრება თავი.

— მოვიცადოთ. შე კაცო, პატარა ხანს ვნახოთ...

— მოვიცადოთ, თვარა შეიცვლება რამე, — ინდიგო იატაკს მიაჩერდა. — რას ვუცადო ნეტავი?

— იქნებ ქე გავიგოთ რამე?

— რა უნდა გავიგოთ, ქალო, ხომ ხედავ, პირში წყალი დაიგუბა?

— იქნებ აღარც კი შეიძლება მოცილება?

— რატომ?

— რა იცი, რამდენი ხნისაა ნაყოფი? ამაზე აღარ უფიქრია ინდიგოს.

— მიდი და ჰკითხე.

ცოტა ხნის მერე ტასიკო დაბრუნდა.

— არ ვიცო, ასე თქვა.

— რაღა არ იცის მაგ გათახსირებულმა?!

— ჩუმაღ. კაცო, მეზობლებმა არ გაოგონ.

— მაინც უნდა მოიცილოს, თვარა მოგვეჭრება თავი!

ინდიგო ერთხანს უხმოდ დააბიჯებდა კუთხიდან კუთხეში, მერე თქვა:

— აგერ, ოთხი გოგო რომ გყავს გასათხოვარი, აღარ ფიქრობ?

— რაღა არ ვფიქრობ, შე კაცო...

— სახელი რომ გაუტყდებათ, ვინლა ითხოვს მერე?

— მაგათ რალა დააშავეს?

— და რომ მასე მოიქცა, იფიქრებენ, ყველანი მასეთები არიანო. ხალხის ამბავი არ იცი შენ?.. უნდა მოიცილოს, თვარა მოგვეჭრება თავი.

ამბროლაურის სამშობიაროდან ელაყ აუცილებლად გამოიტანდა ამბავს. მერე ვინდა ითხოვდა ტომარაძეების

სახელგატეხილ ქალს. ონშიც ბევრი
ნაცნობები ჰყავდათ, ამიტომ ქუთაისში
წაყვანა გადაწყვიტეს.

დილაადრიიანად აღგზენ. ტასიკო თინას გასაღვიძებლად წავიდა, მაგრამ საწოლი ცარიელი დახვდა. მთელი დღე ეძებდნენ, ნათესავები შემოიარეს, ამბროლაურში ტასიკოს ძმას შეავითხეს, მაგრამ ვერ იპოვეს. ტანსაცმელი ძველ ჩემოდანში ჩაელაგებინა და სახლიდან გაპარულიყო.

მეორე დღეს ქუთაისიდან დეგეშა, მიაღეს, ინდიგოს და ატყობინებდათ, თინა ჩემთან არისო. და ქუთაისში იყო გათხოვილი და ძმისწულები ძალიან უყვარდა. ტასიკოს ქუთაისში წასვლს უფეროდა, მაგრამ ქმარმა არ გაუშვა.

— ეგ რაჲა გამიბედა, ხალხში თავი მომკრა! — ინდიგომ დეპეშა გადახია. — არ გაბედო წასვლა! — გააფრთხილა ცოლი.

ერთხელ, სადილის დროს ტასიკომ
თინა აბსენა.

— ეგ ჩემი შვილი აღარაა! სანამ ცოცხალი ვარ, მაგისი ფეხი არ იქნება აქ! — გამოაცხადა ინლიგომ.

სიჩქმე ჩამოვარდა, მხოლოდ ჩანგ-
ლების ხმა ისმოდა. სიტყვის შებრუნე-
ბა ევრაელის გაბედა.

ისედაც გულჩათხრობილი კაცი იყო ინდიგო და ამ ამბის მერე სულ აღარ იღებდა ხმას. თუ ეზოში არ მუშაობდა, იჭდა აივანზე, ეწეოდა და ფიქრობდა. გახდა, სახეზე თითქოს ჩრდილი გადაეფინა, შავი ჭლები კიდევ უფრო ჩაღმავდა. ტასიკო ქპრის შიშით თინაზე ხმას ვერ იღებდა, მხოლოდ გოგონებთან თუ იტყოდა რამეს. ორჯერ წერილი მოვიდა თინასაგან, კარგადა ვარო, იწერებოდა, მაგრამ ინდიგოტან ის არ უთქვამთ.

ასე გავიდა შემოდგომა, მიიწურა ზამთარი და გაზაფხულიც დადგა.

მაისის ერთ კვირადღეს ინდიგო ვე-
ნაში მუშაობდა. ეზოდან ჭერი ძაღლის
ყეფა მოისმა, მერე ქალების ქოთქოთი.
რალაც ხდებოდა. ბარი მიაყუდა. ტყე-
ლის ტოტები გადწია, თინა და თავისი

და დანახა. თინას ბავშვი ეკავა, გარ-
შემო გოგოები შემოხვეოდნენ, ბავშვს
ათვლიერებდნენ და აღფრთოვანებულ-
ნი რაღაცას ლაპარაკობდნენ. ინდიგო
მხოლოდ ერთი სიტყვა გაიგო: „ბჭი“.
„როგორ გაბედა დაბრუნება“, — ფიქ-
რობდა ინდიგო, თანდათან იზოღმებო-
და, გაპარვა უნდოდა, მაგრამ დის ხათ-
რით თავი შეიკავა, ქვაზე ჩამოყდა და
სიგარტი გაბოლა.

ტასკომ ბავშვი გამოართვა, სახლში შეიყვანა, საწოლზე დაწვინა. გოგონები საწოლს შემოესივნენ და ბავშვს მიაჩერდნენ. ბავშვი თეთრი იყო. თვალები გაახილა, ამდენი შავი ადამიანი ერთად რომ დაინახა, შეშინდა და ატირდა.

ბინდში პატარა ნათურა რომ აკეთებდნენ, ისე გაანათა საოცრად თეთრმა ბავშვმა ტომარაძეების სახლი. ინდოგოს თინასთვის ხმა არ გაუცია. ბავშვიც არ უნახავს. უწინდებურად ჩუმად იჯდა, აბოლებდა და ფიქრობდა. ეინ შეიძლებოდა ყოფილიყო ბავშვის მამა. ერთხელ ცოლმა უთხრა, შეხედე, რა თეთრი ბიჭიაო. თავი დამანებო. შეუძლებელია ინდოგომ. რაღაც ჩაიბუზღუნა და ოთახიდან გავიდა. ძალიან უნდოდა ბიჭის ნახვა, მაგრამ პატიება არ შეეძლო, ჯიუტი კაცი იყო და თავისი ბოლომდე უნდა გაეტანა. გონება ერთს ეკრანახობდა, გული — მეორეს და თავის თავზე ბრახობდა.

სამი თვე იწვალა ინდიგო ტომარა-
ძემ.

შემოდგომის თბილი საღამო იდგა დაღლილი ინდიგო აივანზე იჯდა. სუგარეტს აბოლებდა და ბიჭუნე ფიქრობდა, ყველანი სამზადში იყვნენ. მიმოიხედა, ვინმე ზომ არ მშედავსო, სივარეტა გადააგდო, ოთახში ფეხაქრეთით შევიდა და ბეშვის საწოლთან გაჩერდა. „რა თეთრია“. — გაუკვირდა ინდიგოს, ერთხანს ათელიერებდა, მერე მოეჩვენა, რომ ბიჭი მას ჰკავდა, საიდანაც მო-

სიმონი ჯაფარიძე

6030

პ. მარტენს სტ. სპ. სსრ
სტამბოლში 1960 წელს.
3 ივნისი 1960

ულოდნელად მოვარდნილი სითბო გულზე გადაედვარა, დაიხარა და შუბლზე აკოცა. ბავშვმა თვალები გაახილა და აღრიალდა. ოთახში თინა შემოვიდა, მამა დაიწახა, დაიბნა. ერთ ადგილას გაჩერდა და არ იცოდა რა ექნა.

— ბავშვს მიხედუ, გოგო! — გაუჟავრდა ინდიგო, ეზოში გავიდა და ძირკვზე ჩამოჯდა.

ვარსკვლავებით მოჭედულ ცაზე საესე მთვარე უკიდა, გარშემო რბილი, ეერცხლისფერი ნათელი იდგა. მხოლოდ კრიჭინობელას ვაბჰული ზმა ისმოდა და უჩვეულო, მხოლოდ სოფლისთვის დამახასიათებელ სიმშვიდეს ქმნიდა. ინდიგოს გაახსენდა — მაშინაც ასეთი წყნარი, მთვარიანი ღამე იყო, თინას ორსულობის ამბავი რომ გაიგო და თოფით გარეთ გამოვარდა. ნეტავი ვინაა ბავშვის მამა?... მერე მოაგონდა როგორ უნდოდა ბიჭი და ხუთივეჯერ რომ გაუცრუვდა იმედი. ღმერთი არაა, მაგრამ რაღაც ძალა რომ არსებობს, ეს ნამდვილია. ინდიგომ, მას რომ ჰგავდა,

ერთი ბეწო თეთრი აოსება წარმოიდგინა, გაიღიმა, გული სიხარულით აევსო და სიმღერა მოუწოდა. სიმღერას ღვინო უხდებო, ღვინოს — სიმღერა.

ტასიკომ სუფრა გაშალა. ინდიგომ ორ მეზობელს დაუძახა, ბიჭის სადღეგრძელო შესვეს. მერე თავისი მშვენიერი, წყრილა პირველით „მრავალეზმური“ წამოიწყო. ოცი წელი მაინც არ უმღერია ინდიგოს, ამდენი ხნის დაგუბულმა ხმამ გამოსავალი იპოვა. გარეთ გამოაღწია. გოგონებმა ამღერებული მამა რომ დაინახეს, გათამამდნენ, მაგიდას შემოუსხდნენ და თვითონაც ამღერდნენ. ბოლოს თინაც გამოვიდა, ერთხანს გაოგნებული უცქერდა მომღერლებს, მერე აყუა, ჯერ გაუბედავად, შემდეგ თამამად, მთელი ხმით. მღეროდა და ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა... სიმღერა კი თანდათან გაძლიერდა, მთელი სახლი აავსო, შიგ კელარ დაეტია, ჭერი ასწია და მთვარიან ღამეს შეუერთდა.



გზა ბავშვობისაკენ

რომანი

მეორე ნაწილი

გზა შორეთიდან

როცა ღამით გამეღვიძება და თვალ-
ლია შევეყურებ სიბნელეს, როცა ირგ-
ვლივ სრული სიწყნარება და ჭეჭაც არ
ხმაურობს, შორიდან, შორეული შორე-
თიდან მომესმის ნაცნობი მუსიკის
წყნარი მელოდია, სულში იგი ნანასა-
ვით ჟღერს და თანდათან, მასთან ერ-
თად, მწვდება კიდევ რაღაც ჩურჩული,
რაღაც ხმა, ჭერ გაურკვეველი, გამოუ-
კვეთავი, იღუმალი.

მეჩვენება, რომ ორი სხვადასხვა ად-
ამიანი მოძრაობს მხოლოდ ერთის გასა-
სვლელ ბილიკზე, მოულოდნელად ვაწ-
ყდები სრულიად უცნობ ადგილებს, ამ-
ბებს, განცდებს, იქიდან მომავალი ხომ
არ უწყოდა, რა უნდა დაეძლია, გა-
დაელახა, განეცადა, როგორ უნდა წა-
მებთულიყო იმ ორიოდ წუთისათვის,
რომელსაც მხოლოდ შეზღუდვ, მხოლოდ
წარსულში ეწოდება ბედნიერების ორი-
ოდე წუთი?

აქედან მომავალი?

ნუთუ მართლა სულ სხვადასხვანი
არიან და ველარასოდეს შეხვედებიან
ერთმანეთს?

მაშ ტყუილად რეკენ ხსოვნის ზარე-
ბი და უმიზნოდ ჟღერს ნაცნობი ჰანგი?

შეუძლებელია, შეუძლებელია! —
ვამბობ ხმამაღლა და კვლავ თვალლივ
შევეყურებ სიბნელეს, რათა ხსოვნის
სინათლის სხივით მოვძებნო ის ერთა-
დერთი ბილიკი, რომელსაც ვადგავარ.

ნუთუ მთავარის ბილიკია?

ღამის იღუმალეებაში თვალლივ შეე-
ყურებ სიბნელეს და თითქმის ვიღაც
მკაფიოდ მეჩურჩულებს ყურში: ყვე-
ლამ თავისი გასავლელი გზა უნდა გაა-
როს, და ბევრად, ო, რა ბევრად, თვით
მასზეა დამოკიდებული, როგორ გაიე-
ლის ამ გზას! ეს რომ დასაწყისში ვი-
ცოდეთ, რამდენად გაგვიმრავლდებოდა
ბედნიერების წუთი, ახლა რომ მხო-
ლოდ ორიოდეს ვითვლით?..

მაშ ველარასოდეს, ველარასოდეს?

შევეყურებ სიბნელეს, ვეძებ ნაცნობ
ბილიკს და ყურში შეუჩერებლივ მიკა-

კუნებს სიტყვები, ხმა შორეთიდან —
ველარასოდეს, ველარასოდეს...

ნაწყვეტი დღიურიდან.

1942 წელი

1942 წლის 1 აპრილი. გამოქვე-
ყნა წერილი „ყურადღებით და მზრუ-
ნელობით მოვეციდით საბავშვო და-
წესებულებებს კოლმეურნეობებში“. ამ სასტიკ დროს ბავშვებს ყველაზე
მეტად უჭირთ. ვაკის საბავშვო სახლი
გაივსო უდუღამამო ბავშვებით. საიდან
არ ჩამოჰყავთ! დეიდა ელენემ მიაშპო
რამდენიმე მათგანის თავგადასავალი.
განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბრო-
ნია მარჩენკო ლვოვიდან. სამჯერ გაი-
ქცა ფრონტზე, დააბრუნეს. ოდესმე
დაწვრილებით ჩავიწერ. დეიდა ელენე
ენერგიით აღსავსე, ბრძენი და გული-
სხმიერი ქალია (დ-თოს დედა!).

გარდაიცვალა არტემ ახანაშროვი,
„ჩოროა“, ილიას თანამშრომელი „ივე-
რიაში“. ყველაფერი, რაც ილიას ეხება,
ჩემთვის წმინდაა და სალოცავი. უნდა
წავიდე დაკრძალვაზე.

მაშინ, 1941 წლის მიწურულსა და
წლებადილი წლის დასაწყისში, ხმა გა-
ვარდა, ილიას ერთ-ერთი მეგობარი (არ
მსურს ვახსენო მისი გვარი და სახელი!)
დაიწირეს, გაასამაროლეს და დახვრი-
ტესო. ამას ჩურჩულით ლაპარაკობდ-
ნენ. ნამდვილი ვერაფერი გავიგე. ახლა
ხელთ ჩამოვარდა ორი წიგნი: „ილია ჭა-
გვაშვილის სიკვდილი და დასაფლავება“,
გამოცემა (მაშინ სალარიძის დახმარე-
ბით) ბაქოს ქართულთა ამხანაგობის
„კალამი“-სა, რედაქცია „მიწისა“, 1907
წელი (სოფლიდან. ჩემი მშობლების წი-
გნებიდან. ჩამოვტანე) და მეორე (და-
თომ მომიტანა) პაატა გუგუშვილის
„ილია ჭავჭავაძის მეგობრობა (სავა-
მომძიებლო მასალები)“. ორივე გულ-
დანმით შევიწყალე. თავს ვანებებ მწა-
რე ემოციებს, რაც ამ წიგნებში აღმი-
ძრა და იმ ცრემლს, რაც მათ ფურცლე-
ზე უღვარე. კონსპექტს იმ ტრაგიკულ
აზებზე სხვა დროს ჩაწერ.

დავიწყების უნარი ადამიანებს, ჰემ-
მარიტად. უსაზღვრო გვაქვს!..

2 აპრილი. სიკვდილით დასაჯეს
გმირი პარტიზანის შურა ჩეკალინის ვა-
მცემნი — ყოფილი მამასახლისი ავდი-
უხინი და ქალაქის გამგეობის ყოფილი
წევრი — ოსიპოვი. აი უკანასკნელი
ეპიზოდი შურა ჩეკალინის ცხოვრები-
დან: როცა ჯალათმა სასტიკად ნაწამებ
შურა ჩეკალინს კისერზე მარყუტი გა-
დააცვა, მან ხმამაღლა შესძახა: „ჩვენ
ბევრნი ვართ, ყველას ვერ ჩამოგვახი-
ნობთ! ჩვენს გამო შურს იძიებენ!“ მე-
ორე ტანია...

4 აპრილი. გაზაფხულდა. ყველაფე-
რი ამწვანდა და გამხიარულდა. მხო-
ლოდ მე დავდივარ მოწყენილი. დედა
ისევ ცუდადაა. მამიდამ თქვა, კვების
განსაკუთრებული რეჟიმი უნდაო, სხვა-
თა შორის, თაფლი, კარაქი, კვერცხი,
ყურძნის წვენიო (ადვილი სათქმელია,
მათი სახელიც კი გვაეფიწყდება!). ვერაა
კარგად საქმე (საშიში ფორმის ორმხ-
რივი პლევრიტი).

დათო წასულა. ვაჭრობის სახალხო
კომისიის მოადგილესთან (გვარი არ მი-
ნდა ვახსენო), რომელიც თავის დროზე
ძია ევგენის რეკომენდაციით შესულა
პარტიამში, ხოლო მეერ მის მოადგილე-
დაც უმწევენია. არ მიუღია...

რას ეტყვიდი-მეთქი, როცა ვკითხე
დათოს, მიპასუხა: ჯერ თავს შევახსენე-
ბდი, შემდეგ ცოტა პროდუქტს ვთხო-
ვი დედაშენისთვისო. მერედა, დედაჩე-
მი მაგ პროდუქტის აღებას იკადრებდა-
მეთქი? დათომ მხრები აიჩეჩა, სახელმ-
წიფოს არ გააღარიბებდა ერთი კილო
კარაქი, ერთი კილა თაფლი და ორი
ბოთლი ყურძნის წვენი, დედაშენს კი
უშველიდაო, მიპასუხა.

ხანდახან ცრემლს ვერ ვიკავებ. მეო-
თხე ვაკვეთილზე ავკვეთინდი და ობო-
ბამ გამლანძდა, ალბათ ეშმაკობა ეგო-
ნა, რადგან ქიმიის ვაკვეთილი არ ვი-
ყოდი...

გამოცხადდა თბილისის მოსახლეო-
ბის ხელახალი რეგისტრაცია და ჩაწე-
რა. ალბათ საჭირო ღონისძიებაა ქა-

ლაქი სავსეა სპეკულანტებით, ათასი ჯურის საეჭვო ხალხით. მილიციაში უნდა მივიდეთ, არადა მეზობლის ქალი ამბობს (ჩვენი „კეთილი მეზობელი“!). დიდი რიგებიანო. ესეც კიდევ ახალი საზრუნავი.

მწერალთა კლუბში ეწყობა როდიონ ქორქიას (უკვდავი „მარილის აკვანში“) პიესის „საუნჯის“ კითხვა. არ შემოშვებენ, მოსაწვევე ბარათებითაა. შევეძრებო რეგორმე.

უნდა ვისწავლო ჭეშმარიტ ფასეულობათა გამოცნობა.

5 აპრილი. გამოვიდა გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნი, მიხარია, რომ ქვეყნად ამგვარი წიგნი არსებობს. „მნათობში“ გაგრძელებას ვკითხულობ, მოუთმენლად ველი ხოლმე მორიგ ნომერს, საშინლად იგვიანებს.

დღეიდან ვიწყებ ილიას მკვლელობის ამბების დაკონსპექტებას. ვნახოთ, საბოლოოდ რა გამოვა.

რად ავიკვიატე სწორედ ახლა ილიას მკვლელობის ამბავი? პირველი ბიძგი მომცა მკვლელის აღმოჩენამ. მაგრამ, ვფიქრობ, სხვა, შინაგანი მოთხოვნილება უფრო მაიძულებს, ცოტა მაინც გავერკვე იმ წარმოუდგენელ უაზრობაში, ილიას მკვლელობა რომ ჰქვია. მწერალთა კავშირში ერთმა ჰქვიანმა კაცმა მოთხრა: თავი დაანებე მაგ ამბავს, ჩვენ დროში მაგის არც გახსნა და არც ახსნა არ შეიძლებაო. მე ხომ არც გახსნას და არც ახსნას არ ვაპირებ! ვინ წემიშვებს არქივებში? მხოლოდ გამოქვეყნებული მასალებიდან ამოვიწერ ზოგიერთ ისეთს, რომელიც საერთო განწყობილებას და მკვლელობის სურათს აღადგენს. მე ეს მჭირდება, რადგან საწყისთა საწყისს მივაგენი და ქართველი მამულიშვილობა ვიგრძენი. წინათ ზშირად მოფიქრია, რა არის ადამიანის არსებობის საწყისთა საწყისი? ბავშვისთვის ალბათ დედაა, ზოგისთვის — სიყვარული (დე გრიე), სხვათათვის — ფული (გობსეკი) ჩემთვის — მამულიშვილობა, სულის იმგვარი აღზევე-

ბა, როცა შინაგანად, მთელი არსებით გრძნობ სისხლისმიერ, სულისმიერ, არსისმიერ კავშირს საკუთარ ხალხთან, ოპოზიციის წარსული და დღევანდელი სულის განუყოფელ ნაწილად ქცეულა და მის გარეშე სიცოცხლე ყოველგვარ აზრს ჰკარგავს; როცა პასუხს აგებ იმან, რაც იყო უწინ; როცა გტყვი ის, რაც იქნება მომავალში.

პირველად ეს გრძნობა დამებადა, ბარათაშვილზე რომ ვფიქრობდი. ახლა, ილიაზე რომ ვფიქრობ, უფრო გამიმწვავდა, გამიღრმავდა და, საოკარია, სიხარულის მიზეზი გახდა: მიხარია, რომ ქართველი ვარ. და მაწვალებს იმ შავი ლაქების, საიდუმლო, ჩვენი ერის ისტორიაში რომ მრავლადია. უახლოესი ილიას მკვლელობა... აი ახლა, მგონი, მივუახლოვდი იმას ახსნას, თუ რად დამებადა ამ გაგანია ომის დროს მწვევე სურვილი ოდნავ მაინც, ფრთხილად მაინც შევეხო იმ კრილობას, რომელიც სტყვია სულს და მარად ეტკივება. სანამ ქვეყნად ერთი ქართველი მაინც არსებობს...

1907 წლის 21 აგვისტოს საგურამოში ილიას არტურ ლისტი ეწვია. მისი ნაამბობი:

„მზე მხიარულად ანათებდა საგურამოს მთებს, ტყეა და ბაღებს და მყუდრო სახლი ალერსით გამოიყურებოდა მწვანე ხეებიდან. ილია დაღონებული იყო, ემდუროდა სხეულის სისუსტეს და აწუხებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცუდი ამბები... მისი სულიერი მდგომარეობის ზეგავლენით, მეც დავკარგე მხიარულება და ვიკონებდი წინანდელ დროს, ჩვენი მეგობრობის მაშინდელ სიცხველეს.

27 აგვისტოს, დილით, ილია, კენიანოლა და მე ფაეტონით წამოვედით ტფილისში. დილა ღრუბლიანი იყო და ჩვენი წამოსვლის შემდეგ დიდი წვიმა მოვიდა. რადგან ფაეტონს სახურავი არ ჰქონდა, ყველანი დავსველდით...

თენგიზ ბუაჩიძე
ზაა ბაშვილიშვილი

ილია ჩაფიქრებული იჯდა ჩემს პირ-
დაპირ და ერთხელ თუ ორჯერ თქვა,
მეშინია გაცივებისო. კნენია ოლღას
ფერი არ ჰქონდა, დაღონებული იყო.

დიღმის დუქანში შევისვენეთ, რომ
რაიმე გვექამა. აქ ილია ცოტათი გამ-
ხიარულდა და ლაპარაკის ხალისიც მო-
უვიდა. გამოჩნდა მზე და გაანათა ნაც-
ნობი არე-მარე, სადაც ხშირად გავ-
ვივლია ერთად.

შემოვუსხედით უბრალო სუფრას და
მოვიგონეთ წარსული. ეს იყო ჩვენი
უკანასკნელი საუბარი.

ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთმა-
ნეთს გავშორდით ოღგას ქუჩაზე. ვნა-
ხავთ ერთმანეთს! — მითხრა ილიამ.
მაგრამ რალაც დიდხანს ვუტკერდი მი-
მავალს, სანამ მისი ეტლი მთლად არ
მიიმალა ვერის დაღმართზე...

რა წინათგრძნობა აწუხებდა ლა-
ისტს?

6 აპრილი. დღეს დავდიოდი ახლად
ამწვანებულ ბაღში და ვფიქრობდი:
აი ეს ცაცხვი ასი წლისა იქნება. ჩემს
შემდეგ კიდევ იცოცხლებს ერთ ას
წელს მაინც. ჩემამდე მას მოსწრებია
უამრავი ადამიანი, ჩემს შემდეგ კიდევ
მრავალი მოესწრება (საოცარია — ყო-
ველი ადამიანი თავისი არსებობით ზო-
მავს სიცოცხლის დასაწყისს და დასას-
რულს, გულუბრყვილო ეგოიზმია, მაგ-
რამ ადამიანს რომ ადამიანური გამოა-
ცალო, ვის რაღად უნდა უსულო ჩონ-
ჩხი?). ბუნება უკვდავია (ჩვენთან შე-
დარებით), მის წიაღში ყოფნა ჩვენი
უკვდავებაა (ჩვენთვის სრულიად შეუ-
ცნობელი, ამიტომ — არაფერი).

ერთი სტროფი დღევანდელი განწყო-
ბილებიდან:

ასეთ საღამოს მეც გავივლი როგო-
რმე ბაღში, ცაცხვი შრიალებს. და ეა-
მთასვლა თუ არ მადროვებს, იმედად
მრჩება, რომ დევკნები, ეს ფოთლებს
გაშლის და დარაჯივით დაუდგება ჩემს
სიმარტოვეს...

კაი იმედია!..

7 აპრილი. მშვენიერია გაზაფხული,
არ ვიყინებით მაინც! დედა მაფრთხი-

ლებს, ნასესხების გეშინოდესო. გუშინ
დედაჩემის ძველი კაბა გადავიკეთე,
ყველაფერი შემომაცვდა. სარკეში შე-
ვაჩნე — ძალიან გავხდი, თვალები
ჩაწითლებული მაქვს (მეც მახველებს
დედასავით, მაგრამ თავს ვიკავებ, ჩუმ-
ჩუმად ვახველებ ხოლმე). საშინელი სი-
სწრაფით ვიზრდები სიმალეში!

მეორე შესვენებაზე მარკლენას ლა-
მის ხელი გავარტყი — სულ იგინება.
ბიჭები ისე გათავხედდნენ, ადამიანე-
ბად აღარ გვთვლიან (ჩაბრაას გამოკ-
ლებით). ამ მეცხრეკლასელ ბიჭ-ბუჭებს
დაავიწყდათ, რომ მაინც ქალიშვილები
ვართ. მარკლენა ყველაზე საზიზღარია
(სულ ტუჩებს ილოკავს, სახეზე წვრა-
ლმა მუწუხებმა გამოაყარა). თანაც
თავს მაწონებს, ოჰ! თალიკომ ისეთი
რამ თქვა მასზე, სირცხვილით დავიწვი.
თალიკომ ჩვენს ბიჭებზე ყველაფერი
იცის. რატომ? ანტერესებს მათი მამ-
ლაყინწური უმსგავსობანი. ეს გოგო
ჩვენთან ელდ სიტყვებსაც თამამად ხმა-
რობს, პირდაპირ გავგანათლა. მაგალი-
თად, როგორ უნდა გამოიცნო „ძლიერი
მამაკაცი...“ რა საზიზღრობაა! მას კი
სიამოვნებდა ამგვარი საუბარი და თვა-
ლები უპრიალებდა, ფუჰ! მე მსურს ვი-
ყო სპეტაკი, მართალი და კეთილი. ოჰ,
რა ძნელი ყოფილა! ოღონდ დედა გა-
დარჩეს...

8 აპრილი. „საბჭოთა ქალის სულის
სიდიადე“ — ეს საგაზეთო წერილი
წავიკითხე და ბევრი ვიფიქრე. ქალ-
ულზე ყველაფერი მწყობრად გამო-
დის...

ერთი რამ მაშვეიდებს: ყოველთვის
მახსოვს, რომ რაღაცას დავწერ...

უბრუნდები ილიას. ზააალ კაე-
კავაძე:

„თავადი ილია ჭავჭავაძე გარეშე ბი-
ძაშვილად მეკუთვნის. პეტერბურგიდან
რომ დაბრუნდა, ზაფხულს თავის სო-
ფელში, საგურამოში. ატარებდა, სა-
დაც აგვისტოს დასაწყისში მეც ჩავდი-
ორშაბათს, 27 აგვისტოს, ილია მეუღ-
ლითურთ ტფილისში გაემგზავრა. თან
წაიყვანა აგრეთვე მსახური იაკობი.

რომელიც დიდი ხანია მასთან ცხოვრობდა და ერთგული იყო მისი (დამავიწყდა მეტყვა, რომ 27 აგვისტოს ილიასთან ერთად საგურამოდან გაემგზავრა გერმანელი ლაისტი, სტუმრად რომ იმყოფებოდა ილიასთან 4 დღეს). საკუთარი ეკიპაჟით გაემგზავრნენ, ეტლი მიჰყავდა მეეტლე თედოს, რომელიც ილიასთან 5-6 წლის განმავლობაში მსახურობდა. თავადი ილია იმავე დღეს აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ მე მას ველოდი არა უადრეს სამშაბათ საღამოს. სამშაბათს არ დაბრუნებულან, ხოლო ოთხშაბათს დღისით მოულოდნელად დაბრუნდა მსახური იაკობი. მისი თქმით, თავადმა ილიამ იმ კაცის წასაყვანად გამოაგზავნა, რომელსაც უნდა შეეცვალა თბილისში დათხოვნილი მეეზოვე. იაკობი ჩქარობდა, რათა მატარებლისათვის მიესწრო (მცხეთაში), და მართლაც წაყვანა თან კაცი, სხვათა შორის, იაკობმა მაცნობა, რომ თავადი ილია ხუთშაბათს დაბრუნდებოდა შინ, და მე მას სადილის დროისათვის ველოდი...”

9 აპრილი. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ფლანდრია“. ვ. სარდუას პიესა. თარგმნა გერონტი კიკოძემ (რა მშვენიერი ქართულია, რა ბრწყინვალე თარგმანია!). ჩვენ ამ პიესას ვიცნობდით „სამშობლოს“ სახით. ზელოვნება აკეთილშობილებს ტრაგიკულს.

10 აპრილი. მართალი რომ ვიყო, ხომ სულ სიმართლე უნდა ვთქვა. დედა ნამდვილად ვერ არის კარგად. დღეს თავბრულ დაესხა და ლაბის წაქცა. ყოველ დილა-საღამოს სიცხეს აძლევს. თვითონ იზომავს და ხანდახან მიმაღავს. ძალიან მძიმე დროა, სიცივეს გადავრჩით, მაგრამ სურსათი სულ ალარაა...

ფაქტიურად მეთექვსმეტელები ვართ, რაღა დაგვრჩა მეცხრეში? — ორი თვე! როგორ მოვიქცე, ახლავე დავანებო სკოლას თავი და ქარხანაში წავიდე? ოთარი ამბობს, იმ ქარხანაში ქურეებსა და ზეღუყუმბარებს ამზადებენო. მუშახელიც სჭირდებათო. ფრონტისთ-

ვის მაინც ვიმუშავებ და ცოტა სულსაც მოვათქმევინებ დედას — მუშის წიგნაკი მაინც გვექნება, მუშის ულუფა (რა დასამალია. ამაზეც ვფიქრობ)... მა-მის ნივთებიდან გაუყიდავი თითქმის არაფერი დავგრჩა. დედა ამბობს, სწორედ საბურთალოს ბაზარში გავცივდიო (მაშინ, თებერვალში, ადრე დღით რომ წავიდა და ღამე დაბრუნდა, მე რომ სიცხიანი ვიწეკი...)

დათო არ ჩანს, რას მირჩევს? დედას ვერ ვეტყვი, ვიცი, საშინლად ინერვიულებს და უფრო ცუდად გახდება. ფაქტის წინაშე უნდა დავაყენო. მაგალითად, ამ ზაფხულს დავიწყებ მუშაობას, ვეტყვი, რომ დროებითია, სექტემბრიდან კი უბრალოდ აღარ წავალ სკოლაში, არ მიშვებენ-მეთქი. ყველაფერი თავისთავად მოხდება. მერე სულ მართალი რომ მინდა ვიყო? თუ ამისათვის ზოგჯერ ტყუილიც უნდა ვთქვა?..

შეიქმნა ქალაქი ტყვარჩელი (რატომ მეგონა, რომ უკვე არსებობდა?).

გამოვიდა მნათობის მეორე ნომერი (დიდი დავგვიანებთ). კვითხულობ „დავით აღმაშენებლის“ გაგრძელებას და ა. ქუთათელის „პირისპირს“. გალაკტიონის ლექსი. ლადო ასათიანის ლექსი („ასპინძა“).

11 აპრილი. მეტად სამწუხარო ცნობა — ჩვენი სკოლის ყოფილი დირექტორის დაღუპვის ამბავი მოვიდა. გოგოებმა ბევრი ვიტყვი. პირველი კლასიდან მერვემდე მამასავით გვყავდა. როგორც კი ომი დაიწყო, თავისი სურვილით ფრონტზე წავიდა. მისი ბიჭი ჩვენთანაა, გოგი ჰქვია, მესამეშია. საწყალს ჭერ არ ესმის, რა უბედურებაა უმამობა. ჩვენ რომ დღეს ვეფერებოდით, გაკვირვებული იყო და სულ ხელიდან გვისხლტებოდა. მერე დარბოდა ეზოში ყოყინით. მესამე კლასი მაინც ძუძუმწოვარაა. ჩვენც ეგებობი ვიყავით. თუნდაც შარშან ამ დროს, როგორ უკებ დავაგებერა ომმა? დათო

თენგიზ ბუაჩიძე
ზუა ბავშვობისაგან

არ ჩანს. უნდა ვინახულო დეიდა ელენე.

12 აპრილი. გამოქვეყნდა სტალინური პრემიის მინიჭება მეცნიერების დარგში. არც ერთი ქართველი მეცნიერი არაა ნახსენები.

განვაგრძობ ილიას მკვლელობის კონსპექტს. ო ლ დ ა თ ა დ ე ო ზ ი ს ა ს უ ლ ი ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე :

„30 აგვისტოს, დილის 9-10 საათზე, ზუსტად არ მახსოვს, გამოვედი ტფილისიდან ჩემს მეუღლესთან, თავად ილია ჭავჭავაძესთან ერთად საკუთარი ეკიპაჟით და ცხენებით, მიგვავდით მეეტლე თედოს, მასთან ერთად კოფოზე იჯდა ჩვენი მსახური იაკობი. იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა, განსაკუთრებით დიდძალ ველზე, შლაპაც კი გადამაძრო, რის შემდეგ თავიანდაკე შალში გავეხვიე. გზაში ორჯერ-სამჯერ გავჩერდით, უკანასკნელად ცხენებს წყალს დავალევი. ნეთ სოფელ წიწამურის ღუშანთან. შემდეგ რა დავგეშვართა, სრულიად არაფერი მახსოვს, ვინ დავგეშვა თავს, რამდენი იყვნენ, როგორ იყვნენ ჩამუშლნი, როგორ დამჭრეს, რა დამართა ამ დროს ჩემს ქმარს — არაფერი ვიცი. ტფილისიდან შემდეგი ნივთები წამოვიღეთ: მცირე საკუთრივი ყვითელი ტყავისა, დაახლოებით იმავე ფერის საიდუმლო საკეტოანი ჩემოდანი, პორტფელი და პატარა ბოხჩა. მათში მელაგა ჩემი ტანსაცმელი და ქმრის სხვადასხვა თეთრეული, სხვათა შორის, აგრეთვე — თორმეტი სასადილო და ჩაისი კოვზი, დანა-ჩანგალი. კოვზები არ იყო ვერცხლისა, არამედ — ფრაჟე. ჩემს პატარა ბოხჩაში მეწყო მეუღლის წერილები, დავითის წიგნი და სხვა წერილმანი. ვიცი, რომ ქმარს ფული უნდა ჰქონოდა, წინააღმდეგობა მოუტანეს ბანკიდან, მაგრამ რამდენი იყო — არ ვიცი. საფულეში ედო, სადაც სხვა ქალაქებში ჰქონდა ჩაწყობილი. ამას ვარდა, ჰქონდა კიდევ ქისა ზურდა ფულისათვის... ქმრის თეთრეულზე წითლით ამოქარგული იყო ქართული ასო

„ი“, საფულეზე ორი ვერცხლის ასო იყო „ი, ჩ.“ — რუსულად...“

ილიას მეუღლე ბარგზე და წვრილმან საგნებზე ამდენს ჰყვება გამოძიებლის თხოვნით — ილიას ნივთებს პოლიცია მთელს საქართველოში ეძებდა...

13 აპრილი. ზოია კოსმოდეშვიანის ამბავი შევიტყვეთ. ჭერ ტანიად ვიცნობდით (ასე წერდნენ გაზეთები, აცხადებდა რადიო), თურმე ზოია ყოფილა. ავითანდი მე იმ ტანჯვას და არ ვავტყუდობდი? არ ვიცი. ყველაზე მეტად მაზინება, სხეულზე რომ დამიწყებენ ხელის ფათურს წყეული ფრიკები. მაგრამ იქნებ მაშინ სხეულს ვერც გრძნობ და მარტო სული რჩება? ჩვენს მასწავლებლებში ყველაზე ჰკვირავს მაინც სოლომონია. დღეს ალგებრის მაგერად აღამაინობაზე გველაპარაკა მთელი 45 წუთი. თუ ვიქნები, ამგვარი პედაგოგობა მინდა, რაც უფრო ბრძენია კაცი, მით უფრო გულმოწყალები უნდა იყოს.

14 აპრილი. გამოუშვეს 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხი 10 მილიარდი მანეთისა 20 წლის ვადით. გაჩაღდა ხელმოწერა. ფულს ვინ დაიშურებს, თუკი გაქვს?!

გამოქვეყნდა ცნობა სტალინური პრემიის მინიჭების შესახებ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. მეცნიერთაგან ჩვენი არავინაა, ხელოვანთაგან — კომპოზიტორი შალვა მშველიძე სიმფონიური პოემის „ზვიადურისათვის“ (ერთხელ მოვისმინე რადიოთი, მაგრამ, ჩემი გაუხანოებლობის გამო, ვერ მივხვდი მის მნიშვნელობას, ყურადღებით უნდა მოვისმინო კიდევ), მხატვარი უჩა ჯაფარიძე სურათისათვის „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს“ (შესანიშნავი პიროვნებაა ძია უჩა. მისი ნახატი, ცხადია, ნახული მაქვს, მაგრამ ახლა კიდევ ვნახავ უდიდესი სიამოვნებით). შემდეგია მსახიობი აკაკი ვასაძე კიკვიძის როლის შესრულებისათვის (ვნახე, დიდებულია!

კარგი იყო. იაგოს როლიც აღენიშნათ) და მსახიობი მიხეილ გელოვანი კინოფილმ „კარიკინის დაცვის“ პირველ სერიაში მონაწილეობისათვის (სტალინის როლს ასრულებს). პროზაში ანა ანტონრესკაიამ მიიღო პრემია „დიდი მოურავისათვის“ (ცხადია, წაყითხული მაქვს. ჩემი არაკომპეტენტური აზრით, მთავარი გმირი რამდენადმე გაიდიალე-ბულია). ნუთუ ლიტერატურასა და ხელოვნებაში უფრო ძლიერნი ვართ, ვიდრე მეცნიერებასა და ტექნიკაში? თანაც მაკვირვებს, რომ დიდებული ქართული პოეზია თითქოს ჩრდილში დგას...

დღეს კლასში ახალი დირექტორი შემოვიდა და „საუბარი ჩაგვიტარა“. ვხვდები, რომ აღამიანებს თავის თავზე, ჩვეულებრივ, ყალბი წარმოდგენა აქვთ.

15 აპრილი. 3. გუგუშვილის წიგნიდან:

„1907 წლის 30 აგვისტოს დილას თბილისიდან საგურამოს მიემგზავრება ილია ჭავჭავაძე თავისი მეუღლე ოლღათი. წიწამურისა და საგურამოს გზაზე, საგურამოდან დაახლოებით 4 კერსის დაშორებით, მათ თავს დაესხნენ. მოკლეს ილია და მისი ერთგული მსახური იაკობი, მძიმედ იქნა დაშავებული ილიას მეუღლე... მკვლელებმა გაძარცვეს ყველა, გარდა მზეტლე თედო ლაბაურისა, რომელიც მისივე ჩვენებით, ზურგზე კონდახის დარტყმით ეტლის კოფოდან გადაადგეს“.

გაზეთი „ისარი“, 1907 წლის 31 აგვისტო:

„საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუტრიათ მისი მეუღლე“ (პირველი ცნობა).

გაზეთი „ისარი“, 1907 წლის 1 სექტემბერი:

„საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ ტფილისში 30 აგვის-

ტოს საღამოს 6 საათზე მოვიდა: „ისარის“ რედაქციამ დეპეშა მიიღო მეცხრე საათზე, როცა გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო და პრეზინციაში წასაღებად უკვე სადგურზე გაგზავნილი. ამიტომ თვით სტამბაში მოესწროთ ორი სტრიქონის ჩამატება და ისიც ტფილისის ხელისმომწერთათვის. აღსანიშნავია, რომ „ისარის“ თანამშრომელს, შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფს, რედაქციისათვის დეპეშა ნაშუადღევს 4 საათზე გამოუგზავნია, რედაქციაში კი საღამოს მეცხრე საათზე მიიღეს! დაუჭერებელი ამბავი იმ საღამოსვე მსწრაფლ მოედო მთელ ტფილისის ქართველობას და თავზარი დასცა ყველას“.

გაზეთი „ისარი“, 1907 წლის 2 სექტემბერი:

„განსვენებული ილია, რაც პეტერბურგიდან ჩამოვიდა, თითქმის სულ საგურამოში ცხოვრობდა. მხოლოდ 27 აგვისტოს ჩამოსულა იგი მეუღლეთი ტფილისში. წამოსვლისას უთქვამს, საღამოთი დავბრუნდებიო, მაგრამ აღარ დაბრუნებულა და 30 აგვისტომდე დარჩენილა აქ. ამ დღეს, დილის ასე, 10 საათზე, განსვენებული მეუღლეთურს საკუთარის ეტლით გამოემგზავრებულა საგურამოს. წასვლის წინ, როგორც გავიგეთ, მეუღლეს ურჩევია ქმრისათვის, ნუ წავალთ დღეს, გზაში საშიშიაო, მაგრამ ილიას თავისი არ დაუშლია...“

მკვლელობა მოხდა საგურამოს მახლობლად, ამ სოფლიდან ასე ხუთი კერსის მანძილზე, ნაშუადღევს ორის ნახევარზე. იმ ადგილას ტყეა, საიდანაც მოულოდნელად გამოვარდნილა ოთხი შეიარაღებული კაცი. მხეცებს ეტლი გაუჩერებიათ და მაშინვე შესდგომიან საწილარ საქმეს... ილიას თან მყოფი იაკობი, პატარაობიდანვე იმასთან აღზრდილი, იაკობი ეტლიდან გადმომხტარა და გაქცეულა ტყისკენ, მაგრამ ორი კაცი დასდევნებია და იქვე

თენგიზ ბუაჩიძე
ზნა გავშვოგინაძე

გაუთავებიათ. ეს არ უქმარიათ და თერთმეტ ადგილას დაუჭრიათ. დანარჩენნი მისცვივდნენ ეტლს. ილიასათვის სამჯერ დაუხლიათ რევოლვერი. ორატუვია მოჰხვედრია შუბლში, ერთი გულში, დაჭრილს ხმის ამოღებაც კი ვერ მოუხწრია და იქვე დაუღევია სული. ნადირებს ეს მსხვერპლი არ უქმარიათ და თავიანთი საზიზღარი საქმის დასაგვირგვინებლად უმწეო დედაკაცისათვის უცემიათ. ილიას მეუღლეს გატეხილ აქვს მარცხენა უბის ძვალი და თავზედაც მძიმე ჭრილობა აქვს. იგი იქვე უგრძნობლად დაცემულა.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ იმ ადგილას მისულან საგურამოდან მომავალი სამი სტრაჟნიკი. საინტერესოა, ამ სტრაჟნიკებს სროლა არ გაუგონიათ? თუ გაიგონეს, რატომ არ ააჩქარეს ცხენები და მსწრაფლ არ მივიდნენ მკვლელობის ადგილას?

გრძნობა-დაკარგული ქალი ეტლით წაუყვანიათ საგურამოში, ხოლო მოკლული მგონისა და იაკობის გვამები შემთხვევით მიმავალი ურმით წაუღიათ.

ქირურგს გაუსინჯია ოღლა ჰავჭავაძისა, ჭრილობები შეუხვევია და ქალაქში წამოუყვანიათ. იგი ცოტა გონს მხოლოდ 31 აგვისტოს დილით მოსულა და წამოუძახნია: „უთხარიოთ ილიას, არ წავიდეს, საშიშიაო“. საშინელი სანახავია კნ. ოღლა ჰავჭავაძის დაუფეხილი და დამტვრეული თავპირი. ათი ჭრილობა აქვს თავზედ, საშიში ჭრილობა მარცხენა ღოყის თავზე აქვს. ძვალი გატეხილია. ერთი თვალი მთლად ჩასისხლიანებულია, მეორეც გასიებული აქვს. მეურმეებს, რომელთაც შემდეგ გაუშლიათ, უთქვამთ თურმე, კნენა ძალზე უვიროდა და შველას ითხოვდაო. როდესაც დაენახა, დეიდანა — ვითომ ეკლესია აგისენებიათ, აგვიყვანეთ, წაგვიყვანეთო.

ერთად-ერთ მოწმეს ამ მკვლელობისა, მეეტლეს, ჯერ განუცხადებია, რომ არ მახსოვს, რა სახის ხალხი იყოო, მერე კი უთქვამს, შავკერძანები იყვნენო. იმისავე სიტყვით, ოთხივეს „ტუ-

ურკები“ და შავი შარვლები სცმიათ...”

ზაალ ჰავჭავაძე:

„როცა მე მეეტლე თედოსთან ერთად მივედი შემთხვევის ადგილზე და იგი მიხსნიდა მომხდარ ამბავს, შემთხვევით დავინახე მისი ზურგი, როცა ქარმა უეცრად ხალათი აუფრიალა. მე გამაოცა იმან, რომ ზურგზე დარტყმის არავითარი კვალი არ ჰქონდა, მაშინ როცა, თედოს სიტყვით, მას ზურგში ისე დაარტყეს, რომ კოფოღან გადმოაგდეს...”

გაზეთი „სარი“:

„მცხეთაში ჩასვლისთანავე საშინელი, დაუჭრებელი ამბავი მოგვახალეს: ილია ჰავჭავაძე მოკლესო. არავის სჯეროდა, ვერავის ვერ წარმოედგინა, რომ მხცოვან მოღვაწეს, ქართველი ერის სასიკადაულო შვილს საქართველოს ნიდაგზე ვინმე ხელს შეახებდა!.. მაგრამ საშინელ სინამდვილეს ვინ გაქცევია, რომ ჩვენ მოგვეშორებინა თავიდან: თვალთ მნახველმა დაგვარწმუნა, რომ საზარელი მკვლელობა ნამდვილად მოხდა...”

გულმა არ დამიჯერა და ამხანაგთან ერთად მცხეთიდან საგურამოს გავემგზავრეთ ცხენებით. გავიარეთ მცხეთიდან ასე სამ ნახევარი ვერსი და გზის პირად დავინახეთ სისხლში მოსვრილი მანუეტი (სამაჯე)... ამ ადგილის პირდაპირ ნიშია და სწორედ აქ მომხდარა მკვლელობა. სხვა კვალი ამ საშინელი ბოროტებისა არა სჩანს. დიდი მოძრაობა მეურმეებისა და მეეტლეებისა და ალბათ ეს კვალიც იმიტომ წაშლილა.

საგურამოს რომ მივუახლოვდით, წინ შემოგვეყარა ეტლი: ტფილისში მიჰყავდათ თოფის კონდახებით ნაცემი და დაბეგვილი მეუღლე ილია ჰავჭავაძისა: ნხეცებს მოხუცი დედაკაციც არ დაუდვიათ და პირის სახის ძვლები თოფის კონდახით დაუმტვრევიათ...

მივედით საგურამოში ილია ჰავჭავა-

ძის სახლში და მოურავმა მიცვალეზუ-
ლის ოთახში შეგვიყვანა...

ჩვენი დროის ადამიანი ყველაფერს
შეჩვეულია, სისხლსაც და დასახიჩრე-
ბულ გვამებსაც. მაგრამ მაინც ვერ გაუ-
ძელით საწარედ სურათს და თოფნაქ-
რავივით გარეთ გამოვყარდით...

ილია ჭავჭავაძის შუბლი ბერდანს
ტყვიით არის ჩანგრეული (ბერდანის
თოფის გილზი ნახეს), ის შუბლი, რო-
მლის ნაფიქრსაც არა ერთისა და ორის
თაობისათვის ახალი ფიქრები აღუძვ-
რია, ბერდანის ტყვიით არის განგმი-
რული ილია ჭავჭავაძის გული, რომ-
ლის ნაგრძნობსაც ქართველთა მრავალი
თაობისათვის გული აუძგერებია და
თვალთავან ცრემლი უღვრევინებია. და
ამის ჩამდენი სახედისწერო ტყვია ქარ-
თველის გამოსროლილია!..

ათის ტყვიით არის განგმირული საბ-
რალო ახალგაზრდა ბიჭი, ბითარიშვი-
ლი, რომელიც ილიას ახლდა. გადარჩე-
ნილია მარტო შეეტლე, საგურამოელი
ბიჭი თედო. ბოროტების თვალთ მნა-
ხველი მარტო ეს შეეტლეა და იმის ნა-
ლაპარაკევიდან მთელის შემთხვევის
წარმოდგენა შეუძლებელია: ოთხი კაცი
დაგვხვდა, თეთრ ჩოხებში გამოწყობილი
და აფიცრის ეპოლეტებიანიო, რუსუ-
ლად ლაპარაკობდნენ, მოგვცოდნენ
და ეს საქმე დაგვმართესო; ცნობით
ვერავის ვიცანო. ეს არის და ეს...

ილია ჭავჭავაძის მეუღლეს არაფერი
ახსოვს, გარდა იმისა, რომ ილიას დაუ-
ძანია ქართულად — რას სჩადიხართო
და რევოლვერიც ამოუღია.

საბრალო ქალმა ჭერაც არ იცის, რომ
ილია მოკლულია: გონს რომ მოსულა
და მოუკითხავს ქმარი, უთქვამთ — ქა-
ლაქში დაბრუნდაო...

მკვლელობის შემდეგ არ გასულა
თხუთმეტი წუთი, რომ ილიას მოუტრავი
სამი სტრაჟნიკის თანხლებით შემთხვე-
ვით მოსულა ბოროტმოქმედების ადგი-
ლზე — ილიაცა და მისი მხლებელიც
უკვე უსულონი იყვნენ თურმე, ილიას
მეუღლე კი მტვერში ეგდო და თავს
აქეთ-იქით ახლიდა ჭვებს... დაპირილი,

ქალი გასისხლიანებულ ეტლში ჩაუს-
ვამთ, მოკლულები კი შემთხვევით მი-
მავალ ურემზე დაუსვენებიათ და ისე
წაუღიათ საგურამოში...

მოკლულები სულ გაძარცვულები
იყვნენ: არა სჩანს ილიას პალტო, პი-
ჯაკი, შილეტი, ოქროს საათი, სათვალე
და პატარა ბოლჩა, სადაც საბუთის ქა-
ლადებს ინახავდა ხოლმე, აღარც სა-
ფულე ქისაა. მხლებლისათვის კი ჩექ-
მებიც გაუხდიათ..."

1907 წლის 1 სექტემბერი.
დეპეშა იმპერატორის კანცელარიისა
ტფილისის გუბერნატორს. სასწრაფო.

„1907 წელი, 1 სექტემბერი. პეტერ-
ბურგიდან. კეთილი ინებეთ მოახსენოთ
სახელმწიფო კანცელარიას ცნობები სა-
ხელმწიფო საბჭოს წევრის თავად ჭავ-
ჭავაძის გარდაცვალების შესახებ.
სტატს-მდივანი ლიშჩინსკი“.

1907 წლის 1 სექტემბერი.
ტფილისის გუბერნატორის დეპეშა
იმპერატორის კანცელარიას პეტერბუ-
რგში:

„პეტერბურგი. სახელმწიფო კანცე-
ლარიას. 30 აგვისტოს, დაახლოებით
დღის 12 საათზე, ოთხ ვერსზე დუშეთის
მაზრის სოფელ საგურამოდან ოთხმა
ბოროტგანმწრახველმა ტყვიის სროლ-
ით მოკლეს სახელმწიფო საბჭოს წევრი
თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მსა-
ხური, კონდახებით თავში დაჭრილია
კნინა, ყველა გაძარცვულია, მიღებუ-
ლია სასწრაფო ზომები. ვარაუდით თა-
ვადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებ-
მა სოციალ-დემოკრატების წაქეზე-
ბით, ძარცვა სიმუღირებულია..."

დღეს კმარა, თორემ ბოლმითა და
კრემლით ლამის დავიხრჩო...

16 აპრილი. გუშინ დათო ვნახე.

თინათინ ბუაჩიძე
გზა ბავშვობისაჰამ

ცოტა ვისაუბრეთ — შინ მეჩქარებოდა დედასთან. ფრონტზე უნდა წასვლა. ვინ გაგიშვებს, 15 წლისა ხარ-მეთქი. ჭერ ერთი, თექვსმეტისაო, მეორეც, სხვები ხომ გარბიანო? მირჩია, სკოლა დავამთავრო და ჭერ ქარხანაზე არ ვიფიქრო, თანაც არ მიგიღებნო, მე არ მიმიღესო (იქნებ მამის გამო? — გამიელვა უცებ). ეს ომი ხომ ოდესმე დამთავრდება, შენ კი უსწავლელი დარჩები და დედასაც გულს მოუტლავო, 10 კლასი დაამთავრე და მერე იმუშავეო. ამ ზაფხულს შენ დედას მიხედ, მე კი სოფელში წავალ ბებოსთან და სურსათით მოგამარაგებთო. დედას მოუარეო, კიდევ გამიმეორა დაჟინებით.

შემდეგ წვრილმან სისულელებზე ვილაპარაკეთ. ყველა ჩემს ტოლ ბიჭს ვჯობნი ჰქუით, გაგებით, გუმანით, ისინი პატარები და წვრილმანები არიან, ამ ბიჭს კი ვერაფერი მოეუხერხებ, მე ვჩანეარ პატარა და წვრილმანი. ძალიან პირდაპირია და ნათელი, ყველაფერს მაშინვე აზოგადებს. რალაცნაირად ღია და უშიშარია (ვერ ვამბობ, რისი თქმაც მინდა...) იქნებ ეუთმობ? შევპირდი, ილიაზე გიამბობ-მეთქი. თვალეში მოწყურა და გამჭოლავად შემომხედა, რა უნდა მიაშმო ისეთი, რაც არ ვიცეო? ნახაე-მეთქი. მითხრა, მარკლენა უნდა მივბეგვო. თქვენთან რომ იგინებო, თალიკო ძეუნაო (პირდაპირ ასე თქვა!). მერე აღიარა, რომ თვით იბნევა ამ ტიპის გოგოებთან. ყველა ჩვენ კლასელს იცნობს, მეხუთემდე ხომ ჩვენთან სწავლობდა. დათო მართალი ბიჭია და ალბათ კარგი კაცი დადგება.

17 აპრილი. მწერალთა კლუბში მოეწყო სიმონ ჩიჭოვანის ახალი ლექსების კითხვის საღამო (დეიდა მარიკას ვიცნობ. გვერდით ვუჯექი). წაიკითხა დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი (თუ პოემა?) გამოვიტენე შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, სოსო გრიშაშვილი, ბესრ ქლენტი, ლევან ასათიანი, აკაკი გაწერელია. სხვათა გარეშეც ვხვდები, რომ შესანიშნავი ლექსები. ასე მგონია, ყველა ნამდვი-

ლი შემოქმედი უიმედო სიყვარულთაა შეპყრობილი...

დღეს დათო ჩვენთან მოვიდა. ნახე-ვარი პური მოგვიტანა, მარკლენას მიუცია ჩვენთვის გადმოსაცემად. მე კი ცემას ვუპირებდო, თქვა დათომ (ვიცი, არ გამოართმევდა, თვით რომ შეეძლოს შოვნა).

დედაჩემს უყვარს დათო. შემოვუსხედით დედის საწოლს და ვისაუბრეთ. დღეს ცოტას ახველებდა.

გავიხსენეთ ომამდელი დრო. ძნელი დასაჯერებელია, რომ იყო დრო, როცა ომი არ იყო (დედა ამბობს). დათომ შოვი გავიხსენა — ჩვენი უკანასკნელი საკურორტო ზაფხული. ხუთი წელი გასულა უკვე! რა პატარები ვიყავით მაშინ! მე ძია ევგენი და ჰანჰახის მოვარდნა გავიხსენე. დედამ გავიხსენა ონის ხის სასტუმრო, ყველას რომ ერთ ოთახში გვეძინა (დედას, დეიდა ელენეს, დათოს და მე), ბალნეო რომ დაგვესია. დათომ ჩვენი თევზაობის ამბები გავიხსენა ყვირილაზე, სულორსა და ჩხერიმელაზე. მერე ჩვენი დაღუპული ღირეჟტორი ახსენა. სახლში მისულა მისიანებთან. ცდილობს, როგორმე დაეხმაროს. როგორ და რით?

ნათელას ყველა ვიცნობთ, ექიმია. ჩვენს წრეში ყველაზე ღიდ დამსაუბრებად ის ეთვლება, რომ თავის დროზე ეთერი სიკვდილისაგან იხსნა (იქნებ სჯობდა, რომ საწყალი ეთერი მაშინ არ გადარჩენილიყო და ჰკვიან, უმწიკვლო და ბედნიერ ანგელოზად წასულიყო ამ ქვეყნიდან? ეს ან ბარბაროსულად ბოროტი აზრი მომივიდა ან მართლაც ჰუმანური და ჰუმანურზე უფრო ღრმა თავისი სამართლიანი სისასტიკით. ვინ იტყვის, რა სჯობდა? ვის აქვს სულიერის ყოფნა არ ყოფნის განსჯის უფლება?). ისიც ყველამ ვიცით, რომ ნათელა და გრიგოლი ჩაბრისა დიდად ეხმარებოდნენ, რომ ჩაბრისა მამა თუ ბაბა ომამდე ჩვენ ღირეჟტორთან მეგობრობდა. მეც უნდა მივიღე ნათელასთან...

დედა საწოლიდანაც კი ადგა, ისე ესიამოვნა დათოს მოსვლა. დათო ყვე-

ლას იმედს უღვიძებს, კარგ განწყობი-
ლებაზე აყენებს. ვაკვირდები და ვერ
ვხვდები, როგორ ახერხებს (ორი ზამ-
თარია, პალტო არ სცმია, ფეხსაცმელიც
დახეული აქვს). ძალიან ნათელია და
ჩვენბ ამიტომ?

ფეხზე რომ წამოდგა, დედა უფრო
გამხდარი და გალეული მეჩვენა. ჩაი-
დავლიეთ. შაქარი არ არის, მაგრამ ჩაი
მინც ჩაია, პური ხომ თავზე საყრელი
გვქონდა! წასვლისას დათოს რაღაცის
თქმა თუ მოაღერებდა უნდოდა (თუ
მომეჩვენა?), მე კი ხელი ვკარი და გა-
ვუცინე კიდეც (უნებურად). დაირცხვი-
ნა და წავიდა.

დიდხანს, დიდხანს ვფიქრობდი ყვე-
ლაფერზე. მერე ამგვარად გამახსენდა
და გამოისახა ჩემში შოვის ის შორეუ-
ლი და ნისლიანი ზაფხული.

ზეცას აამღვრევს ღრუბელთა ღელვა,
მეზი მეზს გრგვინვით გაეკიდება, ლი-
ლისფერ ნერვად ნაკვეთი ელვის გადმო-
ვარდება ღრუბლის კიბიდან. შემდეგ
ჩამოვლენ თეთრი ნისლები, შავი სის-
ველე კლდეზე დარჩება. უმზეო ბინდში
დაიხსრება ჩვენი ბავშვობა და აღტაცე-
ბა. ამ სარკმელბთან მუხზმოკვეთილი,
როგორც დუმილი, ნისლი დადგება და
აღუბალი — ხე გულკეთილი — რძი-
სფერ ტალღებში აფართხალდება. ჟა-
მთა და კაცთა ამ გულგრილობის დალი
აღბეჭდავს სულს უქმარობით, მკერდზე
დატოვებს ღია კრილობას. თვით კი ნი-
სლივით გაიპარება. ეს აღუბალი ჭალ-
წულის მსგავსად გაიზნიქება და აძგერ-
დება, შემდეგ სარკმელში შემოჰყოფს
თავს და ნოტიო ხელზე დამაიკერდე-
ბა...

კმაოა, უნდა დავიძინო. დედას დიდი
ხანია სძინავს. ამასაც მივაწერ: რა ცო-
ტა შეუძლია გადმოგვეცეს სიტყვამ, თუ
მართლა გენიოსის ნათქვამი არ არის!

18 აპრელი. რამდენიმე ნაწყვეტი
დაკითხვის ოქმებიდან.

მეეტლის პირველი დაკით-
ხვა:

„ლაბაური თედო ზაქარაის ძე წლო-
ვანება: 29 წლის. სარწმუნოება: მართ-
ლმადიდებელი. ეროვნება: ქართველი.
დაბადების ადგილი: საგურამო. წოდე-
ბა: გლეხი. დამოკიდებულება დაწარა-
ლებულთან: მსახურობდა თავად ჭავ-
ჭავაძესთან მეეტლედ. ოჯახური მდგო-
მარეობა: უცოლშვილო.

მე არ ვთვლი თავს დამნაშავედ, რომ
თითქმის ხელს ვუწყობდი ამა წლის 80
აგვისტოს მომხდარ უჩაღღურ თავდასხ-
მას. ორშაბათს, 27 აგვისტოს, გამოვე-
დით საგურამოდან თავადთან და კნეი-
ნასთან ერთად ტფილისისაკენ, ხოლო
ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, ვბრუნდე-
ბოდით უკან. ქალაქიდან გამოვედით
აღმათ 11 საათზე (საათი არა მაქვს),
ტფილისიდან საგურამომდე სამი საა-
თის გზაა. როცა მცხეთის დუქნებს ჩა-
ვუარეთ, გავუსწარიო ურმებს. ფაე-
ტონში მესხდნენ თავადი და მისი მეუ-
ღლე, პირველი იჭდა მარცხენა მხარეს,
ხოლო მეორე — მარჯვენა მხარეს. ჩე-
მთან კოფოზე იჭდა მსახური იაკობი.
ამ უკანასკნელს ჰქონდა რევოლვერი
და ხელში ეჭირა თოფი, რომელიც მე-
ბაღისათვის მიჰქონდა.

როგორც კი სახატი ნიშს გავუსწო-
რდით, რომელიც გზაზე საგურამომდე
ოთხიოდ ვერსზე, ბუჩქებიდან, ჩვენგან
მარჯვნივ, გზის პირზე გამოვიდა ოთხი
ადამიანი, რომლებმაც დამიყვირეს
„სტოი!“ მათ ეცვათ დიდი ჩეჩმები,
ოფიცრის პაგონებიანი თეთრი კიტრლე-
ბი და ეხურათ თეთრი ფაფახები. გარე-
გნულად ერთი იქნებოდა 28 წლის, მე-
ორე — 29, მესამე — 32 და მეოთხე
— 33 წლისა. ყველა შავგვრემანი იყო,
ორი წვერულვაშიანი, დანარჩენები —
მარტო უღვაშიანი. მხოლოდ ერთი მა-
თვანი იყო საშუალო ტანის, სხეები —
მალლები. როგორც კი გაისმა „შეჩერ-
დი!“, თავადმა ილიამ მხოლოდ ორი სი-
ტყვა დაიძახა: „გარეეე ჩქარა!“ მე გა-
ვრიეე ცხენები, მაგრამ...

თანამეზავენი

ზაზა ბაჰშვინიშვილი

რომ წარმოადგინონ თავდამსხმელები, მე მათ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამოვიცნობ, თუმცა არა, თუ ახლა მაჩვენებთ — ამოვიცნობ, თუ მომავალში — ვერა...“.

ე ქ ი მ ი ა. ი ა შ ვ ი ლ ი:

„გვამი ილია ჭავჭავაძისა მე გავში-ნჯე... ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა სამი ჭრილობა: ერთი ტუფისაგან მკერდში და ორიც თავში თოფის კონდახისაგან ანუ კეტისაგან. ტუფია ჰქონდა მოხვედრილი მარჯვენა ძუძუს ახლოს და გასული იყო მარცხენა იდლიდან. თავი ერთგან ჰქონდა გატეხილი, ხოლო მეორე ალაგახ ჭრილობა ძვლამდე იყო დასული. მიცვალებულს პიჯაკი არ ეცვა, გალსტუხი ყელზე გახსნილი ჰქონდა, მარცხენა ხელზე მანუქი, არ ჰქონდა, მარჯვენაზე წამოძრობილი ჰქონდა და ეკიდა პერანგის სახელოზე. შიგნით გულბოვზე ტუფის გაუვლია პირდაპირ გულში. შიგნეულის გასინჯვით აღმოჩნდა, რომ ილია ჭავჭავაძე სნეული ყოფილა. გული იყო გაქონებული და მისი მარცხენა კედელი ძლიერ გათხლებული. ფილტვებიც ზადიანი ჰქონდა. ხან-მოკლე იყო დღენი სიცოცხლისა. უგუნურებმა მოკლეს ავადმყოფი 70 წლის მოხუცი...“

ილია ჭავჭავაძის მოსამხანაურეს იაკობ ბითარიშვილს ჰქონდა ორი ჭრილობა ტუფისაგან და 21 საფანტისაგან. ტუფია, რომელიც იმის გვამიდან ამოვიღე, იყო მრგვალი და იმ ზომისა, როგორსაც კავიან თოფისათვის ხმარობდნენ უწინ. ნახვრეტის ტუფისაგან ილიასა და ბითარიშვილის სხეულზე ერთი ზომისაა დაახლოებით. ამიტომ ვფიქრობ, რომ ილია ჭავჭავაძე იმგვარის ტუფისაგან არის მოკლული, როგორითაც იაკობ ბითარიშვილი“.

20 აპრილი. მეეტლეს კიდევ ერთი დაკითხვიდან:

„იმის შიშით, რომ დამიზარალებოდა მთელი ჩემი ოჯახი, მე აქამდე ვერ

ვბედავდი მეთქვა სრული სიმართლე იმაზე, თუ როგორ მოკლეს ილია ჭავჭავაძე და ვინ იყვნენ მისი მკვლელები. ახლა კი, მოუხედავად მუქარისა, გადავწყვეტიე ყველაფერი ვთქვა.“

როცა სოფელ წიწამურს გავცდით, საფარიდან გადმოხტა ახალნეო კიგოლა ბერბიჭაშვილი — ეს ისაა, რომელზედაც წინათ ვამბობდი, რომ ერთად ვიხდიდით სამხედრო სამსახურს. ბერბიჭაშვილი — დამიყვია, გაჩერდით, ხოლო თავდამთავის მხრივ მიუვირა, ცხენები გარეკო. მე გავრეკე, მაგრამ ვინაიდან ცხენები უკვე დაღლილი იყვნენ, და, გარდა ამისა, გზა ტალახიანი იყო, ბოროტგანმზრახველებმა მოასწრეს წინ გადარბენა და ცხენების შეჩერება. ბერბიჭაშვილი ცხენების წინ გადაიბრინა გზის მეორე მხარეს. სწორედ ამ დროს მსახური იაკობი. ეტყობა შეშინებული, კოფოდან ჩამოხტა და ბუჩქებისაკენ გაიქცა არაგვის მხარეს. ხელში მას თოფი ეჭირა. გაეკიდა თუ არა ვინმე იაკობს და, კერძოდ, ვინ, სრულიად არ შემინიშნავს, რადგან ჩამოხტა თუ არა იაკობი კოფოდან, ბერბიჭაშვილი — თავადს ესროლა...“

ეს იყო პირველი გასროლა. თავადი მაშინ ფაიქონში იქდა და მე დავინახე, რომ სროლის შემდეგ იგი გზაზე გადავარდა. ვილაყამ, მაგრამ არ მახსოვს ვინ, მიიბრინა ეტლთან კენიანს მხრიდან. ვიმეორებ, რომ არ დამინახავს, როგორ სცემდნენ კენიანს თავში, მაგრამ რომ თავპირი დამტვრეული ჰქონდა, მახსოვს.

სულ მოხდა, ჩემი აზრით, ოთხი გასროლა, მაგრამ ვინ ისროლა ბერბიჭაშვილის გარდა, ვერ გეტყვით. ვიმეორებ: არ დამინახავს, როგორ მოკლეს იაკობი და არ ვიცი, გაისროლა მან თუ არა...“

იმის შემდეგ, რაც თავადი მოკლეს, დავინახე, რომ ისიც და კენიანც ბერბიჭაშვილი და ინაშვილი გაძარცვეს. კენიანს ჩამოხსნეს ბროში ჭერ კიდევ მაშინ, როცა ფაიქონში იქ-

და, როგორ აღმოჩნდა იგი შემდეგ გზის მეორე მხარეზე, თავადის გვერდით, ე. ი. იმის საწინააღმდეგოდ, სადაც იჭდა, ახსნა არ შემიძლია, გამოათრეის თუ როგორმე თვითონ გადავარდა გზაზე, მე არ შემინიშნავს...

როცა ყველაფერი დამთავრდა, თავდამსხმელებმა მე მომმართეს სიტყვებით, რომ მე, როცა დამიწყებენ გამოკითხვას მომხდარის შესახებ, მეთქვა მხოლოდ, რომ ისინი, ვინც თავს დაგვეხსა, ჩაცმულნი იყვნენ ოფიცრის ტანსაცმელში და თავზე ფაფახები ეხურათ. ხოლო მე თუ გავბედავდი იმის თქმას, რომ ისინი ჩოხებში და ჩაბაღახებში იყვნენ, გადამიწვავდნენ სახლს და ამოხოცავდნენ მთელ ოჯახს, რომელსაც დედაჩემი და ორი ძმა შეადგენს.

შემდეგ, გაიყოლეს რა ნაძარცვი საგნები, ყველანი წავიდნენ უკან, ჭერ გზით წიწაშურისაკენ, მერე გადაუხვეის ტყეში იმ ადგილას, საიდანაც პირველად გამოვარდნენ, და მთას შეუდგნენ.

მე უკვე გითხარით, რომ თავდამსხმელთა რიცხვში იყვნენ პავლე ფშავლი შვილი (იგივე ფციაური) და ახატენლი, რომელსაც სახელით არ ვახსენებდი. ამ ახატენლს ჰქვია გიგოლა ბერბიჭაშვილი. ახლა ვსახელებ დანარჩენ ორსაც, რადგან სულ ოთხნი იყვნენ, როგორც თავიდანვე ვამბობდი. მესამე იყო სოფ. ახალსოფლის ყოფილი მამასახლისი ვანო ინაშვილი და მეოთხე, საგურამოში თავადთან რომ მსახურობდა, გიგომოდვრიშვილი...

ვიმეორებ, ყველა ისინი თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი. ვინ წაიღო თოფი, იაკობს რომ ხელთ ჰქონდა, არ შემინიშნავს, არც ის შემინიშნავს, თუ დაიჭრა ვინმე თავდამსხმელთაგან. აი სრული სიმართლე და ყველაფერი, რაც მე ვიცი“...

კმარა, კმარა, კმარა!..

22 აპრილი. „ქალაქში შუქშენილების მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამორკვეულია, რომ ცალკეული

ობიექტები და საცხოვრებელი სახლები ზუსტად არ ასრულებენ 29 ოქტომბრის ბრძანებას“ (რა ქართულია „სახლები არ ასრულებენ“, მაგრამ სიმართლე კია). მკაცრად უნდა დავიცვათ შუქშენილების წესები, ხათაბალაში არ გავეხვიოთ (მინც ექვით გვიყურებენ ვილაცები). ორჯერ უსტივინეს ღამით ჩვენს „ქეთილ მეზობელს“ — ფარდა ჩამოვარდნოდა ფანჯარაზე...

23 აპრილი. ჩვენ, ქართველებმა ცრემლი და სიტყვა ბევრჯერ უსაზღვროდ ვხარჯეთ და ვტანჯეთ. ახლა რას ვეტყვით, ვით მივუტირებთ ქართველის ხელით ჩაღვწილ შუბლს და ქართველის ფეხით გათელილ მანქეტს, სისხლიან მანქეტს, ილიას მანქეტს?..

კინოსტუდია ამბობს: წელს გამოუშვებენ ისტორიული ფილმის „გიორგი სააკაძის“ პირველ სერიას. იღებს მიხეილ ჭიათურელი. სცენარის ავტორებია ანა ანტონოვსკაია და ბ. ჩორნი (ეს ვინლაა? უნდა გავიგო). ფილმი ჭერ ერთ სერიად უნდოდათ, შემდეგ მიმხვდარან, რომ ერთ სერიაში მასალა ვერ ჩაეტეოდა, გადაუწყვეტიათ ორ სერიად გამოშვება. პირველი სერია უკვე მზად ყოფილა (ცხადია, მეტად მაინტერესებს!). მზადაა აგრეთვე გიორგი მდივნის (ძია ჟორჯიკას ვიცნობ, ჩვენი ახლობელია, 3 წელია არ მინახავს) სცენარით გადაღებული ფილმი ომის თემაზე „ხიდი“ (რეჟისორები პიპინაშვილი და მანაგაძე). წარმოებაში ყოფილა ი. მოსაშვილისა და კ. ლორთქიფანიძის სცენარი „ის კვლავ დაბრუნდება“, რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია (დეიდა ნატოს ქმარი).

ხელმოწმების ამბები: ოპერის თეატრში ვახტანგ პაბუკიანი (საოცარი მოცეკვავე ყოფილა, არც ერთხელ არ მინახავს — სირცხვილია!) დგამს „შოპენიანას“ და „დონ კიხოსის“. კიდევ ახალი ამბავი — შექმნილია პირველი ქართული ჯაზორკესტრი (მეტად საინტე-

თანგო ზაფხიძე;
ზაზა პავშოვინსაძე

რესოა! როგორ ვნახო?), ხელმძღვანელი რევაზ გაბიჩაძე, ლიტერატურული მასალა მ. ჭაფარიძისა, ცეკვები დაუდგამთ ვ. ჭაბუკიანს, ი. სუხიშვილს და ჯ. ბაგრატიონს! პროგრამა მიჰყავთ ა. კვანტალიანს და ა. გომელაურს! სუხიშვილი-რამიშვილი ცეკვავენ! (დეიდა ნინოს შორიდან ვიწნობ, ჩვენთან ყოფილა. მე თუ ვახსოვარ?). ორკესტრში 17 კაცია. ძალიან აყვავდა ჩენი ხელოვნება, მიზეზი? ომი, გაჰირვება? ჭეშმარიტი ხელოვნება უფრო მართალი უნდა იყოს. ვიდრე ყოველდღიურის უთავბოლო მდინარება.

25 აპრილი. „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ შალვა ნუცუბიძეს ბრწყინვალედ უთარგმნია ჩახრუხადის „თამარიანი“, ახლა ბექვდის პროცესში ყოფილა. ახლო დროს უთარგმნია შავთელის „აბდულმესიაც“. მე მგონი, უდიდეს ეროვნულ საქმეს აკეთებს ბატონი შალვა...

დღას ძველებურად აღარ ახარებს ჩემს მიერ ნაამბობი ახალი ამბები. ავლავ სიცხეები აქვს. ყრუდ ახველებს. ბებო ჩამოვიდა. ორივეს გვაშინებს მისი ამგვარი გულგრილობა. რა ვქნათ?

28 აპრილი. 1 და 2 მაისი გამოცხადებულია სამუშაო დღეებად. ერთმა ამბავმა გამაჰყირვა: 1 მაისს გაიხსნება საბავშვო რკინიგზა მუშტაიღში, იმუშავენს სამი მატარებელი. მესამე მატარებელი ევაჟიერებულია ვოროშილოვგრადიდან (ბარემ თოჯინებიც წამოვლოთ...) და დროებით აქ იმუშავენს! ვუამბე დედას. გამოცოცხლდა ჩემს ხუმრობაზე და საინტერესოდ მიაშბო ამ რკინიგზის ავების ამბავი. საქაროა მეტი ხუმრობა დედასთან საუბარში — უნდა გავართო, ძლივს გამოერკვევა ხოლმე ფიქრებიდან.

29 აპრილი. დედას წავუყობთ ბესო ჯღენტის წერილი გრიბოდოველთა სპექტაკლზე „თივა და ავი ძალი“. ბესო ძალიან აქებს დამდგმელ რეჟისორს გიორგი ტოვსტონოვოვს (დედა დაინტერესდა, მიაშბო ზოგი რამ მასზე, დიდი მომავალი აქვსო) და მსახიობ ქალს ვ. ალექსი-მესხიშვილს. გადავწყვიტეთ,

რომ ამ დადგმას აუცილებლად ვნახავ. გამოცხადდა, რომ 5 მაისიდან სპექტაკლები თეატრებში დაიწყება საღამოს ცხრის ნახევარზე. დედას აშინებს ეს ამბავი — გვიან როგორ მოხვალ, არაფერი მოიწიოო, ვილაყ ბანდიტები ხალხს ტანსაცმელს ხდიანო.

მუსიკა — ესაა, რაც გვაშორებს დათოს და მე. პრიმიტიული ვალსი მოგწონს, შეიძლება აგატიროსო, სიმეტრიის სურვილი სულის სიმარტივის ნიშანიაო. დისპარმონიული სამყარო შემოქმედი მამრის საწყისიაო; სიმეტრია პრიმიტივია, შემსრულებელი მდედრის საწყისიაო...

არ ვეთანხმები და ხშირად სასტიკად ვკამათობთ. მამრის, მდედრის, პრიმიტივი, მარტივი — რა მესაქმება! ჩემი სულის მოთხოვნილებაა — მუსიკალურ ფრაზას მოსდევს ყურისა და სულისათვის „ლოგიკური“ გაგრძელება. განვითარება და დამთავრება. ყველაზე მეტად ეს ჩემთვის ვალსშია განსახიერებული (იქნებ მართლა პრიმიტივი ვარ?), ამიტომ შეიძლება ასევე ვნახო, მაგალითად, „დიდი ვალსი“ (ნაივა სულ არ მინდა, მოსმენას ვიკმარებ!) და ყოველთვის გარეგნულად მშვიდი და შინაგანად აგზნებული ვიყო. დათო კი ამბობს — პრიმიტიული ფილმი პოლიგუდის სენტიმენტურ სქემაზე აგებულიო. თავშიც ქვა უხლიათ, რაც მომწონს — მომწონს! და მორჩა!

სამაგიეროდ, პოეზიაში სრული თანხმობა გვაქვს. ოღონდ ზოგჯერ ბრაზდება, როცა ჩემებურად ხმამაღლა ვამბობ: „შემოხილნო გამჭვირვალე ბლონდებით, ყრმობის ქარნო, ნეტა რად მაგონდებო?“ დათო მიყვირის: ნუ კითხულობ ვალსის ჰანგზე, ნუ აპრიმიტიულებ გენიალურ ლექსს! ვერ იტანს გრიშაშვილის კითხვას. ხოლო თვითონ სასაცილოდ კითხულობს, თითქოს მიტინგზე გამოდიოდეს და ვილაყას რალაყში არწმუნებდეს — ლექსი კი არა, ყეფაა!

30 აპრილი. გამოქვეყნდა ამბ ვ. მოლოტოვის ვრცელი ნოტა — „გერმა-

ნელ ფაშისტ დამპყრობთა საშინელ ბოროტმოქმედებასა, მხეცობასა და ძალადობაზე...“ შემზარავი ფაქტებითაა აღსავსე. რამ გაამხეცა ხალხი? დედა კვლავ დაფიქრდა და დაღონდა. აი რა ყოფილა ფაშოზმი...

ჩაბრიას გაღბარჩენა

— დათო, დათო! ჩაბრიას დიდი ფული წაუგია!

— რას ბოდავ, ბიჭო! რამდენი?

— ხუთასი მანეთი!

— სად, ვისთან, როდის? მარკლენ, ხუმრობ?

— რა დროს ხუმრობაა, ლამის გული გამისკდა! ახლა მისგან მოვრბივარ...

— სად ბრძანდება? როგორ მოხდა, მითხარი ყველაფერი!

— გუშინ მომხდარა, ზარში წაუგია...

— ვისთან?

— ვილაც ავლაბრელ ბიჭებთან, ბოტანიკურ ბაღში...

— ჩაბრიას ბოტანიკურ ბაღში რა უნდოდა?!

— სახატავად წავედიო, იქ გადავეყარეო...

— მერე?

— ხვალამდე აქვს ვადა, ხვალ ორ საათზე თუ არ მიუტანა ჩანჩქერის ძირას, მოკლავენ!

— მოიცა, მოკლავენ არა!... რომელი ჩანჩქერის?

— ბოტანიკურ ბაღში, სადაც უთამაშნია, პატარა ხიდთან. ხიდი გახსოვს? ჩანჩქერი რომ ჩამოდის... ხიდის ქვეშ.

— სადაა ჩაბრია?

— სახლში ზის. ახლა იქიდან მოვრბივარ. ჩქარა წამოდი, თავს არაფერი მოსწიოს.

— ხვალ ორ საათამდე აქვს ვადა? ფული გაქვს? — დათო წიგნის თაროს ეცა, რომელიღაც ტომი გადმოათრია და ორი წითელი სამთუნნიანი ამოაძვრინა. — სამოცი მანეთია, შენ გაქვს რამე?

მარკლენამ ჯიბეები გადმოიბრუნა და მანეთამდე ხურდა ამოჰყარა.

— შინ? შინ არ გაქვს?

მარკლენამ ჭერა წამწამები დააფახულა და საწყყად გაიღიმა.

— გაეგარდი ახლავე მარინესთან და ოთართან, ჩემი სახელით გამოართვი, სახლშიც შეირბინე, შე უბედურო, დედაშენი მოგცემს რამეს! ჩაბრიასთან მოდი. აბა, ერთი, ორი, სამი! ისევ აქა ხარ?

მარკლენა ადგილიდან მოწყდა. დათომ ხალათი გადაიცვა და ჩაბრიას სარდაფისკენ გაიქცა...

ერთ საათში ჩაბრიასთან შეიკრიბნენ.

მარინეს ოცი მანეთი გამოეგზავნა, ოთარმა ორმოცი მოიტანა, მარკლენასთვის ოცდაათი მიუციათ, ჩაბრიას სახლში ცხრა მანეთი აღმოაჩნდა.

— სულ ას ოცდაცხრა მანეთი გვაქვს, ესაა საქმე? — იძახის ოთარი.

— რა შეგიძლიათ გამოიტანოთ სახლიდან, ზვალე რომ გავყიდოთ? — კითხულობს დათო.

— დედაჩემის შალს წამოვიღებ, — ამბობს ოთარი.

— ჭიქებს მოვიბარავ, მაინც ვერ დაითვლიან, იმდენია. ჭიქებსა და ლამბაქებს წამოვიღებ, ვიცი, რომ კარგად იყიდება, — არ იხევს უკან მარკლენაც.

— მე მამაჩემის ქამარს, ქუდსა და გიმნასტურას წამოვიღებ, ჯერ მაინც დიდი მაქვს, — წყნარად წარმოთქვამს დათო და შემდეგ ჩაბრიას უყვირის: — ჩაბრო, შენ რა გაქვს? ოხერო, მოიხედე აქეთ!

— არაფერი, — ჩაბრია ბიჭებს თვალს არიდებს, კუთხეში ზის გაბუტული.

— იცი რა, აღდექი ახლავე და საქმიანად ილაპარაკე! ზომ არ ფიქრობ, რომ შენთვის ვზრუნავ, ტუტუტო? ახლა ყველას გვეხება! ადე, თორემ დავიზილავ გვერდებს...

თენგიზ ზაუჩიძე

ზსა ბავშვმოვლისათვის

ჩაბრია ზანტად დგება, ტუჩები უცნაური ღიმილით უთრთის, მზერა კარაღზე გადააქვს.

— არ ვიცი, გამოდგება თუ არა, — ამბობს იგი და კარადის უკნიდან საკმაოდ ახალი მოლბერტი გამოაქვს. — იქნებ არც იცით, რა არის ეს?

ბიჭები უცხო საგანს ათვალიერებენ, უკმაყოფილო დათო თავს აქნევს, მარკლენა და ოთარი თვალთ ანიშნებენ, გვითხარი, რა არისო.

— მხატვრების მთავარი იარაღია, დაზგაა მათი, მოლბერტი ჰქვია.

— ვინ იყიდის, ბიჭო, ამას? — უტევს დათო ჩაბრიას.

— ვინ და, მხატვარი! იცი, რა ღირს, იცი? სულ ცოტა, სამასი მანეთი! — აღელვებული ჩაბრია ოთახში დაბრუნდა.

— დილით ჩემთან მოგროვდით თქვენი საქონლითურთ. ბაზარში ერთად წავალთ. ახლა მოუსვით აქედან! — დათო ბიჭებს ერეკება და ჩაბრიასთან მარტო რჩება...

— ჩაბრო, გულახდილად მითხარი, როგორ მოხდა?

— როგორ უნდა მომხდარიყო? ვითამაშე და წავაგე!

— ამდენი, ბიჭო?

— ჯერ სამასამდე მოვიგე...

— ფული რამდენი გქონდა ჯიბეში?

— შვიდი თუმანი. დასაწყისში კარგად მომდიოდა, მერე...

— რამდენი იყვნენ?

— სამნი. ძალიან გაბურებული ვიყავი, ვერ გავიგე, როდის მაჭამეს...

— იცნობ იმ ბიჭებს?

— ერთს ვიცნობ, სალახანას ეძახიან, ზარისტია, ქურდიკაა და დანისტიც...

— დაგემუქრან?

— არა, ისე რა! ზეგ ორ საათზე აქ მოდი და მოიტანეო. მეც შევპირდი, აბა რა მექნა?

— წუხელ როგორ გეძინა?

— თვალი არ მომიხუტავს. ჯერ ბავშვით ვიფიქრე, სოფელში გავიპარები-მეთქი, მერე შემრცხვა... მაგათ სოფელში კი არა, ციმბირში ვერ დაემალეები... თავის მოკვლა გადავწყვიტე.

— ჩაბრო!

— მერე ვიფიქრე, დილაზე დავიცდი-მეთქი. დილით კი კარზე მარკლენა მომადგა, მერე თქვენც მოხვედით... აბა რა მექნა, იმ ფულის გადამხდელი ვარ მე?

— შენ პატარა და-ძმას ვის უტოვე-ბდი?

— მაგან არ გადამარჩინა? თან მამია შემეცოდა — ბიძაჩემი. სულ ჩამჩიჩინებს, ისწავლე, ბიჭო, კაცი გამოდი, ხომ ხედავ, ინვალიდი ვარო...

— მართლა დააპირე თავის მოკვლა, თუ ისე, ფიქრმა გაგიელვა უბრალოდ?

— არა, მართლა. აი ნახე, — ჩაბრიამ ტახტის ქვემოდან სარეცხის თოკი გამოადგინა, ყულფიანი. — იმ ლურსმანზე დავაპირე, — მიუთითა ზედ ქერთან მიჰედებულ ლურსმანზე. — სკამზეც შევდექი, ყულფიც ჩამოვიცვი კისერზე... ბიჭებს ნუ ეტყვი რა, გეხვეწები...

დათომ თავი დაუქნია, მერე მხრებზე ხელი მოხვია და მკერდზე მიიხუტა. მის მკლავებში მოქცეული ჩაბრია ბავშვით ზღუტუნებდა...

დილის შვიდ საათზე დაიძრნენ ბაზრისკენ. მთაწმინდით გრიბოედოვის ქუჩაზე ჩავიდნენ, „ზემელი“ გადასერეს, ლენინის ქუჩით გმირთა მოედნამდე იარეს და შემდეგ სამხედრო გზას დაადგნენ.

დათოს მცირე პარკით მიჰქონდა გასაყიდი, ოთარს შალი ხალათქვეშ წელზე ჰქონდა შემოხვეული, მარკლენას ლამბაქებით ჯიბეები გაეტენა, პატარა საღვინე ჭიქები თითებით ეჭირა სახელოებში შებრუნებული. მხოლოდ ჩაბრია მიათრევდა მოლბერტს ღიად.

მიალწიეს ბაზარს. მისი ყრუ ხმაური ასიოდ მეტრიდან ისმოდა. ჯერ ტროტუარზე მჯდარ მეწვრილმანეთა რიგები გაიარეს. რა არ იყო გამოფენილი! ეანგიან ლურსმინიდან მანქანის მოტორამდე და თვითმფრინავის პროპელერამდე — ყველაფერი: ჩაქურჩები, გაზები, შალაშინები, რეზინი, საღებავი, დანებ, კოვზები, ჩანგლები, ბოქლომები, ჭუ-

რქელი, პანკიები, ხრახნები, პატარა გრდემლი და ურო — სახარატო, საზე-
ინკლო, სადურგლო ხელსაწყოები,
ოჯახის მთელი მოწყობილობა.

საქონელგადაკიდებული ხალხი აქეთ-
იქით დასეირნობდა. პალტო, შარვალი,
პერანგი, ბეწვი, ზეწარი, ქუდი, ჩექმა,
ნახატი, ჯაგრისი, ჩემოდანი, კალოში,
სამკაული, სარკე, პური, ტარანი, არაყი
— ყველაფერი იყიდებოდა.

— აბა გავიფანტოთ, სხვადასხვა მხა-
რეს იარეთ, — თქვა დათომ და თავისი
პარკი გახსნა — ათ საათზე შეხვედრა
ამ ადგილას. საათს ყველა ხედავს?

ბიჭებმა თავი დაუქნიეს და ხალხის
ტალღს გაჰყვნენ...

ათ საათზე დათქმულ ადგილზე პი-
რველი მარკლენა მოვიდა და ას მანეთ-
ზე მეტი მოიტანა — ას ოცდაერთი მა-
ნეთი. შემდეგ ოთარი გამოჩნდა. ზუს-
ტად ას ოც მანეთად გაეყიდა დედის
შალი. ას ორმოცდაათი დათომ ივაჭრა.
ჩაბრია არ ჩანდა.

ბიჭებმა ფული დათვალეს — გუშინ
შეგროვილთან ერთად, უკვე, ზუსტად
ხუთასი მანეთი ჰქონდათ. კიდეც იცადეს
ერთი საათი. შიმშილით კუჭი ეწვოდათ.
ირგვლივ იმდენი სანოვავე იყო, რომ
ნერწყვის ყლაპვით ყბები დაეღალათ.

— მოძებნეთ, მოიყვანეთ! — ველარ
მოითმინა დათომ.

ხუთ წუთში იპოვეს ჩაბრია. ღობის
ძირში იჯდა თავჩალუნული. მისი მოლ-
ბერტი ვერ გასაღდა...

მეორე დღესვე გამომქადენდა ყველა-
ფერი: მარკლენას შინ სასტიკად მოს-
ცხეს, ოთარი ისე გალანძღეს, რომ კა-
რგა ხანს არ ეყარებოდა ბიჭებს, დათოს
ნაამბობზე ელენე მოიღუშა, მეორე თვა-
ლები ცრემლით აევსო. ბოლოს მკაც-
რად უთხრა: რად არ მკითხე, სხვა რა-
მეს მოგცემიდა.

სამაგიეროდ ჩაბრია გადარჩა...

პირმო მიმოწერიდან

დათოს წერილი:

„სალამი მარინე!

შენი წასვლის შემდეგ საქმე იმგვა-

რად დატრიალდა, რომ მე და დედა
„ახალ“ ბინაში გადავედი.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე დგას ხის
ბარაკი. ჩასასვლელი კამოს ქუჩიდანაა,
სადაც ის სახლია, ჩვენ რომ მუსიკას
ესწავლობდით ბერერის ოჯახში (გაზ-
სოვს მოხუცი მანესტრო?).

ბარაკის ზოგიერთი კედელი ფარლ-
ლალაა. ეს არაფერი, ფიცრებით ავაჭე-
დებ (მცხეთიდან ჩამოვიტან), იატაკი
მიწისაა, ამასაც ეშველება, ჭერჭერო-
ბით დევაგეთ რაღაც ძველმანები. ზამ-
თრისთვის ღუმელსაც ვიწვით.

საიდუმლოდ გეტყვი, დედაჩემი უფ-
რო მაგარი ქალი გამოდგა, ვიდრე მე-
გონა!

გუშინ შენზე შეყვარებული მარკლე-
ნა შემომელახა (ჩაბრია დაუბეზლებია
კომკავშირის კომიტეტში), მაგრამ ვერ
მოვიქეცი, მგონი, სწორად. სხვა მხრი-
დან უნდა მომეგლო საქმისთვის. რას
გაუგებ ამ ლაწირაკს? ხან პურს მოგ-
ვიტანს, ხან გვაბეზლებს! ჩაბრიას გა-
რიცხვა (ან სასტიკი საყვედური მაინც)
არ ასცდება. ოთარი დაეატრიალე, მა-
მამისიც ჩაერია — მუშის ავტორიტე-
ტი თუ გასჭრის.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ამხანა-
გმა სიმონმა პურის მალაზიის გამგეო-
ბა ითხოვა და მიიღო კიდეც (იმ მალა-
ზიისა, კიროვის ქუჩაზე რომაა, ყოფი-
ლი „რეზინტრესტი“, გახსოვს?).

მართალია, იქ, სადაც ეს ამბავი
წყდებოდა, დიდხანს უმსჯელიათ, უჩუ-
რჩულიათ, — „უხერხულიაო“, „ამდე-
ნი დამსახურება აქვსო“, „ამდენი სტა-
ჟიო“, „ახლა მთელ ქსელს ხელმძღვა-
ნელობსო...“

შემდეგ მაინც „დადებითად გადაუწყ-
ვეტიათ“. „ახლა იქ ასეთი კადრია სა-
ჭიროო“, „წმინდააო“, „ერთგულიაო...“

ეს ყველაფერი ხომ იცო, ვისგან გავი-
გე, პა, ზედები?

ამხანავი სიმონი შან ყოველთვის ლა-
მით მოდის, მაშრომი, ნაჭაფი და ნაო-

თენგიზ ბუაჩიძე

ზაზა ბაჰშვოშვიტაძე

ფლარი, მოდის და მოათრევს პურის „ბუხანკებს“ (ინფორმატორია კარო. კარო — მაღაღეც! ორ დღეში ერთხელ ვხვდები, ყველაფრის კურსშია).

კილოგრამი პური ბაზარში ასი მანეთი ღირს...

მე კი გუშინ თავი ვერ შევიკავე და მარკლენას ორჯერ ვუთაქე (შენც გული გატყინე!), რატომ ხელი არ გამიხმა?

მოიკითხე ორივე ბებო. დათო“.

დათო ს მეორე წერილი:

„ჰეი, გოგოებო, გამარჯობათ!

სალამი მარინე!

მოკითხვა დიდ მარიამს და ანიკო ბეზოს!

მოკითხვა ნებიერიძეების ჰას და მის გარშემო მცხოვრებთ!

თუ ხანდია მანდა — შუბლზე ამბორი ედისონს!

მაღე მოვიცილი და ჩამოვალ... ნუ გეშინიათ, მაგრად იყავით.

გუშინ ვინახულე შენი ოთახი. „კეთილი მეზობელი“ რომ გყავს, ელზა, ის დარაჯობს. კარი მან გამიღო და შევედი. ცოტა მტვერი დასდებია ყველაფერს. „კეთილი მეზობელი“ მსუქნადაა, ხოშიანი ქალია!

ევაკუირებულიებს ისახლებენ მეზობლები, რომ ჩამოხვალ, ურიგო არ იქნება, შენც ჩაისახლო ვინმე შესაფერისი ქალი (სულ მარტო ხომ არ იქნები?).

ჩამოვიდნენ რუსი მსახიობები, მწერლები, მეცნიერები, უფრო მეტია „უბრალო“ ხალხი, ბევრია ბავშვებიანი, ავივსეთ „ბეჟენცებით“ (არ მიყვარს ეს სიტყვა, დამამცირებელია!). ცხადია, ვინმეს ჩასახლების საკითხს შენ თვითონ გადაწყვეტ. მე გირჩევ, უფრო საიმედოდ იქნები დატული (ჩვენი ამბავი არ დაგმართოს ვინმე მეზობელმა, თუნდაც „კეთილმა!“). ჩვენი შევიფარებდით ჩამოსულებს, მაგრამ იმ ბარაკში ვინ წამოვა?

დედაჩემი მაგრადაა. „ახალი“ ბინა დავალაგეთ და დავლაგდით. დიდი ომი გვაქვს ვირთხებთან... გუშინ ბუკინისტების ორი ტომარა მამის წიგნები გავზი-

დეთ. კიდევ ბევრია, სულ მარქსიზმის კლასიკოსები. ფანჯარა ამოვკოლე და წიგნის თახჩა გავაკეთე. ახლა სინათლე მხოლოდ კარის მცირე ფანჯრიდან შემოდის, სამაგიეროდ ზამთარში ქარიც ნაკლებად შემოიჭრება.

ვიყავი მცნეთაში. ვიყავი ოთართან ქარხანაში. მეც იქ ვიწყებ მუშაობას, კადრების ფურცელი შემავსებინეს, ჩავწერე: „მამა — რეპრესირებული 1937 წელს“. ვნახოთ, რა გამოვა. მანამდე ათიოდე დღით ჩამოვალ.

თქვენი კლასი თითქმის დაიშალა და დაიფანტა. თალიკო თხოვდება, მარკლენა უმაღლესისთვის ემზადება, მე ჯარისთვის ვემზადები.

თითქმის ყოველდღე დავდივარ მწერალთა კავშირის ბაღში (შენი გული-სათვის — ვიცი, გაინტერესებს). ერთ საათს იქით-აქით ვწრიალებ, ყურს ვუგდებ ახალ ამბებს. ბევრს ვიცნობ და ვცნობ სახით. კლუბშიც შევდივარ, არაფერს მიშლის. ლადო ასათიანი ჭლებით კვდებაო, ნონეშვილი ჯარში მიდისო, გელოვანი ტანკის მეთაურიო. ბაღში ხანდახან მწერლები ჭადრაკს თამაშობენ, მეც იქვე ვარ. ზოგიერთი მესალამება — გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, რაფლენ გვეტაძე, ლევან ასათიანი, აკაკი ბელიაშვილი (ერთხელ ნიკო ლორთქიფანიძე ვნახე, ძლივს შემოვიდა ბაღში ჯოხზე დაყრდნობილი). შენი გალა მარტო დადის ამაყად, პირდაპირ მონუმენტი! უმეტესობა ჭვინუთშია წასული (ჩემი სახით ხომ კარგი აგენტი გყავს შეგზავნილი ამ ინტელექტუალთა სამყაროში?!).

სულ დამაფიქვდა: წუხელ. შუალამისას, ატყდა სროლა, საზენიტოები იყო. თითქოს მტრის თვითმფრინავი მოფრინდა. პროექტორები ჩართეს. ცა ღრუბლიანი იყო. წარმოიდგინე: პროექტორის ხორთუმები, არეული ღრუბლები, საზენიტოების გრილი და რაღაც საეჭვო გუფუნის (თვითმფრინავი?). პირველად მართლაც თავდასხმა მეგონა, ვარგეთ რომ გავიჭერი. მერე ერთბაშად ყველაფერი შეწყდა. დადუმდა. ჩაქრა

არაფერიც არ მოხდა. სანამ არ გათენდა, ვერ გავერკვევ, მაინც რა იყო. ველი ბარათს. დათო“.

მარიანეს წერილი:

„დათო! შენი ორი წერილი მივიღე. ჩვენ ყველანი კარგად ვართ, ოღონდ შენი ბებო გაცივდა, წელსავე დემატოთა, წვეს, საშიში არაფერია, მაგრამ, რაც მალე ჩამოხვალ, უკეთესია.“

გამიკვირდა თქვენი „ახალი“ ბანის ამბავი.

მოსწავლეთა მშრომელ რაზმში ჩავეწერე. დილის ექვს საათზე გავდივართ. ბიჭები თონიან, ჩვენ ვკრფთ და კალათებით გამოგვაქვს ლობიო, კიტრი, ხილი, სოიო, პომიდორი (რაც მოწეულია), ხანდახან ჩვენც ვთონით და ვბარავთ. საღამოობათ ფრონტელთა ოჯახებში დავდივართ და ვეხმარებით წვრილშვილიანებს ხან შინ, ხან ბაღჩა-ყანაში. აგრატატობაც დავივიღე. ზოგიერთი ომის ინვალდი ჩამოვიდა, გვეხმარებიან, როგორადაც შეუძლიათ. ხელისგულები დამიყოფიანდა, მაჯები დამიმსხვილდა, ისე მსუბუქად ავიკიდებ ორფუთიან ტომარას — გაგიკვირდება.

ჩვენი ხანდია დაიკარგა, დედამის მხოლოდ ერთი წერილი მოუვიდა, არც ცოცხლებშია, არც დახოცილებში. ასე რომ, ვერ ეამბოროები შებღზე საწყალ ღდისონს... რაღაც შემიჩნდა და დამაწერინა ეს ლექსი, რომელსაც გიგზავნი.

კიდევ მიკვირს თქვენი ბინის ამბავი. რატომ? ის მცირე ოთახტუტულიც სამკუთხადრუნჩიანს მოუნდა?

მარკლენაზე ხან ვცოფდები, ხან მეცოდება ეგ უბედური. იქნებ მაგასაც ეშველოს ოდესმე, სწორედ შენ (და იქნებ მეც) უნდა შეუწყო ხელი, დედაც ჰყავს, მამაც (?), მაგრამ ჩვენზე მართოსულია. ჩაბრას ამბავი კიდევ მაცნობე (თუმცა შემოდგომამდე ალბათ არაფერი გადაწყდება). გასაჭირი ყველაფერს უკეთ აჩენს: სიკეთეს, სირგვენეს, ბოროტებას, თავს ველარ დამალავ. ეს, მგონი, საღდაც ამოვიკითხე.

წერა-კითხვის დრო აღარც მაქვს. ჩემი ბებოც სულ შრომაშია (ლამ-ლამობით ტირის, მეც. აბა რა ვქნათ მეტი ქალეზმა?)

მამიდასგან წერილი მოვიდა. ფრონტისპირა ჰოსპიტალშია საღდაც (რას ვაიგებ, მისამართი ნომერია მხოლოდ). ძია ხუტასი არაფერი იცის, აქეთ გვეკითხება! როგორ დააწიოკა ამ ომმა ოჯახები...

უჩემოდ ნურაფერს გადაწყვეტ ევაკუირებულთა ჩასახლებაზე, რა ვიცი, ვინ იქნება? რა ფანტაზია მოგივიდა? თუმცა მე კარგად არ ვაქი მანდაური ვითარება. ჩემს „კეთილ მეზობელს“ თავი დაანებე, არაფერში გაგზვიოს, „იმ-ნაირი“ ქალია. სჯობს, მწერლებზე მომწერო კიდევ.

გუშინ ვფიქრობდი: შემოქმედებაში ჩამარხულია რაღაც უიმედობა — ყვერი, ვბლავი, მაგრამ არავის არაფერი ესმის. ეს, მგონი, ყველა ნამდვილმა შემოქმედმა იცის. მეც ვხვდები. ზოგჯერ ვგრძნობ ადამიანურ მისწრაფებოთა უბადრუკობას. ხომ გაგიგონია, ტრადიციასა და იმედს მოკლებული ადამიანის ცხოვრება ხშირად იქცევა მომაბეზრებელი წუწუნის, უთავბოლო ძიების, მიუწვდომელ ოცნებაზე მარადი წუხილის ტრაგედია?

ეს ლექსი, შეიძლება ხანდიას არც ეხება (თუმცა, რა ვიცი, იმაზე ფიქრმა დამაწერინა), უფრო ჩვენ გვეხება — მე და შენ, ჩვენს წარსულს, დღევანდელს, მომავალს.

გიკვირს განა, რომ ვოცნებობ მომავალზე? ახლა იგი ბინდებულშია გახვეული. ის არ ვიცი, რა მოგველის თუნდაც ხვალზეც სამუდამოდ დარბეული სახლეულით. მაგრამ ვიცი, ალბათ ვიცი, შენი სული კვლავ ეძიებს არსებობის გამართლებას. — წარსულია ბოროტებით შენისლული, იქნებ, იქნებ მომავალში განათდება. ომის კარმა მოქ-

თენგიზ ზაჩიძე
ზაზა ბაჰშვორიასაძე

ნედებას დამამშა, სირცხვილია თავდა-
დება არასრული, მოზომილი სიყვარუ-
ლი თამაშია და სიცოცხლის საძრახში
დასასრული.

ბუნდოვანია? შენ უნდა მიხედო: ესაა
შენზე და ჩემზე — ჩვენი თანებზე.

მთავარი და ახალი ჩემში ყოველთ-
ვის მომავალს უკავშირდება, იქნებ ამ-
იტომ დღევანდელის მთავარსა და ახ-
ალს ვერ ვამჩნევ? თუმცა, თვით გა-
ნსაჯე: რა არის სასიხარულო დღევან-
დელობაში? პოეზიის გარდა — არა-
ფერი. ვიცი, პოეზია ყოველთვის რამ-
დენადმე პოზაა, რადგან არტისტიზმია,
მაგრამ, როგორც ჩანს, ადამიანისთვის
იგი იმდენადაა საჭირო, რამდენადაც
სურს, ხანდახან მაინც გამართოს ყოვე-
ლდღიურობისაგან მოწყვეტილი წელი
და ამაღლოს მიწაზე გართხმული სუ-
ლი... ვისაც ეს გრძნობა არ გააჩნია —
მოკვდებოდა შინაგან ძალას, ცხოვრე-
ბის სტიმულს და სურვილთა სურვილს.
ვცდები? მომეხმარე.

გელით. მ. მ.⁴

დათოს პასუხი:

„სალამი მარინე!

მივიღე ბარათი ლექსითურთ. ყო-
ჩად, გოგო, დედაჩემის არ იყოს, შენც
მაგარი ვინმე ხარ!

ანიკო ბებოს ავადმყოფობა რატომ
აღრე არ მაცნობეთ? თუ საშიში არა-
ფერია, ასე რატომ მწერ? ერთ კვირა-
ში ჩამოვალ და მოგივლით ყველას!

შენთან ვინმეს ჩასახლებაზე უშენოდ
არაფერი არ გადამიწყვეტია, ხომ მო-
გწერე — ამას შენ გადაწყვეტ-მეთქი.
ისე, კარგი ხალხია, უმეტესად რუსე-
ბია.

თხოვნის თანახმად გაცნობებ, რომ
სალამო იყო მწერალთა კავშირში. გა-
მოვიდნენ ირაკლი აბაშიძე, ილია მოსა-
შვილი, ალიო მაშაშვილი, იოსებ გრი-
შაშვილი, შალვა რადიანი და ბესარიონ
ქლენტი. შემდეგ — ახალგაზრდა პოე-
ტები. მე ვიჯექი სულ უკან, ბაღში გა-
სასვლელ კართან. ხალხი ბლომად იყო.
შუა ტაშისცემის დროს შემოვიდა ვი-

ლაც მანდილოსანი. ადგილი დაეუთმე
და უკანა აივანზე გავედი. მეტად საინ-
ტერესო ქალი იყო: მალალი, თეთრ-ყი-
რმიზა, შავთმიანი, შავ კაბაში — ნამდ-
ვილი ქართველი ქალის ტიპი! ეს მეფე-
ქალი საიდან-მეთქი, გულში ვიფიქრე.
შენ ნაღდად გეცოდინება. აქნება ასე
30-35 წლის (როგორ უნდა მიხედო ქა-
ლის წლოვანებას?); ლამის შემიყვარ-
და. მომწერე, ვინაა, თორემ მე თვით გა-
ვიგებ და გავიცნობ!

მარგლენა მეკითხება, მარინე არ აპი-
რებს უმაღლესში? არა-მეთქი, აუჩე-
მებია, სოფლის მოწინავე მშრომელი
უნდა გავხდო. დაიჯერა და გაიოცა —
ღურაქია ეს ოხერი!

ისე დიდი შიმშილია, საბურთალოს
ბაზარი ხალხითაა გაყვდილი. ეპ, რეებს
არა ჰყიდიან. მე ყველაფერს კარგად
ვიტან, მხოლოდ შარვლის პრობლემა
მაწუხებს. აბა როგორ ჩამოვიდე შარ-
ვალგამოხეული? არ ასტეხენ ჰიხვინს
მანდაური გოგოები! ცოტა დამაცა-
დონ... მანდ ბალახს მაინც მოსძოვთ.
არა გიშავთ. ჩქარა ჩამოვალ, იქონიეთ
მოთმინება.

ახლა საქმე:

რატომ ფიქრობ, რომ ლექსი ბუნდო-
ვანია? — ყველაფერი გავიგე. პარი-
ქით — ადვილი გასაშიფრია (ჩემთვის
მაინც), სხვა კი გაიგებს?

შენ ჩემი დახმარება არაფერში გპო-
რდება, მგონი აქეთ მეხმარები კიდევ.
სალი და ცქვიტი გონება გაქვს, ოღონდ
ემოციებს დაუწიე, არ აგებოლდეს...

შენს დაეკვებაში პასუხის სურვილიც
ვიგულისხმე. ამიტომ გპასუხობ (ცხა-
დია პროზაულად!):

რაც უნდა მაეცრად დაერიონ ერთბა-
ნეთს ოჯახის წევრები, მეზობელი რომ
თავს დაესხმის, ყველა შეკავშირდება,
პირადულს იფიწყებს და თავდამსხმელს
უმკლავდება;

ის საქმე, რომლისთვისაც ბრძოლაში
ყმაწვილობიდანვე ჩაებნენ ჩვენი მა-
მები, ყველაზე სამართლიანია ქვეყნად.
ესაა ჩემი რწმენა, მათ მიერვე ჩანერგი-

ლი, მეტიც — ესაა ჩემი არსებობის საფუძველი, ზნეობრივი პოზიცია, თუ გინდა — პოლიტიკურიც (ცალ-ცალკე ეს ჩემთვის არ არსებობს);

ამიტომ, რაც უნდა მოხდეს, მე მას ვემსახურები, თუ საჭირო იქნება — შევეწირები, ყოველთვის — დღეს, ხვალ, ზეგ, ამისთვის არც დრო არსებობს და არც ვითარება;

რალაც მოხდა, არ ვიცი, რა და რატომ, რალაც გადახრა, რალაც სიმამხინჯე, დიდი უსამართლობა; სასტიკი, აუხსნელი ბოროტება... მაგრამ მთავარი, პიროვნებათაგან დამოუკიდებელი არსი და იდეალი, შეუბღალავია, მარადიულია. მე ასე ვფიქრობ და (მაპატიე მაღალფარდოვნება), ასე ვიცოცხლებ.

ერთხელ სოფელში, ჩვენს მეწისქვილე ძია ქრისტეფორესთან საუბარში (ხომ იცი, ვიზუალა გეუბნები?), მისი უბრალო სიტყვებიდან ასეთი დასკვნა გამოვიტანე (ჩემი სიტყვებით გეტყვი): განხორციელებული იდეალები ყოველთვის ამაო და ფუჭი აღმოჩნდება ხოლმე, რაც იწვევს ჭანჭის მოპოვებულის სინამდვილის წინააღმდეგ.

ფიქრობ, ეს შეხედულება სწორიცაა და არასწორიც. გააჩნია, რა იდეალები იგულისხმება, რა კერძო ვითარებაა აღებული.

ძია ქრისტე, როგორც იცი, უსწავლელი კაცია, მისი ამგვარი პესიმიზმი ალბათ ხალხური სიბრძნის ნაყოფია.

განა ხალხური სიბრძნე ერთსახოვანია და ამ დასკვნას მეორე, სრულიად საწინააღმდეგო, არ უპირისპირდება, რომელიც აგრეთვე ხალხური სიბრძნეა?

ხომ გაგიგონია, ბიბლიის კითხვას ორი საპირისპირო შედეგი შეიძლება მოჰყვეს: საოცარი ღვთისმოსაობა და სრული ურწმუნოება.

ასეა თუ ისე, მე, ჩვენი მამების მსგავსად, იმ დიდი იდეალისათვის — ადამიანთა თანასწორობისათვის — ვიბრძოლებ. ოღონდ არა მხოლოდ ლოცვაზე და ტაშისცემაზე დამყარებული სინამდვილისათვის. საზოგადო სიკეთე ხომ იმ იდეალის საფუძველთა საფუძველია.

ეს არანახული ომი რომ დამთავრდება, ალბათ ბევრი რამ შეიცვლება — ასეთი დიდი უბედურების გადამტანი ხალხი ნამდვილად უფრო დიდი ბედნიერების, უფრო მეტი სიმართლის, უფრო ადამიანური ცხოვრების ღირსია. ისეთი ცხოვრებისა, სადაც არ იქნება არც დასმენა, არც ცოცხალი ღმერთები და აღარც „ამხანაგი სიმონის“ მსგავსი მეზობლები...

თუ მე ვცდები, მით უარესი ჩემთვის (და ყველასათვის). ჩვენზე უფრო ჰკვიანმა ან მომავალმა განგვსაჯოს.

ყოველ შემთხვევაში, დღეს, ხვალ, ზეგ — მთელი ცხოვრების მანძილზე — სწორედ მე და შენ — ჩვენისთანებს — გვმართებს ზნეობრივი მაქსიმალიზმი.

ამიტომ სწორი ხარ: სირცხვილია არასრული თავდადება, ანგარიშობა და გამოზომილი სიყვარული თამაშია, საბოლოოდ — სიკვდილი. თამაშის დრო კი აღარ არის — ფაშისტები კავასიონს მოადგენ...

მარინე, მაპატიე, მთელი „ფილოსოფიური“ ტრაქტატი გამომივიდა. შენც კარგად იცი — სად მე, სად ფილოსოფია! ჩემი საქმე პრაქტიკული მოქმედებაა. სამწუხაროდ, შენი ნიჭი არა მაქვს, მოკლედ, სხარტად და სახეობრივად რომ გამოვთქვა. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის...

მოკლედ იმას ვიტყვი, რომ ჩქარა ჩამოვალ და ყველაფერი წესრიგზე დამხედეს მანდ, თორემ... თუ შარვალი ვერ ვიშოვე, როგორ ჩამოვიდე?

გაკონით სამთავეს. თქვენი დათო“.

ჩვენი ნაცნობები

მარგალიტას ცხოვრება ოც წლამდე მართლაც მარგალიტას ცხოვრებაა. ოცი წლიდან — მარგალიტასა და სიმონის ცხოვრება, ოღონდ უფრო მეტად — ამხანაგი სიმონისა.

თანამიზნე ბაზაჩიძე

ზაზა ბაგვაშვილისაძე

სამეგრელოში არის ერთი ლამაზი სოფელი რ.-ი. სიღამაზის გარდა, იგი განთქმულია სამართლიანი და მშრომელი ხალხით. რევოლუციამ მათაც მოუტანა ახალი ცხოვრება, ახალი მიზნები და ახალი ადამიანებიც გამოავლინა — ახალი საქმისათვის თავდადებულნი, ახალ ურთიერთობას მოწყობებულნი, ახალი იდეებით გატაცებულნი. მათ რიცხვში იყო მარგალიტას მამა, რომელიც წლის პატიოსანი გლეხად ივლიანე. ოთხი შვილი თავს ეხვია ივლიანეს, მათ შორის უფროსობდა თვრამეტი წლის მარგალიტა.

როცა ივლიანეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარეობა შესთავაზეს, ცივად უკან დაიხია: წერა-კითხვაში ვერ ვარ გაწავლული. აგერ გყავს ნასწავლი გოგო მარგალიტა და დაიხმარე, შენზე ღარიბი და შენზე ერთგული კაცი ასე უცბად სად ვიპოვოთ, ამ დასაწყისში აყავი, კლასობრივი გრძნობა და ალლო არ გიღალატებს, ყველაფერს სწორად ვადაწვევტ, შემდეგ კი რამეს მოვიფიქრებთო, უთხრეს.

დადგა ივლიანე თავმჯდომარედ და თანაშემწედ ნასწავლი მარგალიტა დაიყენა, ქაღალდები მას მიჰჩია, თვითონ კი ვარსკვლავიანი ბეჭდის ერთპიროვნული გამგებელი და სოფელში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი გახდა.

მარგალიტას ნასწავლობა შემდეგში გამოიხატებოდა: შიმშილით რომ არ მომკვდარიყო გამგელებული გოგო, 15 წლის მარგალიტა ფოთში გათხოვილმა უშვილო დედამ თავისთან წაიყვანა. ეს მოხდა 1920 წელს. დეიდას ქმარს საწერილმანო ღუქანი ჰქონდა მოხერხებულ ადგილას და შეძლებული ოჯახის პატრონი იყო. იმ სამ წელიწადში ისწავლა მარგალიტამ ყველაფერი: ოჯახში საქმიანობა — მზარეულობა, სარეცხი, ბაზარი, ღუქანებში სიარული, ქალაქში მიმოსვლა, ჩაცმა-დახურვა და, რაც მთავარია, შესანიშნავად დაუფლა ქართულს, ლაპარაკსაც და წერა-კითხვასაც (მანამდე მხოლოდ მეგრულად

ლაპარაკობდა). მაგრამ მხოლოდ ეს კი არა, — ისე ოსტატურად ჩაუტავდა საუბარში რუსულ სიტყვებსაც (პორტის ქალაქში რას არ ისწავლი!), რომ სოფელში რომ დაბრუნდა (დეიდასთან აღარ დაედგომებოდა, მედუქნე გაკოტრდა და თვითონ გაუხდა სამათხოვროდ საქმე), კაი ნასწავლი ქალის სახელი დაუვარდა. სოფლის პირობაზე კარგადაც იცავდა (დეიდას ძველ კაბებში დარბოდა). ქალაქში „სტრეკასაც“ მიეჩვია და წითელთავსაფარწყარული, კარგად მობაასე და სანდომიანი მარგალიტა, მართლაც რომ უცხო სანახავი იყო.

სწორედ მაშინ გამოჩნდა სოფელში რაიონული მასშტაბის აქტივისტი ამხანაგი სიმონი (მაშინაც „ამხანაგი სიმონს“ ეძახდნენ). გვერდზე მალუერჩამკონწყიალებულ, ყვინჩილასავით მომართულ სიმონს ღია ფერის ქოჩორი ფოთში მოვარდნილ ზღვის ტალღასავით ჰქონდა შუბლზე აფოფრილი. ამ ქოჩორმა დალუპა მარგალიტა. სანამ ამხანაგი სიმონი სოფლის მღვდელს ებრძოდა, ეკლესიიდან ძველ ხატებსა და წიგნებს გარეთ ყრიდა, სანამ იქ გამართული კლუბის გარშემო ახალგაზრდებს რაზმავდა, მახვილ პოლიტიკურ პლაკატებს წერდა და ორიოდ ბოზოლას გასახლებით ემუქრებოდა, მაგრალიტა უცებლად იწვოდა და სანთელივით დნებოდა. მაგრამ კაი მეგრელი გლეხის გენი და სისხლი ჰქონდა, ტაქტი, თავშეკავება და პატიოსნება დედის ძუძოდან ჰქონდა შეწოვილი, ამიტომაც არაფერს ამჟღავნებდა, საბჭოში ერთგულად მუშაობდა და მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოს ფიცრებამომტრეულ აივანზე ამხანაგი სიმონის ტალახიანი ჩექმები აბრაგუნდებოდა, მხოლოდ მაშინ უფართოვდებოდა თვალები, გული გაჩქარებით უცემდა და ლოყები ვარდისფრად უღვიოდა. ლამაზი გოგო იყო მარგალიტა!

ამხანაგი სიმონის დაკვირვებულ თვალს რა გამოეპარებოდა? მაგრამ თვით ამხანაგმა სიმონმა, როგორც იმ რაიონის ღვიძლმა შვილმა, კარგად

იცოდა, რომ, მიუხედავად ახალი დროებისა, ამ წესიერ სოფელში ქალის თხოვნისას მამა-პაპათა დადგენილ წესს მთლად გვერდს ვერ აუვლიდა. ამიტომ იცდიდა, ჯერ შორიდან აკვირდებოდა მარგალიტას, ცდიდა, მერე კი, ნაცნობობის ერთი წლის თავზე, ქალს არაფერი პკადრა და თვით ივლიანეს ჩამოუვდო საუბარი.

— პატარა მეიცადე, პატენი, — უთხრა ივლიანემ, რადგან რალაით არ მოსწონდა ამხანაგი სიმონი, თანაც იმის შეეშინდა, რომ ეს დაუდგრომელი სიძე-კაცი მარგალიტას რაიონის ცენტრში გააქანებდა და სულ აეშლებოდა საბჭოში ამ გოგონს წყალობით საათივით აწყობილი საქმე. „პატარა მეიცადა“ ამხანაგმა სიმონმა, ნახევარი წლით სოფლიდანაც კი გაქრა და მარგალიტას გული ჩაუკლა, მაგრამ მერე დაბრუნდა და თვით ივლიანეს აღანუსხინა საბჭოს დავთარში მისი და მარგალიტას შეუღლების ფაქტი.

ასე იქცა ოცი წლის მარგალიტა მარგალიტა გაბაბაიად. ამ ფაქტით მთავრდება მარგალიტას, ასე ვთქვათ, „ინდივიდუალური ცხოვრება“ და აქედან იწყება ახალი საბჭოური ოჯახის ორი თანასწორუფლებიანი წევრის „კოლექტიური თანაარსებობა“. მაგრამ ეს ახალი საბჭოური ოჯახი ამხანაგ სიმონს ორი თანასწორუფლებიანი წევრის განსახიერებად თურმე მხოლოდ სხვისთვის უნდოდა. პირადად მისთვის ეს მოდური ფრაზა ყოფილა (როგორც ბევრი რამ სხვაც), რაც მალევე საქმით დამტკიცდა: მარგალიტა რაიონის ცენტრში გააქანა, მამისეული სახლის ერთ ოთახში ჩაკეტა, კომკავშირსაც. მოსწყვიტა და საზოგადოებასაც („ჩემი ცოლი ჩემთვის მინდა მე“!).

დიდი ვაიუშველებელი ატყდა ოჯახში, როცა ერთი წლის თავზე ჯანმრთელმა მარგალიტამ კეთილად იმშობიარა და საავადმყოფოდან სახლში ბიჭი მოიყვანა. საქმე ეხებოდა მემკვიდრისათვის სახელის დარქმევას. „ივლიანე დავარქვათ“, თქვა წყნარად განაზებულმა მა-

რგალიტამ. ამხანაგმა სიმონმა ქერა წარბები შეკუმუნა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოსთქვა: „მარკსლენინი!“ მარგალიტას გულზე შემოეყარა. სოფლიდან ჩამოსული ივლიანე იმ დღესვე უკან გაბრუნდა. „მარკსლენინი!“ — მტკიცედ იძახდა ამხანაგი სიმონი. ნათესავებმაც ჩამოიხიკეს ლოყები, ხელიც იტკიცეს შუბლზე, ვინ არ მიუზგავნეს, მაგრამ ის მაინც ჯიუტად იმეორებდა: „მარკსლენინი! ერთი წელია ამაზე ვფიქრობ და მევიფიქრე, რავარც იქნა! ჩემ შვილის ის უნდა ერქვას, რაც მე მინდა!“ კიდევ კარგი, მამაჩის ბიუროში უთხრეს უარი. ამხანაგმა სიმონმა ცოტა მაშინ დაიხია უკან, როცა ვიღაც გამოცდილმა ჩაულაპარაკა: პოლიტიკური პროვოკაცია არ დაგწამონო, და მაშინვე დათანხმდა იქვე შემოთავაზებულ „მარკლენზე“. „მარკლენი, მარკლენი, იგივეა, რაც მე მინდოდა, ერქვას მარკლენი, შემოკლებულად იგივე არაა?“ — ამბოდა თავისთვის ამხანაგი სიმონი და ბავშვის მეტრიკას ხელში ამაყდა. ატრი-ალებდა.

სხვა მხრივ, პირდაპირ უნდა ითქვას, მაგარი მუშაკი გამოდგა ამხანაგი სიმონი. განსაკუთრებით მაშინ ისახელა თავი, როცა განკუთლებდა და მთლიანი კოლექტივიზაცია დაიწყო. მისი თავდაუზოგავი შრომის, სოფლებში სირბილის, ხევნის, მექარის, აგიტაციის შედეგად რაიონმა ერთ-ერთმა პირველმა უპატიო ცენტრს კოლექტივიზაციის გეგმის შესრულება. ამხანაგი სიმონი შეამჩნიეს, დააფასეს მისი თავდადება, ენერგია, პირდაპირობა, პრინციპულობა, უდრეკელობა, წარმოშობა, სოციალური მდგომარეობა, ოჯახის უმწიკველობა, პარტიაში მიიღეს და დააწინაურეს.

მარგალიტა? მარგალიტა იყო ბედნიერი? მარგალიტა თავს ევლებოდა თავის ქუჩქუჩა მარკლენას. სახელიც შეითვისა და შეიტკბო. აღარც კრება

თენგიზ ზუაფიძე
ზაზა ბავშვმოპასუხე

ახსოვდა და არც „ჟენოტდელი“, აღარც პროფკავშირები და არც კომკავშირი. გასუქდა, დამრგვალდა, დაბაჯბაჯებდა ბედნიერი. სულ კაი საკმელების კეთებაში იყო და სულ ბავშვთან უნდოდა ყოფნა. უყვარდა ლეკვები, კნუტები. გაგიჟებით უყვარდა ბავშვები, ყველა ბავშვი — თავისი, მეზობლის, მხიარული, მტირალა, ჯანმრთელი, ავადმყოფი, გოგო და ბიჭი... მაგრამ ამხანაგი სიმონის კატეგორიული მოთხოვნით შვილი აღარ გააჩინა. ეს იყო მისი სადღერდელი და ეს უწყალობა ბედნიერ ცხოვრებას. ამხანაგი სიმონი კი სულ ზევით და ზევით მიიწევდა და ოსტატურად იცილებდა მტერ-მეგობარ კონკურენტებს. აქედან დაიწყო მისი ამდგვარი მოღვაწეობა...

მარკლენა რომ სასკოლო ასაკის გახდა, ამხანაგი სიმონი მთლად გადაიჩინა: რუსული სკოლა აიჩქმა, რაიონში კი მაშინ რუსული სკოლა არსად იყო. სხვაგან გაგზავნა იფიქრა ერთი, ფოთ-ზეც იფიქრა და სოხუმზეც, მაგრამ ბიჭს ვერ შეეღო. რა ექნა? უსწავლელს (ღმერთო, დამიფარე!) ხომ ვერ დატოვებდა? გულისტკივილით შეიყვანა ქართულ სკოლაში. მეტი რა ჩარა იყო!

ამიერიდან მარგალიტას მეტი თავისუფლება მიეცა, მეტი დრო გაუჩნდა უცებ. მარკლენას რომ სკოლაში გაისტუმრებდა, ხომ უნდა ეკეთებინა რაღაც? ერთ-ორ საათში ოჯახის საქმეს მორჩებოდა, მერე? და დაიწყო სიარული პარტიული ამხანაგების ოჯახებში, სწორედ იმ ოჯახებში, რომელთაც ქალის ხელი აკლდა (პარტიული ამხანაგების ცოლები თითქმის ყველანი ქმრებთან ერთად მუშაობდნენ). და მალევე იქცა მარგალიტა სასურველ სტუმრად იმ ოჯახებში. ყველა ბავშვზე ის ზრუნავდა: ზოგს ბანდა, ღილებს უკერებდა, ასეირნებდა, ზოგს ამინებდა და ტბილ მეგრულ ნანას უმღეროდა, ზოგს სკოლის წინ ხვდებოდა ან ბავშვთან ბავიდან მოჰყავდა. ერთხანს რეცხვაც დაიწყო, სანამ ამხანაგმა სიმონმა სასტიკად

არ აუჯრძალა. ისე, სიმონსაც მოსწონდა, რომ მისი ცოლის თავდადებას, მის, ასე ვთქვათ, საზოგადო საქმიანობას, პარტიული ამხანაგებიც აქებდნენ და მარგალიტას საკუთარ ცოლებს ნიშნად უსახავდნენ. ეს ქება ამხანაგ სიმონსაც სწვდებოდა და მის მდგომარეობას ისეც ამტკიცებდა პარტიული ამხანაგების წრეში, ამყარებდა ხელმძღვანელ ამხანაგთა შორის.

კვლავ გამოიჩინა თავი ამხანაგმა სიმონმა, ამჯერად კონფერენციაზე, როცა მკაცრად გააკრიტიკა წყალშეყენებული პირველი მდივნის შეცდომები (ცენტრიდან ესწრებოდნენ ამხანაგები), როცა სასტიკად გაილაშქრა პირველი მდივნის უპრინციპობის, ლიბერალიზმის, უნიათობის, შემრიგებლობის, შემწყნარებლობის, სიბეცის და სისუსტის წინააღმდეგ, პირდაპირ შეტევაზე გადავიდა და ცეცხლი დაანთო. რა არ გაუხსენა, რა ფაქტი არ მოიყვანა (საიდან ამოქექა?), რა არ დააბარლა! ისეთი შეტევი ტონით ლაპარაკობდა, რომ მისი რანგის პარტიული ამხანაგებიც შეკრთნენ და შედრკნენ და თავიანთ საქმიანობას ახლა, ცოტა არ იყოს, სხვა თვალით შეხედეს. ამ ამბავსაც შეეწირა ორიოდე კაცი...

ასე იყო თუ ისე, იმ უხსენებელი წლის ზაფხულში ამხანაგი სიმონი თბილისში გადმოიყვანეს და ერთი ფრიად საჭოკმანო საქმე ჩააბარეს. აქ ცოტა მოეცარა ხელი, რაღაცაში გადაამლაშა, რაღაც სიბრძივე გამოიჩინა (არც ცოდნა ეყო და არც რაიონის გამოცდილება), მაგრამ ერთგული და პრინციპული კაცის პრესტიჟი არც აქ შელახა, ამიტომ არ გაწირეს, არ მოიშორეს (ისწავლის, გამოცდილებას შეიძენსო, თქვეს) და უფრო მარტივ საქმეზე, სავაჭრო დარგში ჩამოაქვეითეს. მაინც კმაყოფილი იყო, გაათქვამული ძალით შეეკიდა ახალ, მისთვის სრულიად უცნობ საქმეს. კადრების ენერგიულ წმენდას, სასტიკი წესრიგისა და რკინის დისციპლინის დამყარებას შეუდგა. მალე ბინაც მიიღო და ცოტა დამშვიდდა.

მარგალიტა? მარგალიტა იყო კმა-
ყოფილი? ძნელი სათქმელია. პირვე-
ლად მასაც გაუჭირდა. გვერდით არავინ
ჰყავდა, არავის იცნობდა. ჯერ ქმარს
ჯიშინი ძაღლი მოაყვანინა, ბინასაც
უყარაულებს და ბიჭიც გაერთობაო.
თავიდან ამხანაგ სიმონს ძაღლის გავო-
ნებაც არ სურდა, მაგრამ მეუღლის და-
საბუთება რომ მოისმინა, დათანხმდა.
მერე მეზობლებში გავიდა მარგალიტა,
მეზობლების წრით შემოიფარგლა და
მალე მიაგნო სასურველ ობიექტს: გიჟ-
ეთერას მფარველი გახდა.

აქ ცოტა უკან უნდა დავბრუნდეთ,
ჩემო ჰქვიანო მკითხველო, ცოტა უკან
უნდა დავიხიოთ, რადგან ეთერას შეგე-
ხეთ, რადგან მარგალიტამ იპოვა სასუ-
რველი საზრუნავი, რადგან მარგალიტა
და ეთერი ერთმანეთს შეხვდნენ...

მაშინ არ ყოფილა „მარტოხელა დე-
ლის“ ცნება (თუმცა, მარტოხელა დე-
დები, ცხადია, იყვნენ!). ეთერი დედა-
მისმა „სხვათა შორის“ გააჩინა, ორ
სხდომას, ორ კრებასა და ორ თათბირს
შორის. გააჩინა და მაშინვე მიხვდა, რა
მძიმე ხუნდით შეიბორკა ხელ-ფეხი, რა
მძიმე დაბრკოლება შეუქმნა თავის სა-
ზოგადოებრივ საქმიანობას. ბავშვს თა-
ვისი გვარი მისცა (ზუსტად არ იცოდა,
ვისგან ჰყავდა) და ხან ერთ ქალს ჭირა-
ობდა მომვლელად, ხან მეორეს. ოცდაა-
თიანი წლების დასაწყისში, როცა სა-
ქართველომდეც მოაღწია უკრაინიდან
გადმოსახლებულმა სოფლის მცხოვრე-
ბთა ნაწილმა, ეთერის დედამ დუსია
იპოვა, ახალგაზრდა ევდოკია, თავის
ოთახში ჩაასახლა და შვილის ძიძობა
დააქისრა. გულწვილი დუსია კვირაში
ერთხელ ოხვრითა და ცრემლების ყლა-
პვით უკრაინაში დარჩენილ თავის საქ-
მროს წერილებს სწერდა, მთელი დღე-
ები გულხელდაკრეფილი იჯდა, ოცნე-
ბაში ილეოდა და ეთერს უკრაინულად
ეგბასებოდა. ეთერი რომ ავად გახდა,
დუსია სადღაც გაქრა და ბავშვის მოვ-
ლა მთლიანად ექიმ ნათელას დააწვა.
როგორც იქნა, ეთერი გადარჩა, მაგრამ
ვაი ამ გადარჩენას! დედამისმა ბავშვის

მოსავლელად ერთი შორეული ნათესა-
ვი ქალი, მოხუცი პელო ჩამოიყვანა, მა-
გრამ მანაც ვერ გაძლო დიდ ხანს. სწო-
რედ ამ დროს ჩამოვიდა მარგალიტა და
მხსნელად მოევლინა ეთერს. ღამით დე-
და ყარაულობდა, ღღისით კი მისი მო-
მვლელი, მფარველი, ძიძა და დედაც
მარგალიტა იყო. ამხანაგი სიმონი ჯერ
უშლიდა ამ გატაცებას, ამ უცნაურ სი-
ყვარულს და დედობრივ ვენებას. შემ-
დეგ ხელი ჩაიქნია და იმ ფაქტსაც შე-
ურიგდა, რომ ხანდახან მათ სასაღილო
მაგიდას მარგალიტას გადაკეთებულ
კაბებში გამოწყობილი, წესიერად თმა-
დავარცხნილი, ღამაზად თვალბმო-
ქუთუნე ყმაწვილი ქალი უჯდა და სანამ
რამეს იტყოდა, სანამ უმიზეზოდ გაი-
ცინებდა ან უმიზეზოდ ატირდებოდა,
სავსებით ნორმალური ადამიანის იერი
და ქცევა ჰქონდა.

როცა ახალი ბინის მესამე ოთახიც
შემოიერთეს, მარგალიტა ეთერს ზოგ-
ჯერ ღამითაც თავისთან იტოვებდა, რა-
დგან ეთერის დედა გათხოვდა და შვი-
ლისთვის აგრერიგად ველარ იცლიდა.
მარგალიტას ხელმძღვანელობით ეთე-
რი თანდათან შეეჩვია ოჯახურ საქმიანო-
ბას და იმდენად გაიწვია, კაროს მე-
უღლეს ლუსიას ცვლიდა ხოლმე. სიგი-
ჟე ახლა იშვიათად მოუვლიდა, ხოლო
როცა მოუვლიდა, თავის ძველ ოთახში
გაიპარებოდა, მთლად შიშველი გისო-
სებიანი ფანჯრის რაფაზე დადგებოდა
და კეთილი ღიმილით შეჰყურებდა
ქუჩაში მოსიარულე ხალხს... მისთვის
არც ომი არსებობდა, არც ამხანაგი სი-
მონი, არც მარკლენი. მხოლოდ მარგა-
ლიტას ეძახდა დეიდას, მხოლოდ მარგა-
ლიტას ემორჩილებოდა უსიტყვოდ
და მხოლოდ მისი სიყვარულით ცხოვ-
რობდა.

ამხანაგი სიმონი ჩვეული ენერგიითა
და თავდადებით მუშაობდა, სანამ... სა-
ნამ სამსახურში რაღაც პირადი უსიამო-
ვნეობა შეხვდა (კორი დადიოდა, ვი-

თენგიზ ზუაფიძე

ზაზა ბაგშვინაშვილი

ლაცამ სცემა კაბინეტშიო, მაგრამ არ უნდა ყოფილიყო მართალი...) და, ყველას გასაკვირველად, მისი რანგის მუშაისათვის მართლაც შეუფერებელი ადგილი ითხოვა, ითხოვა და მიიღო კიდევ — სათავეში ჩაუდგა პურის დიდ მაღაზიას, კიროვის ქუჩაზე რომ მდებარეობდა და წინათ „რეზინტრესტი“ რომ ერქვა.

ომი იყო და სხვა რა ექნა?

მიტეები და ბარათები

სოფლად ბარათი მოვიდა. ბებო ბარათს დასცქერის. თითქოს ასაღელვებელი არაფერი აქვს. მაინც ღელავს. ადვილი სათქმელია ახლა ბარათის მიღება? ფორმტიდან ცნობას არ ელოდება, არც ქალაქიდან, „იქიდან“ წერილები არ მოდის, მაგრამ მაინც... სათვალეს იკეთებს.

— ოჰ, პირადად დათო მიზანდარს! ვის გაახსენდა შენი გადარეული თავი? — ბარათი მაგიდაზე დადო და ყანაში წავიდა.

ბიჭი წისკვილშია გაგზავნილი.

ყველა მეწისკვილე ფილოსოფოსია. ბიჭი ფიქრობს, რომ ამის მიზეზი ამ ხელობის კაცთა მარტოობაა. ძია ქრისტეფორე ისტორიკოსიცაა. დღეს ძია ქრისტე ჰიტლერის ბიოგრაფიას ჰყვება. მოხუცს რომ არ ეწყინოს, ბიჭი ყურადღებით უსმენს, თუმცა ის მითი მრავალჯერ აქვს გაგონილი. ერთ ფაქტს ჩაავლო, — ძია ქრისტეს სცოდნია, რომ ადოლფი გერმანელი არაა, ავსტრიელია. სხვა ყველაფერი — ვილაც ქუთაისელი ქალის და ფიურერის რომანტიკული ისტორია, ვილაც ქართველები და მათდამი ჰიტლერის განსაკუთრებული ინტერესი — ბიჭში ღიმილს იწვევს. ბოლოს ძია ქრისტე ჰიტლერისთვის ყველაზე სასტიკ სასჯელს ირჩევს, ბარე შვიდი ვარიანტი დაასახელა. მაგრამ ვერც ერთზე ვერ შეჩერდა.

საიდან ჩნდება ამგვარი მიტეები? ამას წინათ ერთი მღვდელყოფილი მოხუცი უმტყიცებდა, რომ მენდელეევი ქართველია — მინდელი, რომ მოსკოვი მე-

სხური სახელია, რომ რუსების მატთან ქართულიდანაა თარგმნილი, რომ...

— აბა რა გეგონა შენ?

— დიახ, ძია ქრისტე.

— ხედავ, რა ამბავია?

— კი, ვხედავ.

— ახლა აქეთ გადმოვიხედოთ. ვინ არიან თურქეთის სულთანები, ვეზირები, პრემიერ-მინისტრები? სულ ქართველებია. ვინ არიან სპარსეთის შაჰები, ინდოეთის — რა ჰქვია იმას? — მალ-რაძეები...

— მაპარაჩები...

— ჰო, მაგარაჩები, სულ ქართველებია ეგენი. ვინ არიან იაპონიის კამიკაძეები? სულ ჩვენებური კამკამიძეები! ვინ არიან...

ბიჭი თავს უქნევს. ბასკებზე თვითაც ეჭვი აქვს, გუჯარეთზეც უფიქრია, მამულუქების ამბავი იცის. მაგრამ იაპონელები? ეს უკვე მეტისმეტია!

— ვინ არიან ინგლისელი და ამერიკელი მილიარდერები? სულ ქართველების სიძებია. ვინ იყო პეტრე პირველი, იცი შენ? ვინ იყო აქილევსი, ხეტები, ეტრუსკები, იცი შენ? თუ არ იცი, გაიგე, ყურები გამოიფხიკე, ბიძია. თუ იცი, იცოდე, არ დაგავიწყდეს და სხვა-საც უთხარი!

მეწისკვილე უცებ დაცხრა, თითქოს დაიჩუტა. მერე სევდიანად ჩაილაპარაკა:

— ეჰ, შვილო, მტვერია ჩვენი ცხოვრება, ა, ეს მტვერი, — ხელი აიჭნია წისკვილში დამდგარ ფქვილის მტვერში. — რა კაცი იყო მამაშენი! პირველი ვაჟკაცი, პირველი კომკავშირელი... ნამდვილი მიზან-დარი! მერედა, რა ბედი ეწია? რატომ? იმიტომ, რომ რჩეული იყო? ეს რომ სტალინმა იცოდეს, დაუშვებდა? მას რომ სცოდნოდა, რა ხდებოდა ქვემოთ და რა ხალხი წაართვის მოტყუებით, დაუშვებდა?

ბიჭი ღუმს, რადგამ ამ საკითხზე თვითონაც ბევრი უფიქრია...

— ნიჭიერი ხალხი. ბიძია, ყველა მთავრობისთვის ძნელი ასატანია. რატომ, თუ იცი? იმიტომ, რომ მოუსვენა-

რი ხალხია და ზშირად გადადიან დად-
გენილ წესებს, გაიგე შენ?

ამასობაში სიმინდი ჩამოიფეჭა.

ბიჭმა ტომარა ზურგზე მოივდო და
შინ წავიდა...

ბებო მკაღს აცხობს. ბიჭი წერილს
კითხულობს:

„...გაივლის ათი წელი, გაივლის ოცი
და ოცდაათიც. იქნებ მოგონებაც კი
გაქრეს ამ საშინელებაზე, ომი რომ
ჰქვია, იქნებ უველას დაავიწყდეს, რას
განვიცდით, ზღაპრადაც მოეჩვენოს ეს
სიცივე, შიმშილი და მარტოობა. გუ-
ლიც აღარავის ეტყინოს, არც დაფიქრ-
დეს, არც ვახსოვდეთ...“

ბიჭი ოთახში დადის და ფიქრობს,
დიდხანს ფიქრობს.

— ბებო, ქალაქში უნდა წავიდე.

— მოხდა რამე? — ბუხართან დახ-
რილი ქალი წელში გაიმართა.

— ერთ ამხანაგს უჭირს.

— ვინ არის, შვილო?

— ჩვენი მარინე.

— საშვი გინდა მატარებელზე და ვის
ვთხოვო?

— უბილეთოდ წავალ. ცოტა ფქვილი
უნდა გამატანო, ბებო.

— შენი არაა, ბიჭო, ყველაფერი?

— ფულიც არა მაქვს...

— მოგცემ, შენი მოტანილია.

— ამაღამ მივდივარ!

„მტვერია ჩვენი ცხოვრება, მტვერი!“

— ახსენდება ბიჭს. არაა მტვერი, ტყუ-
ლია ეს!

„...ისევ ჩვენვე დავიტირებთ ბავშ-
ვობას ჩვენსას. ამიტომ, თუ ცოცხალი
დარჩი და გახსენების უნარი შეგარჩა,
ბედნიერ წუთშიც ნუ დაიშურებ ორიო-
დე ცრემლს ამ დღეთა მოსაგონებ-
ლად...“

— ბებო. წაიკითხე!

— სათვალევ მომეცი, შვილო!

გამომცხვარი მკაღის სურნელი და-
ტრიალდა. ბიჭი ბუხართან ჩაცუტკდა
და მკაღს შებრაწული ვაზის ფოთლები
ჩამოაფხიკა. მერე კეცი ხის მაშით მოა-
ტრიალა.

ბებო სათვალის ზემოდან ბიჭს უყუ-
რებს.

— ლექსებს წერს, შვილო, მარინე
ხომ?

— კი, წერს...

— დედაშენთან ხომ მიხვალ?

— მივალ.

— იმასაც წაუღე ცოტა ფქვილი და
ლობო...

— წაუღებ...

— გზაში არავინ წაგართვას, ბიჭო!

— დედას ვუტირებ! არ მეშინია მა-
გათი მე.

— დაქვები ახლა, ვკამოთ.

წყალნარევი ღვინის ჭიქა აიღო ბიჭ-
მა, ადგა და თქვა:

— ყველა დაღუპულის შესანდობარი
იყოს.

ბებოც წამოდგა, ორი ცრემლი ჩამო-
უგორდა, ნიკაპქვეშ გაენასკვა, რალაც
თქვა და ჭიქა მაგიდაზე დადგა...

აუხსნელი ვნებანი

იქნებ არც კი მომხდარა და მოჩვე-
ნება იყო მხოლოდ? ორივეს მოეჩვენა?
თუ იყო მართლა და სწორედ ამას
ჰქვია აუხსნელი ვნებანი? სულისა თუ
ხორცისა?

ბიჭი იხსენებს:

ეს მოხდა მაშინ, როცა სულ ობლად
დარჩა, მაშინ, როცა ზაფხულის იმ
ცხელ საღამოს მივედი და მარტო დამ-
ხვდა. ლოგინზე იწვა პერანგისამარა,
გაყუჩებული, უძლური, უბედური და
მიტოვებული.

იქნებ ეძინა? იქნებ ბურანში იყო?

კარი რომ ოდნავ შევაპრიალე, წამო-
ვარდა, თვალები დააცეცა.

„ვინ არის? შენა ხარ?“ „მე ვარ“.

„გაი დედიკო!“ — გადმოხტა საწოლი-
დან, მომვარდა, მომიხვია. ყურში ჩამ-
ჩურჩულებდა: არ მიმატოვო, გვედრები, არ მი-
მატოვო! აღარ შემიძლია, აღარ შემიძ-
ლია სულ მარტო ყოფნა! არ მიმატო-
ვებ?“

თეანეიკ ბუაჩიძე

ზაზა ბავშვობისაგან

აყიყვანე, ორი ნაბიჯი გადავდგი, ლო-
გინზე ფრთხილად დავაწვინე, პერანგი
ჩავუწიე, გვერდით მივუჯექი.

ხელი მომიკიდა, ხელში აიღო ჩემი ხე-
ლი, გულზე მიიკრა და განაგრძო ჩუ-
რჩული:

„არ მიმატოვებ ხომ, ხომ არ მიმატო-
ვებ? არ ვიცი, რა მომდის, რა მემართ-
ება! აჰა, ხედავ, სულაც არ მრცხვენია
შენი, არ მრცხვენია, რადგან, რაა სირ-
ცხვილი შიშთან შედარებით? რად მი-
ნდა ეს ჩემი თავი, ეს ხელები, ეს გუ-
ლი, ეს სხეული, თუ სულ შიშში, შიშში,
შიშში ვიქნები! ვაიმე დედა, სულ მა-
რტო ვარ, სულ მარტო დავრჩი, ხან მე-
შინია სიკვდილას, ხან მეშინია ადამიან-
ის, მხეცის... შიში მზარავს, მზარავს,
მზარავს... ოჰ, შენ ხომ არა ხარ იმგვა-
რი, შენ ხომ არა ხარ ველური, პირუტყ-
ვი, შენ ხომ არა ხარ მხეცი, შენ ხომ
იგივე ხარ, რაც იყავი, იგივე დარჩები,
არა? განა ერთნი არ ვიყავით, რაც თა-
ვი გვახსოვს? განა ხუთი წლისანი, გა-
ნა ცხრა წლისანი ერთად არ ვწოლილ-
ვართ, ერთი ყოფილა ჩვენი გულისცე-
მა, ჩვენი სიხარული, ჩვენი მოლოდი-
ნი, წყენა და სიამე? და ყველაფერი ისე
ბუნებრივი, ისე უმანკო, ისე უცოდვე-
ლი იყო, რომ არც წარმომიდგენია ამა-
ზე დიდი სიწმინდე და სისპეტაქე! ახ-
ლა რომ ვწევარ შენს თვალწინ თითქ-
მის შიშველი, ან შეშლილი ვარ... ან პი-
რიკით, ახლა ვარ ის პატარა ნაწნავიანი
გოგონა, რომელმაც არ უწყოდა, თუ
იყო ჭვეყნად ცრემლი და სიკვდილი,
უსამართლობა და ბოროტება, სიცივე
და შიმშილი... გენდობი, გენდობი, რო-
გორც საკუთარ თავს ვენდობი, და არ
მრცხვენია, სრულადაც არ მერიდება
შენი. ან იქნებ მართლაც შეშლილი ვარ,
იქნებ ეთერა ვარ, რომლის სანახავად
მეც დავბობდი? ისე გენდობი, რო-
გორც ძმას, ბოლოს და ბოლოს! რა
არის ამაში უცნაური? განა ვინ დამრ-
ჩენია შენს გარდა!.. ო, როგორ აცივდა,
როგორ მაყრიალებს, როგორ ვიყინები
შიგნიდან, როგორ აღის და ჩადის ყი-
ნულის ზოდი, რა ცუდად ვარ, ღმერ-

თო! გადამაფარე რამე, იქნებ დავმშვი-
დდე, იქნებ გამიაროს, იქნებ გავთბე...“

მე კი ვიჭექი გოგნებულის, პატარა
და უმწეო ამ დიდი დარდის წინაშე და
სიტყვა რა არის, სიტყვაც ვერ დავძა-
რი სანუგეშო და იმედიანი.

რა ნუგეში და რა იმედი განკურნავს
ამას, ყველაფერი თამაშია და თავის
მოტყუებაა, თუ შენვე არ განიცადე,
თუ შენც შიგ არ შეხვედი.

და რალაც არ მიშვებდა იმ მორევში,
რალაც ჭიუტად უარობდა ჩემში, რად-
გან შინაგანად ვგრძნობდი, რომ არ უნ-
და შევსულიყავ, რომ ჩემი სიმკაცრე
გადაგვარჩენდა ორივეს, რომ მე მეკი-
სრებოდა ორივეს აუწონავი ტვირთი,
რომ მე მომეკითხებოდა თავის დროზე
ყველაფერი...

შემდეგ გამოვერკვიე, საბანი გამო-
ვაძვრე, გადავაფარე. სიგიჟემ თითქოს
გაუარა, თითქოს ჩასთვლიმა. ხელები
დავუტოცენე, ჩუმიდ გამოვიხურე კარი
და წამოვედი...

მას შემდეგ სულ ვფიქრობ, რა იყო,
რა მოხდა. მართლა სიგიჟე, სულიე-
რი დებრესია იყო თუ მხოლოდ წამიე-
რი შიში? შიში, მძლევი სირცხვილისა,
შიში, მძლევი სიცოცხლისა, წუთი სა-
სოწარკვეთილებისა და უიმედობის მო-
რევში ჩაძირვისა?

მას შემდეგ სულ ვფიქრობ ამაზე და
ვგრძნობ უხილავი ტვირთის გაორმა-
გებულ სიმძიმეს, სიმძიმეს, სიმძიმეს...

გოგონა იხსენებს:

რა იყო, როგორ იყო, ღმერთო, გამა-
ხსენე, ბუნდოვანად ვხედავ, ვიგონებ,
ბუნდოვანად ვგრძნობ.

ცხელი საღამო იყო. ტანთ გავიზადე,
პერანგისამარა დავწექი. ძლიერ ცხე-
ლოდა, დილიდანვე სული მეტუთებოდა.

რა ექნა ახლა. ვფიქრობდი, მარტო
დავრჩი, ქალი ვარ, ვაი რომ უმწეო,
ათასი ბოროტი დამრწის გარშემო, სა-
ხლის წინ, სადარბაზოში, მეზობლებში
— მთვრალეები, მხეცები, ველურები,
დაღამების შემდეგ გარეთ ვერ გავსუ-
ლვარ. იმან, რაც გუშინ ჩემი „კეთილი“

მეზობლის ფანჯარაში შემთხვევით დავინახე (კიბეზე ამოვდიოდი) და მზერა ველარ მოვაცილე, სანამ... სანამ... სანამ თვალთ არ დამიბნელდა, მთლად გამაღივია.

ნუთუ ასეთი პირუტყვები ვართ, ნუთუ ამგვარი საზიზღრობაა ყველაფერი?... ნუთუ ქალი მხოლოდ ერთი სიფრიფანა კაბით უნდა იყოს დაცული?

ვფიქრობდი, ვფიქრობდი, ვფიქრობდი, სხეული გამიხურდა, ხელები გამოიფლიანდა, თავი გამიბრუნდა, მკერდი ამეწვა, გონება დამიბნელდა. აღარ ვიცი, ვწევარ თუ ვდგავარ, მღვიძავს თუ მძინავს...

უცებ ვგრძნობ რაღაც მოძრაობს, მესმის რაღაც ხმაური, თვალი გავახილე, ვიღაც მიყურებს, ორბივით დამცქერის, ვიღაცის თვალებს ვხედავ... და გიჟივით წამოვვარდი — აჰა, ჩემთან მოვიდა, მეც მომადგა მხეცი, მომადგა ველური, მომიჭერს სალტეებს, გამაკავეებს უმწეოს, დამამტვრევს, დამლუწავს, დამძლევს... ძელები მეტყინა, სული გამეყინა, სუნთქვა შემეკრა... ვხედავ — დათოა. უჰ!

მომხვია ხელი, ავკანკალდი, ტირილი ამივარდა, ის კი მეჩუჩულებდა ყურში: რა იყო, რა მოხდა, რა დაგემართა, რამ გაგაგოია? მოდი, დაწევი, მეც გვერდით მოგიჯდები, დამშვიდდი, დამშვიდდიო. დავწევი.

გტიროდი და სრულიადაც არ მერიდებოდა, რომ თითქმის შიშველი ვიწევი მის წინაშე. და პირიქით, პირიქით, მერე რე რომ ვიფეთქე, ჩემში რომ ჩემდა უნებურად რაღაც ძალამ და სურვილმა იფეთქა, პირიქით, პირიქით, მწვავედ, სასურველი ტკივილით მომინდა მისთვის, მხოლოდ მისთვის, ჩემი სისხლისთვის, ჩემი სულისთვის, ჩემი უბედური ძმისთვის, მხოლოდ და მარტო მისთვის ცყოფილიყავ მე ამ მხეცების თარეშის ქაშს, ამ ბოროტების, გულტკვაობის და ველურობის დროს: მეზობლის ფანჯარამ სიმხეცის, ფლეთვის, ყმუილის, კბენის, ღრეკის, წკმუტუნის დროს, როცა ერთი და უფასურია ყვე-

ლაფერი — სულიც, ხორციც, თავიც და ტანიც! ვაი ჩვენი ბრალი!

განა შეიძლებოდა ჩემი ცხოვრება მის გარეშე? განა მან არ მასწავლა არსებულის პირდაპირ ყურება და ჩუმი სიმტკიცე, განა მან არ გაწვრთნა ჩემი სული და მისი გავლენით არ დავძლიე მომაკვდინებელი ტკივილი, წარსულს რომ მაკავშირებდა და მომავალს მაშორებდა?

ის კი იჯდა დაბნეული, ეს ვაჟკაცი, შინაგანად ურყევი და შეუღრეკელი ბიჭი, უშიშარი, ჩემთვის რომ დანას დაეგება, ახლა კი სუსტი ბავშვივით რომ იღიმებოდა, თოჯინასავით რომ ხრიდა თავის გრძელ წამწამებს! ვგრძნობდი, არც მიყურებდა, იქნებ მიყურებდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, უმწეოდ აცეცებდა ხელებს და თვალებს...

აი მაშინ ამიტანა სასტიკმა კანკალმა, ჟრჟოლამ. გამეყინა სული და სხეული. რაღაც შევეხვეწე, რაღაც ვუთხარი, ვთხოვე... რაღაც დამაფარა და წავიდა.

მე კი ვტიროდი. მრცხვენოდა. მძულდა თავი.

რა ვქნა ახლა-მეთქი, თავი მოვიკლა თუ ქუჩაში გავიდე? რა განსხვავებაა ახლა ჩემსა და გიჟ ეთერას შორის, რომლის მშვენიერი, თეთრად მოქათბათე შიშველი სხეულის საცქერლად მეც გავრბოდი, მეც გავრბოდი ხოლმე ისე, რომ ბიჭებს არ დავენახე!

დილამდე არ მომეკარა ძილი, მეგონა გავგოგლებოდი, ვბოდავდი, დედას ვეძახდი.

ვფიქრობდი... ვფიქრობდი, რომ მძიმე კაეშნით შეპყრობილი ან ცხოვრების სიმახინჯით შეშინებული ადამიანი თითქოს რწმუნდება — მისი ბედი, ყველას ბედი, კაცობრიობის ბედ-იღბალი ტრაგიკულია, გამოუვალ ჩიხშია მომწყვდეული.

ამ აზრმა, ამ შეგნებამ გადამარჩინა: ჩემს თავს, ჩემს მდგომარეობას, ჩემს

თენგიზ ბუაჩიძე
ზაზა ბავშვმოხსიანამ

არსებობას რომ სხვისი თვალთ შევხედ-
დე, შევხედდე და მსჯელობის უნარი შე-
მრჩა, ამან გადამარჩინა.

თითქოს თვითონ ვხედავდი ჩემს
თავს, საწოლის კუთხეში მიგდებულს,
ყველასაგან მიტოვებულს, ნამტირალე-
ვსა და თმაგაშლილს. და, ამავე დროს,
უფრო შორიდან იმასაც ვხედავდი, რო-
გორ ვუყურებდი „მე“ „მეს“, საწოლის
კუთხეში მიკუნჭულს — მაგიდასთან
მჯდარი. როგორღაც გასამებული ვიყა-
ვი, ნერვებდაწყვეტილი და ფსიქიკააშ-
ლილი.

დილით, როგორც იქნა, ჩავთვლივე
და ჩამეძინა. ჩამეძინა და ყველაფერმა
გამიარა.

მაინც რა იყო? რა იყო? რა იყო? არ
ვიცი? — არ ვიცი!

რომ ვიცი, იმიტომ არ ვიცი?..

დეკემბრის ერთი საღამო

დეკემბრის სუსხიანი საღამოა.

მარკლენა და ჩაბრია ბაღის ღობე-
სთან დგანან, ფეხებს აბაკუნებენ და
ხელებს იორთქლავენ.

მარკლენას ბევრვოვლებული პალტო
აცვია, თბილი ქუდი ზურავს. ჩაბრია
თავის მოუშორებელ „ტელოგრეკა-
შია“, თავზე წინაფრიანი ზაფხულის
პრელი ქუდი ადევს — „კეპკა“.

მათ წინ ჰოსპიტლის ჩაბნელებული
შენობაა, მხოლოდ ალაყაფის კარზე
ბეჭუტავს სუსტი ნათურა. ჭერ მთლად
არ დაღამებულა, ზამთრის ბინდუნდია.

დათოს ელოდებიან. დათო მათთვის
რაღაც უცნობ საქმეზე ჰოსპიტალში
შევიდა. დათო ხშირად დადის ჰოსპიტ-
ლში, ბიჭები ამას მიეჩვივნენ და ალა-
რაფერს ეკითხებიან. აქედან ოთართან
წასვლას აპირებენ. ოთარი დღეს სა-
ღამოს ცვლაშია და რვა საათამდე ში-
ნაა.

— გიცია? — ეკითხება მარკლენა.

— არა, მცხელა! — პასუხობს ჩაბ-
რია, ადგილზე დახტის და ზემოდან
დასცქერის ტანმორჩილ მარკლენას. —
მოდო, პალტოები გავცვალოთ!

— მაშ! — ამბობს მარკლენა. — მეც
მცივა, ეს ოხერი... აღარ გამოდის? ჩა-
ბრო, გინდა, მერე ელზასთან შევი-
ა-როთ?

— ელზა ვინ ოხერია?

— მარინეს მეზობელია, გაგაცნობ,
იმნაირი ქალია...

— რანაირი?

— იმნაირი, ხომ იცი!..

ჩაბრია სდუმს. „არა, მარინეს მეზო-
ბელი თუა, როგორ მივალ? მარინე რომ
შემეფეთოს? სულელია, ეს ტუტუცი
მარკლენა!“

— ჭერ შენ შეიარე და... მე შემდეგ
შევივლი...

— მარტო რომ მრცხვენია?

— იმნაირი რამეები მარტო კეთლე-
ბა...

— არ გინდა და ნუ გინდა. აბა შენ-
თან წაივით და დამხატე.

— სხვა დროს... ელზა ჰქვია?

მარკლენა არ პასუხობს, ჰოსპიტლის
სადარბაზოს გასცქერის.

უეცრად ალაყაფის კარი ჰრიალით
გაიღო. ნელა გამოჰყო ბრტყელი ცხვი-
რი ტომრებით დატვირთულმა საბარგო,
ავტომანქანამ, მარჯვნივ მძიმედ ჩაუხ-
ვია, მარცხნივ მკვეთრად მიტრიალდა
და მოსახვევში თვალს მიეფარა.

— ჩაბრო! — ხელი სტაცა მარკლენამ
ჩაბრიას, რომელიც დაჟინებით მიშტე-
რებოდა ჰოსპიტლის სადარბაზოს, —
ჩაბრო, მანქანიდან რაღაც გადმოვარ-
და...

— სად? — დაიძაბა ჩაბრია.

— აი, იმ მოსახვევში.

გაიქცნენ. მოსახვევში ქვაფენილზე
ზორბა ტომარა ადგია, უფრო სწორად,
რაღაც რბილით გატენილი ზოლებიანი
ლეიბისპირი. ხელი დასტაცეს, თვლები
აქეთ-იქით დააცეცეს და იქვე ზნელ
სადარბაზოში შეათრიეს.

ჩაბრიამ ტომარას თავი მოხსნა და
ხელი შიგ ჩაჰყო.

— ჰა, რა არის? — ცმუკავს მარკ-
ლენა.

— ბათინკები, მგონი შინელი თუ სა-
ბანი, მგონი ტელოგრეკა, მგონი თბი-

ლი ქუდები, მგონი ხელთათმნები... შარვალი?

— აბოდებ, ბიჭო?

— მოიცა რა, ხომ ხედავ, გრძელია, ხელს ვერ ვაწვდენ...

— ახლა დათო გამოვა.

ჩაბრია წელში გაიმართა და შეშფოთებულად უთხრა:

— სიტყვა არ დამრა, თორემ... უკან მიგვატანინებს. იცი რა? მოდი, დაუცადე, უთხარი ჩემზე, სადღაც წავიდეთქო. მე აქ დაგიცდი, ბნელა, ვერაფერს დამინახავს. დათო როგორმე მოიშორე...

— მოიცა, ამ კიბის ქვეშ შევთრიოთ, შენც ზედ დაწევი და მართლაც გაუჩინარდები...

ჩაბრიამ ტომარას კვლავ გაუკოპა პირი. კიბის ქვეშ შეათრის და ბნელ კუთხეში წამოაქცევს. ჩაბრია ტომარაზე ჩამოჯდა, წადიო, ხელი ჰკრა მარკლენას. მარკლენა ქუჩაში გავიდა, ზევით აუხვია და კვლავ ჰოსპიტლის საღარბაზოს წინ დადგა.

მალე დათოც გამოვიდა.

— ჩაბრია სადაა? რას აცეცებ თვალებს, რა მოხდა?

— არაფერი, რა უნდა მომხდარიყო? ჩაბრია გაიყინა და შინ წავიდა...

— შინ, თორემ ცხელი ღუმელი დახვდება! — გაიყინა დათომ.

— მე აშენ გელოდი. მეც სახლში წავალ, გავთბები და ოთარასთან მერე მოვალ.

— რა მოგივიდათ? — დათომ კალთებჩეჭრილი სალდათური ფარაჯის ლილები გაიხსნა და გაიყინა. — რა სიცივეა ისეთი, რომ ორივე გაიყინეთ? შენ — კი, მაგრამ ჩაბროს რა დაემართა?

— რა ვიცი, დათო, მე წავედი...

— ჯანდაბაშიც წასულხართ! მეგონა, კარგი საქმე გიშოვეთ. არ გინდათ და თქვენს თავს დააბრალეთ, — თქვა დათომ, მარკლენას ხელი ცხვირწინ აუქნია და ჰოსპიტლის საღარბაზოში შებრუნდა...

ნახევარი საათის შემდეგ ბიჭებმა გა-

ტენილი ტომარა ჩაბრიას სარდაფში ჩაათრის. კარი რომ მიიკეტეს, ჩაბრიამ სინათლის ჩამრთავი აატკაცუნა, მაგრამ შეუქი არ აინთო.

— ეს ოხერი შეუქიც არ არის. — ჩაბრია ლაპარაკი ჩაბრია. — მოიცა, ლამაზ მაქვს სადღაც, მგონი ნავთიყ არის შიგ. არ გაინძრე, არაფერს დაეჯახო. სადღაც აქ უნდა იყოს, თაროზე...

წუთის ფათურის შემდეგ ჩაბრიამ ლამაზი იპოვა და ახლა ასანთს დაუწყო ძებნა. ილანძღებოდა და ეძებდა „სპიჩას“. მარკლენა გაუნძრევლად იდგა და ელოდა.

— ოჰ, შენი! ჯიბეში არა მაქვს! — იყვირა უცებ ჩაბრიამ. ლამაზ ხელის ფათურით ისევ იპოვა, დანჯღრეულ მაგიდაზე გადმოდგა, შუშა მოაძრო და მარკლენას მიაჩეჩა. — დაიჭი, რომ დავლო, დაგორდება.

როგორც იქნა, ლამაზი აანთეს, ტომარა აზიდეს და ჩაბრიას საწოლზე დადეს.

— აბა, დავიწყოთ. — თქვა ჩაბრიამ, ტომარას თავი შეუხსნა, სახელოები მეფოკუსესავით გადაიკეცა და ტომარაში ხელი ჩაჰყო. — ეს რა არის? ფუჰ, საბანია. საბანი მე. ეს ერთი წყვილი ბათინკა შენ, ეს მეორე წყვილი — მე. მოიცა, შევედარო, რომელი სჯობია. ეს რა არის? სალდათის შინელი. მეტი შინელი არ არის? ვნახოთ. ეს ლეიბისპირი, ეს საბანი, ეს ლეიბისპირი, ეს საბანი, რა ამბავია? ეს ქუდები, ორი ქუდი, ერთი შენ, ერთი მე. მეორე შინელი არ არის. მაშინ ეს შინელი მე, შენ მდიდარი ხარ, თბილი პალტო გაცვია. ხელთათმნები შალის, სამი წყვილი, ორი მე, ერთი შენ. ვსიო, გათავდა, — თქვა ჩაბრიამ, დაცარიელებული ტომარა იატაკზე დააგდო და საწოლზე ჩამოჯდა.

მარკლენა იქვე იდგა, ტომრიდან ამოყრილი ტანსაცმელი მხარზე ჰქონდა გადაგდებული, ერთ ხელში ფეხსაცმე-

თენგიზ ბუაჩიძე

ზზა ბავშვობისაგან

ლი ექირა, მეორეში — ხელთათმნები.

— რა ბედი გვეწია? — ლაპარაკობდა აგზნებული ჩაბრია. — ხვალვე სოფელში წავალ, ორ დღეში ახალი წელსაა, ჩვენებს ჩავუტან, რას გაიხარებენ, ბიჭო! — ჩაბრია მარკლენას შეხედა და გაჩუმდა.

— რა მოგივიდა, მარკო?

— იცი რა, ჩაბრო, ყველაფერი შენი იყოს, მე არაფერი მინდა, — მარკლენამ ტანსაცმელი საწოლზე დააწყო. — შენ მაინც ვერ მივიტან...

— გაყიდე, კაცო, საბურთალოზე...

— არ მინდა, შენი იყოს ყველაფერი!

— მართალს ამბობ? — შეეკითხა ჩაბრია. აგზნებამ გაუარა. დაფიქრდა და რაღაც უხალისოდ თქვა: — იქნებ უკან მიგვეტანა. ბიჭო, ვილაც დაჭრილისაა ეგებ, საწყობში თუ მიჰქონდათ შესანახად... დათომ რომ გაგვიგოს, თავებს დაგვაყრევინებს...

— როგორ გაიგებს? შენ სოფელში წახვალ, მე არ ვიტყვი...

— მე რა ვიცი, რომ არ იტყვი? — გაბრაზდა უცებ ჩაბრია. — თუ დაგჭირდა, იტყვი და მეტსაც იზამ... გახსოვს, კომკავშირის კომიტეტში რომ დამაბეზლე?

— მე დაგაბეზლე? დედას გეფიცები, ჩაბრო, ჩვენ გოგოებთან წამომცდა, მე-ჩრდი კი კომიტეტში დამიბარეს და დამკითხეს. მე სულელმა სიამაყით ვუამბე ჩვენი მეგობრობის ამბავი. იმათ კი მთელი საქმე შექმნეს და კინაღამ კომკავშირიდანაც გამრიცხეს. მე რა ვიცოდი, თუ ასე შეტრიალდებოდა? კარგი მაგალითი შეგონა...

— ჰმ, კარგი! ზარის თამაში კარგი მაგალითია? დათო რომ არა, სკოლიდანაც გამრიცხავდნენ... მაშ არ გინდა ეგ ბარახლო?

— არ მინდა, ჩაბრო, გენაცვალე! შენ გჭირდება და აილე. რა იცი, იქნებ დაიხოცნენ კიდეც ამის პატრონები...

— აბა რა ვიცი მე, — კვლავ უხალისოდ თქვა ჩაბრია და თავი ჩაჰკიდა.

მარკლენამ შენიშნა, რომ ლამაზ ბო-

ლავდა, ჩაუწია. ახალა დაინახა კედელზე მიკრული ნახატები. ახლოს მივიდა. თეთრი ქაღალდი, ფანქარი, ნახშირი. ბლომად ნახატები: მათი სკოლა, მასწავლებლები, — ეს სოლომონია, ეს ეფრო, ეს ობობაა, ვაჰ, ეს მე ვარ, ეს დათო, — მარინე, მარინე, მარინე...

მარკლენა სურათთან ახლოს მივიდა. მარინეა. რა ლამაზია! ორად გაყოფილი თმა, მერცხალივით წარბები, ჩამოქნილი ცხვირი, მსხვილი ტუჩები, გრძელი ყელი. ყელამდე იყო დაზატული.

— ჩაბრო! აი ეს მომეცი და სხვა არაფერი მინდა!

— რა, რომელი? მარინე? რად გინდა, ეგ დათოსთვის დავხატე...

— ჩაბრო, შენი ჰირიმე...

— დამანებე თავი!

— ჩაბრო, თუ ძმა ხარ, — მარკლენა უცებ მუხლის თავზე დაეცა და ჩაბრიას წელზე ხელები შემოხვია. — ჩაბრო, რაც გინდა მთხოვე, გინდა ამ პალტოს მოგცემ, სახლში ვიტყვი, გამხადეს-მეთქი... რაც გინდა მთხოვე. შენ კიდეც დაზატე...

ჩაბრია გაკვირვებით ჩახედა აცრემლებულ თვალებში. შემდეგ მისი ხელები მოიცილა. კედელთან მივიდა, ჭიკარტები მოაძრო, სურათი ჩამოხსნა და გაუწოდა. დაჩოქილმა მარკლენამ გამოართვა. წამოხტა და პალტოს ღილების შეხსნა დაიწყო.

— შენ მთლად გაგივიდა, ტავარიშ სი-მონ? მე სურათებს არ ვყიდი, გაჩუქე, გაიგე?

— ჩაბრო, თუ ეს დაგივიწყო. რაც გინდა ის მიყავი. თუ გინდა — მომკალი...

— ამ ხარახურას რა ვუყო? — ფეხი წაჰკრა ჩაბრია იატაკზე დაყრილ საბნებს, ფარაჯას, ფეხსაცმელებს.

— შენ იცი! — მარკლენამ კარი გამოაღო, გავიდა, გაიხურა და ცემენტის კიბეზე აბრაგუნდა.

ჩაბრია ერთხანს კვლავ საწოლზე იჯდა დაფიქრებული. მერე ადგა, ლამაზა ჩააქრო, კარი გასაღებით ჩაქეტა და დათოს საძებნელად წავიდა.

ოთარი

— ადექი, ოთარ, დროა!

— დამანებე რა თავი! ადრეა ჭერ, მეძინება... ტრამვით წავალ...

— რალა ადრეა, ექვსა საათია, ბიჭო! ტრამვაი რომ არ მუშაობდეს?

ოთარი კვლავ საბანში ეხვევა, ცდილობს, ძილი დაიბრუნოს, მაგრამ კარგად იცის, ველარ დაიძინებს, იცის, დედა აღარ მოეშვება. თანაც, დედა მართალია — ტრამვაი თუ არ მუშაობს, დაავგიანდება, დაგვიანებისთვის მკაცრად სჯიან, თუ ავადმყოფობის ცნობას არ წარადგენს, შეიძლება სამართალშიც მისცენ, ცნობას კი ვინ მიაშაგებს? და დგება.

ოთახში ცივა. სწრაფად იცვამს გაყინულ შარვალ-ხალატს, წინდიან ფეხს მამის ძველ უქუთულო ტუფლებში ჰყოფს და პირის დასაბანად გადის.

დედამ მამაც გააღვიძა, ხმადაბლა ლაპარაკობენ. მათი ოთახიდან თამბაქოს ბოლი ტალღასავით მოცურავს. მამა ჩარხმშენებელი ქარხნის ცნობილი ხარატია (ერთხელ გაზეთშიც იყო მისი სურათი, „კომუნისტში“!) გეგმას 150 პროცენტით ასრულებს, გამომუშავებაც დიდი აქვს — სამი ათას მანეთამდე, ოთარი კი 800 ვერ ასცილებია! მამა ნამდვილი წარმომადგენელია მუშათა კლასისა, ამაყობს — რევოლუცია ჩემისტანებისთვის მოხდაო! რაც მართალია, მართალია!

სად იშოვოს ტანკაწინააღმდეგო ჭურვის გილზი? რამდენი ხანია, მარინეს შეპირდა! რომ იშოვოს, ვთქვით, დაწუნებული, გადაადებული, ჟანგიანი, როგორღა გამოატაროს შესასვლელში? რაიმეს მოიფიქრებს, ოღონდ იშოვოს. თუ დღეს გასასვლელში ქარონი არ დგას, გამოაპარებს (ეს დათოს სიტყვაა — „ქარონი“. ბავშვობიდან ახსოვს, ყველა მოღუშულს და წვერიანს ასე ეძახის).

ოთარი ყინულისით ცივ წყალს ისხამს სახეზე და პირსახოცს მთელი ძალდონით ისვამს ლოყებზე და კისერზე.

პურის ნაჭერი, ორი კარტოფილი და ჩაი ერთი კვნიტი შაქრით მშვენიერი საუზმეა!

იცვამს საკმაოდ გაბოხილ „ტელოგრიკას“, თხელ შარვალზე — დაბამულ შარვალს, თავზე იდებს შავ ქუდს და სულ ბოლოს ხვნეშით ირგებს ორი ნომრით დიდი ქირხის ჩექმებს, წუხელ რომ მავთულით კარგად დაუშვარა მისუსტებული ლანჩები (მერე რა, რომ მავთული ჩანს, ვინ დადის ახლა უმავთულოდ? — მხოლოდ სამხედროები).

დედ-მამას შესძახა. მივდივარო და გარეთ გამოვიდა. ყურები მოსწვა დილის სუსხმა.

ჭერ საკმაოდ ბნელა, ნელა თენდება. ჯაფარიძის ქუჩით მიდის, შემდეგ კიროვის ქუჩაზე ჩარბის და მოედანზე გადის. ქუჩებში ხალხი ცოტაა. მხოლოდ მასავით მუშები მიეშურებიან ქარხნებისკენ.

პუშკინის ქუჩით „სალათის ბაზართან“ გავიდა. ტრამვაის გაჩერებასთან მგზავრების დიდი ჯგუფი იდგა. ოთარიც მათ შეუერთდა, იქვე ბოძს მიეყრდნო. გავიდა ზუთი წუთი, ათი წუთი. ოცი წუთი... თანდათან შესცივდა, სიცოცხლე ფეხებიდან შეეპარა. დაიწყო აქეთ-იქით სიარული, ბევრი დადიოდა ან ადგილზე იტყებნებოდა. ყველა მოსახვევისკენ იქირობოდა. ზოგი ხმადაბლა ლანძღავდა ტრამვაის სამმართველოს.

„შვიდამდე დავიცდი, შვიდზე გაქსწევ, თორემ დამავგიანდება“, — ფიქრობდა ოთარი. თანდათან გათენდა და ხალხი ხმამაღლა ალაპარაკდა. იმგვარი ნისლიანი დილა იდგა, თითქმის თივლი უნდა მოსულიყო.

ტრამვაი მოსახვევიდან ზარის წკარუნით შემოხრიალდა. მგზავრები შავი მტევნებივით ეკიდა კიბეებზეც, გვერდებზეც, ბუფერზეც. ვაგონი გატენილი იყო. „როგორ ვერ მოვიფიქრე წინა გაჩერებასთან დახვედრა. ამ ხალხმა უნდა მაჯობოს!“ — ჯავრობდა ოთარი.

თენგიზ ბუაჩიძე

ზნა ბავშვობისაიდან

ტრამვაიმ თითქოს სვლა შეანელო, მაგრამ, რადგან არავინ ჩამოდიოდა, აღარ გაჩერდა, ღრქილით გაუხვია და მტკვრისკენ მიმავალ რელსებზე მძიმედ გაგორდა. მხოლოდ ორიოდემ მოახერხა შეხტომა, ძლიერ მისწვდნენ სახელურებს და სხვა ჩამოკიდებულებს ენერგიულად მიაწვდნენ. პასუხად გინება გაისმა.

მგზავრთაგან ზოგი წავიდა, უმეტესობა ადგილზე დარჩა. „ოპტიმისტები დარჩნენ, მე წავალ ფეხით“, — გადაწყვიტა ოთარმა და გასავლელი გზა წაბოლიდგინა: მუხრანის ხიდი, ბარათაშვილის აღმართი, შაუმიანის ვიწრო მოედანი, შაუმიანისავე უგრძელესი ქუჩა, შემდეგ გადასახვევი და კვლავ გრძელი შარა წისქვილკომბინატამდე. „კაი დიდი გზა! აბა, გავემართე, იქნებ გზაში დამეწიოს ტრამვაი...“

მუხრანის ხიდზე ქარი ისე ქროდა, ლამის ქუდი გადააძრო, ორივე ზელით იმაგრებდა თავზე. გაჩქარებით აუყვა აღმართს. თან ქალაქს ზემოდან დასჩერებოდა. ნელა იღვიძებდა თბილისი, დილის ნაყრისფერ პაერში მკრთალად კრთოდა ეკლესიათა გუმბათები. უკან დანდნ სიმღერა მოესმა: „ვსტავაი, სტრანა ოგრომნაია!...“ „მწყობრად მოაბიჯებდნენ ჯარისკაცები, ქვაფენილზე მათი ჩექმების ნალები წკრიალებდა.

წვრილი თოვლი აირია პაერში. ოთარმა ქუდი ღრმად ჩამოიფხატა, აღმართიკ აათავა და ასფალტიან ტროტუარს ბეჭითად დაადგა...

მექანიკური ქარხანა იმგვარ პროდუქციას უშვებდა, რომ ეაგონები დაუყოვნებლივ იტვირთებოდა და პირდაპირ ფრონტზე მიდიოდა. ეს იყო ხელუშმბარები და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები.

ქარხანა მდებარეობდა ნავთულში, ერთ ტრიალ მინდორზე, წისქვილკომბინატის ახლოს. სულ იყო ოთხი საამქრო, სამი ერთმანეთში გადიოდა, ერთი ცალკე იდგა.

მეორე საამქროში, ოთარი რომ მუშაობდა, ხელუშმბარებს ტენიდნენ. სხვა ქარხნიდან აქ მოდიოდა ხელუშმბარე-

ბის ცარიელი კორპუსები და თუნუქის უკვე დამრგვალებული ტარები. ხელუშმბარები, ანუ გრანატები, ორი სახისა მზადდებოდა: ტარიანი და უტარო — „ლიმონკებს“ რომ ეძახდნენ. წარმოება მეტად საშიში იყო, თამბაქოს მოწევა სასტიკად იკრძალებოდა, ქარხნის შესასვლელში მუშებს საგანგებოდ სინჯავდნენ — თამბაქო, ასანთი ან სხვა აკრძალული საგანი რომ არ შეეტანათ, გამოსვლის დროსაც ამოწმებდნენ — მექანიკური ქარხანა გასამხედროებულ წესრიგს იცავდა. ჯანმრთელობასაც უნდა გაფრთხილებოდნენ — გვარჯილასა და ტოლს ხშირად ზიანი მოჰქონდა ფილტვებისათვის.

ერთ-ერთ სააქროში იმის შემდეგ, რაც ტექნიკური კონტროლის განყოფილება პროდუქციას შემოწმებდა, ხელუშმბარებსა და ჭურვებს გასანთლულ ქალაქში ახვევდნენ და ყუთებში აწყობდნენ. იქვე იდგა სპირტით სავსე ბალონები (სანამ შეახვევდნენ, ნაწარმი გულდაგულ იწმინდებოდა სპირტით). სპირტი დიდი ცდუნება იყო ზოგიერთთათვის. აღმინისტრაციამ იმის მეტი ვერაფერი მოიფიქრა, რომ სპირტის ბალონში ცოტა ნავთს უმატებდა, რათა ნავთის სუნით აყროლებულყო და აღარ დაღლიათ. ზოგი მაინც სვამდა, ერთი ბრწყინვალე მუშა, ოქროს ხელები რომ ჰქონდა, ხალუსტოვი, სწორედ სპირტის სმამ იმსხვერპლა.

საწარმო იყო მოძველებული, კუსტარული, ხელდახელ გამართულ-გადაკეთებული ომის საჭიროებისათვის. მუშა იქნებოდა სულ ოთხსამდე, საამქროებში სასტიკად ციოდა (ცეცხლის დანთება აკრძალული იყო წარმოების ხასიათის გამო). მუშები ხშირად შერბოდნენ იქ, სადაც სანთელი ღლეებოდა და ითბობდნენ დამზრალ ზელებს. ძნელ პირობებში დიდი საქმე კეთდებოდა — ფრონტი პირდაპირ ნთქავდა ხელუშმბარებსა და ჭურვებს. ქარხანა დღეულადამ მუშაობდა.

სამუშაო ადგილი მეორე საამქროში პრიმიტიული იყო: ხის გრძელი მაგიდა.

მაგიდის გასწვრივ ყველა მუშას ჰქონდა მიჩენილი თავისი ადგილი. ძირითადად ჩაქუჩებით მუშაობდნენ. ჩაქუჩები იყო თითბრისა (რკინა-ფოლადის ჩაქუჩს რომ ნაპერწკალი გასცვენოდა, აფეთქებაც არ დააყოვნებდა!). ხელუშმაბრების კორპუსებსა და ტარებს გარდა, მოდიოდა მზა ფისტონები. ისინი მათთვის გამზადებულ ბუდეებში უნდა ჩაესვათ. ამასაც ხიფათი სდევდა. გარშემო ყველაფერი ფეთქებადი იყო და მუშაც და აღმინისტრაციაც დიდ სიფრთხილეს იჩენდა.

მუშები მეტწილად ხანდაზმულები იყვნენ, ბევრი იყო ქალიც და ჯერ კიდევ პირზე რძეშეუშრალი ყმაწვილებიც, ვანა იცოდნენ, რომ ჰეშმარიტი გმირები იყვნენ? არა, მაგრამ კარგად გრძნობდნენ, რა საჭირო საქმეს აკეთებდა ეს პრიმიტიულად მოწყობილი ქარხანა და, მიუხედავად მუშაობის მძიმე პირობებისა, თავს არ იზოგავდნენ.

იყვნენ სხვებიც — უმცირესობა: ერთი-ორი აქ მუშაობით ფრონტზე წასვლას არიდებდა თავს, ზოგს (განსაკუთრებით ბავშვებიან ქალებს) პურის წიგნაკი იზიდავდა (ხუმრობა იყო 700 გრამი პური დღეში, როცა კმაყოფაზე მყოფი 300 გრამს იღებდა?).

და მაინც გმირები იყვნენ.

ქარხანას ემსახურებოდა კუსტარული სასადილო. პური თან უნდა მიეტანათ, სადილად კი იღებდნენ ცხელ კერძს („ბალანდას“ ეძახდნენ), რომელშიც წყალი მეტი იყო, ვიდრე საქმელი, და რაიმე ფაფას — ბურღულისა, მუხუდოსი, ჭოჭოსის წითელი ჭონით შეზავებულს. შიმშილის განცდა მოუშორებელი იყო.

ქარხანა ძირითადად ორ წყებად მუშაობდა: დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე და საღამოს ცხრა საათიდან დილის ცხრა საათამდე — სრული 24 საათი. მხოლოდ ერთი საამქრო მუშაობდა სამ წყებად 8-8 საათს, რადგან ჯანმრთელობისათვის მეტად მავნე იყო.

საოცრად ერწყმოდა ერთმანეთს ომი-

სდროინდელი გასამხედროებული წარმოების მკაცრი რეჟიმი და ინტერნაციონალური სულისკვეთება, მეგობრული სილადე, ძმური ურთიერთდახმარების განწყობილება.

მუშები იყვნენ ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები. ამ უკანასკნელთ რატომაც მალე უსუსტდებოდათ ფილტვები და სამკურნალოდ გზავნიდნენ. ერთ წელიწადში ორი მათგანი გარდაიცვალა.

საამქროები ბრიგადებად იყოფოდა. ოთარის ბრიგადირი რუსი — ივან კუზმიჩი, ევება, ბამბასავით თეთრი უღვაშები საგანგებოდ მიკრულივით რომ ჰქონდა გამხდარ გრძელნიკაბა სახეზე — მუშაც იყო და ბრიგადირობდა კიდევ. ერთი წამით რომ თვალს გადაავლებდა გრძელ მაგიდას, მაშინვე ამჩნევდა, ვინ ბეჯითობდა და ვინ აცდენდა დროს. ზარმაცის მიმართ სასტიკი იყო.

— შენ, მეგობარო, — ეტყოდა ხოლმე და წვირლ ცისფერ თვალებში ყინულს ჩაიყენებდა. — არ იცი, რას აკეთებ და როგორ სჭირდება ეს პროდუქცია ფრონტს? კიდევ შეგამჩნევ და მშვიდობით, საჯარიმო როტაში გაკვრევენებ თავს!

ოჰ, რა ძნელი იყო თორმეტ საათს თავდახრილი მუშაობა!

მუშების ნაწილი (ყველაზე კვალიფიციური, ძირითადად ევაკუირებული) მეტეხის ახლოს ერთ ძველ შენობაში ცხოვრობდა, საერთო საცხოვრებელი რომ ერქვა. უმეტესობა კი ქალაქიდან დადიოდა...

დაღლილი და გაოფლილი მოვიდა ოთარი. ვასასვლელში საშვი აჩვენა. იქვე დაყუდებულ „ქარონს“, მან შეუმოწმებლად გაატარა — იცოდა, თამბაქოს არ ეწეოდა, საერთოდაც კარგი სახელი ჰქონდა. მუშის შვილია და იმიტომ. — უთქვამს ერთხელ „ქარონს“, — ჩვენი ძეგლი და ხორცია.

დღეს თუ ტონია მორიგეობს, გეგმას

თენგიზ ბუაჩიძე

ზაა ბავშვმონიშნავე

გადავაპარებ, — უცებ გაიფიქრა ოთარმა, თავის საამქროში შევიდა და მაშინვე ანტონინა პავლოვნას გულიანი სიცილი გაიგონა. წარმოიდგინა მისი სახე — ხატრისფერი თვალები, ოდნავ პაქუა ცხვირი, მოლიმარი ტუჩები და თეთრად მოელვარე სველი კბილები. დიდებული ქალია ანტონინა პავლოვნა სვისტუნოვა!

სწორედ ისეთ ასაკშია ოთარი, ბიჭები რომ ქალს სხვანაირად დაუწყებენ ყურებას. ტონიას რომ შეხედავს, ტკბილი ჟრუანტელი უვლის (რა დასამაღია და ზოგჯერ ესოზმრება კიდევც...), იბნევა, პირს ალებს და ვითომ ჩუმ-ჩუმად (ყველა კი ამჩნევს!) შესეკერის.

ანტონინა პავლოვნა ასე, 30-32 წლის ქალია, მაღალი, ჩამოსხმული, გამოზნეკილი მკერდით და შეწეული მუცლით, თითქმის საგანგებოდ ჩამოქნილი ხელოფებით. გვერდით რომ ჩაუვლის ხოლმე, ღონიერი და ჭანმრთელი ტანის სუნს გრძნობს ოთარი.

— ნუ შტო, ოტარიკ, მნოგო ნარაბოტალ? — შეეკითხება ნაზად ანტონინა პავლოვნა და პასუხს არც კი დაუცდის, ისე ჩაივლის.

ოლგა ნიკოლაევნაც ხომ ქალია, თანაც ოსტატი (მისი ქმარი, ეგორი, ერთ-ერთი საამქროს უფროსია), ლამაზი, არაფრით ჩამოუვარდება ტონიას, მაგრამ ბიჭებს მაინც ტონია მოსწონთ, ტონიაზე ოხრავენ ფარულად, ტონიაზე ლაპარაკობენ შესვენებისას. რატომ? ოლგა ნიკოლაევნას დედის გამოხედვა აქვს, ყმაწვილები ეცოდება და ჩუმად ეხმარება (ოთარისთვის ხელიც კი გადაუხვევია მუშაობის დროს, მაგრამ ოთარს არაფერი უგრძნვია. ტონიამ რომ გადახვიოს? ოპო!).

ტონია გედივით დადის საამქროში, ხოლო ტექნიკურ კონტროლში (იქ მუშაობს) შეუვალ მსაჯულად დგას: მისი ბასრი მზერა და ნაზი თითები ყოველგვარ წუნს ადვილად ამჩნევენ. დაკვირვებითა ოთარი — ქალებს საერთოდ განსაკუთრებული ალღო აქვთ წუნზე.

— დავიწყეთ! — დაიძახა ივანე კუზ-

მიჩმა თავისი ადგილიდან და ოთარმა ხელყუმბარის პირველი კორპუსი აიღო...

თავჩალუნული მუშაობენ. ფრთხილობენ. ცივა. იმის შეგნება ათბობთ, რომ მათი ხელის ყოველი მოძრაობა ფრონტს ეხმარება. ბედნიერებაა ამის შეგნება. ბედნიერებაა, როცა იცი, რომ სხვას სჭირდება და სხვისთვის, ანუ შენთვის შრომობ.

სხვა რაღა არის ბედნიერება?

ფიქრები

ძნელია სიკვდილი. ძნელია, როცა იცი, რომ სამუდამოდ მიდიხარ, როცა თვითონ იცი, რომ კვდები და აღარასოდეს აღარ იქნები.

ძნელია სუნთქვა დაღლილი ფილტვებით, სუნთქვა ჩქარი, ზედაპირული...

ძნელია საკუთარი თავის დატირება, როცა სრულ გონებაზე ხარ და მომავალში ერთი დიდი ოცნების ასრულებას ელი.

დედა, დედიკო, ვხედავ, გეცოდება შენი თავი. სიბრალულის ცრემლი ჩამოგდის თვალთაგან და მხურვალე ლოყებზე მაშინვე გაშრება. ვხედავ, მარტო ხარ, თუმცა ყველა აქ ვართ, მთელი ნათესაობა თავს გახვევია.

ისინი, ვინც ყველაზე მეტად გიყვარდა, ჩაყლაპა შავმა მიწამ. შენც იქ მიდიხარ. რატომ გერგო ეს ხვედრი, რა დააშავე? მუდამ მოსიყვარულე, ერთგული, ჩუმი და მტკიცე იყავი. იქნებ შენს სიმტკიცეშია ტრაგედიის სათავე? რომ ყოფილიყავ მსუბუქი, თავნება, ქარაფშუტი, ყველაფრის ადვილად დამვიწყებელი, იქნებ არ დაერია ასე ხელი ამ ავადმყოფობას?

რა სამართალია ამქვეყნად, რა პარმონია, რა პოეზია? მოჩვენებაა ყველაფერი. დაჰრავს ჟამი და დარჩები მარტო, სიკვდილთან პირისპირ და ვერავინ და ვერაფერი დაგიფარავს, ვერავინ და ვერაფერი გადაგარჩენს. როგორ შეგვიძლია ჩვენ, მოკვდავთ, სამყაროს პარმონიის შეცნობა, როცა საკუთარი

მოსვლაც და წასვლაც ვერ შეგვიცნია?
რად იყო ჩვენი ოჯახი გაჩენის აღბე-
კდილი რაღაც ნიშნით? წინაპრების რა
ცოდვამ გვიწია? ვინ მიხედვდა ამის კა-
ნონზომიერებას? მიზეზი არ ჩანს.

აი სხედან გადატყავებულ ტახტზე
ჩვენი ბებიები, ჩემი და დათოსი. სხე-
დან და რაზე ფიქრობენ? დაგტირიან
შენ და დასტირიან მათ, ვინც შობეს,
ზარდეს, ჰყვებეს და საკუთარი ხელით
ჩააწერეს შავ მიწაში? დასტირიან შო-
რეთს გარდაცვლილთ? დასტირიან ამ
საშინელ ომში ჩაფერფლილ ათასობით
ახალგაზრდა სიცოცხლეს? იქნებ მათ
სულშიც შედის სიკვდილი და ამიტომ
სხედან ასე მშვიდად? ბრძენია მოხუ-
ცებულობა, ბრძენია და უმწეო..

ყველაფერმა ამოღო ჩაიარა. ვერ გი-
ხსნა ვერც სიცოცხლის წყურვილმა,
ვერც ჩემმა სიყვარულმა, ვერც მოლო-
დინმა. ვინ არის დამნაშავე? კეშმარტი
ტრაგედიაში დამნაშავე არავინაა. მხო-
ლოდ ფარსში გამოდის სცენაზე ხანჯ-
ლიანი მკვლელი ან ზნეობის მომსპო-
ბი ბოროტი სული. ამას დიდი ხანია
მივხვდი. ასე მოაქვს დროს და გარემოე-
ბებს, და ვინც მათ გულგრილ და მძი-
მე ფრთებს შორის მოჰყვება, განწი-
რულია. უმიზეზოდაც კი. უდანაშაულო-
დაც კი. იმიტომ, რომ ასე ყოფილა
საქირო. ან სრულიადაც არ ყოფილა ასე
საქირო. ამას მნიშვნელობა ეკარგება.
გრდემლსა და უროს შორის მოხვდი და
გათვდა! აქ შემთხვევითი არაფერია.
მამა რაა მიზეზი? ყველაფერი და არაფე-
რი. სრული უაზრობაა. მამა უაზრობაა
ყოველივე? სიკვდილის წინაშე ყველა-
ფერი უაზრობა ყოფილა.

შეუძლებელია ყველაფერი უაზრო-
ბა იყოს. უნდა დავფიქრდე. ფატალიზმი
და ბედისწერა არა მყამს. რაღა დარჩა?
შემთხვევითი კანონზომიერება? თუ შე-
მთხვევითია, რაღა კანონზომიერებაა?
კანონზომიერი შემთხვევა? რატომ კა-
ნონზომიერი? უნდა გავამარტივო. დე-
დიკოს ბევრი რამ დაემთხვა: ცუდი მე-
მკვიდრეობა ჩანმრთელობის მხრივ (აღ-
რე გარდაცვლილი ძმები საყმაწვილო

სენით), მამის უეცარი სიკვდილი. მამა-
ჩემის წასვლა, დარდი, ეს ომი. კარს
მომდგარი გაჭირვება... ავხსენი? ვე-
რაფერიც ვერ ავხსენი! მთავარი კითხ-
ვაა: რატომ მაინცდამაინც მას, რატომ
ჩემს დედიკოს, რატომ ჩემს ერთად-
ერთს დაეცა ეს ყველაფერი? ვინ მიპა-
სუხებს? რა კანონზომიერება ახსნის
ამას? არ ვიცი, პასუხს ვერ ვპოულობ.
არ ვიცი, არ ვიცი... ვინ იტყვის. რად
ვიყავით და სად ვქრებით?

ვაი ჩემო დედიკო! უშენოდ იქნე-
ბა ყველაფერი: მეც, ცხოვრებაც. ომის
დამთავრებაც, გაზაფხულიც, მამის და-
ბრუნებაც, სიყვარულიც, ცაცხვიც.
ლურჯი მდინარეც, რატომ. რა დააშა-
ვე? ან მე რა დავაშავე? რა იქნებოდა,
ყოფილიყავ კიდევ ცოტა ხანს. იქნებ
ჩვენც გვწვეოდა სიხარულის მცირე ნა-
ფოტი, ისე შემთხვევით რომ მოაქანებს
მდინარის ტალღა, როგორ შემთხვევი-
თაც შენ იძირები ახლა სიკვდილის
პრუმე ტალღებში...

მშვიდობით, ჩემო დედიკო...

საყაჩოო აუზავებულა

აუზავებულა ყაყაო... შავწითელი
ლილებით მოფენილა მცირე მწვანე ვე-
ლი.

აქედან, წყნეთის გადასახედიდან. კა-
რგად ჩანს თბილისი. ამ გაზაფხულზე
ოდნავ შემწვანებული ქედის კალთებს
რომ ჩამოსცდება მზერა, მომცრო სო-
ფელ გლდანის ორიოდ ამწვანებულ
ხეს შეამჩნევს, მარცხნივ საბურთალოს
უსწორო სამკუთხედად გაშლილ მინ-
დორს მოეგლება და მარჯვნივ ტაფობ-
ში ჩაქედილი ქალაქის ნახევარს მისწე-
დება.

ნიავე აცეკვებს ყაყაოებს. წყნეთის
კეთილი ნიავე. აქა-იქ მიყრილი ქვის
უშნო სახლებიდან არც კაცის ხმა ის-
მის, არც ბავშვების ქრიაშული და არც
საქონლის ბლავილი. ზედა წყნეთში
მთავრობის კაცების ორიოდ აგარაკი

თინათინ ბუაჩიძე
ზაზა ბავშვმოგონი

მოჩანს. მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო გზაზე ხანდახან ოთხკუთხა შავი „ემადინი“ დააყენებს მტვერს (ახალ გზას მეორე მხრიდან გერმანელი ტყვეები სჭრიან), პატარა ხოჭოსავით ამოლოდნება სოფელში და იმ აგარაკებისკენ გაუხვევს.

დილით, სანამ მზე მწარედ დააცხუნებს, საოცარი სუნი უდის ღამით ნაწვიმარ მიწას: მსუბუქი ორთქლი ასდის, თითქოს სუნთქავს და ამ სუნთქვას მოჰყვება ახლად ამოსული ბალახის, ძველი თივის, კარგად გაშლილი კვრტის და ტყავგაცილილი თხილის შტოს სურნელი.

მდიდარია კახეთის მუქმწვანე ბაღები, საამო სანახავია ალაზნის ველი ზემოდან, კეალუცი და მიმზიდველია იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს დაკრიალებული მწვანე ეზოები და თითქოს საგანგებოდ ფოთლებდაწმენდილი ხეები და ბუჩქები, ზღაპრულია აფხაზეთისა და აჭარის საზღვიმოდ შემართული და ლურჯი ზღვის ლაქვადრით გადისკროვებული სიმწვანე... მაგრამ, ხალხო, ამ ვითომ პირქუშ და ნაღვლიან ქართლის ბუნებასაც აქვს თავისებური ანდამატი!

საქონლის ჩლიქებით აჩორკნილი ბილიკი წყაროსთან მიგიყვანს. წყარო შემინებულა უხეში და უსწორმასწორო ლოდებით. ისეა შედუღბებული, კდევ ათას წელს გაუძლებს. წყალი ეანგვიანი რკინის უბრალო ღარზე გადმოსჩქეფს, მაგრამ რა წყალია! თავზე ერთი მუხა ადგას მხოლოდ, ერთი გაბარდნილი მუხა, მაგრამ რა მუხაა! ცულს ვერ ჩაარკობ მის გასალკდევებულ ტანში და ხერხს აისხლეს მისი გაქვავებული ქერქი. ძუნწია აქაური სილამაზე, ხრიოკია ატალახებული ქედები, მაგრამ გამძლეა, ადვილად გადამტანი მკაცრი ზამთრისა და ცხელი ზაფხულისა. თავმოწონებისათვის მას არ სცალია, ნაღვლია და მყარი ქართლელი გლეხივით, რომლის უხეში ფარაჯა, ამ ქედების ფერი, ისევეა შეხამებული ბუნებასთან, როგორც იმავე ფერის ქვის მყარად ნა-

შენი სახლი, ამ წყაროს ჩამკვრივებულ კედელი და ეს უბერებელი მუხა, მოზრდილი ხისტოლა ფესვებით რომ ჩაბლაუჭებია რუხ მიწას და საუკუნეებში იცქირება...

დათო ფიქრებიდან გამოერკვა.

— ფილო, პა, ფილო! — გაისმა ეზოდან ქალის გაკაპასებული ხმა. — სად დამეკარგე, ბიჭო, ა? ფილოოო!

— მოვდივარ, დედი! — ექვსი-შვიდი წლის ბიჭი ბუჩქებიდან გამოძვრა და ეზოსკენ გაექანა. ლურჯი პერანგი ეცვა, შარვალი კოჭებზე სცემდა, შიშველი ფეხები ტალახში ამოსვროდა.

დაბალ ღობეზე თავწაყრული ქალის მზემოკიდებული სახე გამოჩნდა. ბიჭი შედგა და ქალს მიაჩერდა.

— რა ჰქენ, ძროხა იქ წაიყვა, სადაც გითხარ?

— წაიყვანე, მაშ რას ვიზამდი!

— აპა, კოკით წყალი მიიტა!..

ქალის თავი ჩაიმალა, მერე ისევ გამოჩნდა და დაეარწაებულმა ხელებმა ბიქს მოზრდილი კოკა ღობეზე გადმოაწოდა. ბიჭმა კოკა ჩაბლუჯა, წყაროსკენ გაემართა და ახალა დაინახა დათო.

— ვინ გინდათ? — უმაღლვე პირდაპირ შეეკითხა და კოკა ბალახზე დაუშვა.

— ვინ უნდა მინდოდეს? გზას ვადგივარ, კიკეთში მივდივარ, — დათოს ბიჭი მოეწონა, შავ თვალებს რომ უბრიალებდა.

— კიკეთშიი? — გააგრძელა ბიჭმა, კოკას ხელები დასტაცა და წყაროსკენ გაეჩქარა. დათოც იქით გაემართა.

— რა გინდა კიკეთში, ა? — ჰკითხა ბიჭმა, როცა სავსე კოკა მიწაზე დადგა და სველი ხელები შარვალზე შეიმშრალა.

— საქმე მაქვს. ამ კოკას როგორ წაათრევ, ბიჭო, არ გემძიმება? მოიცა, მოგეხმარები...

ბიჭმა უსიტყვოდ ჩაიცინა, ტარს ორევე ხელი ჩაავლო, მძიმე კოკა აზიდა. მუცელზე მიიხუტა და სირბილით წავიდა სახლისკენ. დათოს უნებურად გაე-

ცინა — მოეჩვენა, რომ კიანკველა თავისოდენა ტვირთს მიათრევდა. ქვაზე ჩამოძვარდა ელოდა.

ბიჭი მალევე მობრუნდა.

— ფილო გქვია არა შენ? — შეეკითხა დათო და იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო. ფეხებთან წითელჭვრიან სანიტრის ჩანთა ელო.

ბიჭი შიშველი ფეხის ცერით ბილიკზე ნაჩლიქარს ჩიჩქნიდა, გვერდზე იყურებოდა და არ პასუხობდა.

— ბიჭო, ფილო, მიპასუხე!

ბიჭმა თავი ასწია.

— რად მილიხარ კიკეთში?

— ხომ გითხარი, საქმე მაქვს.

— შენ რა გქვია?

— მე დათო მქვია. მამაშენი სადაა,

ფილო?

— სად იქნება? ჯარშია...

— იბრძვის?

— ჰო.

— და-ძმა გყავს?

— არა მყვანან...

— აბა შენ უვლი ოჯახს?

— მე რათა. დედაჩემი.

— მამის წერილები მოდის?

— მოდიოდა. წავალ, ძროხას დავხედავ, — ეს თქვა ფილომ და ადგილიდან მოწყდა. დათომ თვალი გააყოლა და გაიცინა.

აქედან უკეთ სჩანდა ყაყაჩოთი მოჩითული ველი. ერთხან უყურა დათომ, მერე წყაროს წყალი პეშვით დალია, მუხას ხელი შეავლო, სანიტრის ჩანთა ზურგზე მოიგდო და უკვე ააიციხულ გზას დაადგა. ფილო ბუჩქებიდან უთვალთვალებდა...

სალამოს, კიკეთიდან რომ დაბრუნდა, კვლავ წყაროსთან ჩამოჯდა. კმაყოფილი იყო დათო: კიკეთში მდგარი ხის კორპუსები კარგად დაათვალიერა, ჰოსპიტლის ფილიალად გამოდგებოდა ზაფხულში. ნაწილის ექიმსაც ესაუბრა და დიმიტრი ჭიშკარიანის წერილიც გადასცა.

სიცხე გადასული იყო. ყაყაჩოები კვლავ ქანაობდნენ მცირე მწვანე ველ-

ზე და ჩამავალი მზე მოწითალო შუქს ჰფენდა ახლობელ ქედებს.

— იყავი კიკეთში?! — უეცრად მოესმა უცნიდან ხმა და შეტრიალდა.

— ვიყავ, მამ! — წყნეთურადვე უპასუხა დათომ და ქვაზე მიიწია. — მოდი, ჩამოჯექი, ფილო. მიახმე, დღეს რა გააკეთე?

ფილო აღარ გაურბოდა. ძველი ნაცნობივით ჩამოუჯდა გვერდით და უამბო, როგორ მწყემსავდა ძროხას, როგორ დააპო შეშა, როგორ უზიდავდა დედას წყალს სარეცხისათვის — „შვილი კოკა მივუტანე!“

დილით, დათო რომ დაინახა, გული შეუხტა — მამის ამბავის მომტანი ეგონა. კიკეთი რომ გაიგონა, მიხვდა, რომ შეცდა.

არა, ჯერ სკოლაში არ დადის ფილო. მხოლოდ დედას ეხმარება. შემოდგომიდან ივლის.

რამდენი თვეა, მამის წერილს ელოდებიან — „არ მოდის და არ მოდის!“

განა მარტონი არიან ის და დედა? — წყნეთში ცხოვრობენ დეიდასა და მამიდას ოჯახები (მათი ქმრებიც „იქ“ არიან). პაპაცა ჰყავს, მამ! ბრიგადირია. დედას თბილისში დააქვს მაწონი ქილებით.

არა, სახედარი არა ჰყავთ, დედას ჩანთებით დააქვს. ზოგჯერ ფილოსაც წაიყვანს ზოლმე. ვაკე და ვერაა მათი სავაჭრო უბანი.

არა, სოლოლაკში ჯერ არ ყოფილა, იქ ოქროყანელები ჰყიდიან. არც პლენანოვზე და არც კამოს ქუჩაზე. თუ იქ მოხვდა, აუცილებლად ინახულებს დათოს.

წერა-კითხვა ჯერ არ იცის, ვინ ასწავლიდა? ერთი დაქანებული ხანჩალი აქვს მხოლოდ. და მამის ქუდი, ზამთარში რომ იხურავს.

— ფილო, მგელი არ იცის აქ ზამთარში, მგლის არ გეშინია?

თენგიზ ბუაჩიძე

ზაზა ბაგვაშვილი

— მეგელი არა! ტურა იცის, ტურები ტირიან ხოლმე ღამ-ღამობით...

— აჰა, შენ, გჩუქნი, ხელები არ დაიჭრა ოღონდ, — დათომ ჭიბიდან ხისტარიანი ჭაყვა-დანა ამოიღო და გაუწოდა. ფიდოს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ ხელები უკან დამალა.

— მართლა მჩუქნი?!

— მართლა, ფილო, აილე, ტყუილი რა საყადრისია? მოიცა, ვნახოთ. აქ რა მაქვს? — დათომ სანიტრის აბგა გახსნა და ორი დამრგვალებული სახვეწი ამოიღო. — აჰა, დედაშენს მიეცე.

— ბინტი? ბინტი რად გვინდა?

— რძეს გაწურავთ. დედაშენი გამოიყენებს. სუფთაა, უხმარია.

— კარგი, მომეცი. — უპასუხა ფიდომ, ჭაყვა-დანა კბილებით დაიჭირა (შარველს ჭიბუები არ ჰქონდა!) და სახვეწები ჩაბღუჯა.

— მოხვალ ჩემთან ქალაქში?

პირში ჭაყვაგაჩრილმა ფიდომ თავი სამჯერ მოწვევებით დაუქნია და დაუმშვიდობებლად გაჰტურცხლა შინისკენ...

დათო რომ ბაგებში სირბილით ჩავიდა, ოდნავ შეღამებული იყო. ვაკის ახალ სასაფლაოდან შოსანი კირისფრები გამოდიოდნენ. ქალაქში შესამჩნევად ცხელოდა, მაგრამ აქ, ვაკის ამ გაშლილ ადგილს, წყნეთის ნიაფი კიდევ სწევდებოდა.

მიდიოდა დათო და ფიქრობდა პატარა ფილოების ბედზე, ომმა რომ მამები წაართვა და ბავშვობიდანვე ცხოვრების ჰაპანწვეტაში ჩააბა. მიაბიჯებდა და ფიქრობდა: ფილო რომ კაცი დადგება, მშრომელი იქნება. ერთგული და იმ მუხასავით გამძღს, წყაროს თავზე რომ შრიალებს და ყაყაჩოებით მოფენილ მწვანე ველს გადაჰყურებს.

ყაყაჩოსავით ჰყვოდა ალბათ ფიდოს შავწითელი ბავშვობის ყვავილი.

კოშხარი

ღრმა ძილშია ამხანაგი სიმონი.

არა, ძილში კი არა, ცხადშია, მშვიდად ზის სკამზე, რაღაც ხმაური მოეს-

მა. გაიხედა — დარბაზშია. დარბაზი სავსეა ხალხით, ზოგი მასზე უთითებს. ერთმანეთს ესაუბრებიან და უთითებენ. იქნებ სხვაზე? გაიხედ-გამოიხედა, გვერდზე მართლაც ორი კაცი უდგას. დააკვირდა, ვინ არიან? ხედავ, მილიციელის ფორმა აცვიათ! რატომ დგანან, ვის იცავენ, ვის ყარაულობენ? მე? რადა, რა მოხდა? ჩვენი წყობილება აღარ არსებობს? მე აქ რა მინდა, მე იქ უნდა ვიყო, დარბაზში! წამოხტა ამხანაგი სიმონი, მაგრამ ვერ დაიძრა — რა ზღედა? მგონი სიზმარში ვარ! — ფეხი არ დაემორჩილა, ფეხსაცმელი იატაკზეა თითქოს მისმსკვალულ-მიწებებულზე. ადგილზე გადაქანდა-გაღმოქანდა და ისევ დაჯდა. ყურადღებას აღარავინ აქცევს. იქნებ რაიმე შეცდომაა? შეცდომა იქნება! ვილაცის ხმა ესმის. რაღაცას გაცხარებით ამბობს ვილაც, სადაა, სად დგას, საიდან ლაპარაკობს? ხმა კი ნაცნობია, მეტად ნაცნობი, რომ ვერ იხსენებს? აბა ყური დავეუგლო. აჰა, თურმე ჰაერში დგას, ფეხით იატაკს არ ეხება. როგორ დგას ჰაერში ჩამოკიდებულ-ვით? რაო, რაო?

— აქ გამოსული ამხანაგი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი, რაღაც უცნაურს ამბობს მოქალაქე გაბგაბის. მე არ ვგულისხმობ პურის მალაზიაში მის საქმიანობას, იქ გამოვლენილი რაღაც მაქინაციების თავსა და მიზეზს. ეს სხვა საქმეა. მე ვეხები მხოლოდ ერთ უცნაურ ბრალდებას. არა, აქ პირდაპირ არ თქმულა, რომ იმ ძველ ტრაგედიაში (რაღა დროს ამაზე ლაპარაკია?) ბრალი სწორედ მოქალაქე გაბგაბის მიუძღვის. პირდაპირ არ განუცხადებიათ, მაგრამ საკმაოდ ნათლად, გამგებისტვის გასაგებად, ისეთ ამბავში დაადანაშაულეს ბრალდებულის სკამზე შემთხვევით, სულ სხვა საქმის გამო. მოხვედრილი პატროსანი ადამიანი...

რას მამბობენ? ვინ მამბობს? რა უნდათ ჩემგან?

— რომ მე, საზოგადოებრივმა დამცველმა, ახლა რომ არაფერი ვთქვა, მართალი კაცის სიმართლე გასაგებად,

ყოველგვარ მიკიბულ-მოკიბულის გა-
რეშე რომ არ დაემატკიცო, მართლაც
დამნაშავედ გამოჩნდება, ვიღაც მართ-
ლა იფიქრებს, რომ ბრალიანი კაცია და
მის უმწიკვლო იდეურ ცხოვრებას, საქ-
მისთვის თავდადებას ჩრდილი მიადგე-
ბა და ჩირქი მოეცემა, ხოლო მისი
მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დამ-
ძიმდება. მაგრამ მხოლოდ მასზე რომ
ყოფილიყო საუბარი, შეიძლება არც
გამოვსულიყავი, არაფერი მეტქვა, რა-
დგან გამართლების უბრალო ცდაც ზო-
გჯერ თითქოს თავისთავად გულისხ-
მობს დანაშაულს, და რაკი თავის მარ-
თლება დასჭირდა, თითქოს მართლაც
ყოფილიყოს დამნაშავე იმ ძველ საქ-
მეში...

რა არეულად ლაპარაკობს ეს კაცი?
რას მამბრალეობენ, მერედა, ვინ მამბრა-
ლებს? მაჩვენეთ ერთი, დამანახეთ! რა
უნდათ ჩემგან? ეს ოფლი შევიწრო,
ღვარად რომ ჩამომდის ამ დახუთულ
დარბაზში... აბა კარგად დავინახო, რომ-
მელი მამბრალეებს!.. არა, ნამდვილად რა-
ლაც შეცდომაა, შეცდომა! იქნებ ქვე-
ყანა გადაბრუნდა?..

— ვიმეორებ, მე არ ვეხები პურის
მალაზიის საქმეს, რადგან ეს საქმეც იმ-
დენად ხანდაზმულია...

ხანდაზმულია! ხანდაზმულია! ხანდა-
ზმულია! მგონი გადავჩრდი...

— რომ არავითარი მნიშვნელობა არა
აქვს. მე სხვაზე ვამბობ და ვილაპარაკე-
ბ. დიახ, თითქოს მართლაც ყოფილა
იმგვარი რალაც გარემოება, რომელიც,
ზოგიერთთა სუბიექტური აზრით და
არა კანონის მიხედვით, სხვაგვარ ქმე-
დებას მოითხოვდა, ვიდრე მოქალაქე
გაბგაბია სიმონი მოქცეულა მაშინ, დი-
ლი ხნის წინათ და, მაშასადამე, რაკი
ახლა თავს იმართლებს, ოდესღაც მარ-
თლაც აღუძრავს ეკვი, რომ სწორად
ვერ მოქცეულა...

მე? მე, კაცო? ყოველთვის სწორად
არ ვიქცეოდი? ყოველთვის ერთგული
არ ვიყავი? ველარაფერს ვხედავ,
თვალთ მიბნელებდა, შუქი ჩაქრა თუ
სხვაგან მოვხვდი სადმე? აქ რა მინდა?

აქ რა მინდა? გამიშვით, გამანთავი-
სუფლეთ, სული მეხუთება!..

— არა, მოქალაქენო და მოსამართ-
ლენო, მხოლოდ მას რომ ეხებოდეს ყო-
ველივე, რაც აქ ითქვა ან რაც ნათქვა-
მში იგულისხმებოდა, სიტყვასაც არ ამ-
ოვილებდი, მის გამართლებას არ დავი-
წყებდი და ჩემი ღუმლიც იმის დამა-
მტკიცებელი იქნებოდა, რომ აქ ნათქ-
ვამი თუ ნაგულისხმები მოქალაქე გაბ-
გაბიას არ ეხება და თავის მართლებაც
არაფერში სჭირდება, არ ვგულისხმობ
რა პურის მალაზიის ხანდაზმულ საქ-
მეს...

რა პურის მალაზია, რა საქმე? რა
დანაშაულია ის, რომ მორჩენილ (მორ-
ჩენილ, გესმით!) პურს არ ვაობებ, მი-
მაქვს და... ზოგიერთ მეზობლებსაც ვე-
ხმარები... განა ახლა, ამ გაგანია ომში,
ყველას არ უჭირს? ჰოდა, მეც მიჭირს...
არა, აქ რალაც სხვაა, რალაც სხვაა, რა-
ლაც სხვაა! ნუთუ აღარ არსებობს ჩვენი
ხელისუფლება? მაგრამ ნაცნობ სახეებს
რომ ვხედავ? რა მოხდა, რა ხდება,
ხალხო?!

— ათი წელია, ომი დამთავრდა და
რა დროს ძველის გახსენებაა? მაგრამ აქ
გაგონილის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც
აქ ითქვა თუ ნათქვამში იგულისხმე-
ბოდა, უკვე სხვა ვალდებულებას ვგუ-
ლისხმობ, რადგან ნათქვამი მხოლოდ
მას არ ეხება, რადგან იგულისხმება იმ
თაობის ზოგიერთი, საერთო საქმისათ-
ვის თავდადებული, წარმომადგენელი,
ის დრო, და იმდენად ვარ იძულებული
გამოვიდე და მოქალაქე გაბგაბიას სი-
წმინდე და სისწორე დავამტკიცო, რამ-
დენადაც მეც იმ დროის, იმ თაობის კა-
ცი ვარ, რომელმაც მართლაც ისტო-
რიული როლი შეასრულა...

ეს მართალია! ეს მართალია!

— სახელმწიფოს განმტკიცების...

მართალია, სახელმწიფოს დამტკიცე-
ბლით!

თენგიზ ზააჩიძე
ზაა გავეშვოგისაჲნ

— და ხალხის იდეური წმენდა-შეკავ-
შირების საქმეში!

ესეც მართალია! იდეურად ვწმენდ-
დით და იდეურად ვამჭიდროვებდით! რას
ხმაურობს ეს დარბაზი? სწორი თქვა
ამხანაგმა, სწორი!

— დიახ, დიახ, იდეურად... რა წამო-
ძახილებია ეს, რას ნიშნავს — ვის ხა-
რჯზე? ტყეს რომ სჭრიან, ნაფოტები
სცვივა, დიახ, ნაფოტები... დამაცადეთ
ლაპარაკი, მე მაქვს უფლება... იმ დროს
ვეკუთვნი მეც და ზოგიერთი თქვენგა-
ნიც... ნუ ხმაურობთ, გთხოვთ, დამა-
ცადოთ... დიახ, მათი გამმართლებელი
ვარ და მათ სიწმინდეს და ერთგულებას
ვიცავ. ეს ახლა მეტად მძიმე ტვირთია,
მძიმეზე უმძიმესი, რთულზე ურთულე-
სი. მინდა დავადასტურო, რომ მოქალა-
ქე გაბგაბია სიმონი იმიტაც ამაყობს...

რას ამბობს, რით ვამაყობ? მე არა-
ფრთხილად არ ვამაყობ, ერთი უბრალო
რიგითი ჯარისკაცი ვარ...

— და, ეს თქვენ კარგად იცით, რომ
არასოდეს, მთელი შეგნებული ცხოვ-
რების მანძილზე, უსამართლობა არ
ჩაუდენია...

მართალია, სწორია! ამით ვამაყობ...

— მუდამ მტკიცე და სპეტაკი ყო-
ფილა...

სწორია, სწორია, სპეტაკი ვარ!

— ცხადია, იმდენად, რამდენადაც ეს
შესაძლებელია ჩვენს რთულ ცხოვრე-
ბაში...

რად ახმაურობენ, რად ყვირიან, რას
გაიძახიან, რა უნდათ? ეს აღმაშფოთე-
ბელია! ეს უმსგავსოებაა! სადაა ამხანა-
გი თავმჯდომარე? უყურო ამით! აფსუსს,
რომ... აჰა, აგერ თავმჯდომარეც, ზარს
აწკრილებს. მაინც არაფერი ისმის. გა-
მაგებინეთ, ეს კაცი მართალს ამბობს!..

— ...მატულობს, რადგან თაობა, რო-
მელზედაც ლაპარაკია, თითქმის სულ
გადავიდა, თითქმის სულ საფლავშია,
ცოცხალი თითქმის არავინ დარჩენილა...
დიახ, უმეტესნი იმ თაობიდან საფლავ-
ში წვანან, ისინი, ვინც ბრალდებულის
სკამზე შემთხვევით, სხვა საქმის გამო,
მოხვედრილი მოქალაქე გაბგაბიას სუ-

ლისა და ცხოვრების ახლო მეგობრები
იყვნენ. და ზოგიერთი მათგანის უსაფუ-
ძვლო დაბეზლებას აბრალებენ! მათ ვე-
რაგულ გაყიდვას აბრალებენ! მერედა,
ვის? ამ საწყალს? მერედა, სად? აქ, ამ
დარბაზში, სადაც შეიძლება მათი უკე-
დავი და უმანკო სულიც ტრიალებს?..

რა ხმაური ატყდა ისევ! რა უნდათ
ნეტაც? ღმერთო, მიშველე...

— დამაცადეთ... აქ ვილაც აცხადებს
ან ნათქვამში გულისხმობს, რომ მოქა-
ლაქე გაბგაბია, სწორედ გაბგაბია სი-
მონი, იყო დამნაშავე, რომ ზოგიერთი
იმათგანი ასე უდროოდ, უდანაშაულოდ
და უღვთოდ წავიდა ამა ცხოვრებიდან!
თითქმის იგი, მოქალაქე გაბგაბია, იყოს
ერთ-ერთი მიზეზი მათი მწარე ხვედ-
რისა! რა შეეძლო ამ ჰიანჭველას, ამ
ბჭერს, ამ საწყალს? არა, მოქალაქენო,
დიახ, მოქალაქენო, შეხედეთ, იგი იწ-
ვენდს მწარე ცრემლს...

მწარეა, მწარე, ოჰ, რა მწარეა!

— ახლა რომ თვალთავან ჩამოსდის...
ჩამომდის, ჩამომდის! ღვარად ჩამო-
მდის, აჰა, შემხედეთ!

— ეს ცრემლი მწარეა იმიტომ, რომ
მისთვის...

ჩემთვის, ჩემთვის! დაუგდეთ ყური,
ნუ ხმაურობთ!

— მარად წმინდა სახელებისა და სა-
ხეების გახსენება მუდამ ცრემლის, მწა-
რე ცრემლის მომგვრელია! ეს ცრემლი
მწარეა უფრო მეტად იმიტომაც, რომ
აქ, სწორედ ამ დარბაზში, ვილაც ბრა-
ლსა სდებს გაბგაბიას, რომ თურმე იგი
თვით ყოფილა თავის კეთილ მეგობარ-
თა, მეზობელთა და ამხანაგთა სიცოცხ-
ლის მომსწრაფებელი, ყელის გამომლა-
ღვრელი, სისხლიანი ჭალათი...

რას ხმაურობს ეს ხალხი, რა უნდათ?
დააცალეთ...

— აუტანელი ბრალდებაა, მომაცდო-
ნებელი ბრალდება! მაგრამ მე გავფა-
ნტავ ამ ბურუსს, უკუვადებ ამ ბრა-
ლდებას, დავამტკიცებ, რომ იმ პატიო-
სან კაცთა, ახლა უკვე ნამდვილად პა-
ტიოსან კაცთა, უდროოდ წასვლა მისი

ბრალი არ არის, მოქალაქენო, სრულიადაც მისი ბრალი არ არის! რა ბრძანეთ? გამაგონეთ! რაო? მის ბინაში ცხოვრობს? ვის ბინაში? აჰა, ერთ-ერთი მათგანის ბინაში! მერე რა, მოქალაქენო, მისცეს და ცხოვრობს. აბა რომელი თქვენგანი არ იცხოვრებდა, რომ მოეცათ?

რატომ გაჩუმდნენ ახლა? რა მოხდა, ვერაფერი გამოვიდა...

— დიახ, ხომ გენიშნათ? მე დავამტკიცებ, რომ მისი ბრალი არ არის, უპირველესად იმიტომ, რომ კაცისმკვლეელი არ ყოფილა, არავინ მოუკლავს, სასაცილოცაა, რომ ვინმემ ამხანაგ სიმონს კაცისმკვლელობა დააბრალოს — ქათამიც კი არ დაუკლავს ამ ხნის კაცს! განა ყველამ არ იცის, რომ მისი სპეტაკი წარსული...

მათალაია!

— მთელი მისი ცხოვრება და...

ქეშმარიტად!

— ყოველი ნაბიჯი უმწიკვლოა, ხალხის საკეთილდღეოდ წარმართული... ოლონდაც!

— კაცაც არ მოუკლავს, ვამბობ და ვამტკიცებ. ამის საწინააღმდეგო არავითარი იურიდიული საბუთი არ არსებობს. მაგრამ იქნებ უნებურად, შეუგნებლად გახდა მიზეზი მოქალაქე გაბგავია ვინმეს დაღუპვისა? არა და არა, არა და არა!..

არა და არა, არა და არა! არასოდეს! სგონი გადავრჩიო...

— ვერავინ, ვერავინ ამჭევყნად ვერ დაამტკიცებს ამგვარს. არ არსებობს სულიერი, რომ ეს ფაქტებით დაამტკიცოს. არ არის ამგვარი ფაქტები და არც არასოდეს იქნება! არ დავიწყებ მოქალაქე გაბგავია სიმონის სიმართლის ფაქტობრივ მტკიცებას, რადგან ქვეყნად არავინ დარჩა, ესე იგი, არავინ არის, მისი დანაშაულის დამტკიცება რომ ფაქტებით შეეძლოს, ვიმეორებ, არავინ, არავინ არის, რომ... რაო? განცხადებები? რა განცხადებები? რა ბეზღებანი?.. მაცალეთ ცოტა ხანს, ორიო-

დე წუთს... რა მოხდა, რა გაყვირებთ? ხალხო, ამხანაგო თავმჯდომარე!...

ალარაფერი ისმის. რა დაემართათ, ასე რამ ააღელვათ? ფეხები ააბრაგუნეს, სკამები ააბრაგუნეს! გამაგებინეთ, გამაგებინეთ! ჩემკენ მოდიან გაპარკყული თითებით, ყელში მიჭერენ... ვაიმე, მიშველეთ, მიშველეთ! ყველაფერს ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი... მიშველეთ, ვიგუდები, ვიხრჩობი... ხრრრ! ხრრრ!..

— სიმონ, სიმონ, კაცო! რა გემართება, ნუ გადაგვრიცხ... გაიღვიძე!

ამხანაგი სიმონი დაფეთებული წამოვარდა. ბნელი ღამეა, ცოლის საწოლთან ძლივს ბეუტავს ლურჯი ნათურა, ბარგალიტას ხალათი გადაუცვამს, თმა აბურძნვია, სიმონის ლოგინთან დგას და აკანკალებული შეჭყურებს ქმარს გადმოკარკულ თვალებში.

— სიმონ, რა იყო, თქვი, რას გამოიხეტე გული?!

— არაფერი, რალაც დამესიზმრა, რალაც მომეჩვენა, რალაც მომელანდა... ლამის დავიღუპე... ჰა? ბიკს ძინავს? ჰო, არაფერი... დაწეკი, დიძინე, რას დამდგომიხარ თავზე ჯალათივით? მომცილდი!.. არა, ცოტა ფანჯარა გამოაღე, სული მეგუთება ამ სიცხეში... ა? დაწეკი, ჰო, დაწეკი, გამივლის, გამივლის, — ბუტბუტებს აბნეულად სიმონი და მძიმედ, ოხვრითა და ქშენით ეშვება საწოლის კიდეზე, თავს ხელედაში რავს და შემაშფოთებლად ყუჩდება.

უცნაურია აი?..

ეკლავ დათოს ფიქრები უფროსებზე: განა მართლა უცნაური ხალხია ეს უფროსები!

არცთუ ადვილი ყოფილა ქვეყნად ცხოვრება და არცთუ მართლა ართულებენ ამ ცხოვრებას ისინი.

განა მართლა ვერ დატეულან თავის თავში და ვერ ისვენებენ?

არა, უბრალოდ, ცხოვრების შინაარსს,

თანგიზო ზუაჩიძე

ბზა ბავშვმედიკოსი

ადამიანის მოქმედება შეადგენს თურმე, და ყველა მოქმედებს ხასიათისა და გარემოების მიხედვით. აღმოვაჩინე დიდი ხნის წინათ აღმოჩენილი: ადამიანის არსებობის ფორმაც და შინაარსიც მოქმედება ყოფილა, სულ ერთია, როგორი — შინაგანი, გარეგანი, მოძრაობა თუ უძრაობა (უძრაობაც ხომ მოქმედების ფორმაა?...).

ამიტომ სრულიადაც არ უნდა გამკვირვებოდა იმ საუბრის შემდეგ საწყალი ბაბუს სოფლად დაბრუნება და მისი იქ ყოფნის თითქმის უცნაური ხასიათი. საჭირო ყოფილა უფრო ღრმად ჩაწვდომა, ვიდრე ეს პატარა ბიჭს შესძლებია, და წელთა მატებასთან ერთად იზრდება მოვლენათა უფრო ღრმად წვდომის უნარიც. მართალია, ეს ალბათ დიდი აღმოჩენა არ არის, მაგრამ იმის დასტურია, რომ ჩემი ზრდა-განვითარება შეუცნობლად არ მიმდინარეობს და ზოგჯერ თვითვე ვამჩნევ მოულოდნელ თუ მოსალოდნელ სხვაობას.

როცა, ვთქვათ, რაღაც გარემოება ვეღარ ავმაყოფილებს სულის მოთხოვნას, ალბათ ბუნებრივია უკან მიბრუნება და იმ წარსულში ცხოვრება, რომელიც მეხსიერებას მხოლოდ კარგი სახით შემორჩენია. თუმცა, სინამდვილეში, ის წარსული ისეთივე წინააღმდეგობათა შემცველი უნდა ყოფილიყო, როგორც ყველა სხვა დრო, ცალკე აღებული ან უწყვეტად წარმოდგენილი.

ადამიანის მეხსიერებას ჰქონია იმგვარი თვისება, რომ წარსულის ზოგიერთ ამბავს მხოლოდ სასურველი სახით იხსენებს და ყოველ არასასურველს ივიწყებს. აქედან ჩემთვის მოულოდნელი დასკვნა გამომავს, რომ ადამიანი თავს ბედნიერად მხოლოდ წარსულში გრძნობს. რადგან აწმყოს წინააღმდეგობათა იმგვარი სირთულე ახლავს, რომ მისი აღქმა ბედნიერ ყოფად აღამიანს. ჩვეულებრივ, არ ძალუძს (ასე დაემართა ბაბუს). ცხადია, ამ მოვლენას არ ვანიჭებ შეუვალ კანონის ძალას (ეს ხომ ყველას არ ეხება), მაგ-

რამ, ვფიქრობ, გამონაკლისებიც მისი დამადასტურებელი იქნება.

ასეა თუ ისე, ერთი შეხედვით უცნაური უფროსების ყოველ ნაბიჯს, მოქმედებას თუ უმოქმედობას შეიძლება მოეძებნოს ახსნა.

არც ის უნდა გამკვირვებოდა, რომ ჩემი ბებოც (და მარინეს ბებოც) ვერ ისვენებდა, ამოჩემებული ჰქონდა, თვით ამხანაგ სტალინამდე მივალწევ და სამართალს ვიპოვიო. მას ამოძრავებდა მხოლოდ სამართლიანობის რწმენა. რადგან, თუ ადამიანს მოეკსო სამართლიანის უსამართლობზე გამარჯვების ზოგადი რწმენა მაინც, იგი ვერ იარსებებს როგორც სრულყოფილი (ამაში „ნორმალურს“ ვგულისხმობ) ადამიანი.

ახლა ჩემთვის აღვილი ასახსნელია დედის „კონფლიქტური ხასიათიც“. მთავარი ისაა, რომ მისი პიროვნების დაუძლეველი ბუნების გამო დედა, მაგალითად, ყოველთვის ხმაძალა ამბობს იმას, რასაც სხვები ხმადაბლა, ვიწრო წრეში, ჩუმად და თავისთვის იტყვიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თვისება კონფლიქტების, უსამოვნების, დამაბუღლობის წარმოშობია, იგი უნდა ჩაითვალოს ადამიანის ერთ-ერთ საუცხოო თვისებად (თუმცა მახსოვს რუსთაველის გამაფრთხილებელი, ოღონდ პრაქტიკულად ძნელად შესასრულებელი, შეგონება: „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავების“).

დედას ამოძრავებს არა თვითდამკვიდრების, არა თავის გამოჩენის (ამაზე იგი არ დაფიქრდება არც ერთ წამს), არამედ საზოგადო სარგებლობის სურვილი, ამრიგად, ადამიანი ვერც მაშინ დარჩება სრულყოფილ („ნორმალურ“) ადამიანად, თუ მას დაეკარგა ზოგადი რწმენა მაინც, რომ საზოგადოდ სასარგებლოდ, როგორც წესი, უნდა გადასძლიოს პირადს.

გაწონასწორების იდეა. ახლა უკვე მივხვდი, რომ გამოგონილი იდეაა. რამდენიც არ ვეცადე შემემოწმებინა, არ-

აფერი გამოვიდა. ჭერ ავიღე ათი წლის დროის მონაკვეთი. შემდეგ — ოცი წლის. შემდეგ — ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. უშედეგოდ. რაც ფაქტებით არ დამტკიცდება, უნდა უარყო, ამოი წყლის ნაყვია. მართალია, როგორც სოლომონ მასწავლებელი გვეუბნებოდა, ჭერ ადამიანი შორსაა ბუნების ყველა არსებული კანონის ჩაწვდომა-ამოხსნისაგან, რომ კიდევ იქნება აღმოჩენანი და საოცარი აღმოჩენანიც, მაგრამ მთავარი, ძირითადი კანონები თითქმის ცნობილია.

შესაძლებელია, არსებობენ სხვა სამყაროები, სადაც სხვა კანონები მოქმედებენ. მაგრამ ჩვენი სამყაროს ბუნება რომ სრულიად გულგრილია ადამიანის ბედის, ყოფისა და არსებობის მიმართ, მგონი დიდ მტკიცებას არ საჭიროებს.

და რადგან ბუნების გარეშე არავითარი სხვა ძალა არ არსებობს, გაწონასწორების იდეაც მცდარია.

მაგრამ ამ იდეის ერთი რგოლი მაინც განსახილველია, ოღონდ გამარტივებული სახით. ესაა, მაგალითად, მარინეს მიერ უბრალოდ გამოხატული: „იქნებ, იქნებ მომავალში განათდება“. შეიძლება ამას არც თუ დიდი ნათელი კავშირი აქვს „გაწონასწორების იდეასთან“, მაგრამ შინაგანად რომ მსგავსია, ნათელია. ყოველ შემთხვევაში, სურვილი და მისწრაფება, და რაც მთავარია, რწმენა და იმედი არსებობს, რომ ამგვარი ყოფა არაბუნებრივი, დაუმსახურებელია და მომავალში იგი რალაცნაირად უნდა „გაწონასწორდეს“.

ამას მოითხოვს ადამიანის შინაგანი არსი, „ნორმალურობას“ რომ ესწრაფვის. მარინესათვის დამახასიათებელი ერთგვარი „სიმეტრიულობისადმი“ და „პარამონიულობისადმი“ „მიდრეკილება“ და მისწრაფებათა ალბათ ბევრისთვის თანდაყოლილი, „მარადიული“ თვისებაა...

დავუბრუნდეთ დღევანდელს: იჭურება ეს წელიწადი, მძიმე წელიწადი...

წლინახევრის წინათ დაიწყო ომი. გა-

ისად სწავლას ვამთავრებ, ომის ზუსტად ორი წლის თავზე.

დღეა იბრძვის საქმისათვის, ორივე ბეზო მიწას ებრძვის, მარინე მძიმედ განიცდის დედის სიკვდილს და ებრძვის სიმარტოვეს.

შეუძლებელია, ეს ომი რომ ჩვენი გამარჯვებით არ დამთავრდეს. მასაც ხომ თავისი კანონები აქვს და მალე უნდა დაიწყოს გარდატეხა.

რწმენა და მოქმედება, არავითარი წუწუნი! ყველაფერი კარგად უნდა იყოს, ყველაფერი კარგად უნდა „გაწონასწორდეს“.

ხოლო უცნაურ ხალხზე ვიტყვი, რომ მეც ამ „უცნაურთა“ რიგებში შევდივარ. და მწამს, არაფერი უცნაური ამკვეყნად არ ხდება. ყველა ადამიანის მოქმედების ახსნა შეიძლება, ახსნა. მაგრამ არა გამართლება!

შეუძლებელია დღევანდლობის საერთო დინებამ ყველა არ ჩაითრიოს, ეს დინება კი უძლეველია...

ჩაბრია მიდის

დილის შვიდ საათზე პატარა ორთქლ-მაგალმა ჭიათურის სადგურს მიაკვლა. ჭერ კიდევ ბნელოდა. როცა ჩაბრია ეპგონის საფეხურიდან ჩამოხტა, მცირე ქალაქური საჩუქრებით და სახატავი ქალღმერთი გატენილი ნაჭრის ჩანთა ზურგზე გადაიგდო, ხიდი გადაიარა და აღმართს აუყვია.

მაღალი ქედი ზედ შუა ქალაქზე მოხვენილა, ქედზე ვიწრო საურმე გზა ადის. მაგრამ ახლა გზა სადღა ჩანს — თოვს და დუფარავს ყველაფერი. ბორცვი და ხრამი გაუსწორებია, ბარდნის და ბარდნის!

ერთი წამით ჩაბრია შეეყოყმანდა. 31 დეკემბერია. ახალი წლის ღამეს სხვაგან როგორ გავათევო. — გაიფიქრა, მის მოლოდინში მყოფი და-ძმა დაუდგა თვალწინ. სამ ქედს როგორ ვერ გადავალ, მთელი დღე რომ ვიარო, საღამოს

თენგიზ ბუაჩიძე

გზა ბავშვობისაგან

ხომ მაინც მივაღწევ სახლამდო, — გადაწყვიტა, დაკონკილ შარვალზე ქამარი მოიჭირა, დაგლეჯილ „ბათინეებს“ თვალი შეავლო, „ტელეგრაფიკის“ ყველალილი შეიკრა, ქუდი მაგრად ჩამოიფხატა თავზე და გზას დაადგა.

მუხლამდე თოვლში მიაბიჯებს. სანამ მთის ფერდით მიდის, გზა კიდევ ჩანს, მაგრამ ერთ საათში ფართო ზეგანზე რომ შედგა ფეხი ოფლში გახვითქულმა, სიარული მეტად გაჭირდა. მაშინვე დაეძგერა ქარი და თოვლი ცხვირი-პირში შეაყარა. აქა-იქ მწკრივად ჩაირგებული ხეები ჭერ კიდევ უჩვენებენ გზის მიმართულებას, მაგრამ შემდეგ ზეგანზე რომ ხეები აღარ არის?

ისე გათენდა, ვერც შეამჩნია ჩაბრია. იქნებ მზე არც ამოსულა? ირგვლივ მხოლოდ თოვლის ნამქერი ტრიალებს, ცა და თოვლიანი ზეგანი გაერთიანებულია. გაუჭირდა ჩაბრია ზეგნის გადალახვა, ხან იფოფხა, ხან ხეებს, თოვლიდან ამოწვერილ ბუჩქის თავებს ჩაეჭიდა, როგორც იქნა, დაძლია ქარი, ზეგანი გადაიარა და კვლავ მთის ფერდის დაღმართს დაადგა. გზა არც აქ ჩანდა, მაგრამ ჩასცილდა თუ არა დაქანებული ნაპირებს, გზა კვლავ გამოჩნდა და ჩაბრია თავისუფლად ამოისუნთქა.

მიდის ჩაბრია. მიდის და შიმშილზე რომ არ იფიქროს, ფიქრობს თავის პატარა და-ძმაზე, როგორ გაუხარდებათ მისი ჩასვლა, როგორ მიახტებიან და კისერზე მოეკდომიან, რა ყრამულს ატეხენ ბიძაშვილებიც, როგორ გაიღიმებს ნასიამოვნები მამია.

მიდის ჩაბრია და ფიქრობს თავის მშობლებზე — დედა თითქმის არ ახსოვს. პატარა დაიკოს მშობიარობას გადაჰყვა. სამაგიეროდ, მამა კარგად ახსოვს ჩაბრიას. ომში რომ მიდიოდა (მაშინ ფინეთის ომი იყო), მხიარულად ჰიხინებდა და ჰიქას ჰიქაზე სკლიდა. წერილებიც მხიარული მოდიოდა ერთ ხანს, მაგრამ მერე აღარ მოსულა. სამაგიეროდ, ცნობა მოვიდა მამის დაღუპვის შესახებ... და ზრდის მის და-ძმას მამია ბიძია, მშრომელი და კეთილი კაცი,

ჩაბრიასაც ეხმარება, რითაც შეუძლია.

მიდის ჩაბრია და ფიქრობს დათოზე და მარინეზე, ოთარსა და მარკლენზე. მასწავლებლებსა და სკოლას. სკოლას რომ დაამთავრებს, სამხატვროზე შევა, სხვას ვერაფერს აირჩევს, ხატვის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია.

სად შევა მარინე? ალბათ უნივერსიტეტში, ფილოლოგიურზე. მისი მოწოდება ლიტერატურაა. მარინეს ერთი ლექსი ჩაბრიადაც იცის. როგორაა? „მე ძლიერ მიყვარს ჩემი თბილისი და მიხარია, რომ ქართველი ვარ“. შემდეგ აღარ ახსოვს. ეს სტრიქონები ჩარჩა მაშინ გონებაში და ხშირად იმეორებს ხოლმე. მოიცა, კიდევ ახსოვს ერთი! იმაზე, რა ჰქვია, ქუროთებზე, არა ქუროთის ქალის კაბაზე. აბა გავიხსენო — „მე ბავშვობისას მომწონებია ჭრელი კაბები თვალშავა ქუროთის...“ მერე? „თვალშავა ქუროთის...“ არა, არ ახსოვს. რა უბედურებაა მის თავს, ლექსს ვერ იმახსოვრებს, მარინეს ლექსს! სკოლაში ხომ სულ გაუჭირეს საქმე მასწავლებლებმა! აბა ხატვაში შეეჩიბრონ და ენახოთ...

დათო? დათო რას იზამს სკოლის შემდეგ? კაცმა არ იცის. ახლაც ფრონტზე მიუწევს გული. მაგრამ ომი რომ დამთავრდება, მაშინ? რალაც დიდი კაცი უნდა გამოვიდეს, რალაცის თავმჯდომარე, რალაცის მდივანი. მისი მოწოდება ხელმძღვანელობაა. თუ ომი არ გათავდა, ფრონტზე წავა, წავა და ისე იბრძოლებს, როგორც ეკადრება.

მარკლენა? ოო, მარკლენა, ცხადია. იურისტი გამოვა. ერთხელ დასცდა. მამამ ასე გადაწყვიტაო. მამას თუ გადაუწყვეტია, ვერ გადავა მის სიტყვას! ანდა რა ყრია იურისტობაში? უცნაური კაცია მამამისი...

ეჰ, საწყალი გრიგოლ უგრეხელიძე! რა პატრონი მოაკლდა ჩაბრიას, რა კაცი მოაკლდა სკოლას? არა, დეიდა ნათელაც მეტად კეთილი ქალია, მაგრამ ძია გრიგოლი სულ სხვა იყო. სად შეედრება მას ახალი ღირეკტორი? დიდი

გაიძვერა ქალბატონია, არც მოწაფეები უყვარს და არც სკოლა, ჩვენ რა დაგვე-მალება!

ოთარი? ოთარმა უთხრა, ინჟინერი უნდა გამოვიდეთ. და გამოვა. გამოვი-დეს, ჩაბრის არ ენალვლება და არც ეხარბება, ჩაბრიათ იცის, რა უნდა გა-მოვიდეს...

დალმართი ჩაათავა, ჩანამჭერებული ხევი გადაიარა და აღმართს მძიმედ აუ-ყვა.

უკერს, რომ კაცი არ ზვდება გზაზე. რამდენი ხანია, რაც მიდის? ორ საა-თზე მეტია ალბათ.

ქედის თავიდან ქარის ღმუილი ის-მის, აქ კი შედარებით სიწყნარა, სულ ბარდნის და ბარდნის...

აჰა, აათავა, როგორც იქნა, აღმართი. კვლავ დაეძგერა ქარბუქი და თოვლის კორიანტელში გაახვია. სადაა აქ გზა? საითაა სახლი? ჩაბრია მიდის, ჩაბრია მიდის...

გუმანით გრძნობს მიმართულებას. მთლად სველია, თითქოს ფეხშიშველა მიაბიჯებს. კოკს ქვემოთ ფეხებს ვე-ლარც გრძნობს, მაინც მიდის. აღარ თავდება ეს ოხერი? ხომ აქვს კიდე და საზღვარი? ხომ უნდა მიაღგეს იქითა მხარეს? თუ ასე პირდაპირ იარა, მია-დგება, აბა რას იზამს! რალა მნიშვნე-ლობა აქვს გზას, ან რა აზრი აქვს უკან დაბრუნებას? მიდის ჩაბრია, მიდის და უცებ ფეხქვეშ მიწა ეცლება და მიფრი-ნავს...

ისეთი ზღართან მოადინა თოვლის ზეინზე, აღარ ეგონა თუ აღგებოდა. ძლივს ამოფოფხდა თოვლიდან. საიდან გადმოვარდა? სადაა ჩანთა? სადაა ქუ-ლი? ხელის ფათურით ეძებს. ვერ იპო-ვა. იგრძნო, რომ მთლად იყინება. ჯან-დაბას წაუღია ის ქალაღი და საჩუქრ-ები! გაისათ უკეთესს ჩამოუტანს დაი-კოს და ძამიკოს. მაგისთვის დაილუბავს თავს?

მიდის ჩაბრია, მიფოფხავს აღმართ-ზე. თოვლში ფეხი უცურდება, ხელებს ველარ გრძნობს, თმები გაეფშოკა, ვე-ლარაფერს ზედავს. ავიდა, ავიდა! ქარ-ბუქმა შემოუღრინა ზეგანზე, შეარყია, ლამის დასცა გათოშილი. ცოტალა და-რჩა, ერთი გადასასვლელი... ჩაბრია მი-დის, ჩაბრია მიდის...

და მივიდა. აი უკვე მივიდა! მორჩა ტანჯვა! დაამთავრა სკოლა! შევიდა სამ-ხატვროზე! გახდა მხატვარი! დაამშვენა ყველა სახლი, ყოველი კუთხე, გაუხარა ხალხს გული და თვითაც გაიხარა.

ჩაბრია მიდის, ჩაბრია მიდის მაღლა და მაღლა. გუგუნებს საზეიმო მუსიკა, გუგუნებენ ზარები: ჩაბრია აღის მაღალ კიბეზე, დიდების, სახელის, სიყვარუ-ლის კიბეზე, სულ ზევით, ზევით, რათა იქიდან გადმოხედოს სამოთხესავით აფ-ერადებულ ქვეყანას, რათა დატკბეს მისი სიყვარულით, მეგობრების სიყვა-რულით, მშვიდობის ზეიმით...

მიდის ჩაბრია, მიდის...

დასასრული იმეხაბა

სანამ დროა...

სანამ დროა,
 ჯერ კიდევ სანამ სისპეტაკეა,
 სასოების ფესვები სანამ კიდევ ფეთქავენ,
 სანამ ჩვენთა ლტოლვათა უდროობა ადრეა, —
 მოვეფეროთ ერთმანეთს!
 მოვეფეროთ ერთმანეთს!

სანამ დროა,
 ჯერ კიდევ სანამ არ ასევიან
 სვავთა გუნდი იმედებს —
 შორი ბინდით შემკრთალებს...
 ჩვენი ყოფნა ისედაც ორი პარასკევია, —
 გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!
 გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

სანამ დროა,
 ჯერ კიდევ სანამ ცოცხლობს ზღაპარი,
 სული სულს ლევს სულისთვის,
 სული სულთან ნეტარებს.
 ცისკრებს შელამებათა სანამ დაჰკრავს ზამთარი, —
 მივეთბუნოთ ერთმანეთს!
 მივეთბუნოთ ერთმანეთს!

სანამ დროა,
 ჯერ კიდევ სანამ ციურ ლოცვებით
 ფრენენ ჩვენი ხილვები
 და სივრცეებს კვეთავენ,
 დაღუპული ოცნებით სანამ დავიხოცებით, —
 მოვუაროთ ერთმანეთს!
 მოვუაროთ ერთმანეთს!

მაშ, ზეცისკენ! —
 ზეცაში ნატვრა არ დაბერდება...
 მაშ, მიწისკენ! —
 მიწაში სხვა ნატვრები ფეთქავენ...
 მაშ, ისმოდეს ბრძანებად,
 მაშ, ისმოდეს ვედრებად:
 გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!
 მივეთბუნოთ ერთმანეთს!
 მოვუაროთ ერთმანეთს!
 მოვეფეროთ,
 მოვეფეროთ,
 მოვეფეროთ ერთმანეთს!

ნათელი იგი წყვდიადია...

გოგი კაპანაძეს

მარტოკაცი თუ ვინმეს ჰქვია, —
შენ გქვია ახლა...
მარტოეული თუ ვინმეა, —
შენა ხარ, რაც ხარ...
შენ ახლა ხსოვნის მარადიულ ნათელში დგახარ,
ნათელი იგი წყვდიადია და გლოვის განცდა...

უკანასკნელი ნუგეშინი — ნუგეში დედის
გაშორეულდა...

გასულელთდა...

გასამოთხევდა...

დედა არ კვდება!
დედა არა! — ჩვენ უფრო კვდებით,
როცა ცარიელ და გაცრეცილ გზას გადმოვხედავთ...

ცარიელია ის გზა უკვე
და უფრო კვდები...
ყრუა სოფელი...
შენ და შენი ლექსებიც დუმხართ...
ხანდახან ყვავი მოგაკითხავს, — შავეთის ფრთებით,
ყვავიც კაცია შენთვის ახლა და ერთად სწუხართ...

შენ ახლა
ხსოვნის მარადიულ ნათელში დგახარ,
ნათელი იგი წყვდიადია და გლოვის განცდა....

ბედის ნაპირთან

ხარ სიჩუმეში, — ბედის ნაპირთან,
(სიჩუმე შენი ნატვრისთვალა).
შორს მარტოობის გედი ატირდა,
თოვს.
თოვლზე ფიქრის ნატერფალა...

ხარ სიჩუმეში.
დგახარ ოხვრაში, —
უხმო ოხვრაში და სიმუნჯეში.
შავი წიგნები თვლემენ ოთახში,
შავი ლექსები სწუხან უჯრებში.

გედი იმღერებს,
გედი გაცურავს
ცრემლის გუბებზე, ღმერთის შეწევნით,
შენ, — ლანქერების ხმებით დაძრული, —
ამ სიჩუმიდან რომ გაელწევი.

სიზმარი: — განცხადება

ისე ზღაპრულად ღაღღადებს ღამე, —
ფიქრი ჩანს, ფიქრი მწუხარე უფლის...
წალეკილია სილა და შლამი,
ჭვარტლი და მტვერი დღევანდელ ღრუბლის...

ისე ღვთიურად ქათქათებს მთვარე, —
ჯვარცმული ქრისტეს სისხლი ჩანს, სისხლი...
მეც გამოვდივარ სახლიდან გარეთ
და ჩემს მიწიერ ბორკილებს ვიხსნი...

მეც გამოვდივარ სახლიდან გარეთ,
გზაში მიწიერ ბორკილებს ვიხსნი
და განწმენდილი მივყვები მთვარეს
ცად, — უფლის ფიქრით და ქრისტეს სისხლით...



ამ ყოველდღიურ ფორიაქს მიღმა
რა, რა ბოგინობს, —

სიცოცხლის ღირსი?

არავითარი! — ძვალი და თიხა
და ქვადქცეული ყივილი სისხლის.



30 წლის ლექსი

ოცდაათი წელი შეუსრულდა ლექსს,
იგი ისევ თავისთვის, მაგიდაზე დევს,
ენატრება დღის სინათლე და ჰაერი ტყის
დროით გადაყვითლებული ფოთოლივით თრთის.

ოცდაათი წელია იცრემლება ის,
მაგრამ მაინც მშობელზე აღარ ამბობს ძვირს,
დრო გარბის და მის ირგვლივ ახალ ფურცლებს შლის,
რალა ვუყო, რით ვუშველო უპირველეს შვილს.

გაფრენილან და-ძმანი ქალაქად და სოფლად
იღვრებიან სიხარულად, იღვრებიან ოფლად,
ეს ბიჭი კი, ღმერთო ჩემო, იცრემლება კვლავ,
ფიქრი მასზე მანუხებს და ფიქრი მასზე მკლავს.

ჰეი, ჩემო ლექსებო, ჩემო ოქროს შვილებო,
ცხოვრებაში თქვენს ძმაზე უფრო გამოცდილებო,
შემოაღეთ კარები, სახლი ამიხშიანეთ,
ძმა დალოცეთ და მერე საითაც გასურთ იარეთ.

რისთვის არ გენატრებით, ასე რამ გადაგრიათ —
მე ხომ თქვენი მამა ვარ, ეს ხომ თქვენი სახლია,
გელოდებით, მობრძანდით, მამაწაწამედილებო,
დაბადების დღეს ვუხდი ავადმყოფ შვილს, შვილებო!

ძველი გემები

ძველი გემები სთვლემენ
ნავსადგურში

უძველეს ფერებით,
ან წარსულ დიდებაზე ღაღადებენ
ბუქსირები, ტანკერები
და კრეისერები.

კაიუტებში სიჩუმეა, გემბანზეც
სიჩუმე,

სიჩუმე, ამშლელი დარდის,
დღისით მრავალი მეოცნებე
ადის, ჩამოდის, ადის
და ასე გრძელდება.
მაგრამ როდესაც აღელდება ზღვა,

ძველი გემები იწყებენ ცხოვრებას,
ვერვინ გაიგებს სხვა,
თუ რა არის მათთვის მოძრაობა
და სადღაც თითქოს ისმის ბრძანება:
მეზღვაურებო, ავნიოთ აფრა
და ქარს მივანდოთ
ჩვენი ცხოვრება.
ამ ახალ გემებს რა უჭირთ ახლა,
ჩვენ კი, ეს, მუდამ გვემახსოვრება
გრიალი ყუმბარების,
სისხლიანი ზღვა
და მოცურავე თეთრი ქუდები,
რომლებიც ნამუსიან თავებს ეხურათ.
ახლა კი სდუმან ძველი გემები,
სიჩუმეა ამშლელი დარდის,
მაგრამ ღამით, რკინის
მუშტებით და სახელოზე
შემხმარი სისხლით
დადის მეზღვაურის
ვეება ლანდი.

ბოლო სცენა კაინის ცხოვრებიდან

მახვილთა ცემით დააოსეს დიდი ცეზარი
(მისი ცხოვრება ნათელია ჩვენთვის დღესათვის),
დამარცხებული არ ყოფილა იგი აროდეს,
მაგრამ ეგ ნიჭი ომებისა მხოლოდ კმაროდეს
არავის ახსოვს.

რომ ყოფილიყო იგი უფრო ცოტათი კაცი...
პატივებული იქნებოდა ცხოვრებით, ღვანლით.
არვინ იცოდა თუ რა ჰქონდა ბოლოს მიზანი,
ჰოდა, გასწირეს მეგობრებმა თვით კეისარი.

რისთვის დამჭირდა ლექსში რომი, ხალხი, სენატი,
მე როცა ჩემი გამაჩნია საქმე ყელამდის.
რისთვის ვიგონებ ბოლო სცენას დიდ ცხოვრებიდან,
ასეულ წლების უკვე წაშლილ მახსოვრობიდან.

ჩვენს სიამაყეს დროზე უნდა რკინის ლაგამი
და დიდთა შორის მე უდიდესს ვიღებ მაგალითს.
დიდება ძალავ, ნებიერთა თავზე დამცემო,
ისტორიისკენ მიიხედეთ, ქონდრისკაცებო!

ს ი ზ მ ა რ ი

მესიზმრა წუხელ, ვიყავი მგელი,
ვყმუოდი, როგორც წესია ოდით...
მომსდევდა ხალხი ლანძღვით და წყევლით
და სისხლიანი მტკიოდა ტოტი.

ტყეს შევაფარე დაღლილმა თავი,
ძაღვები ყფდნენ მდინარის მხარეს,
და წუთის წინათ განგმირულ კრავის
საბრალო დედა მოსტყვამდა მწარედ.

და მე ავტირდი პირველად ალბათ ..
რადგან ეს მგლობა იყო პირველი,
ცოტა ხნის შემდეგ მდინარის გაღმა
სიჩუმე დადგა გასაკვირველი

ვერ გავუძელი, ძნელია მეტად,
როდესაც გწყევლის მიწაც და ცაცა,
დაღვრილი სისხლი ჩამოგდის, წვეთავს
და ისევ გინდა გადიქცე კაცად.

გამომეღვიძა, აფრქვევდა მზე სხივს
და მქონდა სახე მხეცივით მკაცრი.
გულთამხილავო, მე კარგად მესმის
კაცის და მგელის, მგელის და კაცის...



ჩემდა სალხენად სამოთხიდან სულო ხმობილო,
ასე ლამაზო, ასე სათნოვ და სრულყოფილო,
გადამაჟინყე ყველა დარდი გულსჩახვეული,
ამიყვავილე, გამიცოცხლე, ცივი სხეული.

კვლავ ამიმღერე, სული ჩემი, თეთრი ფრინველი
ხარ საოცნებო, საყვარელი და საკვირველი.
არავინ არის ქვეყანაზე შენი მოცილე,
შენი ფესვები ჩემებურად დამალოცვინე.



მეტი და... მასინჯი ახალგაზრდობი

...თოხის პირზე ასხტილმა ქვის ანატეჩმა დარია წვივი გაუჭრა და ვარდისფერი სისხლი ასმარტალებულ ჭიაყელასავით ჩამოეცა და მიწანაყარ თეთრ კანზე, სადღაც, გულის სიღრმეში უეცრად აწიოკებულმა მწარე ტკივილმა წამით ფეხქვეშ მიწა შეუბარბაცა და ხაოიანი გულის ამრევი ბრუ დაახმა, თოხის ტარი ლოდუასავით გაუსრიალდა ხელიდან, ყელში ბურთივით ამოჩრდილა რაღაც ცხელმა სითხემ (ცრემლმა?) სული შეეგუნა და ერთბაშად გაბუნდოვნებულ სამყაროში წამით გაუჩინარდა... შეთრთოლებული ხელის ზურგით აგეროვდის ძლივს მოისრისა გახვითქული შუბლი და საოცრად გაეხარა (ამ ბოლო დროს უკვე მერამდე-ნედე!), რომ გავარვარებულმა მზის კაშკაშმა ისევ აუწყა თვალისჩინი.

„თავიც რომ მოიკლათ, მაინც არ ავტირებ... ისედაც ბევრი ვიტარი!“ — დარიაჲ ყელში მოხჭნილი ის რაღაც ცხელი სითხე ჯიუტად გადაუღებდა და უეცრად იმიტომ შეერთა, რომ სათიხარში მყოფი ქალების ჩვეული, ხმა-მაღალი ლაპარაკი ახლა შორიდან მოესმა.

— კატო, დედაშვილობამ, ჩემი კალათაც მანდვეა თხმელაზე მიკიდებული და ნუ ამოიწვან, წამიძღვანო. — დედის გაღმიდან ის-შომა ქალის ხმა.

გოგო, ბოთლუკა გაუხსნე და გუშინდელივით თუ ნარწყული დვინო აქვს წამოდებული. კალათას ხელიც არ ახლო, — კისკისებდა რომელიღაცა.

— ეგმ, უკაცო ოჯახში, ნეტავი, მაგასაც არ გამოვიღებდეს ღმერთი და...

დარია ფეხისწევრებზე შეიწკიპა, ნახევარი

თავით ასცდა დასცხუბლ სიმინდებს, რომ უკეთ დაენახა მუხის ძირას მოჩუბჩუნებინულთან სადილზე შეკრებილი თანასოფლელები. ნაჭათი ქალები უღიმღამოდ ფუსფუსებდნენ, კალათებიდან იღებდნენ კაკლის ფოთლებში გახვეულ ხალხის ყველს, კეცის მჭადებს და პირდაპირ ნაჭეგ მოლზე აწყობდნენ; ზოგს, ეტყობოდა, ხელის განძრევის თავიც აღარ მქონდა და ჩრდილში მამაკაცებივით იუყარნენ... ქალიშვილებს კი სახელდაბელოდ დაგეუბებიანათ დედუ, წყალში ჩამდგარიყვნენ და თეძოვებამდე კაბაამოკალთულნი მიწანაყარ ფეხებს იხამხამებდნენ, ერთმანეთს წუწავდნენ, ტკრიაყებდნენ...

— ნაწო, ცალხელა ბრიგადირმა რომ ახლა ასე კაბა წამოხდილი დაგინახოს. შენ თავს ზომ რუსის ქარიც ვერ გამოგლეჭდა ხელიდან! — კისკისებდა პირხმელი გოგონა და სველი თმის ბოლოს კაპანავით იჯრებდა.

— უი, გაწყდეს მაგის სინსილა.

— როგორ გითხრა? მკლავზე შემოხობილებულ ქიანჭველას მოშორება მინდოდა და ხელი მკერდზე მომიხედაო?

ქალიშვილები ერთბაშად აკისკისდნენ.

— თქვენ გიბუშრებთ და, ქიანჭველას მართლა რომ არ ეცინა და არ გამომღვიძებოდა, ის ამოსაგდები. კარგ დღეს არ დამეორიდა... იცოცხლები. დღე ვაუარე! ხალხობიო ხარები მქონდა მოჭრილი და ზურგზე — ერთი და ორი, ვწუწუდ და ვწუწუდი... ფერმამდე სულ ბრაგა-ბრუგით ვაქუნდებოდი...

დარიას არაერთხელ მოუხმენია ნახისაგან ცალხელა ბრიგადირთან იმ შემთხვევის ამბავი, მაგრამ ახლა მაინც გაელმია; მერე ნელა დაეშვა

ნათობარ მიწაზე, წვივზე შედედებული სისხლი ნამარტული ზვართქლა-ქათამნაცარით მოიწმინდა. ნაქარს სიმინდის ზოიანი ფოთოლი დაადო და გაირიდა. კარგახანს იქდა ასე გაირიდებულ. მუხლებზე ზელუშემოხვეული: მერე იყო თოხის ტარი რომ მოიჩოჩა, თავვეშე ამო-სადებდა მოიმაჩრვა და ახლად გამოჩალულ სი-მინდის ღეროსავით გაწვა გრილ. გაფუე-ბულ მიწაზე. წუთრვილსაგან სასაგამშრალს, უღლი ეწვოდა. ნამწეური ტურები ბლის ქერქივით შებქერცლავდა. მაგრამ წუთრსთან ჩანვლას მაინც არ ფიქრობდა. მას ახლა ქა-ლების გაუთავებელი უფიფიცი ალარ ესმოდა. რადგან შაბათის უტყარმა გახეხნებამ (ამ დღეს მისი ქორწილი იყო დანიშნული) სადღაც შორს, ძლიან შორს გადახვეწა... ახლა გაუთავებულ-ღი ცის დასაღიერის დაწანავა კი კაცს თვალს მოსჭირდა; ის კი იწვა დახივებულ სიმინდებში და ქალური სიჭიქუთით მიშტერებოდა ნამწეურ სახეზე წამოხზობილ მწესს.

„ხომ გათხარათ, ეგრე ამბატრებთ... მეთქი... ვერა, ვერე ამბატრებთ... — დარიას ქეძფხად-ვრილივით ეწვოდა თვლები, მაგრამ მწეს მა-ინც არ აშორებდა მწერას. — ცოტა მატრებთ?... ახლა თავიც რომ მოიკლათ, არ ავტირდები...“ — თვლებში ერთბაშად ისეთი აუტანელი ტკი-ვლილი იგდმრო, თითქმის ღაღარა შეაფარესო და გუგუხს თავისთავად აუღიციციკდა საიდან-ღაც ამოცოილი თბილი, ძალიან თბილი გაურ-კვეცილი ფერის სითხე. დარია საოცარი სიძვა-ლითა და შიშით გრძნობდა, რომ წამწამების უნე-ბლივ დახამხამებაც კი ცრემლად აქცევდა იმ უფერო სითხეს და სწრაფად იმითმ წამოქდა, რომ უპეებზე გადმოკიდებულთ მოცახცხე ცრემლები მწეს არ დაენახა.

„ხომ ვერ ამბატრებ... გეგონა, ავტირდებო-ღი?“ ზუტია გოგონასავით რამდენჯერმე გაიმეო-რა უღელში მოწოლილი ცრემლნარევი სიცილით და გახვითქული სახე და სველი თვლები ქაბის ქალთით შეიმშრალა. მერე ნაქარ წვივზე „სახ-ვევი“ გამოცვალა. შიშველ მუხლისთავებზე ნა-ჭაფი ზელები დაიწყო. ზედ ლოუა დაადო და გაუუჩდა...

სადღაც თავდაფიქრებით კრიახობდნენ სიც-ხისაგან გახელებული კრწინობელები... მთის ჩვეულ მდუმარებაში საამოდ ისმოდა თბილნა-რში მოქოჩქოჩე ღელის ელურტული...

„აღბათ, მაურიონსაც წამოიყვანს... უი, რა სულელი ვარ: წამოიყვანს აბა, მარტო ხომ არ წამოვავ?“ — უცებ აჩქარდა დარია — სვრელ-ში გამომარგდულში ზვართქლი და ქათმნაცარა სწრაფად მობოკა. ღელის პიკას დილით გამო-ნაგლული ბალახიც მოარბენინა და დაბეჭდილ ქვადოს ტომარაში ჩატენა. მერე ტომარას ბა-რით თავი წაუტრა. ბეჭზე გადებულ თოხზე მე-ორე ბეჭიდან გადააქვარდინა და დაფერდე-ბულ უანას გრძელი, მამაკაცური ნაბიჯით დაუ-

ყვა, ღელეში რომ გაქვაუნდა. ცივი წყალი ძალიან ეამა და უკან შებრუნება დააპირა. მაგ-რამ მაშინვე გადაიფიქრა და ბინულთან. მუხის ძირას სადღიად დაშხმდარ ქალებთან წამით შე-ჩერდა.

— ნუნუა, ტომარას ნუ ჩამომაღებინებ, ერ-თი ჭიკა წყალი დამალევირე. გამიხმა უელი, — უთხრა კარის მეზობელსა და თანატოლს.

— ღვინო დალიე. დარი: მისწრება წუთრ-ვილის მოსკლავად... — უთხრა უმიწეოდ აკის-კისებულმა მრგვალი პირსახის ქალმა და წელ-წვრილი სადღივ ჭიკა ადრქსანდრეულით შეა-ხსო. — თოვს წუადწუალა ღვინო არ გეგონო.

— უიტი, ღოღლიკა, რავა დროშასავით წამოგ-წითლებია ღოღები: ამ დარანებაში ღვინო ბომ არ დაგიღვია? — გაეღიმა დარიას და ბეჭზე ტომარა შეისწორა.

— დაფიქრე... გულზე დურბედიანი დარდი შემომაწვა და დაფიქრე: ორი ჭიკა დაფიქრე დე წარმოგიდგენია, თავში ამივარდა... მართლა მე-ტუხობ? — ქალმა უმიწეოდ დაწუბული სი-ცილი ცივად შეწუჭიდა, ღვინისაგან შეფორაჩე-ბულ ღოღებზე ზელები აიფარა და წუთით თა-ვის თავში ჩაბრუნებული ქალი ხმადახლა ალა-პარკდა: — რა ვქნა... ქმარი მე აღარ გამჩინა, ზვილი და ძირი... მთელი ჩემი ცოცვრება მარ-ტოვანში უნდა ჩავყლა: აბა, ჩემი მიშუკას შემე-დრეგ სხვა კაცის გვერდით როგორ დაწვებოი... — ხმას აუწვია: — ნუ მიძახავთ, ქალებო: ხომ იცით, საქუთარი კობი სხვისად მწარეა, თო-რემ ოქმა შენ, ბაბილინა, რა ვუტყავი წაგა-რთვით?... არც შენთვის დაუთენებია კარგი დღე, თოვ... იმე, ოქახანოსაწუვეტმა, შენც გაგაუბე-დურა, ნუცოკო: ჩვენი დარია ხომ კინაღამ მი-წასთან გაასწორა... ღმერთო!

მუხის ძირას ერთბაშად წერვულა დუმილი ჩამოწვა. ლუგმა აღარკის გადუღულაპავს: არც ღოღას გამოლაპარაკებია. იცოდნენ მისი ხა-სიათი: ამ დროს უცდელად იმინდებოდა — დაუვავებაც, გაუწერაც, იმედია სიტუაცია...

დარიამ სწრაფად შესვა უინლდით ბინულის წყალი და უსიამო დუმილი კუნებადმდრეული განერდა.

— დარი, შენ შემოგვედრე, — დაღმართში მიმავლს ხმა დაწია ბაბილინამ, — გალაჭტო-რის უთხარი, ერთი ნათობალი სიმინდი მონც გამომიფევი. კორაუმი საკოკორი ფქვილიც აღარა მავსებოქ... ასე უთხარი, შემოგვედრე, არ დაგვიწუდეს...

— ვიტუხი, ვიტუხი...

დარიამ ფერმასთან საურმე გზიდან გადაუხ-ვია და ფიქრებში თავიარგულმა უანისპირა ბი-ლიკებით იხე გალია სახლადე გზა. რომ არც გაუგია, ტურთის სიმინდემ მხოლოდ მაშინ

მიტალი მიტანაშვილი

ქალი და... მანინი ანგელუსი

შეაწუხა, როცა საგდელუგაქველ საჩინის კიშ-
ქარს ვერაფერი მოუტეხს; წნულს ბუზღუნით
გაშორდა; ტომარა, თოხი და ნამკალი ეზოში
პირდაპირ ღობიდან გადაუარა და ზედ თავდაც
მამაკაცივით გადალაქა. მის დანახავზე ნალიის
ბოძზე გამოხმული ხბო სწრაფად წამოდგა და
პატარას შეხვალდა.

— რაო, ზატულა, მოგწივდა?.. ახლავე, ახ-
ლავე...

დარბაზ ტომრიდან ბალახის გადმოყრა დაა-
პირა, მაგრამ დაღლილმა ცოტახნით ჩამოსვენე-
ბა არჩია და ზედვე ჩამოქდა, შეოფლილი სახე
ხეშოვს კახის კალთით შეიმშრალა. აქა-იქ კბი-
ლამოტეხილი სავარცხლით ძლივს გადაივარცხნა
ნახადივით დაბეკნილი სქელი, მოღალატეობით
თმა და ვარშემო აკრიახებული ქათმებისა და გა-
ფხორილი ინდაურების დაუტატანა:

— მაყაღეთ, სულის მოთქმა მაყაღეთ და
დაგაპურებთ. — ამ ლაპარაკში გულისპირზე
მიხრებული ჭინჭისთავი მოიხსნა და შუა თითზე
ფუთუქული ბებერა რომ გაიკეთა, ტყვილმა
გულამდე უწია და ინანა: უოფლიყო, თავად
დაცხრებოდაო... მას ახლა წუთით ასე დასვე-
ნება ქვეყანას ერჩია, მაგრამ წისკვილში საფე-
ვავი ჰქონდა შირიგებული (სათოხრიდან ამიტომ
მოიჩქარაოდა) და ლავკარას სიმინდი რომ შე-
მოკვლივოდა. გალაქტო-მეწისჭვით (როგორც
ხვების) მთელ დუშლაზე გამოაქვნივდა — წის-
კვილს არ უფრთხილდებოდა. ხვის ნაშრომ-ნაწ-
ვალებს არაფრად ჰგდებოდა (დარბაზს გაეღიმა,
რადგან კარგად იცოდა. ბერიკაცო იგიღლინებო-
და, იქაქანებოდა და მეროვ წუთში აქეთ მოგე-
ხდებოდაცოდა)...

დარბაზ წუთიერ მაჩუკ გადავიწუნა და გალაქ-
ტოც, წისკვილიც, საფეკვეციც, თვალეშში შემო-
ჩერებული ხბოც და აკრიახებული ქათმებიც...
დაიღას აქეთ პირში შემოსა არ ჩაეღო. მაგრამ
ახლა შიმშილიც გადაიწუნდა; დაქანცული ბა-
ლახით სავსე ტომარზე მამაკაცივით იჭდა და
ხეივლით მოჩრდილული ეზოს სურნელებოდა და
სიმუდროვც საამო ბრუს ახვევდა. კუთუთო-
ებს უშმიშებდა; ალბათ. ეს იყო მიზეზი, რომ
სადაღლაც მოფარტატებული უცნაური ზმუ-
ილ-ზღუტუნეი ძილ-ღვიძლის ჩოჩქოლი ეგონა:
მაგრამ ის უცნაური ხმა უფრო გარკვევით რომ
გამოიკეთა, თვლები ბელაქნული ჩიტვივით გა-
უქრა და სენიდან იქცა. მოიტყვნა, რომ უშლა-
ფერე გაიარინდა; მხოლოდ გაფხორილი ინდაუ-
რები ბლუფბლუფებდნენ.

დარბაზ ადგომა დააპირა, მაგრამ ზმოილ-ზღუ-
ტუნე ახლა ისე მკაფიოდ მოესმა, რომ გაფით-
რებულმა შიშველ მუხლებზე კახა სწრაფად წა-
იფარა და გაიტრუნა.

— დუუ, დუ-დუუუ... — შუშახანდში ასახვ-
ლილი ქვის კბის მიღმა ისმოდა ხმა.

დარბაზ დაუფიქრებლად წამოავლო ნამგალ-
ხელი და კიბესთან ოთხით მიფორთხებულმა ში-

შისაგან თუცრად გამშრალ ტურზე შეითრთულე-
ბული ხელი აფარა... ქვიტკირთან ჩამუხლულ
კაცს (ის ზურგით იყო შემობრუნებული და
დაძინებულ ტანსაცმელში დათვს უფრო წაგავდა)
ბუბრის ბალავარამდე „გზა“ გაეუვანა და ზისგან
გამოჩორკნილ (ვიიოშ) სათამაშო მანქანას, ხან
იქით მიაჩორებდა, ხან აქეთ: ცოტა მოშორებით,
„გზის პირას“ ხელეგაპარჭეული თოჭინა იდგა
და „გაგონა“ გაოცებული უმწერდა ხეივარი
კაცის უცნაურ თამაშს...

— დუუ, დუ-დუუუ... — აგროდის ამოიდუ-
ღუნა კაცმა და „მანქანა“ წინ დაძრა. იმ თვა-
ლებცქიკილმა თოჭინას ისეთი შეფრფინება
და მამაკაცისათვის ჩვეული თავაწივით მიეახლა,
თითქოს მის წინ ჩვეულებრივი უხელო თოჭინა
კი არა, ქვეყნის მფარველი ანგელოზი დგასო...
იგი კარგახანს იჭდა ასე გარინდებულს; მერე
ნახებდა ტუტვით ნელა გაწვა თოჭინას დეშ-
თით და მხრებათახებებული რალაც უცნაური
ხმით აწმულდა. ასეთი ზმოილი მხოლოდ და-
საკლავად წამოცქეულ ხარს სჩვევია, რომელიც
საოცარი სიძველედ გრძნობს გარდაუვალ ბე-
დისწერას და... ზმოის ბეჩავა...

დარბაზ ტანზე დაბურძღლა: ტურზე აფარე-
ბული ხელი საულვანეზე რომ გადაიხვია, გაუ-
ვირდა: თვალთ ძლივს შესამჩნევ შავი ბუსუ-
სები ეკლბოდა ქვეთულოც; გულმა, ჩვეულებრივ,
ზაგახუტე კი არ დაუწყო, არამედ გაუჩერდა
(ასე მოეჩვენა მას), ამიტომ უფრო გარკვევით
ესმოდა ზურგს უკან „ვილაცის“ ჩქარი ჩურჩუ-
ლი: „გაგო, ცოდვია, თბილი სიტყვა უთხარო...
თბილი სიტყვა...“ დარბაზ ამან კიდევ უფრო
გააღვიანა, რადგან კარგად იცოდა, რომ ახლა
(და ვერც ვერახოდეს!) კაცი მის აღერხიან სი-
ტყვას კი არა, ყურის ძირში დაეცლილი ზარბა-
ზნის სხმასაც ვერ გაიგონებდა... დარბაზ
სიბრალეულობით გულში მოგრეჯა, მაგრამ საიდან-
ღაც თუცრად დაძრული ცრემლები ევეღში
თქმევით რომ მოაწვა, ნერვებაცახცახებულ-
მა ვერად მოშომა და სათქუელს (პირველად
ცხოვრებაში) საუვედრო გააუღო:

— გოგოლო, ბიჭო, ხომ ხედავ, იმ გზაბნე-
ულ მამაწეიცერს ერთმანეთისთვის არ გავუჩე-
ნივართ... შენს ადგილზე ასე არ მოვიქცეოდი...
იწამე ღმერთო, გამშორდი, გამშორდი...

თოჯინასთან სილაზე გაწოლილმა გოგოლომ
(თითქოს დარბაზ ხმა მოესმოდა!) სატეკარდაკრუ-
ლივით შეწყვიტა ზმოილ-ზღუტუნე და თავწა-
მოზიდული ერთხანს გარინდებული ტყუერვივით
უსმენდა რადაცას; მოგვიანებით დარბასკენ რომ
მოღრცა კისერი (ო, ღმერთო, რა შემწარავი
სახე ჰქონდა!), მოულოდნელად დაფეთებული
ნადირივით წამოხტა, დაბალზე დადგმულ სახლის
კოკებს თავით შეედევნა და დარტყანებულმა
კრაზანასავით კარგახანს იჭრგალა ადგილზე:
მერე ზელი დახტაცა თოჯინას, გამოჩორკნილ
„მანქანას“ და გარეთ გამოძენსულდა. შუშახა-

ნდთან შპის გულზე გაწყოხილ ჩირის საშრობს წამოედო და გადაჰირავა; სირბილით მიმავალმა უკან კი მოიხედა და შეშფოთებული ერთადერთი თვალით ჭერ ჩამხვეული საშრობი მოიხილა, მერე გააგნებულნი დარია, მაგრამ არ გაჩერებულა — დაჩუტული, უხეილ მარცხენა სახელის კიალითა და ჩას ფეხის ბრახუნით გადაედგო ღობეს და სიმინდის უანებს მისცა თავი...

მლოცველი მხედრობით ქვეტკირთან ჩამუხლული დარია კარგახანს დაძებნა სადღაც გაუჩინარებულ საკუთარ თავს... ყველაფერი უსიამო სიზმარს წაგავდა და თუმცა ნაწიურწი მიწაზე ჩამუხლულს შეხვდნისათვის ნადავლივით ეცნოდა, მაგრამ სიზმარული ბურუსიდან თავის დასახას დიდად არ ცდილობდა... მერე იყო, უანის პირას აფრენილი ჩიტების გუნდბრევით ერთხანად იმდენი საფიქრალი აეშალა, რომ ვერც ერთს თავი ვერ მოუხანა და ცოტა ხნით ასე მინებდა აფუთფუთებული გონების ფათურს. მხოლოდ დროდადრო გაქრული ახანთივით გაუნათებოდა გონება და სოფლის თავში მომდგარი მგლის სევდიანი ყმუილივით (მას ასე ეჩვენებოდა) ჩაძახხოდა ყურებში გოგილოს გულისმომწვევლი ხმა: „დედო, დედედეუ...“ აი, ამ ერთხელაც რომ „მოეხილა“ მისი ხმა, ერთხანად გამოფხიზლებულმა სწრაფად მიფრთხა-მოფრთხა ყველაწიკრი ფიქრი და უცნაური, შიშის მომგვრელი სიხარულით აჩრქოლდა:

— უმე, მგონი, რაღაც გაიხსენა... რაღაც გაახსენდა — ეს იმდენად მოულოდნელი ამბავი იყო, რომ ერთი ადამიანის გონება ასე უცებ ვერ გაითავისებდა... დარია აგეროდის დაადგო ნამგალი და სახლის ქვეშ (ხალცი ეს წუთიან ფაქტებზეკრიალა თოქნის ფეხთათი გართხნული ხეიბარი მოწვევრითი ზეშოდა) ისეთი ხიხარულით შევარდა, თითქმის საკუთარ ხედის-წერაზე ამხედრებული სადღაც მიჭქრისო. — დმერთო ჩემო, მაშინაც ხომ აქ, აი, აქ ვთამაშობდით, სილაში გვგრაფდით... რამ დამიგხო თვალბო... აქამდე რატომ ვერ მივხვდი! — ო, როგორ ეძირტბოდა დარია იმ ქრელა-ჭრელა (ღმერთმა უწყის დარადედელ) წლებში ჩაბურუნებდა... და რაკ თითო გამოსდო ფიქრის თვალს, მერე თვალჩაყვარნილ წინდასავით ირღვა და გვრიჭად იგვერგვა გოგილო-დარიას ბაღბობის დღებში... დარია რაც უფრო ღრმად იძიებდა წარსულში, მით უფო მწარედ განიცდიდა კუთვნილ ბედზე უფროდ თავდაბრუნებულ უხედობას... ამიტომ იყო ყველა ნათელ-მზილველზე ნათლად ხედავდა, რომ მას ახლა მხოლოდ წარსულიდან გაქცევა გადაარჩენდა (არადა, ვინ მოთვლის რამდენი დამე თითო თერად, ვიდრე ახლობლებს ახალ საბედოზე დასტურს ეტყუადა): მაგრამ შორეული სამრეკლოს ხმასავით მაგიური გოგილოს „დედედეუ“ გონ-

ბას უდუნებდა და მოწვევითი ვარსკვლავით მოაქანებდა ადამიანებისათვის მუდამ ხანატრელ, ყველაზე წმინდა სმუაროში...

„...მე, იმ დღეს იულინე ბებია როგორც კი დღის პირას, ტირიფქვე მომუსიაფე ქალებთან დავიგვედეთ, მაშინვე სიმინდის პუნტში ვდურეთით თავი და საადრეო ბაღზე ეზოს უკანა მხრიდან შევეპარეთ. გული მაინც ამოვარდნაზე მქონდა და ფაცხაფუცხში ხალს ყურებთანად ვუდაპავდი, თან დაბუნძლულ ტოტებს წვეროკინებს ვატენდი (ეს გოგილოს დაჯალება იყო) და უბეში ვიტენდი. იულინე ხეხიას, ალბაო, გულმანა უაზრა, თორემ ისე მაღე ახა შინ რა მოარბენინებდა... ჭოშრის ხმელი დღვერების ღრიჭინი რომ გავიგონე, შიშისაგან ყურკიანი ხელი სასულეში გადამცდა და თუ გადავჩიბოდი არ მეგონა (გაციანა)... „დარია, ჩქარა, ჩქარა ჩახტი, იულინე ბებია მოდისო“, — უბერხელი სხაპახუბით რომ ჩამომძახა პირგამოტენილმა გოგილომ (თავად ხლის კენწეროზე იყო ასულე), იცოცხლდი, ჩავსლიკინდით და კუნელის ხმელი ფანცხებით შეკრულ ღობეს ღიწინით გადავვადეთ. ხელ-ფეხდაყრულებმა აქ მოვირბინეთ, ქვეტკირთან ჩავუყვდით და გავისუსეთ.

„...აი, ასე გქონდეთ, თქვე არვასაწყვეტლემო! თუ წმინდაწყულისანები ხართ, რატომ იპარავთ, რატომ ამტკრევთ ტოტებს, — ქოთქოთებდა იულინე ბებია, — მთხოვეთ, როდის გამიწიბილებია ვინმე, რომ...“

„მაშინ რომ ვთხოვეთ და გაგვანბილა, ხომ გახსოვს?“ — მკითხა გოგილომ.

„მაშინ კი, მარა ახლა 'ხომ არ გვითხოვია?'“ „ახლაც უარით გამოგვპარუნებდა...“

უცებ ქიპის თათან სისხლზე რომ ვიგრძენი, შეწინებულს მაშინდა გამახსენდა უბეში ჩაურილი ხლის ეწწულები.

„ხეზე რომ ვამა ეცლია, დედას გეფიცებო, ტოტებს არ შევატეხავდი, — თავის გახამართლებლად ვთქვი და საკინქმოდელილ გულისპირში ხელი ჩავყავი.

„უი, შენც მოკრიფე?!... მეც სახე მავს უბე მარა მგონი მთლად დაჰყუტედილია, — გოგილომ შარვალში წაბრებული ბლუზის ბოლო სწრაფად ამოსწავა და უუნწებით ერთმანეთზე აკონწილბული ბალით „კალთა“ გავისო. — მა, ვამე!“

„აგერ არ მავს?“

„ეს უფრო მწიფეა, წვერელში მოკრიფეთ...“ ტრეკივით რომ დავიბერეთ, მერე თითო ბაღი გავზლიჩით და ერთიმეორეს უღვაწები მივახატეთ...

დახარბებამ თავისი მანც დამმართა — მუცელი ამტკივდა.

მიტბალი მიქიზუშვილი
მალნი დ... მსინიქნი ანბალონი

„ამდენი მოელეულები! ხალხი, ახა რას გინამდა“, — ახითხიოდა გოგილო.

„შეტრო, შეტრო! შენ გატყენება და მე მართლა მტკივა“, — დაუტუტებდა.

„დარბო, — ხითხითი არ შეუწყვეტია გოგილოს, — შენ ვითომ მართლა ავად ხარ, მე კი „სასწრაფო მანქანა“ ვიქნები, აი, ისეთი, ამას წინათ კინოში რომ ვნახეთ, გახსოვს?.. მოდა, ვითომ მოკვრი შენს წასაყვანად, შენ კი... „შენ არ გატყავა?“ — სათქმელი შევაწყვეტინე.“

„არა...“

„მე თუ მატყინა, შენც ხომ ჩემდენი ვამე, რატომ არ გატყინა?“

„მერე კაცი და ქალი ერთია?.. კაცი, ხომ იცი, კაცია, ქალი კი...“

„ჰო, მართლა კი არ მტკივა, ვიხუმრე...“

„მე მაინც მოვავტყინებ მანქანას... აქ დამხვდით, არხად გაშპარო, თორემ, იცოდეთ, აღარ დაგელდაპარაკები.“ — გოგილომ საჩხუბოთი მიიჩინა, უშველდებელი რუსულა ნახაბით ძლივს გამოიროვნა სოლის თუ უფორმო ოთხუთხედის მსგავსი რაღაც „ნეოტი“ და თვალისდახმამაშებარე სახლის ქვეშ გაჩნდა; მერე სილა ზღოლი სწრაფად მოასწორა, „გზა“ ჩემამდე მოკვალა და „სასწრაფო დახმარების მანქანა“ „გზის“ თავში დააყენა.

„დუუ. დუ-დუუ... — მისცა სიგნალი და „მანქანით“ ნელა მომიახლოვდა, — მაინებლო!.. მაინებლო!.. გოგო, ხმა გამეცა, ვითომ დედაშენი ხარ და შეილის წასაყვანად მე მელოდები.“

„მერე ერთნაირი ხმა რომ გვექნება?“

„უფ, რა ხარტერია ხარ! მსახიობი გავხდებიო, ესაა და ისაო, მაგდენი აღარ იცი? ხმა შეიცვალე... აი, ასე: „მობრძანდით ბატონო, აქეთ მომბრძანდით: ავადმყოფი მეორე ოთახში წევს“, — ხმას დაუწვრილა გოგილომ, — „ისევ თავიდან დავიწყებო... ჰე, მოვდივარ და დამხვდით: „დუუ. დუ-დუუ“. რა მოუხერხებელი ხარ; ზურგზე შემომაქევი, გოგო... მო, აგრე, აგრე; როგორც ცხენზე... აბა, კარები დახურეთ... წავედით, — და გოგილო ოთხით დაიძრა ადგილიდან. — მაგრად მომკიდეთ ზელი, მანქანა მაღალ სიჩქარეში უნდა გადავრთო...“

აკისკისდით თანაც ისე მომეწონა გოგილოს ზურგზე ქდომი, რომ მუცლის ტივილი მთლად გადამაფიქვდა.

„დუუ. დუ-დუუ! — გაიძახა გოგილო და აკისკისებულ „ავადმყოფს“ ეკიმისკენ“ მიმპრობებოდა...“

— ზოხვით მუხლებზე ტუპი რომ გადაჰყრეს, მამისული წამიწუდეს თუ დღისამაჩიხით წისქვილში ცხვირი შევაჯოფინო... შიმშილით სული რომ სძვრებოდეს, ერთ კვანჩხ სიმინდს არ გამოვატყვევინებ!.. თუ კაცი ვარ, ასე გიწამ!

! მოელეული — ელვადარული.

გინდა ამათვის გიცია პატივი და გინდა კედლისთვის ცერცვი შეგუერია...

დარბას გალაქტო-მეწიქვილის ხმაშაღალი ღაპარაკი თუმცა გარკვევით ესმოდა, მაგრამ ზურგულწაფენილი წლების ნაიჭეროვან წამებებს თავი ასე იოლად ვერ დაადწია და საამო ძილ-ღვიძილში მყოფივით გატრუნული ისმენდა ბერიკაცის ჩაქვანს.

— ... არა, ჩემმა მზემ, მე იმას კი არ ვწუხვარ, ჟებებზე რომ ჰკიდიათ წისქვილიც, მაც, შენც... წისქვილს, ჰე იცი, ეშველება; ჩვენ კიდევ რაღაც ორიოდე პარასკევი დაგვრჩენია და ავად თუ კარგად გავთრევთ წუთოოფელს; მარა, თავსაც რომ არ უფრთხილდებიან, იმაზე ვარ გადარებული... აბა, კაცი რომ ქვიან ჰქონდეს, თქვი ერთი თუ ღმერთი გწამს, კი და-ემართება?... მამის სული წამიწუდეს, ჰიტე, თუ წისქვილის ქვები, ა, ასე არ იყოს გაღიჟღერო...

დარბას ღობის რღვეულიდან მოპარა თვალი გალაქტო-მეწიქვილიმ დახეტილი ქაღილი რომ შიშვლიდა და თათრულა გოგარასავით სლიპ თავზე ხელჯახი რადიოქარზე დაიბრაუენა.

— უბ, რა მელაპარაკები! დიდხანს უოფილა უსაყვანად...

— კაკიკა აწი იმის ფასი!

— კი, მარა ვის ჰქონდა დარჩებული?..

ქვიტირის ამოფარებული დარბა დანაშაულზე წასწრებულივით იჯდა და ნერვებდასიცხულს ახლა უვლავფერი აღიზიანებდა: ქათმების კრიახიც, დასარწმუნებელი ხბოს ზავილიც, სიცხისაგან გახელებული კრიკინას კრიახიც. თან წელანდელივით ერთხანად იმდენი საფიქრალი აერ-დარბა, რომ ველარ გაუშლო და ქვიტირის გრძელ სურრზე ზურგით მიყრდნობილი უცებ გულამომჭდარი ბავშვივით ასლუკუნდა... მოგვიანებით ტირილის მიზეზს რომ ჩაეცია, საოცრად გაბრაზდა და ნაადრებ ცაზე დარჩენილი (სადაც ქვიტირული) ფთილი დარბულივით გამოცურდა სახლის ქვეშოდან. ცალფა კი-შპარი ისე გააღო, რომ ღობესთან მომდგარ გალაქტო-მეწიქვილის და მასთან მომუსაყფე ქრისტეფორეს (თთქოს გადამთილები არიანო) ზედაც არ შეხვდა, უცხოსავით იფარა გვერდით.

— ა, ხო ხედავ! — უალიონის ფშუკუნში ამოიჩიფრითა „მრისხანე“ გალაქტომ. — ძალდადაც არ ჩაგვაგდო; გინდა ვუოფილვართ და გინდა არა... ასეა, ჰიტე, ასე და შენ ნუ აპირებ გამოსარჩლებას! — ხმას აუწია მელწიკვილმ.

— უი, ჩემი სიკვდილი, რავე ამიცდა თვალი და ვერ დავინახეთ, ბიძია გალაქტო! — შუა გზაზე შემობრუნებულმა დარბამ წუთით იფარა ანცობა და ბერიკაცებს მიეხაფეთა.

— ჰმ, ახლა გავბი ბიძია-გალაქტო, ხომ! — მთლად გადარბა მერწყვალე. — იქნებ ბატონო გალაქტოონო, ქალაქელივით მომეღაუ-დავო, ა?!

— რა იყო, ბიძია გალაქტო, ხომ არაფერი

მოხდა? — დარია იხედავდა გაოცებული კილო-
თი ჰეიოხა, თითქოს წუთის წინ მეწისქვილის ნა-
თქვაში მართლა არ გაუგონიაო. — სათოხრიდან
მოვდივარ და... მოხდა რაზე?

— მეტი რა უნდა მოხდეს? შენს გამოისახებით
წისქვილის ქვეში ა, ასეა გაღიპული — გალაქ-
ტომ ნიჩაბივით ხელით ამკრავდაც ღიშვლია
დახეხილი ქუდი და მელოდ თაფზე ისევ რა-
დენჯერმე დაიკრა ხელჯოხი, — თუ კაცო მქვია,
აუღებო და ქვეშის მოსაკოდ ზარალს გაწვევი-
ნებო... ჰო, ჰო, ასე ვიწამე, ასე!

დარია თავის გასამართლებლად რაღაცის
თქმას აპირებდა, რომ ბოგირზე გაღმომავალ
ბებია მარიამს არ დაესწრო და არ გამოქომაგე-
ბოდა.

— შე უიამყარლო ბერიკაცო, სულ ჭაქდანსა
და ავუიოხაში რავე უნდა გაატარო შენი წუ-
თისოფელი: მიიხედ-მოიხედე, ქვეყანა დატუბა,
ყველას თაფლი გაღმოსდის პირიდან; შენ რა
ღმერთი გაგიწერა, რომ საშველი არ დაგადგა...
— ოთხმოც წელს მიტანებული მარიამის „ოთხ-
არათი ქვრივობის“ ამბავი სოფელში კი არა, მე-
ზობელ რაონებშიც კარგად იცოდნენ; მე შენ
გეტყვი, — რიდი შეეშლებოდა თუ სიტყვა-პა-
სუხი, მაგრამ თუ საქმეს სჭირდებოდა, გაგი-
ხარია, სათქმელს სამართებელივით იჩენდა...
ერთხელ (დარია მაშინ საქმად წამოიკრთული
გოგონა იყო) თავმჯდომარე თანსოფელელს აუხ-
რდა და უკადრისი სიტყვები აკადრა: ყველამ
პირში წყალი ჩაიგუბა: გამოსარჩლება ვერაფერ
გაბედა... უვირილისათვის უფრო მოეკრა ენოში
მოფუსფუსე მარიამს და აცოცხლე, ორდობში
გამოხლმა თავმჯდომარეს დღე აყარა: „...სა-
ნაწიწყოში აქ იმითმე კი არ დაგაგონა, რომ
შენი ყოყლოჩინობით ხალხს შრომის ხალისი
დაუკარგო... ზრდილობით, კუთვამქდარი კაცის
საზრიალობით და თავდაპირველობით სოფელს
მაგალითი უნდა მისცე, თორემ ვალდები მარჩი-
ვლივით თუ ენა ვერ მოთქმე, ვინ გცემს პა-
ტივს: შენისთანა თანამედრობის კაცს აგერ, ა,
(მარიამმა ხნულივით დაღარულ შუბლზე მიიკა-
უნა სიბერისაგან დაქვდაკული თითქმის, ზედ
შუბლზე უნდა ჰქონდეს დაგონილი იმ ბრძენე-
კის იგავი, ქე რო ენაზე აქვს ნათქვამი: „უცე-
ლაზე ტკბილი და ყველაზე მწარეო...“ იცოდე,
თავმჯდომარე, — შვილად შემიფარე და დარ-
გება არ გეწერება — ხალხმა დიდი სიყვარუ-
ლი იცის, თავს თუ შეიყვარებ: მარა ღმერთმა
დაგიფაროს მისი სიძულვილისაგან...“

დარია კარგად იცოდა, რომ ბებია მარიამი
თუ ვინმეს უაქეუნებდა, იმედინად უნდა ყო-
ფილიყო — ასე იოლად არ დაჩაფრინებდა:
ამიტომ გაეხარდა მარიამის გამოჩენა და სახე-
მიბრუნებულმა (მეწისქვილემ თვლი არა შემას-
წროს) ჩუმად ჩაიციდა.

— ...კაცი რომ შემოგზედავს, — განაგრძო-
და აქეთ მომავალი დედამხრე, — იტყვის: ამის-
თანა ზეთისნიერი სახის პატრონი უბატონოდ

სიტყვას ვის აკადრებსო, — ჩაიჭირებოდა მა-
რიაამმა. — შენ კი დღავითი დაგიღია ხახა და
ნაშემშილები ნაგაზივით ღაფაფებო...

— გნახადი ერთი, რა გუნებაზე დადგებო-
დი, მთელი კვირის ნაკოდი ქვეში ვინმემ
ერთ საათში გაგიტალიოსო... შენ რა გენად-
ვლებო, ჩაქოჩითა და სატხითი ხელეზე საქა-
ლამნე ტუავი არ გქონდეს გადამქრალი... წადი,
მარიამ, სახლში მიდიხარ და შენი გზით წადი...

— აი, შენ არ წადი მოუსვლელო, შე და-
ფუტურთებულო ბერიკაცო! წისქვილის დაარ-
ჯობის მეტი რომ აღარაფერი შეგიძლია და ნი-
კიფორე მჭედლის საბერევივით მაერს ვეღარ
ჰკაობ, იმეტომ ხომ არ ხარო ასე გახელბუ-
ლი, ა?!

— მარიამო, ნუ გაქვს მოწამლული ენა, —
ხმას დაუწია მეწისქვილემ. — ყველამ რომ თა-
ვის საქმე აეთოს, ჩვენი ბედს ძაღლი არ დას-
ყუდეს... მე რაც შემოძლია, იმას ვაკეთებ... ჰო,
რაც შემოძლია, იმას ვაკეთებ-მეთქი: მარა შენ,
— გალაქტომ უცემ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაიჭი-
რებო, — შენს აჩრდილს რომ ძლივსა დას-
კუნჯალებო, გული კი წინანდებულად გერჩის და
ძალა არ შეგწევს, იმაზე ხარ გულგასიებული და
ჩვენზე იყრი ჭარხარ...

— შე მართლა უიამყარლო ბებერო, კუბო-
ზეც რომ ვიწვე, შენნაირ ცოცხლებს მაინც ვა-
ჭრობე.

— რავე, მაშინაც ხომ არ აპირებ ხმის ამო-
ლებას?! — ისევ ჩაიჭირებოდა გალაქტომ და
გვერდით მყოფ ქრისტეფორეს ბარძაყზე ხელ-
ჯოხი მოუცაცუნა, ხომ კარგად ვუთხარიო...

— თუ შევძლო, დიანაც ვაპირებ შენისა-
ნა უსლულულო ორგუნებში შევაჩენოსო... ერთი
ამას დამხედეთ! იმის მაგვირად, რომ სათოხ-
რიდან მომავალ დაქანულ გოგოს იმედინი სი-
ტყვა უთხრას, გამოადგება და... აბა, იმას კი არ
იფიქრებს — ხვალ თუ ზეგ ჩვენს დარიკუნას
ქორწილი აქვს, ობოლ ბავშვს ხელს წავაშვე-
ლებო, სანადიმო სიმინდს მე თვითონ გამოვუ-
ქვავო; ააბა, არ მოგეცეს პირი... ჩემო გალაქტო,
სიბერე თურმე ნამეტანი ასხვადერებს ადამიანს,
თორემ, ეგე, შენი ახლგაზრდობა რომ გამა-
ხენდებო...

— ახლგაზრდობაში შენც დაშპრული და-
პარაკი იცოდი, მარიამო...

— სიმართლის მოქმედი აღარავის გინდაო,
თორემ ლაპარაკი ახლაც არ მემულება, — მარი-
ამმა გვარინად მოხრილ წელზე ხელები შემო-
იწყო და ნელა მიჰყვა ფეხებში ახლანდელ სა-
კუთარ, დაჩაივებულ ლანდს...

გალაქტომ (რატომღაც) ბერიკაცისთვის უჩ-
ვეულო მარიფათით დატენა ნამიდენჩარსი ყა-
ლიონი და წისქვილისაქენ გაჩქარებულ დარიას
ხმა დააწია:

ვიტალი მიქიპაშვილი
ძალი და... მანინჯი ანგელოზი

— დარკუნა, შენი სიმინდის ფეკალი ვეღარ შეი ვერ ჩავტეი და შინიდან იქნებ კორუა ან ნაოხალი მოარბენინო...

ცხელდო... ბოსტნეში თესლდათავავებული ხახვი, სალათა და სარგებზე აუღელუშავებული ლობიოს ბარდები შესაჩნევად შეიკვნო მთის ფიცხ მზეს...

დარიაშ ბედლის კარი რომ შეაღო და სინედილი შეაღწა, უცებ ისე გადაიქცა მენხირების ურდული, რომ ვერაფრით ვერ გაიხსენა — აქ რისთვის შემოვიდა. გაცივებულს გაცივდა და უუთის კიდზე ჩაშკრა. ბედლისათვის დამახასიათებელი უყვლანარი საჭაშ-სანელებლის სურნელი საამო თავბრუს ახვედა და საოცარი სიყვადით გრძნობდა სხეულში მოულოდნელად ჩადვრილ რაღაც გაურკვეველ სიტუაციას და სიმსუბუქებს; ამას ახლა ბედლის სიგრილეს ერთვოდა და წუთით საუთარო თავს გაქცეულ დარიაშ მაშინვე სიამოვნებას მგვრიდა ამგვარ საამო საუფლოში ბაზუაწერსაკიო უფიქრო ფარფალი... მოგვიანებით თვალს მოსტყა ბედლის საპარო კრილში შენთვის შენორჩილმა სხეულმა და გაახსენდა, ბავშვობისას როგორ ეშინოდა (დედანთან ერთადაც კი) აქ შემოვლიდა; ღამით, დედა რაღაცის გასატანად ვრავით რომ შემოვიდოდა, დარია დედის ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა და კაბის კალთაში ჩაბეჭდულ ბედს, თავი რომ მოკვებდა. ვერ გააშევიანებდით...

დარია უცებ მარტოობის შიშმა ისე შეატო, რომ ცივად წამოდგა და კარისკენ გაშორჩა. სიჩქარეში სავერდელთან კორუა წამოქრა ფეხი (ბედელში შესვლის მიზნით) ამან გაახსენა) და ქათმებისათვის დილით ნათყვენი სიმინდი იატაკზე გადმოყარა. სიმინდის ჩხრილობზე ბედლის წინარში ერთი ამბავი ატეხეს ქათმებმა.

— უი, ჩემი სიყვადილი, სად შემოფრენილანა... აქში, აქში... — მან სხვა რომ ვერაფერი მოიხელო, ქათმებს სარკებით დაერია. — უცხო რომ ვიყოთბედით, სიყვადილით თავი მომეჭრებოდა, აქოდა, საყოდავები შიმშილით დაუბოციაო... აქში, აქში — დარიაშ იატაკზე დაურილი სიმინდი სწრაფად მოხვება, კორუა ამოიღოდა და აქამებდებანგული ბედლის კარი ღრიალით გამოეცოდა... კიშკრისკენ მიმავალი შუშანდის კიხესთან (დემოთმანი!) რაღაც უცხო ძალამ შეაჩერა და ბუხრის ქვეტირისკენ გაიყოლია, თორემ ახლა მას წედანდელის ბედმეორედ გახდებოდა კი არა, გახსენებაც კი აძრწუნებდა...

... რამოდენა ფეხი ჰქონია? — ჩაუცდულმა დარიაშ კორუა გვერდზე დაიდგა, ხედები გაშალა, ცერებით ერთმანეთს „გადაბა“ და ორი მტკაველით დაფარა ქვეშაზე დარჩენილი ფეხის ფეხმა ანახედი — მაშინ ბედის თათებით გახარდნილი ფეხი ჰქონდა... — დარიაშ გონებაში, გაუღებასავით ისე სწრაფად გაცივებდა და გაქრა ის უბედინერესი რილუკრილო წლები,

რომ აზრი ვერ დააწია და თავზე გაბარებულთ, ჭიბრზე ჩქიქრ შეცურდა წარსულში...

„ნეტავ, რატომ გვახსოვს ანთი ცინცალი სიყვადით ბავშვობა? უღარდელი ბედნიერების გამო? თუ ქვეყნად ახლად მოვლენილი ბავშვური ნიჭიერებებით რომ შეცინებოთ ირგვლივ შემოქარულ ბუნების უთვალავ საოცრებას?... ბედნიერება რომ ასე ძვირფასია, ადნათ, ამიტომაც ხანმოკლე... ოო, რამდენს ვთამაშობდით! ათასნარი თამაშით გახვითქულები, სულს ძლივს ვიბრუნებდით და მაინც ვთამაშობდით... იმ დღეს ტაფელა გოგალოს ტაფელაზე შორს რომ გავტყორცნი, ატყრაიცივული მაშინვე ზურგზე მოვევლი (დათქმული გვქონდა: ეიცე უფრო შორს გატყორცნიდა, ტაფელაზე ზურგზე მოკუტრებელი უნდა მიეყვანა), აჩუ ცნენო, აჩუ!“ — დედლის ჩამდგარი წამით რომ შეუთვინდა, აკისკისებულმა მუხლებით „დევი ვაქრა“.

„ნუ იქლევები, ქვავზე ფეხი არ დამისხლტეს, თორემ „აჩუ“ იქნება, შუალში ტუპანს რომ მოადენ, — მაფრთხილებდა გოგალო და გამხლარ ფეხებზე მაგარად მიჭირდა ბედებს. — გაჩერდი-მეთქი, არ გესმის?!“

დარიაშ გაეღიმა:

„მე, ბებია მარიაშმა მაშინაც მწარე სიმართლე მითხრა!... როდენდელი ამბავია და როგორ მაჩხვინა?! ახლაც არ ვიცი, დედის პირს მომეწია. საიფე ქალღმერთი ჩამქდარი ჩვენს თამაშს ადევნებდა თვალყურს თუ იმ წუთში დაგვიანდა და, როგორც სჩვევია, სათქმელიც იმწუთის მომახლა:

„გოგო, ბიჭს რომ სურსავით შემოხვევინარ, დეიხედ ერთი მერდზე; აწი კი დიდი გომიო ხარ...“ — უცებ გაუშრი, მერდზე არ დამიბედავს, მაგრამ პირველად მაშინ ვიკრძენი ოდნევე წამოფრენილი მუცელსავით რაღაცანარი ეუცუნდა და დმერთო, როგორ შემცხვანა გოგალოს შიშველი ზურგიდან ლოლუასავით ჩაოცურებულმა დედელმა მოვადინე ტუპანი; ერთხანს საგონებელში ჩავარდნილი ვერ მოვიხსენებ რა გზას დავდგომოდი; ეინუღითი წყალი ფეხებს მისუსხვდა, თან თვადლები მოწოლილი ცრემლი მზრას მიმდვრებდა... ავტროდის გადვადგი ნახი: სლიმ ქვავზე ფეხი რომ ამისხლტა და წყალში ბედლებითაც ჩადებო, იცოცხდი, ავტროაღდი...

„უი, ჩემი სიყვადილი და არ გადარჩენა, — მომესმა ბებია მარიაშის ხმა. — რა გულწიორა ყოფილხარ; გებულები, ბებიაწილობას: ზოგჯერ ხუმრობაც უნებოდა...“

„თავი არ მომიკვდეს, მარიაშ, ვერ იყო კი ბუმბოხა, — შეპარვით უსაყვედურა მეზობლის ქალმა. — თითისტოლად ბავშვებმა ჭირ რა იცინა ან ის, ან ეს...“

„ახე სჯობია, ჩემო ანიკო; ახლა ისეთ ასაქმი არიან, რომ დედვანდელი ჩემი ნათქვამი სამუდამოდ დამამახოვრებდათ...“ — ეწოში სირბილით მიმავალმა ეს სიტყვებიც გარკვევით გა-

ვიგონე და მართლაც სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში... სახლში არ შევსულვარ, სახლქვეშ ჭეტიკარის ურესთან დასუფთავებულ (აქ ჩვენი საეკარელი სათამაშო ურე იყო და მუდამ „დალაგებული“ გვექონდა) ქვიშაზე დავტყეი და გულამოქდარი ავსლუქუნდი. გოგილოს მოსვლა მაშინ გავიგე, როცა დამელაპარაკა:

— „დარი, — რატომღაც დარცხვენილი იყო, — იცი, ბებია მარიაში კარგი ჭალა...“

„სიკვდილი, სიკვდილი და არ გადარჩენა თუ უნდოდეს, აი!... — კანასი დედაბერივით ავინორჩე პირი (დარიას ისევ გაედომა) არ ვიცი რატომ და, წუცელამ უცებ ისე შემაშინა, რომ მოწანიება არ დამგვიანდეს-მეთქი, სიტყვები სხაპას-ხუბით ამოუყარე: — თფუ, თფუ, ეშმაკს ეშურებოდეს, ეშმაკს!... — და ნეკა თითს ისე მაგრაღ დავაკირე კბილები, რომ ტიკილისაგან ცინაღმ ვიყვირე... გაოცებული გოგილო პირდაპირილი შემომაჩერდა და უცებ ორივეს ერთდროულად წაგვკადა სიცილი... მერე, როგორც ამ ასაკს სჩვევია, ეწოშო ისეთი ბედნიერება გამოვკუნტრუსდი, თითქოს წუთის წინ განცდილი „წყენა“ ქარაშოტმა სადღაც გახვდეთო. „აი, ფეხო, ფეხო...“ — უცებ აუხრდა გოგილო, ორიოდ მტკრი ასკინკალათი გაიბრინა და იქვე, მოლზე დაქვა.

„რა იყო, გოგილო!“ — კისკისი შევწყვიტე და სიმწრისაგან სახედაღმევილს გვერდით მივუქეი.

„ეკალი, ეკალი... ფეხისგულში ეკალი შეგესო...“

მე, მაშინვე გამოცდილი ექიმაშვილი დავტრი-ალდი. გოგილოს პატარა, ბელის თათივით გაბარდნილი ფეხი კალთაში ჩავიდე, ზალახით შეფერადებული ფეხის გაული ზედათი გავუხუფთავე და სირბილეში უფრომდე ჩასმულ ეკალს წუნებამდე დაჭრილი ფრჩხილებით რომ ვერაფერი მოუხერხე, კბილებით ისე მარდაღ ამოვქაჩე, რომ გოგილომ „ვაის“ თქმაც ვერ მოახწრო.

„ფეჰ, ამან როგორ აგაბავდა!“ — დამციწავდა, ამრეწით ვუთხარი და პაწაწინტელა ეკალი წყაბელათი მოვიტრიალე...“

...დარია უეცრად მოვარდნილმა მწარე ფიქრმა გამოარკვია... ო, რა სატანქველი იყო ახლა მისთვის იმზე ფიქრი, თუ მაშინ რომელი ფეხიდან ამოუღო ეკალი — აი, ამ ანაბეჭდის დამტოვებლიდან თუ მეორედან, რომელიც უკვე აღარ ჰქონდა... კიდევ კარგი რომ ვერ გაიხსენა და ამან ცოტა შეუმჩატა გულისტკივილი. ნელა წამოიმართა: ქვიშაში ამოგანცდული კახის კალთა პაიპარად ჩაებრტყა, კორუას ბედი წამოავლო და ბიჭურისებრ გაუწოდა.

— ...მაინც რაო, რას ამბობენ დოქტორები, — დარიას გზაში მოლაპარაკე გალაქტო-მეწის-ქვილის ზმა მოესმა და ნაბიჯს აუჩქარა... მაგრამ ღობისთან მოხზე საცოდავად ჩამოყრდნობილი სარდიონი (გოგილოს მამა) დაინახა და წუთით ვაშლის ძირას შეუკვნდა.

— არაფერს... რამეს რო შეუბნებოდნენ. უკანასკნელ შარვალს გაუვიდიდი და ვუშველი-დი, მარა (დარია მიხვდა, სარდიონმა ცრემლის დასაფარავად დახარა თეთრი, თეთრი ბამბას-ვით თავი)... ახლაც ექიმთან ვაყუპი... მო, რაიონიდან მოვდივარ; ამას წინათ ვილაქამ მი-თხრა, ახალი ექიმი მოსულაო და, ზო იცი... და-უუქეი და მოუუყევი ჩემი გაჭირვება... პირგა-დარაზულივით მისმინა, მისმინა, ერთხელაც არაფერს შემიტხვია; მერე თავი გადაქნია და უნდა მაჩვენოო, მითხრა... ისიც მითხრა: მსეო ავადმყოფებს დროის მეტი ვერაფერი მოარჩე-სო... დრო უნდაო, დრო...

— თუ კაცო ხარ, ერთი ეს მითხარი, სულ ვერ გცნობთ?

— ვერა...

— დაგებრდი კაცი და ამგვარი რამე არ გამო-გონია... რავა შეიძლება, კაცო. არავინ ახსო-დეს — არც დედა, არც მამა, არც მეზობელი... არც სახლი, არც კარ-მიდამო... — ჩაფიქრებით თავისთვის ჩიფჩიფებდა გალაქტო და ბერიკა-ცისთვის ისეთი შეუფერებელი გამაღებით აფ-შუტუნებდა უალიონს, გეგონებოდათ, ღობის მიღმა ჩირკი ხარკოდავსო.

— რა ვქნა, ეტყობა. ჩემთვის მოიკალა იმ უღმერთო ღმერთმა: აბა, რა დავუშავე... ანდა, ვის რა დავუშავე: ამ წნის კაცო ვარ და თქვენ ქე იცით, უბატონოდ ზმა არავისთვის გამოიცა... ჩემი თავი ჭანდაბას, მარა ოქაბობის ცოდვით. მართალი გითხრაო, ვიწვები. გოგილოს გარეთ გასულს დაიგულეებს თუ არა. პირისუფალივით მოთქვამს და მოთქვამს; ვუბნები — შენ ცოც-ხალი მაინც დაგებრუნდა, სხვენს მკვდრებშიც არ უნახავთ-მეთქი, ეუფრება?... ისეა ჩამოშხმარი, წისქვილი დაფქვავს... ემე, რას, ვიფიქრებდი თუ ჩემი ცხოვრება ანე უეღმართად დატრა-ლდებოდა...

დარიათ ზმაზე შეატუო, რომ ბიძია სარდიონს ცრემლი აღრჩობდა, მაგრამ მამაკაცისთვის ჩვე-ული სიჭიუტით თვალბუნე სისველის არ იკარე-ბდა... მერე უხმოდ იბრუნა პირი და შვინდის საბიჭვი ვიხის ბაქუნთ ისე გაიყოლია დარდი-საგან დამძიმებული. შესამჩნევად მოხრილი ტა-ნი, თითქოს მამაზეციერს შეედოშით სხვების ცოდვები მისთვის აეცაღოს ზურგზე...

დგომ, როცა სტუდენტური წლები მიიწურებო-
და, აქედანვე იძენდნენ. ბოლო იქაური პროფე-
სორ-მასწავლებლები, აღმზრდელითი მოღვა-
წეობის გარდა, უამრავ სამეცნიერო პრობლემას
შესტიმდებოდნენ, ვისაც როგორც ძალუძდა, რა
თქმა უნდა, რა დასაშალია და, იმ აღმზრდელთა-

გან ზოგისთვის შრომა-გარჯა გამუდმებული ძი-
ება, ზშირად კი დამკვეთბა-სასოწარკვეთა თუ
უძილოდ გატეხილი, თავს თეთრად დათენებუ-
ლი, ქანცამცელი დაშვები იყო, მაგრამ მაინც
შვება და ნეტარება-სიამოვნება, სხვაგვარი სი-
ცოცხლე ჭოჭოხეთი იქნებოდა მათთვის, ზოგისა-
თვისაც მხოლოდ სასწავლო და ბორკილები, ტანჯ-
ვა-წაშება, სტუდენტთა სამეცნიერო წრეებიც
არსებობდა მოპარბებულად იქა, და სახელგა-
ვარდნილი სპორტსმენებიც ცოტანი როდი იყ-
ვნენ. მერე ცეცხისა და ხიმღერის გუნდებს აღარ
იკითხავთ? მარტო ჩვენს თვალუწვდენელ ქვეუა-
ნაში კი არა, საზღვარგარეთაც ზშირად რომ
გამოდიოდნენ კონცერტებით, თუმც ზოგ-ზოგები
— ამა, ენის მოტარტარეთ და ცინიკოსებს რა
გამოლენ — უკმაყოფილონი იყვნენ მაინც და
გაიძახოდნენ იმ სპორტსმენების, მომღერლების-
სა და მოცეცხეების მისამართით, ვარჯიშითა
და ცეცხა-სიმღერით ამთავრებენ უმაღლესო...
მაგრამ, მოდიოთ, იმათ აზრს ნუ შივამკვეთ უუ-
რადლებას... ის კი ბეშმარტბაა, რაც მე გითხა-
რით — ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა ინ-
სტიტუტში, ჰოდა, ცხადია თავისთავად, აღნუს-
ხვა ესპირობობადა ყოველივე ამას, ზომ უნდა
სცოდნოდათ მომავალ თაობათა სტუდენტებსა
და აღმზრდელებს, მაშინ, როცა დღევანდელ
დღეებს ისტორია დაეპარტონებოდა, რა ხდებო-
და აქა, წარმოდგენა უნდა ჰქონოდათ მეცნიერ-
რულ მიღწევებსა თუ კიდევ სხვა მრავალ ამბე-
ზე და ნაღზეც, რაკიდა ნაყოვანება ყოველთ-
ვის არსებობდა, არსებობს დღესაც და შემდგო-
მაც იარსებებს, თორემ სხვაგვარად ღმერთმა
დაგვიფაროს, წარმატება მარტოდენ პაერში
გამოკიდებული ცნებაა იქნებოდა... და, იმ
ინსტიტუტშიც, ისევე როგორც სხვა მრავალ
უმაღლეს სასწავლებელში, გამოდიოდა მრავალ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ცის-
კარი“, 1981 წ. № 11, 12, 1982 წ. № 1.

ტირაფინი გაზეთი, მცირე ფორმატისა, უოველ-კირეულ ორგანოდ წოდებული, იქაურ უოველ-დელიტობას რომ ასახავდა, აქებდა წარმატებებს, ნაყოფანებებს კი მიწასთან ასწორებდა, გაზეთსაც მეტი არაფერი მოეზოვებოდა... ბოლო რედაქცია ერთ პატარა, ციკუნა ოთახს შეჰყვლიდებოდა, სადაც ზოირი იყო ბოლმე ხალხმარვლობა, სტუდენტებიც მალ-მალ შედიოდნენ იქადა პროფესორ. მასწავლებლებიც, მაშინ კი, აი, იმ დღეებში, საიუბილეო თარიღისათვის როცა ემზადებოდნენ, განსაკუთრებით, დღესასწაული რომ ახლოვდებოდა, დიდდიან საღამომად, ხალხით იყო გაკედლილი რედაქცია, ამაღელვარებით სავსე იყო იქა: რედაქტორი და ორიც ლიტმუშაკი, გაზეთის მხოლოდ ეს სამი საშტატო ერთეული ემსახურებოდა, სამივე ნაგონებელს ჩავარდნილიყო, ჩაფიცრებულნიყვნენ ღრმად, მოშუამყოლად გუნება და მიზეზიცა ჰქონდათ საამისო — მომავალი ნომრისათვის, რომელიც მა და მა, დღე-დღეზე უნდა გამოსულიყო, მასალა აკლდათ თურმე და სწორედ ამას დარდობდნენ: რა ვქნათ, რა ვიღონოთ, ნომერს ხომ ვერ ჩავადებთო... და შინ ვეღარ დატოვდითყვნენ, უთინაზე სწევოდნენ სახსახურს, მაგრამ ამაოდ, ვერა ეღონათ რა და, ისხდნენ ამრტული-ურჩაზაყრდინი, თანაც რატომღაც თვალს ვერ გაესწორებინათ ერთმანეთისათვის, მგონი დაწაშვლებდნენ კიდევ ერთერთს გუნებაში, ახლებდნენ წარამარა და ხალხიც ხომ წართმეოდან და წართმეოდან ხმის ამოდებისა... ამ ამბავს იყვნენ ისინი, კარი რომ გაიღო უცებ და რეჟო შევიდა რედაქციაში: შეიძლებაო? — იკითხა და მიესალმა იქ მყოფთ...

— უბ, რეჟო, შენა ხარ? — უთხრა რედაქტორმა და ღიმილი ჩაუდგა თვალშიც, სკაშზე მივითია მერე, დაჟეჟიო... ასე უნდა ხალხის დაიწყება? სად დაიკარგე ამდენ ხანს, — და მიაჩერდა რეჟოს, იმან რომ უპასუხა, ვარ ძველებურადო, ლაპარაკი განაგრძო: — ბიჭო, შენისთანა სტუდენტი მეორე არ დიდის ინსტიტუტში, რა მოხდება ვითომ, გუჟას მოუხმოს ცოტა, გაზეთში გამოგაჟევენებდით, — დინჯად ლაპარაკობდა რედაქტორი, თვალს არ აცილებდა საუბრისას რეჟოს, თან კი ფიქრობდა: რამე თუ არ დაუშვებია ბოლო ხანებში, ამაზე დაეწიწი წერილს და ჩვენს გაჭირვებასაც საშველი დაადგებაო... — მარტო ერთ სემესტრში თუ გახდება ფრიადოსანი რომელიმე სტუდენტი, იხიცი დიდი გაჭირვებით და ლამის არის ცამდე აიყვანოთ, შენ კი... მართალი მითხარი, — გამოვლი მზერა მიპყრო: — ამ ბოლო დროს ხომ არ დაგირღვევია წესრიგი...

— როგორ არა, — უმაღვე მიუგო რეჟომ. — ხუთი დღის წინათ დავარღვიე...

— აბა, ეგ არის ახლა საქმე? — გაცხარდა საშინლად რედაქტორი, — როგორ კადრულობ,

ამ ხნის კაცი, თანაც ნიჭი შენ არ გაკლია და უნარი, — ხელიც ჩაქნია სინანულის ნიშნად, რაღა მასალის შოვნის იმედმა უმტყუდა, ის ორი ლიტმუშაკიც რომელი ჩავარდნილიყო ნაუღებ დღეში, რედაქტორმა კი ისევ რეჟოს მიმართა: — ხმით კიდევ სვამ თუ შეეშვი...

— აჰ, ღარ ვსვამ უკვე რა ხანია, — ჩაფიქრდა უცებ და მიხედნენ რედაქციის თანამშრომლები, რაღაც საქმეზე მოსულიყო, იმასაც აღარ დაუყოვნებია: — იცით რა? ერთ საქმეზე მოვედი ახლა მე თქვენთან, მასალა ხომ არ გაკლიათ მომავალი ნომრისთვის?...

— აუჰ, არა, — იუარა რედაქტორმა და ლიტმუშაკებს შეავლო წამით მზერა, მიანიშნა ამით: ღმერთი არ გაგიწყრეთ, არ წამოგდეთ, რა დღეც გვადგიაო. — გვაკლია კი არა, თავზე საყრდელად გვაქვს... სამი ნომრის მასალა და გვიგრძელდა უკვე, ზოგიერთ წერტილს მგონი საერთოდ ვეღარ გავუშვებთ, მოძველდა...

— საინტერესო ამბავი იყო ერთი, — წამოიწყო რეჟომ, — ერთ ჩემს თანაურსელს, თქვენ არ უნდა იცნობდეთ მგონი, უჩვეულო უნარი აღმოაჩნდა, — რაკი სურდა, ნათქვამი უფრო სარწმუნო გამოსვლოდა, სამივეს ცალ-ცალკე შეავლო მზერა და როგორც კი დარწმუნდა, გულისყურით მისმინენო, განაგრძო: — მოის, მენს თუ არა რამე წინადადებას, ოღონდ ერთი კი მოჰქრას ყური, სულ ერთია, თუ გედა გაზეთის მთელი გვერდი წაუკათხე სხაპახუპით, წამითაც არ ჩაფიქრდება, უმაღვე გეტყვის, რამდენი ბეგრისგან შედგება წაკითხული... რა ვიცი, საინტერესო ამბავი მგონია...

სამივე გააცოცხლებია და გულისყურით უსმენდა რეჟოს და ლაპარაკი რომ გაასრულა, დუმდნენ კარგა ხანს, ახლან მისმენილზე ფიქრობდნენ, რეჟო კი გამოწვევად შესცქეროდა იმით და ფიქრობდა: „მგონი ამათ არა სწერათ, მტნარი სიცრუე მგონიაო...“ და როდის შემცდარა, — სისულელებებსა რუშავს ეს ვიღაცაო... — რედაქტორიც ამას ფიქრობდა და ის ორი ლიტმუშაკიც... მერე კი დუმდნენ და ფიქარი როცა მობეზრდათ, რედაქტორს ცივმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, რეჟოს კი გუნებაში ეცინებოდა და წინასწარვე ატკობდა ის ამბა, რაც, რაც ცოტა ხნის შემდგომ უნდა მოხდებოდა, თუ, თვალწინ დახვდებოდა ახლა, როგორ ამოიცნობდა გედონი ბეგრებს...

— მართლაც საინტერესო ამბავი უნდა ჩანდეს, — უგულოდ ამოღერდა რედაქტორმა, მერე კი შეუყვანდა წამით, — საინტერესოა თუკი... თუკი სიმატელე გამოდგა...

და კიდევ ერთხელ შეათვალდნენ რეჟო, გამოცდილი მზერა მიპყრო, ის კი წელში გამართული და ფეხებგაჩახული დამდგარიყო

ჯეშმარ ტიპარამი
სასწაულები

კართან, ჩაფიქრებულიყო, აღარავის აქცევდა ყურადღებას, ბოლოს კი რედაქტორის შეითხვამ გამოარკვია:

— სად არის ახლა ის ბიჭი...

— ღერტყანში მელოდება, დაფუძახო?

რეზოს შემოჰყუ გედეონი: დიდის ამბით შეათვალერეს იქ მყოფებმა, ხოლო თავად ნავადმყოფარს ჩამოჰგავდა კლავაკი, სნეულს, რომელიც აგერ ახლავდა გამოსულა საავადმყოფოდან, მაგრამ ეგვითაა დაავადებული, არ სჭერა განკურნებული თუ... ათი დღე გასულიყო იმ აღსარების შემდგომ. ფიქრში უკველთვის ამგვარად ნათლავდა გედეონი ამასწინანდელი საღამოს ამბავს, ღირსსახოვარ, საუცხოო დღედ რომ მიანდა, რეზოს რომ გაუმხილა მტანჯველი საიდუმლო. თუმცა არ გასჭირვებია შეინდამინცი ღარწმუნებულები — უჩვეულო უნარის ადამიანი ვუოფილვარო: რეზომ ჩაუნერგა ამგვარი რწმენა, მერე ლაღიც წარამარა ბაზს ჩასახოდა და არწმუნებდა, იშვიათად რომ შეგხვდება ცხოვრებაში, ისეთი ვინმე ხარო, თან არც რეზო მალავდა სიხარულს და არც ლაღი და თანაურსებლებიცა თუ სხვა ნაცნობ-მეგობრებიც ამასვე ეუნებოდნენ, მას შემდგომ ხილვა რომ ეღირსათ მისი — მეროვ დღესაც არ გამოჩენილა ინსტიტუტში გედეონი, რეზომ რომ აუწყა ჰქვეანს ის საოცარი ამბავი და ცნობისმოყვარეობაც უფრო გაძლიერდა, მერე კი ეღირსნენ როგორც ექნა იმის ხილვას და თავიანთი თვალათ რომ ნახეს უკველივე და დარწმუნდნენ, არაფერი არ გაეზვიადებია თურმე რეზოს, გაოცებულნი დარჩნენ, განსაკუთრებით კი იმ მცირერიცხოვან ურწმუნოებს დატუთო გაკვირება, რომელთაც არ სურდათ არაფრით დაჭერება იმისა, რომ სტუდენტი, რომელიც გაკვირვებულ სამებზე სლივსა სწავლობდა, რაიმეთი გამოირჩეოდა სხვებისაგან, მაგრამ ჭეშმარიტებას ვერაფერი დაუდგებოდა წინ და იმათაც აღიარეს: მართლაც უჩვეულო ამბავია, მსგავსი რომ არ გვიხილავს არასდროს, ისეთიო... გედეონსაც მეტი რაღა ენდომებოდა, თანდათანობით ჩაენერგა რწმენა და თავდაჭერებულობაც, ადრე რომ უფრო ხილი იყო მისთვის, ერთიორად მოემატა: მაგრამ ჰქვე უნდა დავასინო, სიხალე იყო უკველაფერი, რაც იმხანად ხდებოდა, ძველ, ძალზე ჩვეულებრივ ცხოვრებას, როცა უკველივე ნაცნობი იყო და კანონად ჰქვეული და ახალს, თავბრუდამხვევსა და დამყანველს შუა თვალზეუწყდომი ზღუდე-კედელი ამპირაულიყო თითქოს, ანდა ღრმა ხვეი გართმულიყო, თითქმის უფსკერო და გედეონს უჭირდა საშინლად მაშინ, ამიტომ იყო იმ დღესაც ნავადმყოფარს ჩამოგავდა, რედაქციამ რომ მიიყვანა რეზომ... ძნელზე ძნელი და თითქმის შეუძლებელი რამ გახლდათ სიხალესთან შეგუება, რაჯდა ძველ ცხოვრებას უცებ მორღვეოდა ჭებირიცა და კალაპოტიც, თვალისდახამამენაში, მერე კი ეხეც

როდი ემარა, უზგოუკლოდაც დაჰკარგვოდა, ხოლო ახალი უკალაპოტო იყო ჭერხანობით, გამოუცნობი გახლდათ დღევანდელი დღე და ვერც ის განესაზღვრა, როგორი იქნებოდა მერმისი, თანაც იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, ხოლო ხანებში ბევრი ისეთი კიდაც-ვიდაცანი ელოლიავებოდნენ, ადრე, როცა ერთი უკვლად ჩვეულებრივ სტუდენტთაგანი ბარანდებოდა, უურადლების ღირსადაც რომ არ თვლიდნენ, ეცკი არა, ვერც ამწვენდნენ თითქოს იმის არსებობას. ზოგიერთ მოკელეუყო თუ გაბღენძილ თანაურსებელზე მოგახსენებთ და სხვებზეც, შემოხვევითობისა თუ აუცილებლობის წყალობით შეძენილ ნაცნობზე, რომლებსაშიც მაინცდა, მაინც ბლო ურთიერთობა არა ჰქონია.

ცნობილ პაროვნებად ჰქვეულიყო გედეონი, თითო საჩვენებელ სტუდენტად და რაკი წარსული უზგოუკლოდ ჰქრებოდა და აღარც მობრუნდებოდა აწი არასდროს, ასე სწამდა თავად, — დროდადრო, არცთუ ისე იშვიათად, მტანჯველი შიში აეკიატებოდა ზოლმე და აღარ აძლევდა საშველს, მაგრამ ვინმე ან რაიმე როდი აღრთობდა, არა, ბუნებით მხდალი არა უოფილი, გაუცნობიერებელი გახლდათ ეს შიში — უსახო და თითქოს არარეალური, ხანდახან რომ მიეჭრებოდა ზოლმე დაუკითხავად, ჩაუხალდეზოდა გონებაშიც და ტანშიც და გაუცნობიერებელი და უტყპო რაკი გახლდათ, აი, სწორედ ეს იყო აუტანელი და დამაღმობით ძილი ეკარგებოდა ზოლმე გედეონს, მოეშვებოდა და მოუდუნდებოდა სხეული, თავიც დაუშვამდებოდა საწარმოდა, თითქოს თანდათან ეცხებოდა ცანდარ ტუცია-საუთ მშიმე, ცხელი სითხით, არ იფიქროთ, თითქოს იტანებოდა იმ დროს, როცა ძილი გაუტუდებოდა ზოლმე, თუმც ვერა და ვერ ჩამოსცილებოდა გაუცნობიერებელი ძრწოლა და შიში, მაგრამ მაინც საქმად დიდებულად გრძნობდა თავს: სადღესაწაულო იერ-ფერი დაჰკარავდა იმის ფიქრებს და სურნელიც იყო, ჭერ რომ არ ახსოვდა იმგვარი, რაკილა მომავალს სჭვრტდა მუშინ, მერმისის ზღვრიალა, კანკაშა დღეებს, თილია და საამურს, იმდაგვარად საუცხოოსა და წარმტაცს, მსგავსის მომსწრე რომ არა უოფილა და კიდევ უამრავზე უამრავ ადამიანს, ნაცნობებს — ძველისძველებსაც და ახლებსაც და იმათაც, შემთხვევით რომ გაეცნოოღესდაც და მიეწყებოდა მერე: სხვებსაც, არასდროს რომ არ ეხილა თვლით, აი, ისეთებსაც და თავად ტრიალებდა უფელგან იმ ხალხში, სახერე ღიმილი რომ ეფინათ, რაღა ექმა უნდა, მხოლოდ გედეონს უფიქრდნენ ისინი, სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო, უცნაურად იყვნენ აღფრთოვანებულნი და არცა ცილილობდნენ თავიანთი სუფიერი მდგომარეობის შეჩქალებას, პირიქით, ხალხისთა და სიხარულით აწუხურებდნენ... აი, ახეთ და ამისდამაგვარ რაღაცებსა ხედავდა ზოლმე გე-

დრონი ღამ-ღამ, უძილობისა თუ სიტკბონარე-
ვი ტანჯვა-წამებისა და ოცნების ჯამს, უძი-
ლობა კი ჩვეულებრივ ამხად ჰქცეოდა უკვე:
იქვე ზოლმე თვალგახელლილ ღამისეულ სიზნე-
ლში, ასცქერდა ჰერას, წამითაც არ სწყუებდა
შეგრას, ფიქრობდა წარმტაც და უბნწაწნავალს
შერმისზე, ჭერ რომ არ გათენებულყო იმ
კრიშა დღეებზე და საამო იყო უველაფერი,
მაგრამ მტანჯველ-მტკიანეულიც ერთდროულად,
ჩაღი ეძვლებოდა წეგუება ახალ ცხოვრებას-
თან, ისე ჩვეულებრივი ვინმე გახლდათ, რაც
კი თავი ახსოვდა უოველთვის, ისიც საგულისხ-
მოა, უველაფერი მოულოდნელად და სწრაფად
რომ მოხდა, ისე უფერად, მძიმე კვალსა სტო-
ვება — სიტკბონარეგვას და ტიფლგარეულ-
საც და სწორედ სიტკბო-კაცვილის ჟგ განუწყვე-
ტილი მონაცვლიობა იყო მიზეზი გაუცნობი-
ერებელი შიშისა და ძრწოლისა... იმ ათ დღეს,
რომელიც დასრულების შემდგომ გასულიყო, ერთ-
ხელს არ დიღებდა. აღამიანური ძილი, თვალს
კი მოხუჯდა ზოლმე დროდარო, ძლიანარეგ
ბურხანსაც მინებდებოდა, მაგრამ ქანსადი ძილი
დაძკარგვოდა და რაც უველაზე მეტად საგუ-
ლისხმოა, უოველიც დაიდებულად აანალიზებ-
და თავად — იმასაც, რაც აქამდე მომხდარიყო
და ამჯერად ხდებოდა და იმასაც, შემდგომით
შემდგომ რომ უნდა ვადახეიწოდა თავს: იცოდა
და სჭერდა, მერე და მერე, დრო რომ გავი-
დოდა, თანდათანობით შეეგუებოდა და გაი-
სისხლბორცებდა ახალ ცხოვრებას და ისიც
გაეგებოდა კარგად, გაუჭირდებოდა თავიდან...

გადიოდა და იღვოდა უძილო ღამე, ნელინელ
და თანდათან რიგარეგებოდა სივრცე, რომელიც
სარკმლის მიღმა მოჩანდა და ისევ იქვე გემო-
ნი ტახტზე, თვალგახელლილი და კვლავ და კვლავ
იმ ერთ აკვიტებულ წერტილს — ჰერას თუ
სარკმელს მიჩერებულად, როგორც კი ირრეაქტე-
და უკვე საბოლოოდ და სარკმლის მიღმა სიბ-
ნელის რძისფერი შედგოდა, ძილბურხანში გა-
ეხვეოდა, თუმცა თვლები კი მოხუჯული ჰქონ-
და, მაგრამ არ ეძინა, მქისე, გამარბებული
ქანდ-ბურხის შემოხვეოდა გარს და ის ნისლი
ჩაღერო იერფერს უარგავდა უველაფერს,
ახლა რაც არსებობდა იმასაც და, იმასაც შემ-
დგომ და შემდგომ რაც იარსებებდა, საგნე-
საც და მოვლენებსაც, მაგრამ ერთი რამ მაინ-
ცა ხდებოდა, ძილბურხანი ძილის მაგივრობასა
სწევდა... შემსუბუქებული, გახალისებული წა-
მოადგებოდა მერე გედონი, დამკვირვებოდა
უოველი ენთი და მოზღვავებულ ენერგიასაც
გრძნობდა, თუმცა არც ამჯერად უოვეა გრძელ-
დებოდა დიდხანს, ხანმოკლე იყო ძალზე —
თუთმეტიოდვე წუთის, ანდა ნახევარი საა-
თის შემდგომ მოიღრუბლებოდა ისევ, მოი-
ლუშებოდა და კვლავაც აკვიტებულ ფიქრ-
სა თუ სურვილს მიუბრუნდებოდა, სურ-
და, რაც შეიძლებოდა თვალნათლივ და ცხა-

დად წარმოედგინა მომავალი... უველაფერი
და უოველივე ამოსვლოდა ეულში, რაც კი
მის ირგვლივ არსებობდა თუ ხდებოდა, მოხე-
რებოდა ლეციციბია და სხვა ჩვეულო, უოველ-
დლორი ამბებიც, რომელთაც შეთვისებოდა
წლების მანძილზე და მხოლოდ ღალი იყო
ერთადერთი არსება, ვისაც ხალისი და საამო
შეება მოჰქონდა: მოაკითხავდა სოლმე გედონს,
როგორც კი ლეციციბია დაუმთავრდებოდა,
უცემციმებდა და უკაშკაშებდა თვლები და
სხეულის უოველი ნაკთი უღიმოდა — უბედ-
ნიერეს არსებათაგანი იყო იგი იმ ხანებში, შე-
მოვიდოდა თუ არა ოთახში, უეცრად ააბდვრი-
ალებდა ირგვლივ უველაფერს, სიბო-მუღდრო-
ბასაც შემოიულოდებდა და სიღბო-სინაწესა-
შესცქეროდა ზოლმე გედონი გოგოს და სეულა-
ნარეგ-სათუთი სიმშვიდე მოჰქონდა მოზღვა-
ებულ ბედნიერებას იმისთვის, სიმშვიდეცა და
სიტკბონარევი საამო ტიფლიც... მერე კი
საქმიანობა ღალი — დიასახლისობდა, და-
ფუნფუნებდა ოთახში, სურნელითა და ტრე-
ანტელით ავსებდა ჰაერს, გედონი კი ტან-
ზე იქცა ზოლმე საოცრად გონდაწმენდილი,
წარმოუდგენლად შემსუბუქებულ-ღამშვიდე-
ბული და თვალმოუცილებელი შესცქერო-
და... გვიან ღამემდე რჩებოდა გოგო ვაჟთან,
შუალამს ბევრით რომ იყო გადაცილებუ-
ლი, იქამდე... ისხდნენ ზოლმე, როცა შე-
ნაურდებოდნენ და ბინდი ჩაჰამიშვებდა სარ-
კმლის მიღმა სივრცეს, ერთმანეთს გვერდ-
გვერდ და გედონი დარწმუნებული იყო: მორ-
ჩა, აწი სამუდამოდ ჩამოვიცილი ის გრძელი,
უძილო ღამეებიცა და მტანჯველი, გაუცნობი-
ერებელი შიშისა, მაგრამ არა, ფუჭი, გულუბ-
რუვილი ნუგეში იყო მხოლოდ: წავიდოდა ღა-
ლი და კვლავ უძილოდ თენდებოდა, ისევ წინა
ღამე განმეორდებოდა და უოველი მათგანი,
ერთმანეთის გაგრძელება კი არა, ახლი იყო
ერთოფრთხილი...

იმ დღეს კი მორცხვად იდგა გედონი ინსტი-
ტუტის რედაქციაში, ზოლო რედაქტორი და ის
ორი ლიტმუშაკი შესცქეროდნენ ცნობისმოუ-
ვრობას მინებებულნი, მერე დაიწყო, რაც და-
იწყო — განსაკუთრებულ სიამაჟეს დამორჩი-
ლებოდა რეწო, რედაქციის თანამშრომელნი
რომ ამოწმებდნენ გედონს, ზოლო იგი უშუ-
დომოდა და ელვის უსწრაფხად პასუხობდა
ბეგრათა ჩაოდნობას, თვდაჭერებული და ამა-
ყი, დიდხანს გაგრძელდა ის პროცედურა: ხან
რედაქტორი კითხულობდა ვრცელ-ვრცელ წინა-
დადებებს, ხანაც ის ორი ლიტმუშაკი, შეუღლო-
ლად პასუხობდა გედონი და აღარც დამორცხ-
ვებული გამოიუერებოდა, ძალზე თავისუფლად
ეცირა ახლა თავი, უშუალოდაც, რაკი უველა იქ

ჯუშმბარ ტიპარაძე
სასწაულები

მეოფის უკრადღებია მხოლოდ მასზე იყო მიპყრობილი. ისინი კი, რედაქციის თანამშრომელნი, კმაყოფილნი დარჩნენ: თავიანთი თვალთი იხილეს უჩვეულო უნაჩიხა და ნაიჭის მქონე სტუდენტი და სადარღებელიც ჩამოიროვნეს, თავი ქუდში ჰქონდათ ამჭრად იმათ — მომავალი ნომრისთვის მასალა აღარ შემოკლებდნოდათ. შემოწმების შემდგომ სურათიც იქვე გადაუღეს გედონს. „სიმაართლე თუ გინდათ, — თქვა რედაქტორმა, ბიჭებს როცა ემშვიდობებოდა, კმაყოფილნი ჩანდა თავადაც და ის ორი ლიტმუშაკიც დიდებულ გუნებაზე მომდგარიყო. — არ ვაპირებდით, მაგრამ წეროდა გედონზე ამ ნომერშივე დავბეჭდავ, მაგნი ასე აქოებებს, ჩანდაბას. სხვა რომელიმე მასალას ამოვიღებთ და ამის ჩვეულებით, გაზეთი კი სამი დღის მერე გამოვა...“ და, ის სამი დღე ტანჯა-წამებადა და უფრო უარესიც, ქვარცმად ექცა გედონს: ჭერ იყო და, როცა რედაქციის თანამშრომლებმა შეამოწმეს და აღფრთოვანებულნი დარჩნენ, აღფრთოვანდა თავადაც, თუმცა არ დასტუბოია არაფერი, თავს მოერია როგორაც, მერე აღტკინებული დადიოდა მთელ დღეს და საღამოს, დაწმუნებული რომ გახლდათ, თეთრად დამაინდებდა ამაღამდელი ღამეო, მოტკუვდა: ღო-გინწი ჩაწვა თუ არა, ღრმა ძილს მინებდა, შემდგომ ორ ღამესაც არ გასტუბოია ძილი, მაგრამ ეღვიძებოდა მაინც დროდადრო, ის აკვიტებულაჩემებული შიში შეაქანჭდარებდა ბოლმე უცრად, არ მოეშვებოდა, სანამ არ გამოეღვიძებდა, თუმცა მთლიანად როდი ფხიზლდებოდა, ძილბურანს იყო, წრიალებდა, ვიდრე ხელახლა არ მინებდებოდა ღრმა ძილს, ერთი შეხედვით ნორმალურად ეძინა თითქმის, ადრე რომ სჭევოდა ბოლმე ისე, მაგრამ მეორე დღეს საცუდავად დალაზლახებდა, თან კი სული კბილით ეჭირა, ვიდრე გაზეთის იმ ნომრის იხილავდა: მდიოდა ინსტიტუტში, მაგრამ ბოლომდე ვერ ძლებდა ლექციებზე, ბერტლებოდა, ჰქანცავდა და აღიზანებდა ბაღში ტრიალი თუ ნაცხო-მეგობრებთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და ჭალას იზამდა, მიატოვებდა ინსტიტუტს და ჭალა-ჭალა დალასლას. დაბორიალებდა მარტად-მარტო, თუმცა ესეც ვერა შეეფიქრა და ოთახში გამოიკეტებოდა ბოლმე და მოუთმენლად ელოდა ლალის გამოჩენას; დაწნარდებოდა მესხზე, როგორც კი მოჰყავდა თვალს გაგონა, სიმშვიდე დაეფუფლებოდა და ამასობაში დაღამდებოდა კიდევ... მეოთხე დღეს კი, აი, მაშინ, გაზეთი რომ უნდა გამოსულიყო, რედაქციის წინ იბორიადა კარგა ხანს. იქნებ გაზეთი უკვე გამოვიდაო, იმედოვნებდა, მაგრამ ვერ გაიხედა კარის შეღება და რედაქციასი შესვლა, ერიდებოდა, აჩადა, იქიდანაც არ გამოსულა ვინმე, როგორცა ჩანდა, არც ერთი თანამშრომელი არ უნდა უოფილიყო ადგილზე, ის კი იმდაგვარად ირქებოდა,

თითქმის შემთხვევით მოხვედრალიყო აქ. და მერე, ამაო წაღების შემდგომ, როცა ვერაფერი გააწყო, რეზოს ეწვია შინ. ხოლო ახალშეზინდებულზე სტამბაში მივიდნენ ისინი: რედაქტორი საამქინაო საამქროში იდგა ჩაფიქრებულნი, იმისაგან მომორბობი, სიღრმეში, თეთრხალათო ქალები საქმიანობდნენ — წიგნებსა ჰკინაძვდნენ, დროდადრო ერთმანეთსაც გადაელაპარაკებოდნენ ხოლმე, იჭაურობა კი განათებულიყო.

როგორც კი შედგეს საამქროში ფეხი გედონმა და რეზომ, რედაქტორს მოჰკრეს თვალი, შეჩერდნენ იქვე, კართან და გაიტრუნენ, რედაქტორს შესცეროდნენ, ბოლოს, როგორც იქნა, შეაშინა იმან ბიჭები, თვალნი გაუბრწყინდა უცებ და შორიდან შესძახა: „ოჰ, გამარჯობათ, თქვენი — მერე მივიდა მათთან და გაზეთი გაუწყოდა რეზოს, — აი, წეროლიც...“ გაზეთიდან დიდებულად ამოიშორებოდა გედონი, ისეთი გამომეტყულებოდა აღბეჭდვად სახეტო, იფიქრებდი, დიდი უმარყო ვინმეა, წმიდათა-წმიდა არსებო, უფრო კი წამებულს დამსგავსებოდა, ადამიანს, რომელსაც სიცოცხლე ტანჯავდაბა-სა თუ სიღუბნირეში გატარებია, წისკვილის ქვა არ დატარიადებულა იმის თავზე, თორემ სხვა არა დაჰკლებია.რა, ძალზე ბევრა სავიავგაბოო შეხვედრია ცხოვრების გზაზე, მაგრამ არ გატუბილა მაინც, არც ქედი მოუდრეკია და, რაც მთავარია, შეუზღალავდაც დარჩენილი... რეზოს ხან გაზეთს ჩახედავდა და ხანაც გედონზე შეავლებდა მზერას, რამდენჯერმე გაიმეორა ასე და გაეღიმა ბოლოს, დაეტყო აშკარად, კმაყოფილი დარჩა, ხოლო გედონი უცებვე წამოდნოთ, როგორც კი გაზეთს დახედა, ადგოდა კიდევ, არ უნდოდა დიდი დავკირება ამის გაგებას ისიც იგრძნობოდა, მღელვარების დაფარვა რომ სურდა, მაგრამ უძლური იყო, არც ღონე ჰყოფნიდა საამისოდ და არც ნებისყოფა, კარგად გამოვსულებოდა, მხოლოდ ეს აეთქიკა, თავის სურათს რომ სჭიდა თვალი და შეეცადა, როგორმე აერიდებია მზერა გაზეთისათვის, რეზოს რომ კითხულობდა შესასურთი ჯულმოდიგინებოდა და მოწწწებდა. სხვა რაიმეზე სურდა გადაიტანა ფიქრი, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, წეროლიმან, არაფრისმთქმელ ამბავზე, მაგრამ ვერ შეძლო და კვლავაც რამდენჯერმე გაეცა თვალი გაზეთისაკენ, თუმცა ვერაფერი გააჩნია. სათაუროს ამოკითხვაც შეუძლებლად ეჩვენა: ასოები თითქმისა ადგილს უნაცვლებდნენ ერთიმეორეს, ხტოდნენ დიდი სისწრაფით, გარდი გარდმო მოძრაობდნენ ხან, ხანაც აღმა-დაღმა და გედონსაც უფრო ემატებოდა მღელვარება, სახეტო თანდათან ედებოდა აღმურია და თავბრუე ვეფოდა, მერედა დაწწწებოდა ოდნავ, მაშინ, როცა რედაქტორის ხმა ჩაესმა, მაგამ ის კი ვერ გააჩნია, რას ლაპარაკებდა, ანდა ვის მიმართავდა, თუმცა იმ კაცის დალაპარაკებისათ-

ნავე უფროად დაეწმინდა გონება და მიხვდა. მაშინაც კი არ უნდა აღელვებულიყო, როცა თავის თვთაზე განმარტოვებოდა, ხალხის თანდასწრებით ზომ მითუმეტეს... მღელვარების გაქრობისთანავე გადაუარა სიწითლემ სახეზე, თავბრუსხვევაც შეუჩერდა და უშაღვე დაბაკვნი: რაც მოხდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო ოდესმე, არაფერია უჩვეულო ანდა გასაკვირიო და მისდგა თავის თავს, ჭკიცა და ჭკიცა გუნებაში წამოსწინანდელი აღელვებისათვის... იდგა ამჭერად წელში გამართული, თავი ამჟამად აედგრა მაღლა, ბეჭები ფართოდ გაღეშელა და. ამასთან ერთად, სპორტად დამსტავებოდა წმინდანსა თუ ტანჯვა-ფათურაკამოვლილ ადამიანს, ერთხელაც აღარ გაპარვია შერა გაუნთხაკენ...

— როგორია, — იკითხა რედაქტორმა. — არა უშავს, არა, წერილზე?

— კარგია, — უმაღ მთუგო რეზომ, ვერ დაწუნარებულიყო ჭერაც, — სათაურიც შესანიშნავად შეგიჩრჩევიათ, სურათიც კარგად გამოსულა...

საამქროდან როცა გადიოდნენ გედონი და რეზომ, ერთ-ერთმა მკინამაჟმა გოგომ გადაულაპარაკა მეზობელს, ადვილი შესამჩნევი იყო, განგებ დალაპარაკა ხმამაღლა, ბეჭების გასაგონად და მიაღწია კიდევ მიზანს...

— შუბელ ეგერ, გედონი არ არის ის ბიჭი? — წყრილა, ლამაზი ხმა ჰქონდა იმ გოგოს, — დედა? მართლაც რა კაი ბიჭი უოფილა...

— რომელი გედონი, გოგო... — ჩაესმათ მეორე გოგოს ნათქვამი, დაბალი, რბილი ხმა ჰქონდა იმას, — პირველად ვხედავ...

— რომელი და, — არ დაუყოვნებია პასუხს, — უჩვეულო უნაბის სტუდენტი...

— მართლა? დედა, რა კაი ბიჭი უოფილა, შევყარებული თუ უავს, ნეტავ...

— ეყოლებია, აბა, არ ეყოლებია, გოგო? — ოდნავი სევდა გაერია თითქოს ხმას, — ვერა ხედავ, რა ტანი და გარეგნობა აქვს? თანაც როგორი ნიჭიერი უოფილა...

ეს უკანასკნელი სიტყვები რომ ჩაესმათ, კარგად იყვნენ უკვე, გახვლას აპირებდნენ საამქროდან... გედონი, როგორც კი იმ გოგოს ლაპარაკი გაიგონა, რომელმაც პირველად წამოაწყო საუბარი, წყრალა ხმა რომ ჰქონდა, უტყვევო შოროთილდა, გასასვლელისაკენ მიდიოდა მაშინ და ერთი კი დაამკრა მიბრუნება, ვინ ლაპარაკობო, დაინტერესდა, აღელდა თან კვლავაც, როგორც რამდენიმე წუთის წინ, სახეც წამოწითლებოდა წელანდელივით, თავის სურათს რომ მოჰპარა თვალში გაზეთში, მაგრამ მეორე გოგოს ხმა როცა გაისმა, აი, იმისა, დაბალი, ზავერდოვანი ხმით რომ წარმოესტკა — რომელი გედონიო, დამზვიდდა უშაღვე, თავდაც ვერ მიხვდა, რატომ. თავიდან ეგონა, ხმამ დააწყნარა იმ გოგოსამ და ამჭერა.

დაც ისევ როგორც წილან, წამხვე ჩამოიცილა აღელვება, სიწითლემაც გაუარა სახისამ, ხმშვიდმაც დაეუფლა და იაზრა უტეხ, იმ გოგოს ზავერდოვანი ხმის გაგონებას როდღი დაეწმენებინა, ჩვეულებრივი ამბავია, ჩემთან რომ დაინტერესდნენ... — გაოფქრა, თითქოს ხხვაჯერის რამ არ შეიძლებოდა... ამის გაფიქრებამ კიდევ უფრო დააწყნარა და სურველი მოითოქა, უკან არ მიბრუნებულა... მიხვედრით კი მიხვდა, განგებ რომ საუბრობდნენ გოგონები ხმამაღლა, რა არის, მისი უურაღებია მიგუჩროთ და თითქოს არაფერი გაეგონოს, ისე გვიდა საამქროდან. ხოლო რეზომ მხარზე დაქარა ხელი საამქროდან გასვლისთანავე: „უჰ, რა გოგონები იყვნენ, იცი? შენ გასაგონად ლაპარაკობდნენ ხმამაღლა. მიგეტყვია უურაღებია...“ ხელი ჩაიქნია გედონისა და უტეხ ლალი გაახვენდა, არ მონატრებია ამჭერად, ისე, უბრალოდ მოაგონდა, დაუდგა ცხადად თვალწინ და თავადვე განცდიერებამ მოიცვა, რატომ არ მომენატრაო, იმ ორი გოგოს ახლანან მომენილი საუბრის გამო გაახენდა და რეზოს მისართა:

— ჰო, მართლა, რამდენჯერმე მინდოდა მეთქვა შენთვის, მაგრამ მავიწყდებოდა უოველთვის, — და თითქოს სათქმელი გადაავწყნადო, შეწყვიტა ლაპარაკი, დღედა ერთხანს, რეზო კი გაუყვაციებით შესცქეროდა, ელოდა, როდენ გაასრულებდა, — ხელა წარამარა შენს ხსენებაში თურმე, ზომ გახსოვს ბელა...

— ბელა? — მოულოდნელი იყო ამისა გონება რეზოსთვის და უტეხ გამოცოცხლდა, შეტოვდა ჭერ, მერე თვალზე აუჯაგზნდა, გაუბრწყინდა და როდის-როდის იყო წარმოხტევის ბოროტობით — ლალი გეტყუდა ალბათ...

— ჰო, ლალიმ მითხრა...

— უჰ, რა გოგოა ბელა? — ჩადაპარაკა რეზომ, თვალზე კი ისევ ისე უბრწყინებდა, — ჭალის უნახავს გახდის, ისეთია...

გედონი კი გაზეთს ჩამოიკეტებდა, შინაგონი შეგმა დაუფლებოდა, თუმცა ვერ შეამჩნევდი ვერაფერით, ეკუთვნილი იყო თუ უკუთვნილო, სახეზე გულგრილობა-გაუბრეულობა აღბეჭდოდა, თვალზეშო ჩამეჭებოდა, ნილაბით მოერგო და მწელი გასარკვევამოსაცნობი იყო გარეშე აღმოჩინისათვის, რა ხდებოდა იმ ნილაბქვეს, — სათაურს გადააფლო ჭერ თვალს, სურათის ცვეტილი როცა მოიჭერა გუფი, კთხვა დაიწყო მერე: ღირდა მართლაც დასახაბად დანაოკებოდა შუბლი, ჩაფიქრებულიყო ღრმად, მაგრამ მინც გეგონებოდა, არაფერს განიცდიო — მოდელილი ნაბიჯით მოჰყვებოდა რეზოს და გაზეთიც ისე პაპარად ეჭერა ხელთ, როგორც უოველდღე ხხვა ჩვეულებრივი გაზეთბრ, სპორტის ამბებს როცა კითხულობდა ხოლმე... ისე

ჯუშეპარ ტიპარაქბი
სასწაულებრი

კი, გარეგნული ხიშტებისა და ინტერესების მიუხედავად, საკმაოდ გახლდათ აფორიაქებული, ხაჰოლად და უფრო შტადაც, ნერვიულობდა შენგანად და, რაც მთავარია, უფრო და უფრო ემტერებოდა რწმენა ხალხთა თავისა: არაფრის ფარდა არა ჰქონდა მაშინ ამქვეყნისთვის, გი-
შეთს რომ ჩაჰქირებდა და რეზონს მიჰყვებო-
და. თუმც სხვათა დარდი არა ჰქონია, თავის თავს კი ფიქრში უღიმოდა და ეალერსებოდა, არ ღალატობდა ჩვეულებას უკანასკნელი ხანე-
ბისას, ოღონდაც წარსულის გამო ეთანადრებო-
და და წუღებოდა გული — ფუტადა და უქმად
გონა ჩავლილი, უღიმამოდა და უფერულად,
არავითარ კვალს რომ არ დატოვებინა, ისე,
მაგრამ ერთი რამ კი იცოდა — ხვალნდელი
დღეები აინახლავრებოდა და ააფრადებოდა და-
ნაკლის-უფერულობას გარდასულისას, თუმცა,
სახელდობრ, რით ანდა როგორ, ამისი არა გაე-
გებოდა. არა და არც ედარებოდა, სჭეროდა ოდ-
ნისად, ცხოვრება იმ დაპარგულის სანაცვლოდ
სხვა კალაოტს მოიარებოდა, დღემდე უცხოა და
ჭოუტს, რომელსაც შეგებულობა და მოერგეო-
და თავადაც, სხვაგვარი რამ შეუძლებელი იყო...
აი, ემასა და სხვა ამდაგვარებს ფიქრობდა იმ
დღის გედონი და იცოდა, შინ რომ მისრუნ-
დებოდა, მშვიდ ძილს მიეცემოდა ღამით, მარ-
ტო ეგ კი არა, აწი და აწი სამუდამოდ ჩამოი-
კლდებოდა იმ უძილო, მტანჯვლ ღამეებსაც და
გაუცნობებრებულ, საიდნადაც თითქოს და უში-
ნეოდა გამოჩუქრალ შიშებს...

რეზო კი ხელაზე ფიქრობდა იმ დროს, როცა
გედონი ამ უფასვს გახლდათ, ქალი რომ გაიყ-
ნო, აი, ის დანე გამოეხმო წარსულიდან და
გაეშვებოდა სივრცეში: პირვანდელი სიცხადით
აჟაჟებოდა თვალწინ ბელა, აგონდებოდა
ახლა იმდამინდელი ცეცხა და ისევ აქაურობე-
ლიყო კახის ამოჭრალი გულისხმობიდან სავსე
შერდი და წამით თითქოს კლავდა ეგრძნო
სიმშრალე თავის მკლავებში აფართხალბუ-
ლი ქალის ღმბილი, ვნებისმომგვრელი ტუჩე-
ბისა და სხეულისა...

დერფანში იდგნენ რეზო და გედონი, უცებ
რომელიდაც საამქროს კარი რომ გამოიღო —
ორივეს დაეფანდა ფიქრი, დიდხანს მდგარიყ-
ნენ აქ, უმპაუფლოდ გადებდნენ საამქროს
მოღებულ კარსა და იქვე ზღერბლთან მდგარ
ხეცტანასაქმლიან კაცს, რომელმაც ხმაშალდა
წარმოსთქვა, ბოხი, თითქმის ჩახლერილი ხმით:
„ბიჭებო, ერთი წუთით ვერ შემოხვალთ ჩვენ-
თან?“ ახლავე... — უთხრა რეზომ და საამქ-
როში გაუჩინარებული კაცისადნ წაღდა ნა-
ბი. გედონიც მიჰქვა იმას... თერთქალად-
გადაფარბულ ურეკასთან, რომელზეც არ-
ვით სავსე ბოთლი იდო და პურის, ხაზვისა და
ძხვას ნაჭრები მიმოფანტათ, შეწყლისთანავე
შენიშნეს ბიჭებმა, ორი კაცი იდგა, ერთი ისა,

საამქროში რომ შეიპატოა ახლან, შეუანისა.
დახალი, თითქმის ჩაუტრატებული, მელლი
და ფერმხბილი, მეორე კი, სათვალე რომ
გვეთა, უფრო ახალგაზრდაც იყო და უფრო
მაღალიც... — შენ გედონი არა ხარ? — იკითხა
შეუანისამ კარის ზღერბლზე რომ იდგა წელს...
გედონმა შეათვალერა კაცი, უშირა კარკა
ხანს, რეზოც შესცქეროდა, ნაცნობი ხომ არ
არის ვინმე, ფიქრობდნენ, მაგრამ, ვერ იცნეს
და რეზოს გაუყვინდა გუნებაში, ნეტავ გად-
ონს საიდან უნდა იცნობდესო და შეუანის
კაცს მაუგო: — კი, გედონია... ხოლო გედონს
განცვიფრების ნიშანწყალიც არ დასტუბოდა,
ძალზე ჩვეულებრივ ამბად მიიჩნია, უცნობმა
აღამინამა სხედლით რომ მიმართა და როგორცა
ჩანდა, ზედმეტი ფიქრითაც არ შეუწუხებოა
თავი, ალბათ არც ის განაცვიფრებდა, მაშის
სახელიც რომ წარმოთქვა იმისი იმ უცხო
კაცს... ჰო, გედონისთვის ამქერად ჩვეულებ-
რივი ამბავი ხდებოდა, ვინ იცის, და, განცვიფ-
რება-გაოცება აღარ ძალუქდა ეგებ, თუმცა
მთლად მაგრე არაა, მაგრამ თავადაც რომ აზ-
რზე არ იყო ქერ, თანდათანობით კარგავდა ამ
უნარს...

— საშა, — მიმართა შეუანის კაცმა მეორეს,
მას შემდგომ, როცა რეზომ დაუდასტურა, არა
სცდები, გედონიაო, — აი, ის სტუდენტია
ესა, გაუთვინ რომ იყო დღეს, — და ბიჭებს მი-
უბრუნდა მერე: — მე ავაწვევ ეგ ნომერი,
უკველთვის მე ვაწუბო ხოლმე, დამაბადოე-
ბელი ვარ...

— ნიჭირი არა? — ჰკითხა საშემ იმ შეუანის
კაცს და სათვალე მიანათა გედონს, შეათვალერ-
რა მოწიწებით, — წავიკითხე ის წერილი, მომე-
წონა, — და შეუანის კაცს მიმართა, მხარზე
დასვა ხელი რატომღაც, — კარგი ვაჟიკი უ-
ფილა, — მერე დაღუშდა და დინჯად წამოიწყო:
— მოდით, ბიჭებო, თითო ჭიკა არაუი დაუღიოთ
ახლა ჩვენ, თუ გვიყადრებთ... ხომ იკით, მარ-
ტო ორი კაცის სმა და დროს ტარება საცოდაო-
ბაა...

და, დაფაცურდა უეცრად საშა, ბოდიშო,
თქვა და სკამები მოიტანა, გარშემო შემოუწ-
ყო ურეკას, რომელიც მაგიდის მაგივრებას
სწევდა ამქერად, შეუანის კაცმა კი არუის ჭი-
კები შეავსო, ორივე ხელის თითები უცაბე-
ხებდა იმ დროს, ბოლოს, თანამეზღერებს რომ
გაუწოდა ჭიკები, ერთ-ერთი თავად დაიტოვა,
გადახედა იმ შეყოფ, უკველ მათგან საითთა-
ოდ მოატარა მზერა და სადღერტელ წამოიწ-
ყო:

— მე ვახტანგი ვარ, ვაშაქიმე, შეუდღეზე,
შესვენებაზე დაუღიოთ მე და საშამ, მაგრამ არ
გვეყო და რაღას ვიზამდით, ვაგრძელებთ ახლა,
ახეთი ჩვეულება გვაქვს ჩვენ, ორივეს, თუ წა-

მოვიწყეთ ერთი, მერე ველარ ვჩერდებით...
ბოლო ჭიკის მიგნება გვიჩნდა, ბოლოსი კი არა,
იმიხი, რომლიდანაც გვეწყება სიმთვარელი.
მაგრამ დღემდე ვერ მივაგენით, ვნახეთ, დღეს
როგორ იქნება... ან ჰქონო ჩვენს გაცნობას გა-
უმარჯოს. — და ჩაუჭირდა უცებ ვახტანგი. ერ-
თი შეხედვით გგონებოდა, ბიჭებს შესცქერო-
და, მაგრამ არა, იმით მიღმა იურებოდა სად-
ღაც და მერე მოულოდნელად იკითხა, — ბი-
ჭებო, გოგოები გიყვართ? — და პასუხისთვის არ
მოუდგია, განაგრძო თავადვე. — გიყვარებთო,
აბა რა იქნება... ეჰ, დიდი ნატანგი კაცი ვარ,
აი, საშას ჭკიბივით, თუ გნებავთ, ხელოზა მე
ვასწავლე. ჰო, იმას ვამბობდი, დიდი ნატანგი
კაცი ვარ-მეთქი, ასე არ არი, საშა? — შიპინ-
და საშას, იქამდე უშეირა, ვიდრე პასუხი არ
ნიილო მისგან: კი. მართალი ხარო; და მერედა
განაგრძო: — დიდი ნათრევი ვინმე ვარ, კაცმა
რომ თქვას... ჩამდენი შევიღოშვილი შეუღლება
თუ მიხვდებით, ააუჰ, ოთხი ცოლი გამოვიცე-
ლე... ომიდან რომ დავბრუნდი, ის პირველი
ქალი გათხოვილი დამხვდა, არადა, როგორ მიუ-
ვარდა შოთელდალი, თავს მერჩივნა, დავბრუნ-
დი ფრონტიდან, ნათრევი, გაუბედურებული,
მოსაწულია მე არ დამეღლებია, კონტუზია და
კიდევ ათასი სხვა უბედურება, დავბრუნდი,
როგორც იქნა და, მე რომ არ ვიცოდი არა-
ფერი, გათხოვილა ის ვირიშვილი, ისა, რაღას
ეზნაობდა, ახალგაზრდა ვიყავი, ქალი მინდოდა,
ქუჩაში ხომ ვერ დავიწყებდი წინაწალს, ავდე-
ქი და, რაც იქნება, იყოს-მეთქი, მოვიყვანე მე-
ორი, არ გამომადგა ისიც, გარეთ გაუბრძოდა
თავილი, გავავდე... მესამეს მე ვერ შევიტყუე, ან-
ჭალი იყო ნამეტანი, ახლა მხოთხე მყავს. ოს-
ის ქალი, კარგი დედაკაცია, მპატრონობს, მივ-
ლის... ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, ბიჭებო...

ვახტანგი რომ სვამდა, საშა რიდიითა და
კრძალვით შესცქერებდა, მოწიწებით, ეტყობო-
და კმაყოფილი იყო. თავადები უცინოდ სათ-
ვლის მიწებს მიღმა, ნასიამოვნები უმჯერდა,
როგორ წრუჰავდა ნელ-ნელა, სახმისი რომ გა-
მოსცალა, საშამ უეცრად აარიდა თავალი, თით-
ქის დაღრცხვინა კიდევ და თავის ჭიკას მის-
წვდა...

— საშა ვარ, დანელია, — ესა თქვა და და-
დუმდა უცებ, შიპინრდა ვახტანგს, ვიდრე იმ-
ან არ უთხრა: „აჰ, მიდი, აბა, საშა, შენ იცი,
კარგი ხარ, კარგი...“ ხახვს და პურს ჭამდა
ვახტანგი და სადღაც იქ მყოფთა მიღმა ათურ-
ბოდა, საშამ კი სადღეგრძელო განაგრძო: —
ჩხორიწყუელი კაცი ვარ, ეეჰ, დიდი ნათრევი
და ნამამაძალარი ვინმე ვარ მეც, ვახტანგისა
არ იყოს... ომშიც ვიყავი... — აღბათ წინასწარ-
ვე გგონებოდა, განცვიფრდებოდა და იამოვნი-
ბოდა, ნეტარება აღბეჭდვოდა სახეზე...

— ომში? — მართლაც გაიოცა რეზომ. —
ახალგაზრდა ჩანხართ...

გედეონიც განცვიფრდა, ვერაფრით ვერ
წარმოიდგენდა ომში ნაშეოფი თუ იქნებოდა.
ისე ახალგაზრდად გამოიყურებოდა, მაგრამ არ
გამოუხატავს განცვიფრება: თავს დავიმაძი-
ბო... წელან კი, ვახტანგის წარმოთქმულ სად-
ღეგრძელოს რომ ისმენდა, გუნებაში გადაწე-
ბო, ერთხელ კიდევ შეეგონებინა თავისი თა-
ვი, რაათ დარწმუნებულიყო, სამუდამოდ ჩა-
მოშორდა თუ არა მტარჯვლი დაავადება —
უაზრო, უმნიშვნელო კიკიკი სხვათა საუბრისა
და, როგორც კი ვახტანგმა დაიწყო ლაპარაკი,
მუის ჩართო ტვინი ელექტრომძვავსავით. უფ-
რო სწორედ, გამომთვლელ მანქანასავით: და,
აბა, მაგრეს უმაღ ათათოლდენ ბეგრები, მაგ-
რამ კრაზანებოვით რომ ბზუოდენ უსიამოდ,
როგორც მაშინ, აღსარებამდე, ეს უკვე სუნ-
თქვა იყო თითქოს, მომხივლელ-ჩადოსური,
არამქვენიური უცხო რამ მუსიკა, ბოლო ვა-
ხტანგი სადღეგრძელოს განაგრძობდა ისევ.
სივრცის ამავესა და თავგადასავალს ჰუეობო-
და ათვისას, ნახევარიოდ წუთსა და მარჯვენა
ხელის დაცოდრილ თითებშუა მომწუვდელ არ-
უის პაწია ჭიკაში ათავსებდა სიმჭარხსა თუ
სიტყვებს, საკმაოდ ახლართულ-აწეწილი სიცო-
ცლის გზაზე რომ შეხვედროდა, ვიდრე დღე-
ვანდელ დღემდე მოატანდა, უუშვარებოა და
ნაღმებით გადათხრილ დღეებს იხსენებდა ომი-
სას და ტრაგედიას ომგადახდილი წარისკაცი-
სას, რომელსაც შინ მობრუნებულს, მშობლიურ
მიწას, ოჯახურ სიბოძას და შეუდროვას და,
ხარბებულ-დანატრებულს, საუვარელი ქალი,
მართოდენ ქალი კი არა, გაკილებით მე-
ტი და აუნაღლურებელი — ცოლი, დედა შეი-
ღებინა, გათხოვილი დახვედროდა... ის ულა-
მაზნის ბეგრები კი თრთოდნენ და ირხეოდ-
ნენ ისევ მაგრესი, ტვინში მიჭრებოდნენ იქი-
დან, მაგრამ ახლა აღარ იგნებდებოდნენ კრაზ-
ანებოვით, საამოდ თათურობდნენ იქა... მერე კი
გასრულა ვახტანგმა სადღეგრძელო, მაგრამ
გედეონის ექსპერამენტი არძელდებოდა ისევ
და როცა საშამ წამოიწყო ლაპარაკი, გედეონ-
მა, რომელიც თავისი თავით ერთობოდა მხო-
ლოდ და მხოლოდ და არ გაუტეზოდა რა ხდ-
ებოდა ირგვლივ და არც ზალისი ჭიკინა ამისი,
ტვინი გამართო, ჰოდა, მოხდა ის, რასაც მო-
ეგლოდა, როდი გასცრუებია იმედი — სივრცე-
ში აღარ ბზუოდნენ ბეგრები: ერთხელ და სა-
მუდამოდ მოეთვირებოდა ცრუთარი ტვინა,
დაემორჩილებოდა, დამჭერად ექცია ფინია ძალ-
ღივით, ბოლო ჭიხეში გაუთი ედო...

— ვიყავი, აბა, ომში ნაშეოფი კაცი ვარ
მეც, — უთხრა საშამ რეზოს, თანაც იგრძნო-
ბოდა, რომეცა, რეზომ რომ გაიოცა ეს ამბა-
ვი და, ცოტა არ იყოს, ეწყინა, გედეონმა რა-

საქართველოს

საზოგადოებრივი

ტომ არ გამოხატა გაკვირვება... მაგრამ თავ-
შეგავეებული იქნება საერთოდ, ეგონა, და გა-
იღიჭრა. იგუბ უკვდა ნიჭიერი და სხეულისაგან
გამორჩეული ხალხის თვისებაა ესა. — ებ, ვაზ-
ტანგავით ნატანკი კაცი ვარ მეც, რა აღარ გა-
დამხდენია თავს. სპეციალობით აგრონომი გახ-
ლავარ, ტექნიკური მაქვს დამთავრებული. დი-
დიდობი ომის დამთავრების წინ ავიღე. მაგრამ,
ხომ ბედავთ, სტამბაში ვმუშაობ, ბელოზა ვაზ-
ტანგმა მასწავლა, წელან არ გითბრათ?

— ორი ცოლი მაგანაც გამოიყვალა. რას
იხან, ხდება ხოლმე, არ გაუმართლა ცხოვრე-
ბამ, — შეაწყვეტინა ლაპარაკი ვაზტანგმა, გა-
დიმებული შეხსენებდა საშას, — „ისე კი, კაც
ცური კაცი ხარ შენ, საშა...“ და ბიჭებს მიმარ-
თა ისევ: — უცოლოდ დღის დღესაც, მესამე
არ მოუყვანია ჭირ და არც ჯექარობთ, კი ქალი
გვინდა მოვინახოთ სადმე...

— ახლა, — განაგრძო საშამ, — სტამბაში
ვმუშაობ ახლა მე, მაგრამ, რა მოხდა მერე?
არაფერი, რა თქმა უნდა, სტამბაში ვმუშაობ,
მაგრამ სამაგიეროდ მიუვარს თქვენისთანა კულ-
ტურული და განათლებული ახალგაზრდები,
ვაუკაცებო...

ბიჭებმა შეხვეს გაცნობის სადღეგრძელო,
პირველად რეზომ, გახალისებული იყო, თი-
ქმის აუტენტული, ილიმბოდა და ილიმბოდა
და კარგადაც ლაპარაკობდა, ხოლო ვაზტანგი
და საშა გატრუნულნი უსმენდნენ და თვალები
აქცივებოდათ ნამეტანავი სიამოვნების ნიშ-
ნად. გედონი კი კვლავ თავის ფიქრებს აზო-
რინებოდა, უგულისყუროდ ისმენდა, უბელისოდ
და სადღეგრძელო რომ გაასრულა რეზომ, სა-
შამ გადაუჩურჩულა ვაზტანგს, ისე, ბიჭებსაც
რომ გაეგონათ: „ხომ იცი შენ ჩემი ამბავი,
მიუვარს კულტურული და განათლებული ახ-
ალგაზრდები, ვაუკაცებო!“, ვაზტანგსაც არ და-
უყოვნებია: „აბა, მეც ასე არ ვარ, ჩემო საშა...“

გედონს ეკავა მერე არეის ჭიკა, მაგრამ
მოკლედ მოჭრა სათქმელი, ორიოდ უგერგილო
სიტყვა აკმარა, ვაზტანგი და საშა კი დუმდნენ
და მოთმინებით ილოდნენ: იქნებ კიდევ თქვას
რამეო. ეცოტავათ, უფრო მეტს მოელოდნენ
ნიჭიერი ვაზტანგისაგან, ლაპარაკი სიტყვების გაგო-
ნება სურდათ და სათქმელი რომ ჩათავდა, გაწ-
ბილგა აღიბეჭდეს სახეზე, მაგრამ რაღას იღო-
ნებდნენ — სასმელი გამოეცალა უკვე გედო-
ნის და შემდგომ სადღეგრძელოზე ვაზტანგმა,
მარჯვენას გაუმარჯოს ჩვენსასო და შეხვა თუ
არა არაუცი, უმაღლე დატუო სიმთვრალე: გა-
მოცდილი ჭიკა ბედულ ეკავა ჭრ კიდევ, აცაბა-
ცად რომ წაუვიდა თვალები, ბიჭებს შიშავრო
მერე მუერა და ასეთი რამ წარმოუსთქვა: „რა
იქნება, ახლა, ორ კარგ ჩათვლირებულ გავოსთან
შეგავდით სადმე, გამოცდილი ოთხაში, რას
უხადით, ა. ბიჭებო?.. თუმცა რას ვაიგებ ახ-
ლანდელი ახალგაზრდების ამბავს, ჩემს ბიჭი-

ბაში მოსწონდათ ფერხორციანი გოგონები, ჭკუ-
ას ვარგავდი, მსუქან ქალს რომ დავინახავდი,
დარტყანებოდა დავიოლი, ახლა კი, ჩემს ბიჭს
უუვარს ერთი, გული გამიყდა კინაღამ, თვალი
რომ მოვკარი, გაჩიკინებულია სენინახავით,
შარვლი ეცვა თან, ღმერთი, რკული, ვერ გა-
არჩევდი, ქალი იყო თუ კაცი... რაა, ბიჭო, მა-
გი, ხელი ხომ უნდა ჩაავლო დედაკის სადმე-
მეტოქი... გამხდარი გოგონებია ახლა მოდამო,
მითხრა, აბა...“ გედონს, ვაზტანგმა რომ დამ-
თავრა ლაპარაკი, ლალი მოაგონდა უცებ, დღეს
უკვე მორიდ გაახსენდა, მაგრამ ამასწინადელი-
სა არ იყოო. არც ამქერად მონატრებია და ახ-
ლაც წელანდელივით დარჩა განცდივრებული...
რეზოს კი ბელა დაუდგა თვალწინ, იმასაც მე-
ორედ გაახსენდა დღეს ბელა და ისევ თავის
მკლავებში აფართხალდებული, თვალნათლად ზე-
დავდა ახლა და სიმხურვალეც იგრძნო იმისი
სავსე ტუჩებისა და ფუფუკი სხეულისა და გა-
იღიჭრა: ნეტად ვაზტანგის ახალგაზრდობა
დროს ფერხორციანად ითვლებოდნენ თუ არა
ხელას მსგავსი გოგონებო... ისხდნენ კარგ ხანს
უმრად — უკველ მათგანს საფიქრალი გასჩი-
ნოდა თავისი და იმას დაჟოლოდნენ, ბოლოს
კი ისევ განაგრძეს ზნა, ვაზტანგი თამაშობდა
კვლავ, ბოლო სადღეგრძელო რომ გამოსცალა,
ერთ ამოჩენებულ წერტილს მიაჩერდა, თვალე-
ბი აქეთ-იქით აღარ გაუბრუნდა, იყო განაზული,
წამწამსაც არ ამამაზებდა...

— მოდი, ვაზტანგ, ბაჩყე ის ზოლო ბოთ-
ლიც გავხსნათ, — თქვა საშამ და ბიჭებს მი-
მართა: — დირექტორს ველოდით, უნდა შემო-
ცვლო და არ გვინდოდა ვხსნა, არ მოგვისწრო.
ხო, ხომ იცით უფროსების ამბავი, მაგრამ რა-
ხან აქვადიდ არ გამოჩნდა, აწი აღარ მობრუნდე-
ბა გვინი...

— დიდი ბედოვლათი ვინმეა ჩვენი დირექ-
ტორი, — ვაზტანგს თვალი არ მოუცილებია
იმ ამოჩენებულ წერტილისათვის, ისე ლაპა-
რაკობდა; — კაციშვილად არ არის მოსამხარი,
იცნობთ, არა?..

— კი, — მიუგო რეზომ, — შორიდან...

— კალათბურთელი ბრძანდებოდა ადრე,
ჩველობაში, — განაგრძო ვაზტანგმა, — სამ
ბურთელ მეტი არ ჩაუგდია კალათში, დაუჭრ-
ებოდნენ ამბავი, მაგრამ ახლა, ვსკდებოდი სტუ-
ნითა და გინებით იგ რომ გამოდიოდა ზოლმე,
მერე, სპორტსმენობას რომ შეეშვა, ხან სად
ჰყავდათ, ხანაც კიდევ სად, ვერსად ვერ ივარ-
გა კაციშვილად, ვერც ერთ სამსახურში, და მე-
ტი რაღა დონე ჰქონდათ, ზოგჯერ გულჩევილება
არიან სამეტნავად, კაცს უზმუერად ხომ არ
დატოვებდნენ, ადგნენ ბოლოს და ჩვენთან ვალ-
მოიყვანეს სტამბაში, დირექტორად... კაცი კა-
ლათბურთელი იყო, თანაც თავდამსხმელად თო-
ვლებოდა, მახსოვს, სამ ბურთელ მეტი არ ჩა-
უგდია კალათში, ხომ გავიგონათ: ძალით შინ

არ ვარგადობ, მაგის საქმეც ეგრეა, კაცი თავის საქმეს ვერ ართმევდა თავს და ჩვენთან მოიყვანეს დირექტორად, აბა, ეცოდინება მასეთ ადამიანს საქმე? ეგა, რამდენია მაგისთანა, საქმისა რომ არ გაეგება არაფერი, თანამდებობა კი კარგი აქვს, იცოცხლდე...

სტამბიდან როცა გავიდნენ, გარეთ არემარე ჩამოხანდელიყო: მიაბიჯებდნენ თავაწეულნი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებსა დგამდნენ და სიბნელეში ერთ მწყრივად მიმავალ პინკვინებს დამსხვავებოდნენ. ყველაზე წინ ვახტანგი მიიწეოდა ბანკალ-ბანკალით და მოვლელული ხმით ამბობდა: „აბა, შენ იცი, საშა, ხომ ხედავ, როგორი მოვრალი ვარ, სახლის გზას ვერ მივაგნებ, ტუპი გააჩერე და შინ მიმიყვანე...“ საშას და ვახტანგს გედგონი და რეო ასდევნებოდნენ — სიმთვარის ნატამალი არ ემჩნეოდა არც ერთს... „მიგვიყვან, აბა რა, საშა, გზაზე ხომ არ მიგატოვებ, — ეუბნებოდა საშა ვახტანგს, — ხომ იცი ჩემი ამბავი, ყოველი დაღვივის მერე მე არ მიშეაყვარ ხოლმე შინ? — და ბიბებს უთხრა: — დავთვფრთი ახლა მე და ვახტანგი, მაგრამ რა მოხდა, დიდი არაფერი, არის ნაწი ზაღის ქართ ჩვენ ორივენი, ომი არ დაგვკლებია და რაზეთის დაგვრევა, მაგრამ სამაგიეროდ გვიყვარს თქვენისთანა კულტურული და განათლებული ზაღი, ნადი ვეყავებო, ასეა ხომ, ვახტანგ? შენ რას იტყვი...“ აცხადდა მაშინდელი წინასწარმეტყველება გედგონისა: მართლაც არ ვახტანგია ძილი იმ ღამეს, ეგ კი არა, შინ მიბრუნებულს, ტანთ რომ იხილდა, უყებ-ვე მოსწულა ყინწი, ისედაც ხომ დიდებულ გუნებაზე იყო და იყო, ამ ამბავშია კი უფრო მეტად გამოკეთა და გაოფიკრა: აწი და აწი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მოვისურვებ და გადაწყვეტო... და ვიდრე ლეონიშვილი გაიშორებოდა ათქრ მანქანა ვადიკოთხა იმდღევანდელი გაზეთი, მერე კი თავის სურათს დასკვეროდა, ღიმორიებული ფიჭვი აღებეჭდოდა სახეზე იმ დროს და სხეულში საამო ვრუანტილი უფილდა, ბოლოს, დაწოლისთანავე ჩაძინა და როგორც თავად მოელოდა, ისე მოხდა მართლაც — უსიზმრო ძილით ეძინა იმ ღამით და შემდგომაც არც თუ ისე ზშირად ნახულობდა სიზმრებს... ნებისყოფის გამოწრთობას მიჰყო ხელი გედგონმა და განიზრახა, სიზმრებს აღარ ენახავო... და რაკილა გადაწყვიტა, იშვიათად ნახულობდა, ხოლო ის აკვიტებული ნებისყოფა რა ჯანდაბად უნდოდა, თავადვე არ უწყობდა და ერთ რამესაც ვერცხვ, უსიზმროდ სიცოცხლეს ერთ შეძლებდა გედგონი, სიზმრებს იმისას მერე მივუბრუნებდები, გზადაგზა იმის ზმანებათა თანაზიარნი გახვდებით... გაზეთის იმ ნომრის მეშვეობით კი მთელმა ინსტიტუტმა გაიცნო გედგონი, ცოტაა ეგეც პირზეც დაიკერეს: ზედავ? ეს ვინა უფილდა და გაკვირვებითაც ხომ გაიკვირებს — მართლაცდა იშვიათი ნიჭი ჰქო-

ნიაო... ხოლო რეო წარამარა გაიძაბოდა გედგონის მისამართით: ნათელშიღლებილი და ნათელშიღლებილი და ჩემი თქმა აღარ არის ვგონებ საჭირო, ისედაც ადვილი გამოსაცნობია, როგორ გაამაუღებოდა, თუმცა ასეც უნდა მომხდარიყო, არ ეგებოდა სხვაგვარად — ნიჭი აღმოჩნდა კაცსა, ნათელშიღვის მსგავსი უნარი, ასე იმეორებდა ხოლმე გუგნებაში, როცა თავის თავზე ფიქრობდა, თან კი ეგეც არ იოს, ადრე თანაყურესელთა და აქა-იქა კანტიკუნტ ნაცნობ-მეგობართა გარდა, კაცოშილმა არ უწყობდა არცხობა ამ სტუდენტისა, ისე მიეღწია მეზუთე კერსამდე, მერე კი, რაღა უნდა, სიხარულისა ინსტიტუტმა გაიცნო — პროფესორ-მასწავლებლობამაც და სტუდენტობამაც, დარწმუნდა ადვილად, იშვიათი უნარის მქონე ადამიანი ვუფილვარო და, რაღა თქმა უნდა, სიხარულისათუ სიამაყის გრძნობით ავსებდა საკუთარ ღირსებათა შეცნობა, მართო ეგ კი არა, ძლიერ პირიუგებადაც სურდა ჩვენებოდა ზაღს და შემდგომ, ხანი როცა გამოხდა, გარდაისახა კიდევ სხვა ადამიანად...

ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა იმ ხანებში ინსტიტუტი და უჩვეულო სწორედ აი ეგ ჩვეულებრიობა გახლდათ: ადრევე მოგახსენეთ, საიუბილეო საშხადისმა, ძირფესვიანად რომ შეცვალა ადრინდელი ცხოვრების რიტმი უმაღლესი სასწავლებლისა, რამხელა ხმაური გამოიწვია, ახლა კი ის დღეები შორს დარჩენილიყო, თვეებს მიღმა და იქაურობა ნელაილ დაბრუნებდა ჩვეულებრიობას. ერთი სამეცაა ნიშანდობლივი — პროფესორ-მასწავლებლები, — უხუცესებზე ვამბობ — ამჟერად ქურუმებს აღარ დადარებოდნენ და რაკი ისინი აღარა ჰგავდნენ, საშუალო ასაკისანებსა და მით უმეტეს წვრილფეხობას გაცოლებით ადრე ჩამოსცილებოდა ის მსგავსება. სხვებისაგან უკვე ევლარაფრით გამოარჩევიდა აქაურთ... თუმცა ერთ-ერთ იმთგანზე აქვე უნდა დავსძინო, აი, იმის ამბავს გეუბნებით, იმ ჭაღარა, ფრიად პატვისაცემი პროფესორისას, რომელიც აქაურ აღმზრდელთაგან ყველაზე პირველად დამსხვავებოდა ქურუმს — ზუსტად ამ კაცისაგან პოვა დასაბამი ქურუმობანამ, შემდგომ მთელ ინსტიტუტს რომ დაუფრუანტელა ძვალ-რბილი და ჰქონდა კიდევ ჭაღარა, ფრიად პატვისაცემ პროფესორს მორალური უფლება თუ საბაზი ქურუმს დადარებისა: საქვეყნად გახლდათ ცნობილი დეაწლი ამ ადამიანისა იმხანად, როცა ინსტიტუტის გახსნას აპირებდნენ. უფრო მეტიც, პირველი რექტორი ეგ იყო უმაღლესი სასწავლებლისა და ახლაც, როცა საიუბილეო

წუმამარ ტიპარამი
სასწაულებრივ

საღამო მივიწევბას მისცემოდა. კვლავ ქურუმს წაგავდა იგი. და, ვინ უწყის, იგების ასე ღარჩენილიყო საშუალოდ, ის ერთი ფაფრკის მსგავსი ამბავი რომ არ შემოხვეოდა, რომელმაც სულ სხვა აღმართა აქცია — გარეგნობაც შეუცვალა და სულიერი სამყაროც გარდაუსახა... მაშინ კი, ეს ამბები როცა ხდებოდა, სულსა და სისხლში გასჭდომოდა ის პოქა ოუ. აღვრელი შეხატლებელია სულ სხვა რამ, ალბათ შინაგანი მოთხოვნილება, ქურუმონისა, ჭაიბილიყო სამწადისისა თუ ზეიმის დღეებში რომ გაშინაურებოდა, ეს კაცი, სწორედ ის პროფესორია, გედუონი და რეზო რომ იცნო მაშინ, საზეიმო საღამო რომ მიატევს... ჰოდა, იმ დღეს, აი, ამ ქალბა. ფრიად პატისაცემ პროფესორს აბარებდნენ გამოცდას: აღრევე ქონდათ სტუდენტებს გაგონილი ამბავი გამოცდელის სიმკაცრისა, არყოდათ თავგზა. წინასწარ დამფრთხალიყვნენ განსაკუთრებით გოგონები დამორჩილებოდნენ შიშს და ახლა წარამარა ისმოდა იმათი ტირილნარე-ნალღუიანი ხმა: „ვაიმე, დედიკო, რა გვეწველებს, ბედი არ უნდა უკვლავერს? არა, რაღა მანცადამანც ჩვენს ჭგუფში წაიფრთხეს ლექცია მავ კაცს...“ და იმის სანაცვლოდ, რომ დავემზებდებინა. „რა გვეშველება და არაფერია, რა უნდა გვეშველოს. — პასუხობდა რომელიღაც იმ აწუწუნებულ გოგოს და თავადც უარესად ვიშვიშებდა წირწამბდარ-დამწინებულს. — დავიღუეთ და ეგ არის...“ სხვა კი, „დმერთო, შენ გადამარჩინე. — ლოცვაშით ჩურჩალებდა, — სიზმარიცა მაქვს ცუდი, ნეტავ სულაც არ გავკარებოდი წუხელ ლოგინს, ვერაფერი მიხსნის...“ თუმცა ვალები გოგობივით ხმამაღლა არ გამოსატყდნენ ემოციებს. მაგრამ იგრძნობოდა. იმათაც როდი ადვიათ ნაკლები დღე, ოღონდაც ერთი რამ კია, ბიჭები ივენენ მაინც და წუწუნ-ვიშვიშს არა კადრულობდნენ, უკვლავ გულდარბიენებულად კი გედუონა და რეზო გამოიუტებოდნენ: აუღირობის კართან დამდგარიყვნენ დერეფანში და იოტისოდენ უურადღებხაც არ აქცევდნენ საერთო დამაბუღობასა თუ შიშისფრებებს. რეზო, უნდა ითქვას, არასოდეს დამფრთხალა გამოცდაზე გასვლისას. სკოლის მერხიდანვე სწევოდა ამგვარი რამ, წარმოუდგენელი და ძნელე ძნელი იყო დამტკიცება იმისა, თეთრი შვავიო, კალამოტიდან ამოვარდნილობა-უდისციპლინობა ცოდნას ვერაფერს აკლებდა და ალბათ იმ ზალასი ნიქისა თუ საფუძლიანი განათლებისადაგამო ხდებოდა. წესრიგის დარღვევას, ეშმაკობასა და კიდევ სხვა ათას მამამაღლობას, თავზე ხელის აღებისაც რომ მოითხოვდა და უფრო ზნორად კი მოვარბებულ უნარსაც ფანტაზიისას, სხვებთან შედარებით აღვივად აბატებდნენ ზოლამე.

არც გედუონი გრძნობდა იმ დღითი შიშს, თუმცა, რაც თავი ახსოვდა, ცოდნით არ გა-

მორჩეულა არასდროს და გამოცდაზე გასვლის წინაც აცხატებულა ზნორად. გამოცდალის კი, თანაც პირველი, ის დღე გახლდათ: დადინჯებულ-დარბიენებულყო, სასაცილოდაც არა პუფნიდა, სხვათა შიშსა და აღლევებს რამ უმზერდა, თავისი წარსული დაიწევებოდა, მარტო ეგ კი არა, ბევრი რამ მისცემოდა მივიწევბას გარდასულის დღეთაგანმდელი, გაფერმკრთალებულიყო ნაკვალევი განვლილისა, იშვიათად თუ შეახსენებდა უწინდელი ცხოვრება არსებობას, თავად მოეწადინებინა და ამიტომაც ხდებოდა ასე, როგორცა ჩანდა, ბევრი აღარაფერი დარჩენილა იმ დიდებულ დღეშივე. — ესეც სურვილი გახლდათ გედუონისა და იგონა, აცხადებოდა აუცილებლად — როცა სხვა აღმართა იქცეოდა იგი, ჰო, ასე სწავდა და სჭეროდა, გათენდებოდა ის წარმატადი დღე, უგზო-უკვლად რომ გაქრებოდა გარდასული, მხოლოდ ეგ კი არა, სხვა რამ უცნაურობაც ხდებოდა — ლალისთან ურთიერთობის დროსაც იწუღებოდა თავს ბოლო ხანებში, თუმცე გოგო ბაიბურსაც არ იყო, უკველივე გედუონის უცნაურობა-განსაკუთრებულობის წყალობით ხდებოდა, სწამდა, ზოლო ის ნებისყოფას იკაუებდა და ამიტომაც უფრო მეტი ოფიციალობა მართებდა ლალისთან უფრისას, აღარ შეეფერებოდა აწინდელ მდგომარეობას იმისას ძველებზე. — რი საქციელი, როცა ზედმეტად ცდილობდა დაემტკიცებინა, მიყვარბარო, „მძულს უგულო სიუვარული“, აქციატებოდა სხვათაგან გამორჩევის შემდგომ, აღარ აძლევდა საშველსა და მოსვენებას, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, ზნეობა თუ მორალი როდი კარნახობდა ამგვარ საქციელს, არა და არა, რაც კი დაღვინება წამოეწყო, არასდროს გამოჩნეულა სპეტაკი ზნეობრიობით და არც მანცადამანც ზნედაცემულად ჩაუთვლია ვინმეს, რაც ერთი ძალუბდა იმას და არც მეორე შეეძლო. ერთსაც ვავახმელ ბარემ: თუკი უწინ უბედნიერეს აღმართა მიჩნდა თავი, რაკი ლალის უეცარდა, ულამაშეს, სათნო არსებას, ცხოვრებაში აგრე ახლახან ფტეშდგმულ გოგოს, რომელიც დღე-ღღღე უნდა აკცეულყო ქალად და რომლის ღირსად ჰქონდა არასოდეს მოუჩნევია თავი, პირუქუ, გაოცებას იყო უკველთის, როგორ მიკადრავო. მერე, ცნობილ აღმართად როცა იქცა და ნებისყოფის გამოწერობას მიუყო ხელი, რაიმე ნაკლოვანების აღმოჩენასაც ცდილობდა იმის გარეგნობასა თუ ხასიათში, მაგრამ ვერ მიეცვლია ჭრჭერობით და სწუინდა გულით. წაეიტხა სადღაც თუ ვიღაცისაგან გაეგონა, აღმართი საერთოდ, მით უმეტეს კი ქალი, უნაყოლო არ არსებობს და თავს იტუქსავდა: ეტუება, გამოცდილება მაქვს: ამხნის კაცს, სხვა ქალებშიც უნდა მყვლო, მარტო ამ ერთს რა გაეგავდნო და ისინიც, ის სხვა ქალებიც, ერთი მთავარი მიზნის, სხვა

ადამიანად გარდასახვის მისაღწევად ესაჭიროებოდა...

გამოცდაზე გასვლის დრო კი მოახლებულიყო უკვე. ბიჭები, წელანდელისა არ იყოს. არც ამჟერად სძრავდნენ სიტუვას, ღოღონდ ფერი უწინდელზე უფრო მიმდოდათ სახეზე, გოგონებსაც უარესად წარკვეთოდათ სასო, ამით რა ენაღვლებათო, ბიჭებიც ასე ფიქრობდნენ მაშინ და გოგონებიც, როცა რეზოხა და გედიონს შეავლებდნენ შვრას, თავი კუდში აქცითო... რეზო, რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც უმაღლეს ნიშანს გამოიტანდა გამოცდიდან, იცოდნენ დიდებულიად ამ სტუდენტის უნარისა და ისიც უნდა ითქვას, ცხოვრების სტუდენტ ნიარს რეზოსას ისინიც განცვიფრებას მოჰყავდა ხოლმე, თუმცა მეზუთე კურსამდე ერთად მიეღწიათ და გულითადი მეგობრებიც იყვნენ, ვერ შეგუებოდნენ მაინც იმის აწვეტილ ცხოვრებას: წესრიგის წარამარა დარღვევას ლექციებზე, უზომო სახსა და ხშარ მუშტიკრივს, ბევრჯერ რომ სმენიათ სხვებისაგან და თავადაც უოფილან მხილველნი, უოველივე ზემოთმულის შემდგომ, კაცმა რომ თქვას, მართლაც საოცარი, მეტიც, ულოგოკობა იყო ის ფრიალები თუ უოველი საგნის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა და, როგორც უოველი გამოცდის ფაზს, ამჟერადაც შენატროდნენ იმის ბედს და, ცოტა არ იყოს, შურდათ კიდევ... გედიონზე მსგავსად ფიქრობდნენ იმ დღეს ის დამფრთხალი სტუდენტები — მერე რა, ახლა უცოდინარი თუ გავა გამოცდაზე, ისეთი ნიჭი აღმოჩნდა, სწავლა რაღა ბედენია, ნიშანს მაინც მიიღებო. ზოლო ისინი — გედიონი და რეზო, კარს შესცქეროდნენ აუდიტორიისას, სადაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შესულიყო გამოცდილი და ორივეს ერთი რამ სადარდებელი გასჩნდა: რაღას უდდის ამდენ ხანს, ბარემ გაგვიძახოსო... და იმასაც რომ დაუოვენებია, აუდიტორიის კარი გაიღო ამ დროს და ხმაც გაისმა პროფესორისა: „აბა, ემაწვილებო, პირველი რომელი შემოხვალთო...“ კარის გაღება და იმ ხმის გაგონება იყო თუ არა, მონახტარიც აირადიარია, ადგილს მოსწუდნენ უმაღლესი შეცდილი-სასომხადილი სტუდენტები და მიმოიფანტნენ აქეთ-იქით, ზოლო იმ ჭაღარა, ფრიალ პატივსაცემი პროფესორისათვის, რომელიც ახლა აუდიტორიის კარის ზღურბლზე დამდგარიყო და მზერა იქით გაქცეოდა, სადაც სტუდენტები მიმალულიყვნენ წამის წინ, უცხო ხილი რომი გახლდათ მსგავსი რამ, იცოდა წინასწარვე, ასე რომ მოხდებოდა — რაც ლექტორობდა, ახალგაზრდობის წლებიდანვე მოუოლებული, გამოცდის დაწვების წინ, როგორც კი განაცხადებდა, აბა, პირველად რომელი შემოხვალთო, ერთი და იგივე მეორებოდა, უმაღლეს ფრთხილდნენ ზოლმე სტუდენტები, კაციშვილს არ სურდა პირველი გასულიყო გა-

მოცდაზე, თითქოსდა ამგვარი საქციელით საერთოდ გაარიდებდნენ თავს გამოცდილთაგან შეხვედრას... პროფესორს კი გულში სიამოვნება კიდევ ეს ამბავი და აუცილებლად გაუიღვებდა: ხედავ, როგორ მზენებიათ ღურმე ჩემო, სიამაყეც დაეუფლებოდა მუის და ასეთ დროს უოველთვის „შეშე შეიქმს სიუჟარულსა“ გაახსენებოდა, ცოცხალ არსებასავით დაუდგებოდა თვალწინ, უფირფასესი ადამიანად, რომელიც ალარ გიზილავს რა ხანია და უბრალო გახსენებაც კი სიხარულისა და შევების-მომგვრელია... სწორედ აი, ამ აფორიზმის მორალი ექცია ჭაღარა პროფესორს ცხოვრების თუ მოღვაწეობის სახელმძღვანელოდ, ოჯახური ურთიერთობებისასაც, სხვა ადამიანებთან უოველდღიური დამოკიდებულების დროსაც და სამეცნიერო თუ აღმზრდელოითი მოღვაწეობას ფაშაც, ამ პრინციპით ჩაველო იმის საშეშად წაძელო სიცოცხლის და ღრმად გახლდათ დარწმუნებული, სტუდენტებსაც უოუარვარ და საერთოდ სხვებსაც უვლას, ვისაც კი ჩემი შეშე ჩანერგვიაო... მერე კი შეშინებული სტუდენტები როცა მიმოიფანტებოდნენ და სირუმი დაისადგურებდა, გაუჩინადებოდა ზოლმე პროფესორი აუდიტორიაში, ემაუფილება დაეუფლებოდა, თუმცა გარეგნულად როდი იმჩნევდა, ზოლო რამდენიმე წუთი რომ გავიდოდა და იგრძნობდა, საშალავიდან იქნებოდნენ უკვე გამოსული, ხელახლა გამოადებდა კარს, თვალს მოავლებდა ახალგაზრდებს და იტუოდა: რაქილა თქვენი ნებით არ ისურვეთ გამოცდაზე შემოვლა, — ხელში უწყისი ეკავა, — კეთილი ინებეთ და სიის მხედვეთი გამოცდითო... იმ დღეს კი, როცა ჩვეულებისამებრ მიიჩქმალნენ სტუდენტები, რასაც მოელოდა კიდევ, განცვიფრებული დარჩა მაინც: ორმა ჭაბუკმა მიიქცია იმისი უურადლება, აუდიტორიის კართან რომ დამდგარიყვნენ იქვე ახლოს და მაშინ, როცა იმათი თანაკურსელები დამფრთხალ-თავკუდმოგლეჩილნი მიჩბოდნენ აქეთ-იქით, არხენად ტკეპინდნენ ერთ ადგილს და რაც უვლავზე უფრო მეტად იყო განსაცვიფრებული, შიშის ნატამალიც არ დამჩნეოდა არცერთს — ასეთი რამ, მხოლოდ მოულოდნელი კი არა, დაუჭრებელიც გახლდათ ჭაღარა პროფესორისათვის, ჭერაც რომ არ მოსწერებოდა არასდროს, ნირწამდარი დამდგარიყო იგი აუდიტორიის კარის ზღურბლზე და იმ ორმა ჭაბუკს შესცქეროდა მოჭადოებულოვით, ისინი კი არას დაგიდევდნენ, ფუხის მოცვლასაც არ აპირებდნენ და ჭაღარა, ფრიალ პატივსაცემი პროფესორმა იცო, ვინც უნდა უოფილიყვნენ ამ კაცზე უოქვამთ ხშირად, მეხსიერება წლოვანების მიუხედავად, ისეთივე საოცარი შერჩე-

ჯუმბარ ტიპარამი
სასწაულებრი

ნია, ახალგაზრდობისას რომ ჰქონდაო და მარ-
თალიც გამოდგა: როგორც კი პირველმა გან-
ცვიფრებამ გადაუარა და მერე აღშფოთებამ
დაარია ხელი, რაკი ადგილიდან არ იძვროდ-
აფხზედა რა ამ პერიოდში ჩატარებულ მუშათა და კოლმეურნეთა კრებებს გაუერთმა „პრავდა“ მათ უწოდა, ადამიანებში მოვალეობის, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის ამაღლების ქმედითი საშუალება“.

კომუნისტურ მშენებლობაში მძლავრი ფაქტორი იდოლოგიური მუშაობის წარად წარმოგვა. იგი მასების მოაგანებებელ როლს თამაშობს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ მეტად მნიშვნელოვან უზანუთაი იჩინა ფორმალისმისა და ზეგნულობის ელემენტებში. იდოლოგიური მუშაობის საკითხებზე ფართოდ იმჭაღლა 1976 წლის პარიღში ჩატარებულმა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებამ, რომელმაც მოიხმინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოზახრება „პარტიული ორგანიზაციების ამოცანებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაძლიერებისათვის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისათვის შესახებ“, დადგენილებიდან გამომდინარე იდოლოგიურ მუშაობაში ნაკლოვანებათა მხილვასთან ერთად, უზრაღდება გადატანად იქნათეორიული სწავლების ეფექტურობის ამაღლებად. მაგალითი აქ, პირველ რიგში, ორგანიზაციების თვით საქართველოს კ ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკომპრომისო ბრძოლა გაუმართა იდოლოგიური მუშაობის არასათანადო შემუშავებებს. კრიტიკის ცეცხლი მიმართულ იქნა მუშაობაში დიბეტალიზმის, მავნებლობის ატომოფეროს მოტრფიალეთა მიმართ. მათ მიმართ, ვინც უკვედმხრივ ეღობებოდა წინ „წინაური ამბების“ გამოშვირებას, ანშობდა კრიტიკასა და თვითკრიტიკას.

მხოლოდ უკონტროლობისა და ლიბერალიზმის პირობებში შეიძლება აქონოდა ადგილი

პარაზიტისმის ისეთ გაქანებას, როგორც იყო ჩვენს რესპუბლიკაში 1972 წლამდე პერიოდში.

ფიზიკური შრომისადმი ბატონაკური, ქედმაღლური დამოკიდებულება, კერძოშესაკუთრულ ტენდენციებზე, სპეკულაციასა და სხვისი შრომის ზარზე კონების შეძენისა და განდიდებისაკენ მისწრაფებებზე მტკიცედ გადაწკეული მუქთახრობა ხშირად ეროვნული ტრადიციულობის ან თავისებურების დამღიბ იზურებოდა. ჭერ კიდევ 1970 წლის 14 მაისს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულებით — „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან“, სახელმწიფოებრივად დეკანონდა მუქთახროული ცხოვრების მოყვარულთათვის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში იმულებითი ჩაბმა (უკიდურეს შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, განმეორებით გასამართლებული პიროვნებისათვის — წლით) „კანონის შემოღებას, თითქმის, უნდა აღემატა მუქთახრობა, მაგრამ მხოლოდ პირიქით; შენელების ნაცულებად გაიზარდა კადრების დენადობა საწარმოებიდან გახშირდა ლოთობის, ქურდობის, ძარცვის შემთხვევები, რომელსაც უსაქმური ელემენტები სჩადიდებდნენ“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოუთმენლად მიიჩნია აღნიშნული მდგომარეობა და 1974 წლის ივლისში თავის სხდომებზე სპეციალურად განიხილა საკითხი — „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მუქთახრობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ რიგ რაიონებში სუსტად წარმოგება ბრძოლა მუქთახრობის წინააღმდეგ, რომ მთელი რიგი პარტიული ორგანოები ჭერ კიდევ ფორმალურად ეყიდებოდნენ ამ სენის აღმოფხვრის საქმეს. განსაკუთრებით გააკრიტიკეს მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოები, რადგანაც ისინი ჭერ კიდევ ვერ გამხდარიყვნენ პარაზიტისმის წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილი ორგანიზატორები, მოუქნელად მოქმედებდნენ და ურიგებოდნენ ნაკლოვანებებს ამ დარგში.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა **ც** პარტიული, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბრძოლის გააქტიურების ღონისძიებანი, განსაზღვრა ამ მხრივ ჩამორჩენილი ქალაქებისა და რაიონების შემოწმების კონკრეტული ვადებიც.

1 ქურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1973 წ. № 5. გვ. 31.

1 გაზეთი „პრავდა“, 1973 წ., 5 თებერვალი.

საქართველოს კ. ც. -ის ბიუროს დადგენილებამ გარდატეხა შეიტანა პარაზიტულთან ბრძოლაში, პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მთელ ამ ბრძოლას. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა პარტიული დეპუტატების გამოცვლამ, რომელიც 1978 წლის დანაწიდან 1979 წლის 1 მარტამდე ჩატარდა. პარტიულ მენეტების გამოცვლამ ააშალა კომუნისტთა აქტიუობა, მათი ავანგარდული როლი.

მუშაობის გარდაქმნას დაადგნენ საბჭოთა ორგანოები. 1978 წლის ივლისში საქართველოს უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში“.

საბჭოთა ორგანოები ერთის მხრივ სრულყოფდნენ არსებულ საქაონმდებლო აქტებს, რომელიც მმართველი იუენენ მუქთაბორობის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ კი ამოიღებდნენ კონტროლს ამ კანონების შესრულებაზე.

ნეგატიური მოვლენების და მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მასებში სამართლებრივი ცოდნის გავრცელებას, როგორც მათი აღზრდის საშუალებას.

1978 წლის 28 აგვისტოს საქართველოს კ. ც. -ის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა „რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობა და მისი ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებანი“. პარტიამ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საზოგადოების საკულევ ინსტიტუტთან, რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნის“ გადგეობასთან ერთად გამოიმუშავა „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის კომპლექსურ ღონისძიებათა 1974-1979 წწ. პერსპექტიული გეგმა“, რამაც მნიშვნელოვნად წასწია წინ ეს საქმე.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს კ. ც. -მა მუშაობის არსებითად გარდაქმნა მოითხოვა პარტიურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოებისაგან, აღნიშნულ ორგანოებში უკანასკნელ პერიოდში მოხედვრდი აღმოჩნდა ისეთი ცალკეული პირები, რომლებიც არ იუენენ ღირსნი ეტარებნათ კანონის დამცველის სახელი, პარტიული ზედმდვანელი ორგანოების მითითების შესაბამისად პარტიურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოები გაიწმინდა უღირის ელემენტებისაგან, მათ ნაცვლად დაწინაურებული იქნა ახალგაზრდა, საქმიანი თვისებების მქონე კადრები. ამის შედეგად საგარეოლადა გაიზარდა ამ ორგანოების მებრძოლურობა, საერთო ავტორიტეტი ფართო საზოგადოებრობის თვალში.

მუქთაბორობასთან ბრძოლაში აქტიურად ჩა-

ებნენ რესპუბლიკური მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, პრესა, რადიო, ტელევიზია, აგრეთვე, მხატვრული სიტუვის ოსტატები.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ზელმადვანელობამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ დასაყრდენ ქალად მიიჩნია შრომითი კოლექტივები. საქირო იყო ახალი წამოწყებანი, ინიციატივა და ისიც გაჩნდა. ეს იყო დამრიგებლობა, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა.

საუყვდელთა სახალხო მოწონება დაინახურა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ც. -ის მხრივ შესაფერისი შეფასება მიეცა სოფლების პატარძელის, წალდაკისა და ახალსოფლის საბჭოების ინიციატივას არ ჰყოლადეთ არკერთი უქნარა, შრომის თავის ამრიღებელი სოფლად — გაძლიერდა სოფლის ურიღობების როლი.

ნეგატიურ მოვლენებთან წარმოებულ ბრძოლას ძალა შემატა ღონისძიებმა, რომლებიც მიმართული იუენენ ლოთობისა და ნარკომანიის წინააღმდეგ. სკკ. ც. -ის 1978 წლის 18 მაისის დადგენილების „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ — საფუძველზე საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შესაბამისი სიმკაცრის კანონები მიიღო ლოთობისა და ნარკომანიის წინააღმდეგოდ, საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან მუქთაბორობასთან ბრძოლის კომისიების პარალელურად შექმნილი იქნა ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასთან მებრძოლი კომისიები.

მუშაობაში ჩაებნენ არასრულწლოვანთა კომისიები, კომკავშირული და პოოფკავშირული ორგანიზაციები, მთელი შესაძლებლობების მძლავრად ამოქმედებამ თავისი შედეგები გამოიღო. ყველა ზემოთ აღნიშნულმა ღონისძიებამ ფრთები შეაკვეცა მუქთაბორობის, მოთანა პირველი დიდი წარმატებები, რაც ნათლად გამოჩნდა სამეურნეო მშენებლობის ფონზე. თუ 1971-1972 წწ. საქართველოს სსრ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფებოდა, 1978 წლიდან მოყოლებული იგი სისტემატურად იხვეჭს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის საპატიო ჯილდოს.

საქართველოს კომპარტიის მიერ მე-9 ზუთწლედის ბოლო ოთხწლიანი პერიოდი ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში თავისუფლად შეიძლება დებასათებულ იქნეს, როგორც გარდატეხის პერიოდი, როგორც საერთო სახელმწიფოებრივ ბრძოლაში თავისებური, დიდა გამოვლილების დაგროვების პერიოდი. ბრძოლა ნეგატიური მოვლენებისა და მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ კვლავ გრძელდება, ევბი არაა, რომ მიღწეული იქნება უფრო მეტი წარმატებანი, ვიდრე დღესა გვაქვს ზედო.

სენიკა

მარინე გუშუაშვილი

«პარადოქსი მსახიობზე»

„მშველამდის თავისი მიზეზი აქვს, მიზეზს შედეგი მოსდევს — აქსიომაა. ეს უსასრულო მიზეზ-შედეგობრიობა უამრავ პრობლემას ბადებს ცნობიერებისა თუ უოფიერების ამა თუ იმ უბანზე. პრობლემები კი დამუშავებას ითხოვენ. თანამედროვეობის გამოჩენილი შვეიცარიელი დრამატურგი ფრიდრიხ დიურენშატი ერთ-ერთ ინტერვიუში შეკითხვაზე, თუ რა პრობლემებითაა იგი დაინტერესებული, პასუხობს: „მე ფილოსოფიის არ გახლავართ და ამდენად პრობლემების გადაჭრას არ ვიხსნავ მიზნად, ჩემი ინტერესების სფეროს ადამიანური კონფლიქტები განეკუთვნებიან“. კონფლიქტები კი, მოგვსენებათ, ადამიანური ურთიერთობების, დამოკიდებულებების თანამდევია. და ეს ცხოვრებაც, პრინციპში, ურთიერთობების, დამოკიდებულებების, მიმართებებისა და კავშირების კომპლექსია აღბათ.

რადგანაც თეატრალური ხელოვნება მხატვრული მოდელია სინამდვილისა, ამდენად, სავსებით ბუნებრივია, როცა სპექტაკლი უზრადლების ცენტრში ზემოაღნიშნულ კომპლექსს აქცევს, რაც ურთიერთობათა დაუსრულებელ ვარიანტებს მოიცავს.

მაგრამ განა ზშირად ვაკონტროლებთ ჩვენი ურთიერთობების ნორმებს, განა უბეშად არ ვარღვევთ „მარადისობის კანონს“?!. როგორ იოლად ვთვით და ვეღვივთ ერთმანეთს; თანდათან როგორ გვეცდება ადამიანურობა; რა დაუნდობლად ველავთ რწმენის, იმედის, მოლოდინის სიხარულს; როგორ დავკარგეთ შინაგანი კავშირები, თორემ გარეგნულად ისევ ვებლაუტებით ერთმანეთს აუცილებლობის გამო, თავს ვიტყუებთ, ძალდატანებას კი გულგრილობის გრადუსი შემოაქვს სულიერ კლიმატში და ცხოვრებაც მიდის, გრძელდება ამ თავისებურ მაცივარში, რომელსაც დროდადრო სტერილური თავჯიანობით ვარეგულირებთ. მაინც როდემდე ვითამაშოთ ადამიანის როლი, ღამის შეუვალ ტრადიციად რომ ვუმზადებთ მომავალ თაობას; ნუთუ ახალგაზრდობასაც

უნდა ერგოს „როლი“ ამ შემზარავ თამაშში?!

„როლი დაწყებული მსახიობი გომონასა-თისი“ (პიესა თ. ჭილაძის რეჟისორი — რ. სტურუა, მხატვარი — მ. ჭავჭავაძე, კომპოზიტორი — გ. უანელი, ქორეოგრაფი — ი. ზარცია). — რუსთაველელთა მორიგა სპექტაკლი. პიესის სიუჟეტი თეატრის ცხოვრების ფონზე იშლება, სცენაზე თეატრალური ატმოსფეროა: დეკორაციული სცენა, გასანათებელი აპარატურა, ნაირგვარი ფანრები, მუსიკალური საკრავები, პოპიტრები, რკინის საწოლი, ტელეფონი, კოსტიუმები, კიბეები, სკამები. მაგრამ, მთლიანობაში სცენა მაინც გაშთავებულია — აღებულია კულისები, არავითარი ტიპარი, მათემატიკის თვალის სცენის ნებისმიერ მონაკვეთზე მიმდინარე მოვლენებს ერთდროულად ადევნებს თვალი. პერსონაჟებს წარმოდგენის მსვლელობის დროს ერთმანეთის სცენიური ცხოვრების მეთაულურეობის ფუნქციაცა აქვთ დაკისრებული, რაც სპექტაკლის იდეურ-მხატვრული კონცეფციითაა განპირობებული და რაც კიდევ უფრო აძლიერებს მოზანცენათა კომპოზიციის პოლიფონიურობას. მარცხენა კუთხეში აფიშა შექსპირის „ჰამლეტის“ პრეზენტაციას გვაუწყებს. ავანსცენაზე პატარა ფარდაგი, სახეში მანქანა, თაბახები და ილუზიონისტის ცილინდრი აწევია.

დ. პაუაშვილის მთქმელმა სპექტაკლის შინაარსი მოკლედ გავაცნო: ერთი წლის წინ „ჰამლეტის“ პრეზენტაციას ოფელიას როლის შემსრულებელი დამწყები მსახიობი გოგონა ანო არ გამოცხადდა. უგზო-უკვლოდ დაგვეკარგა, ჩვენ კი დანაშაულის მტანჯველი გრძნობა დაგვიტოვა, რომელიც უველას ერთნაირად არ აწუხებს, მაგრამ რომლის თავედან მშორებაც უველას ერთნაირად სურს. და, ახლა მსახიობები ამ ანოს წარმოდგენას გვთავაზობენ, რომლებიც საზღვარგარეთ დაინაწილეს. მხოლოდ გოგონა, რომელიც ანოს განასახიერებს, ამ დასის წევრი არ არის.

გახსოვთ ცნობილი ზღაპარი, სადაც კლდე

იხსნება პაროლზე „სეზამ, გაიღე!“? პაროლის რა მოგახსენოთ, სცენის უკანა კედელი კი მართლაც იხსნება და ვალის ნელ რიტმზე თეატრის სამყაროში შევხებიან გოგონა შემოდის, ღამაში გოგონა (თ. დოლიძე). მოქმედება — მოჩვენებაა. გოგონა ავანსცენიდან ილუზიონისტის ცილინდრს იღებს და თავზე იხურავს. ბატონ ურას დაბნეულობას უმაღლ კითხვა შეაგება, წარსული შეახსენა. გოგონა ანოს მაგივრობას გასწევს.

გურ. საღარაძის ბატონი ურას რეპეტიციის დაწყებას ჩქარობს, ძალიან დაკავებულია, ათასი საქმე აქვს და ილუზიებისათვის არ სცალია. არადა, როგორ გვეჩვენება ცხოვრებაში ღამაში ილუზია, ღამაში ოცნება! მითუმეტეს, რომ ეს ილუზია თუ ოცნება ასე ახლოა, ჩვენს გვერდით. ჩვენ კი უველაფერს „პაიის საათს“ ვაბრალდებთ (რაც მთავარია, გასამართლებელი არგუმენტი ხომ ხელთა გვაქვს!) და ვეღარც ვაშინებთ, როგორ ვემსგავსებით ვიტარინაში გამოდგმულ მდიდრულად მორთულ ტორტს (რა უცნაური შედარება, მაგრამ ანო ხომ მხოლოდ ოცდარეწილისაა, მის ასაკში კი მსგავსი ასოციაციები ბუნებრივია). ანოს ოცნებას იმედი შეეცოფნენ უღვაშს, სიუჟეტულს თეატრი ეტლი კი ბატონ ურას არუქა.

ანოს მეგობრები (თ. ჯოხაძე, დ. ხარშილაძე, ი. გუღაძე) — სპექტაკლის თავისებური ქორი — რეჩიტატიულ კომენტარს უყვებიან მიმდინარე მოვლენებს (სამწუხაროდ, ხშირად დეტონირებენ). გაუცხოების ფუნქციურ დატვირთვას მათთან ერთად დ. პაპუაშვილის მოქმედი ინაწილებს, რაც კიდევ უფრო კომპაქტურს ხდის შინაარსსა და მიზანსცენების სინქრონულობას, ჩვენს ეოფის ტიპურ სულიერ საყრდენებს აფიქსირებს. მოულოდნელობის ეფექტს აძლიერებს.

ურთიერთობების სცენური კვლევა გრძელდება. მოქმედი: „ო, რა კარგია, როცა ვიღაცა დაგინახავს, შეგამჩნევს. კარგია, როცა ვინმეს სჭირდება. რა კარგია, როცა იცი, რომ ვიღაცა ფიქრობს შენზე, ვიღაცას ახსოვხარ“, — ანო: „აი თურმე როგორ უოფილა ქვეყანა მოწურობილი: თუცე ერთი ლექსი მაინც იცი ზეპირად, ვიღაცს უსათუოდ, უსათუოდ, უსათუოდ, როდისმე, როდისმე, როდისმე მაინც დასჭირდება...“

ციკლის აჩრნაზე ილუზიონისტები არიან (ნ. სარაჯიშვილი, გ. ფერაძე). მათი ეპიზოდების ფარული მეტაფორებისა და მუსიკალური ფონის შემოტანით, ხტურა სპექტაკლში ტრავიკულია და კომიკურის დაწვევებს ახდენს. ციკლისა და ილუზიონისტების ხაზი წარდის სპექტაკლის სანახაობრივ პოტენციის და შესიმალურად ამახვილებს აზრობრივი შინაარსის ამოკითხვას.

გურ. საღარაძის გმირს კი წინ „მამლიტის“

პრემიერა ელის. რეპეტიციები, ნერვიულობა, მღელვარება მოლოდინისა, პირადი საქმეები — ურას გამრეკელის სტაბილური გრაფიკი უველამ ზეპირად იცის.

მაგრამ ბატონმა ურამ ერთხელ ჩვეული მარშრუტი დაარღვია და კიროვის ბაღში შევიდა, სხვათაშორის, ბავშვობისდროინდელ ბაღში. აი მაშინ კი აირია მოწასტერი, ატყდა ტელეფონების რკვევა, ერთმანეთის ძებნა, დარჩილად სცენა, ჩაირთო ჭორის მექანიზმი, ურას ბაღში რა უნდოდაო. თანდათან ძლიერდება ხმოვანი მეტაფორა — სიმფონიური ორკესტრის საყრავთა აშლილი ელერადობა... ბგერათა ქაოსი მწუხარი პარმონით დავიარვინდა — ბატონი ურას ხაზში ბრუნდება და სპექტაკლის ყველა მონაწილე „სინარულის ოდეს“ აღავლენს ბეთმოვინის მე-9 სიმფონიის ფინალიდან, ესოდენ რომ ესადაგება ქალბატონი ნატოს სულიერ მდგომარეობასაც. ურას უკვე წინაგარშია და ზღებანიძის ნატოც ტრანზისტორს თმავს. უკანა პლანზე კი, იქ — პირობით თეატრის ერთადერთი მორიგე ნათურა ბუფთავს — „მამლიტის“ რეპეტიცია მიწვდა, სამუშაო დამაოიწურა. მაგრამ თამაში გრძელდება. გრძელდება ურას ხაზში, ავანსცენაზე. მოქმედი პირნი:

“ცოლი — ქალბატონი ნატო, პროფესიით მთარგმნელი, ოდნავ აქცენტირებული მეტყველებით;

მმარბი — ბატონი ურას, თეატრის მთავარი რეჟისორი;

მამუშაშაშვილი — ჭეჭრუტანებიდან მოთვალთვალე სპექტაკლის პერსონაჟები (რა გაეწყობა, თამაშის ურება სხვებისთვის ხომ ერთობ საინტერესო პროცესია). პირობითი კედლის — გასანათებელი აპარატურის მწკრივიდან ავანსცენას პროექტორის ორი მბაღი დასცერის. მამაშინს სხეიმამაშინ: გოზობანა, ტყემლობანა, სახლობანა, ან უკეთ ცოლმწრობანა. და ასე მთელი ცხოვრების მანძილზე: პრემიერის წინ, პრემიერის შემდეგ, შუალედებში; ეგოიზმად გადაგვარებული სიუჟარული უწინაც; ახლაც, მერმისაც. „ქალბატონი ნატო — რა სისულელეა!“

პარტნიორის გრძნობა, ზუსტი რეაქცია, განწყობილებათა ცვლა, რითაც ეს სცენა მიჰყავს გურ. საღარაძეს, ხაზს უსვამს გმირის ხასიათს. მსახიობი ამართლებს კონტრასტულ გადასვლებს, თანმიმდევრულად ანვითარებს სახეს და მარტო ანოს კი არა, უკვე მამუშაშვილსაც უწინდება ასოციაცია ურას ტორტთან დავიშორებისა. მერე რა, თუ ურას ოცნებასაც არ იფიქრებს ანო, ხორცშესხმულ ხილვად მოეძა-

მარინე ბუშუაშვილი

„პარაღმოსი მხანობაზე“

ლება და წუთიერ სითბოდ დაუვლის მის სულს, ოჯახური „იდილით“ მოღლილს. განა ესეც სისულელეა? ურას ან ნატოს თუ დავეკითხებით, ახლათ...

მერე შექმელმა მოგვასტენა მოვლენათა შემდგომი სვლა: პრემიერის დღეც მოვიდაო, მაგრამ ისეთი რამ მოხდა, რასაც არაფერი ელოდა (რა უწყალოა ბედის ირონია?!), პრემიერაზე ანო არ გამოცხადდა, პრემიერა კი ნამდვილ დღესასწაულად იქცაო. მართლაც აპლოდისმენტებსა და მსახიობთა გამოძახებას ბოლო არ უჩანდა, ოფელია ალტაცებისაგან ლამის დაფრინავდა (ზ. ბოცვაძე პერსონაჟისადმი ირონიული მიმართების უტყობობას ახდენს, განწყობილების შექმნის გრძნობით თამაშობს. როლის ფაქტურა, ქცევის ლოგიკა, საშემსრულებლო ხერხები, რითაც მსახიობი ოპერირებს, მოტივირებულია მაქსიმალური შეუსაბამოებით შექსპირისებულ ოფელიასა და სცენაზე მის განსახიბვერებელს შორის, რასაც ზ. ბოცვაძე ზედმიწევნით ზუსტად და ლაკონურად აღწევს). მაგრამ ესეც სისულელეაო — ნიშნის მოგებით, დამცინავად გამოხედვა პარტერს ნატომ.

რ. სტურუა მეორე მოქმედების დასაწყისშიც მიმართავს დეტალს, რომელშიც კოდირებულია ანოს ცხოვრების ფინალი: სცენაზე უსულფი ეშვება, ანო კვლავ ღია კედლიდან შემოღობს, მაგდაზე შედგმულ სკამზე ადის და უსულფს ირგებს. მაგრამ ჭერ ადრეა, დაძაბულობას გ უანჩრდის მზიარული მუსიკა და მსახიობთა რევერანსი აქრობს. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს გადაადგებას, მთავარია, რომ უსულფი გაშვადებულია. როდესაც იმ ზომამდე მიგიყვანენ, რომ შენთვის უკვე და უკვე უფრო სულარითი ხდება, ეს უკვე სიკვდილია, სულიერი სიკვდილი და აწი ფიზიკურად იარსებებ თუ არა, ამას არავითარი აზრი აღარა აქვს.

პრემიერის დღეს, დილის ათ საათზე ანო ქალბატონმა ნატომ დაიბარა სახლში. გაეცნო, წიგნიც გაუშვავდა სახსოვრად. ზ. ლებანიძე შავ კაბაზე მწვანე კიბონის შემოიკცამს, თავაზიანი ლბილით წვეთ-წვეთობით უსოვავს შხამს ავანსცენაზე ჩაჩოქილ გოგონას. მომავალიც უწინაშეარმეტყველა ერთი ცხოვრებისეული მაგალითის მიხედვით. დაფიქრებული ანო ერთ წერტილს თვალს არ აცილებს, დიენის ტომი ხელში უჭირავს. თ. დოლიძე გვიჩვენებს შინაგან, რთულ ფსიქოლოგიურ მომენტებს აფიქსირებს, დრამატულ ნიუანსებს ამახვილებს. ანოს მოლოდინს ცივი წყალი გადაასხეს. ბატონმა უჩამ, მე ყველაფერი ვციო, მაგრამ მაინც რა სისულელეა, რა გვაცნოს ერთმანეთთან საერთო გარდა სამსახურისა და გოგონამ ოცნება დაასამარა. აწი ოფელიას როლი ჩაღის ფასადაც აღარ უღირს. თუმცა „მამ-

ლიტის“ პრემიერა ნამდვილ დღესასწაულად იქცა...

თათული დოლიძე იმთავითვე სირთულის წინაშე იდგა. სპექტაკლში მას სამსახეობა ელოდა (გოგონა, ანო, ოფელია). ცხადია, ამგვარად კომბინირებული მხატვრული სახის შექმნა მსახიობისაგან დიდ ყურადღებას, სცენაურ კულტურას და შინაგან ორგანიზებულობას მოითხოვდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ნიჭზე. თ. დოლიძემ წარმატებით გაართვა თავი სირთულეს. დიდი გემოვნების, უშუალოების, ზომიერების მომარჯვებით მიუღდა იგი როლის კონტრაპუნქტს და შედეგიც სახეზეა.

თ. ჭილაძის ამ პიესას გარდა მწვევა პრობლემადიკისა, დრამატურგიის თანამედროვე ფორმა გამოარჩევს, რაც მნიშვნელოვანწილად აპირობებს წარმოდგენის სანახაობრივად მხვილ დინამიკას. სპექტაკლის მთლიანი სტრუქტურა, თამაშის წესი, განსაზღვრულია პიესისეული გრძნობათა ბუნებით. პერსონაჟთა მხატვრული და ფსიქოლოგიური სამყარო დამუშავებულია ლოგიკური ემოციურ-ინტელექტუალური ანალიზით. საერთო გადაწყვეტის პრინციპად პირობითობაა არჩეული (პირობითობა ზოგადად ხომ თეატრალური ზელოვნების საფუძველსაც წარმოადგენს), რაც მაქსიმალურად იტევს სპექტაკლის სცენურს და ფილოსოფიური აზროვნების მასშტაბებს. სცენოგრაფიული გააზრება (მხატვარი — მ. ჭაჭავაძე), ითვალისწინებს რა პირობითობის ზომას, ქმნის მეტაფორულ გარემოს, რომელიც ზუსტად ფუნქციონირებს პერსონაჟებთან პლასტიკურ და სცენურ დამოკიდებულებათა. სცენის სიბრტყეზე რამდენიმე სათამაშო დაჯგავსა განლაგებული, რომელიც გამოყენებულია აგრეთვე, როგორც მოქმედების განმავითარებელი. სპექტაკლის სცენოგრაფია მუსიკალურ ილუსტრირებასთან (მუსილი სპექტაკლის მანძილზე მუსიკოსები სცენაზე იმყოფებიან და აქტიურად მოქმედებენ მსახიობებთან ერთად) მარმონიულ ერთობლიობაში რეჟისორული აქცენტებისა და მისამართების სწორი აღქმის ლოგიკურ პირობას წარმოადგენს.

რეჟისორული პარტიტურა პარალელური სცენების მონაცვლეობას, უფრო ზუსტად ჩანაცვლების ბერბს მოიცავს. ეს გზა წარმოდგენის მხატვრული ქსოვილის ორგანული მთლიანობიდან მომდინარეობს. თუ ამ ბერბს ცხოვრებისეული მართლმადგვარების პოზიციიდან განვიხილავთ, მოვლენები ჩვენს სინამდვილეშიც ერთმანეთის პარალელურად ვითარდებიან და არა ერთმანეთისაგან იზოლირებულიად.

ანო და ზურაიკო (გ. ძნელაძე) დეკორაციულ სცენაზე სხედან. ზურაიკოს შრობები — ქალბატონი ელო (ზ. ბოცვაძე) და ცნობილი მწერალი ბატონი ილიკო (დ. პაპუაშვილი) მოპი-

რეაქციულ მხარეს ანტრესოლიდან ებანებინა ახალგაზრდებს. ქალბატონი ელო საკმაო ტაქტიკით, „ინტელიგენტურობით“ აწარმოებს ანოს გამოცოცხვას. უნა გამტრელოს სახლში კი გაიწუწუებოდა რეკავს ტელეფონი. ოჯახის კეთილსინდისიერად ანოს ბედი ანტრესებში. იუბილარო, ორმოცდაათი წლის ქალბატონი ნათა ფრენა-ფრენით შოკრის ავანსცენაზე ციწონოს სახლგარეშო მართლაც ფრთხილი დაფრიალებს). ოპერატიულად იგერებს ცნობის მოუვარეთა შემოტევებს. გერტრუდა (ლ. გუდამაქ) ერთი წუთითაც არ სცილდება უაზლოვს მეგობარს. გ. უანჩილის ხალისიანი მელოდია კი „მზიარულ“ განწყობილებას აძლიერებს.

პარალელურ სცენას ისევ ზურციოს ოჯახში გადავყავართ. ელენგანტური ქალბატონი ელო უცეი ოჯახურ ფილოსოფიაში „ათვითცნობიერებს“ ანოს. თათული დოღამე გმირის სცენოურ არსებობის პროცესში თანდათანობით ახდენს მოვლენებისადმი ირონიული დამოკიდებულებების პედალირებას. თანაც ისევ, რომ ზომიერების გრძნობა არ ღალატობს. ამასთანავე, თანდათან უფრო შესაძინევი ხდება მსახიობის შინაგანი ღირსი. მაღალი გემოვნების იუმორი, ორგანიზებული ემოცია, საინტერესოდ გააზრებული პირადი პოზიცია გამოარჩევს ზურციოს მშობლებს — ზ. ბოცვაძისა და დ. პაპუაშვილის საშემსრულებლო მანერას. ო, რა აუტანელნი არიან ეს გალანტური მკვლევები! ახლა მაინც დატყებია ანო მათი გამასხარავებით; დაე ერთხელ ისინიც აღმოჩნდნენ სულელურ მდგომარეობაში. ესოდენ რომ ამაყოფნე საკუთარი თვითდაჯერებულობით; ეს ხომ მათ აღზარდეს გ. ძნელადის ზურციო ასეთი ჰეკიანი და განათლებული, პალტოშეყრული — ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დასაფრენად, გასაქცევად გამზადებული!

ნათასა და გერტრუდის სცენაში კონფლიქტი მწვავე პრობლემის ირგვლივ იშლება — თუ როგორ ვხუჭავთ თავის ცხოვრებაში გარყვეულ მომენტებზე, რათა როგორმე საკუთარი თავი გადავარჩინოთ; წუალწლებელნი როგორ ვეძიებთ ხავსს და ამაო სიმშვიდეს ვეძლევათ. თუმცა უველაფერი შესანიშნავად ვიცით და თავის მართლების უსუსურ, მექანიკურ ცდასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ქალბატონი ნათო სარკეში იურება, სახეზე ნაოჭებს ითვალერებს. ლ. გუდამაქს გერტრუდა ვარჯიშობს, სპორტს მისდევს — რა ქნას, სიბერეს თუ სიძველეს უძლიანდება, ებრძვის.

ანომ შუალამისას დაჭრილ ადამიანს კარი გაუღო, შეიფარა ზურციომ ისეთ დროს დასტოვა მარტო, როცა გვერდით ადამიანის უფნა უველაზე მტადაა საჭირო და აუცილებელი. მეზობლებმა შესაშური ერთსულოვნება გამოიჩინეს და „კოლექტიური“ განცხადებით

მიმართეს მილიციას, ანოს პასპაზლებს მოითხოვეს სათანადო მორალური (და ალბათ იურიდიული) არგუმენტების საფუძველზე. საერო თოდ. მეზობლებს ხომ ასეთ საქმეებში ბადალი არ მოეძვეებათ?! იმათ ვინ გააჩუბებს. ანდა იტყვის ვინმე ასე არ არისო? სავარძელში მჯდომმა ბატონმა უჩამ ისევ რა სისულელეაო — ისევ მოუწახა გამართლება თუ გამოსავალი თავის პოზიციას; შეუწდო საკუთარ თავსაც, ცოლსაც, ახლობლებსაც. რამეთუ მათივე მსგავსად თავადაც თანავეტორია ანოსათვის განსაზღვრული როლისა.

რიტმული საცეცავო მოტივის თანხლებით სცენაზე ქართული კამათა და ჩიხტიკოპო მოსილი ქალი გამოდის — ანოს დედა. ეს ზ. ლეზანაძის მეორე როლია სექტაკლში, რაც ერთის მხრივ, კიდევ უფრო აძლიერებს საქტაკლის მკვეთრი თეატრალური არომატის შეგრძნებას. მეორეს მხრივ არის გარკვეული შინაგანი ლოცვა ამ ორი სახის დაჯავშრებაში.

ანოს დედის სცენებს ზურციოსა და მისი მშობლების სცენები ცვლის პარალელურად. ვინ უფრო სწირავს შეილს; ნათო, რომელმაც პოტენციაშივე მოიპოო დედობის შესაძლებლობა. ანოს დედა თავისი მენტორული ბრალდებებით (თვალსა და ხელშეა არ შემოგვჯერა რომანტიკა?) თუ ზურციოს მშობლებით უფროსი თაობის ახალგაზრდობასთან დადოი-დებულების სურათი სახეზეა. რ. სტურუა პრობლემის ამგვარი კომპენსირებით ფილოსოფიურ განზოგადებას ახდენს.

ახლა კი? დროა ეუღლის! ბატონმა ილიკომ, ბოლოსდაბოლოს რა მხნდა, არც ისეთი გამოუვადი მდგომარეობა, ზოგს რომ ჰგონიო, შეეცდა პატივცემული მწერალი. ანოსათვის სწორედაც რომ გამოუვადი მდგომარეობაა. ახლა პოზიციის დათმობა და შეგუება მთელი ცხოვრების მანძილზე წინასწარ განსაზღვრული როლის თამაშს უდრის. ანოს არ სურს იქცეს ადამიანის ნაძალადევი, უაღბო როლის შემსრულებლად. იმიტომ რომ თვითონაა ადამიანი — ნამდვილი, ბუნებრივი, წმინდა. ამიტომაც ამბობს პროფესიით მსახიობი, დამწვები მსახიობი უარს როლზე, „მთავარ“ როლზე, მსახიობობაზე და არჩევანს უუღფზე აჩერებს.

ესეც „პარადოქსი მსახიობზე“! უყანასკნელ მეგზურობას ილუზიონისტები უწევენ, რაც ქვეტექსტის პლასტიკური მეტაფორაცაა. ანოს ბედი ფაქტიურად, შექსპირისებური ოფელიას ბედის პროექტია თანადროული ცხოვრების პირობებში.

გურამ საღარაძის გმირისათვის კი სინდისთან კომპრომისი არც ისე ძნელი საქმეა. სავარაუდოდ წამომდგარმა ბატონმა უჩამ ისევ ჩვეული დადასტვინდა დასრულა — რა სისულელეაო... წარმოდგენა დამთავრდა. ვითრამ?

უმცროსთა გზებზე

ზურაბ აბაშიძე

მოულოდნელი არაფერია ალბათ იმაში, რომ ახალგაზრდული ეურნალის რედაქცია ხშირად იღებს ახალგაზრდებისაგან წერილებს თხოვნით, ვუამბოთ იოგებსა და კარატეზე: ერთიცა და მეორეც მკითხველთა უმრავლესობისთვის იდუმალებით მოსილ, ლამის მისტიკურ ფენომენს წარმოადგენს. ამგვარი თვალსაზრისი ორი თვითმყოფადი ხალხის — ინდოელი და იაპონელი ხალხების — ასევე თვითმყოფადი კულტურების მეტად საინტერესო გამოვლენისადმი იქნებ იმითაც იყოს განპირობებული, რომ ჩვენში მეტად ცოტა და ასევე მეტად დაბალკვალიფიციურად იწერება იოგებზეც და კარატეზეც.

„ცისკარი“ ამჟამოფილებს მკითხველთა ერთი ნაწილის თხოვნას და აქვეყნებს ზურაბ აბაშიძის წერილს ინდურ იოგაზე.

ახლა ერთი ცნობა წინამდებარე პუბლიკაციის ავტორზე.

ზურაბ აბაშიძე წლების მანძილზე მუშაობდა ინდოეთში. მარტო ეს განცხადებაც, ვფიქრობთ, საკმარისია იმის საბუთად, რომ მკითხველი მისი ნაშრომის სახით გაეცნობა არა ვინმე მოყვარულის მიერ შეთხზულ კომპილიკურ წერილს, არამედ საქმის მკოდნე კაცის და თვითმზილველის უშუალო დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე შექმნილ წიგნას.

ჯავახრალ ნერუს პრემიის ლაურეატის ირაკლი აბაშიძის ოჯახში, აღზრდილი ჰბადესაგან საკვირველი სულაც არ არის, რომ მსასაც, სიტუაციაც და საქმიანაც, თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს საბჭოთა და ინდოელი ლენების სულ უფრო მეტი დაახლოების კეთილშობილურ საქმეში.

იოგას პირველი გაკვეთილი

ინდური ჩანაწერები

გამოცდილ კაცს უთქვამს, ინდოეთზე შთაბეჭდილებების დაწერა თუ გასურს, ამ ქვეყანაში ორი კვირით იმოგზაურე. წიგნის დაწერას თუ აპირებ, ორი თვე გეყოფა, ხოლო საკმარისია ინდოეთში ორი წელი დაყო, საერთოდ ვერაფერს ვერ დაწერო. ვინ იყავს, ინდოეთის თაუვანისმცემლების რამდენ თაობას გამოუცდიდა თავის თავზე ამ სიტყვების ჰემმარტება. მართლაც, პირველი ორი კვირა ინდოეთში სიზმრის უფრო წაგავს, ვიდრე ცხადს. ასე გგონია, უცხო პლანეტაზე მოხვდი, სადაც დროისა და სივრცის სხვა განზომილებებია ბუნების უჩვეულო ფერებითა და ფორმებით, უცნობი სურნელებით, ბგერებით და რაც ინდოეთის მიწაზე ფეხის პირველი დადგმისთანავე გეჩვენება

— ჯერ კიდევ გაუგებარი, მისტიკური ატმოსფეროთი. უოველივე ეს ახალია და მიუწვდომელი. განა რას ისურვებს ამაზე უკეთესი კაცი, რომელსაც ინდოეთზე შთაბეჭდილებების დაწერა გადაუწყვეტია?! გაივლის პირველი თვეები. უოველი უჩვეულო თანდათან ნაცნობი და მეტნაკლებად გასაგები გახდება. ნელ-ნელა „გაქრება“ გადატვირთულ ქუჩებში აღმოსავლური სუნამოების. შემწვარი თხილეულის, ქუჭყისა და ბეტელის* ნარევი ხუნი, ჩვეულებრივად იქვეა იანვრის პაპანაქება და ზაფხულის გაუთავებელი წვიმები, მალე ვერც იმაში დაინახავ რაიმე უჩვეულოს, როცა პროვინცი-

* ინდური სალუკი პილპილი.

ული ქალაქის ოზნოვარიან გზაჯვარედინზე მორჩილად დაიწყებ ლოდინს, თუ როდის გაანთავისუფლებს გზას შენს წინ ზანტად მიმავალი სპილო. გაივლის თვეები და შენც, მკავალი შენი წინაპარკით, დაგბადდება სურვილი: პაპირუსის ქალაქადზე თუ არა, აღიურების სახით მაინც დაუტოვო მომავალ თაობებს შენი განცდები და შთაბეჭდილებები დღე დღეს მიჰყვება, თვეს თვე. ინდოეთის შეცნობა: საშუალებას გაძლევს შენთვის ადრე აუხსნე და გაუგებარ ათას კითხვას გაცე პასუხი, მაგრამ ამავე დროს, ათეერ ათას ახალ პასუხს მოითხოვს. და თუკი პასუხებისა და ახალი ინფორმაციის რაოდენობა შენში მათემატიკური პროგრესით იზრდება, კითხვების რაოდენობა გეომეტრიული პროგრესით მატულობს. უცხოეთში ყოფნის დრო წითში გაირბენს და სახლში დაბრუნების უამც დადგება. მხოლოდ მაშინ მიხვდები, რომ ვერაფერს ვერ დწერი, რადგან 2 წლის ინდოეთში ყოფნის შემდეგ ეს საოცარი ქვეყანა შენთვის უფრო გაუგებარი და მოუწვდომელი გახდება. ვიდრე მის მიწაზე ფეხის პირველი დადგმისას გეჩვენებდა.

იგივე შედარების მოყვანა შეიძლება იოგაზეც, ინდური ცივილიზაციის ამ საოცარ პირობაზე. მართლაცდა პირველი შეხედვით იოგა: თითქმის ვერაფრით გამოირჩევა ჩვენთვის ბავშვობიდან ცნობილი ვარკშებისაგან. მაგრამ, იწვებ მის ლაბირინთებში მოგზაურობას და ხედავ, თუ რაოდენ დიდი განსხვავება ყოფილა ქუშმარიტ იოგასა და იმ იოგას შორის, რომელიც არასაკმარისი ან არასწორი ინფორმაციის გამო ზნირად ბან საოცრების მორწმუნეთა ბრმა ღალადს იწვევს, ბან კი გამოუსწორებელ სექტიკოსების ირონიულ ღიმილს. იოგას სამყაროში სწორი გზის არჩევა, მასში რაციონალური მარცვლის პოვნა მეტად რთული და სასუსხისმგებლო საქმეა. განურჩევლად და გადაპარებულად ინფორმაციის მიწოდება ან გამოცდილი „გამოულის“ გარეშე იოგას სამყაროში მოგზაურობა უძვეველად მიუყვანს მოუზადებელ ადამიანს იმ მდგომარეობაში (ზნირად მისთვის შეუძნეველადაც კი), როცა მას გაუგებარი უფრო მეტი დარჩება, ვიდრე გაგებული.

ასეთი „საშიშროებები“ ელოდა ამ ჩანაწერების ავტორსაც ინდოეთში გატარებული 2 წლის მანძილზე. ქვეყნის გაცნობა მათად დამანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია იოგა ინდური კულტურისა და რომ მისი საწყისების ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია ამ ქვეყნის უმდიდრესი წარსულისა და აწმყოს შესწავლა. მასზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა, მაგრამ როგორ მივაწოდოთ ქართველ მკითხველს საჭირო ინფორმაცია: ჩვენი ქვეყნის მეგობარი ხალხის ამ

გასაოცარ მონაპოვარზე? რა ვუყოთ საკუთარ გამოცდილებას და გამოცდილი კაცის სიტყვებს? ჩემდა სახედნიეროდ, შემთხვევამ ბომბეში მცხოვრებ ერთ-ერთ ცნობილ იოგთან დამახლოვა. ჩემი ნაცნობი თანამედროვე ადამიანი და იოგების იმ წრეების წარმომადგენელიც, რომელთა სამყაროს გაბრწნა ჯერ არ მოუწრია უკვლისგამაგრწნელ კომერციას. სწორედ მასთან შეხვედრებისა და საუბრის შედეგად შეიქმნა ეს ჩანაწერები, რომლებსაც მკითხველს ვთავაზობ უმნიშვნელო ვარაიაციებით.

თავიდან შევიტანოთ გარკვეულობა ჩვენს თბრბაში. ამ ჩანაწერებიდან მკითხველი არც რაიმე ზებუნებრივი თვისებების შეძენას უნდა ელოდეს, არც იოგას თეორიისა და პრაქტიკის ფიზიოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ ახსნა-განმარტებას. ამ ბოლო მიმართულებით დიდი ხანია მიმდინარეობს მეცნიერული შესწავლა ბან ჩვენც ისდა დაგვრჩენია, დაველოდოო ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევებს. რაც შეეხება ამ ჩანაწერებს, იგი მიზნად ისახავს ზოგად ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს ინდოელი ხალხის ამ კულტურულ შემკვიდრებობაზე, მის იმ საწყის თეორიულ პრინციპებზე და დებულებებზე, რომლებიც დღესაც უდიდეს როლს ასრულებენ ინდოეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ადამიანის სულიერ აღზრდასა და ჩამოყალიბებაში. დაინტერესებულ მკითხველისათვის ჩანაწერები აგრეთვე შეიცავს კალკულ მონაცემებს იოგას იმ ფიზიკურ ვარკიშებზე, რომელთა დადებით და სამყურნალო თვისებებს საყოველთაო აღიარება აქვთ მოპოვებული.

„მეშ ასე. — დაიწყო ჩემმა მასწავლებელმა იოგას პირველი გაკვეთილი. — დღეიდან შეთქვნი გურუ* ვარ, თქვენ კი ჩემი საღაჟა**...“

სენსაციების, შავი მაგიისა და ჭაღოქრობის მოყვარულებმა მართლაც რომ ცუდი სამსახური გაუწიეს იოგას. მათი წუალობით გაუთვით-ცნობიერებელ კაცს იოგი ჩვეულებრივი ადამიანის მაგივრად ზნირად გაურკვეველ არსებად, წვერებიან ჩონჩხად წარმოუდგენია, რომელიც საცოცხლის უმეტეს ნაწილს რატომღაც მიწის ქვეშ ატარებს, ბოლო თავისუფალ დროს კი ან ნემსებს იყრის თვალებსა და ყურებში, ან კიდევ ღუღსმნიბიან ლოგინზე ნებიჯოვს.

* გურუ — (სანსკრიტი) სულიერი მოძღვარი, მასწავლებელი.

** საღაჟა — (სანსკრ) პოსწავლე

ზურაბ აბაშინი
ირბას პირმედი ბაკკინიერი

დღე არ გავა დასავლეთის პრესაში სენსაციურმა სათაურმა რომ არ იღვოს: „ახალი რეკორდი: 8 დღე მიწის ქვეშ“, „12 საათი წულის ქვეშ“, „1 თვე თავდაყირა“ და ა. შ. დღევანდელ დღეს რეკორდებით ვერავის გაკვირვებ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ „საოცრებებს“ სენსაციებით მოვაპირეს სწორედ იოგებს მიაწერენ. ვინ არიან სინამდვილეში ეს ადამიანები და რატომ ამქობინებს მათ მიწისქვეშეთი ან წყლისქვეშეთი ადამიანთა ცოდვილი სამუაროს? აი რას წერს მათ შესახებ თავის ცნობილ წიგნში „იოგა, ნარკვევები“ თანამედროვე იოგას ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ინდოეთში იოგას პირველი ინსტიტუტის დამაარსებელი იოგენდრა: „იოგა არავისგან არ მოითხოვს ცალ ფეხზე თუნდაც ერთ საათს დგომას. მოუხდავად ამისა, ისინი, ვინც ცალ ფეხზე წლებით დგანან, რატომღაც იოგებთან არიან ცნობილი, იოგაში არასდროს გამოთქმულა აზრი ადამიანის დროებით „სიკვდილის“ აუცილებლობისა. თუმცა მათ, ვინც ასეთ ექსპერიმენტებს თავის თავზე აუწებენ, რატომღაც იოგებს ეძახიან... მიწაში ჩაშარხვას, წყალზე სიარულს, ღორსმნებზე ძილს, ჰაერში ფრენას და ვინ იცის კიდევ რას, არავითარი კავშირი არა აქვს ჰერმეტიკ იოგასთან, ვინ მოთვლის რამდენჯერ შეუღლებათ ადამიანის ფანტაზიის ამ არქაულ დღემებს ჰერმეტიკ იოგას იდეა და ვინ იცის რაოდენ ექსტრემალური იქნება ისინი დღესაც მისი შესწავლისა და განვითარების საქმეს.“ „კი მაგრამ — იტყვიან თქვენ — ასეთი „საოცარი“ ადამიანების არსებობას დღეს ზომიერების სტატისტიკები ვეღარ უარყოფენ? მართალია, ასეთი ადამიანები ნამდვილად არსებობენ. ისინი არც ქაღალკები არიან და არც რაიმე ზეზუნებრივი ძალის მქონენი, იოგას სპეციალური ვარჯიშებისა და ტრენინგების საშუალებით ისინი აღწევენ სხეულისა და ფსიქიკის ისეთ განვითარებას, როცა ადამიანის სხეული გასაოცარ, ზნორად შეუძირებელს იქნება. კი აუხსნელ თვისებებს იძენს. მაგრამ, ვიმეორებ, ყოველივე ამას არავითარი კავშირი არა აქვს ჰერმეტიკ იოგასთან, იუნგენს რა იოგა მეთოდს მატერიალური კეთილდღეობის, სახელის, სენსაციის ან სხვა პირადი ინტერესებისათვის, ამ ადამიანების საქმიანობა ისევე შორდება იოგას მიზანს, მის პრინციპებსა და იდეებს, როგორც, ვთქვათ, ესპანური კორადა ანუ ხარებთან ბრძოლა, სოფლის მეურნეობას. მაშ რა არის იოგა და რა მიზანს ისახავს იგი? იოგა, უპირველეს ყოვლისა, მეთოდია ადამიანის ფიზიკური, სულიერი და ზეგნობრივი ჯანსაღებისა, ხოლო კითხვაზე, თუ რა მიზანს ისახავს იგი პასუხის გასაცემად სპირიტუალური გავიხსენოთ ინ-

დურ რელიგიებისა და ფილოსოფიის ზოგიერთი დებულება.

მოგახსენებთ, კლასიკური ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების ერთ-ერთი უმთავრეს პრინციპს სულის გარდასახვის, ანუ ხანსარის თეორია წარმოადგენს. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: სული უკვდავია, იგი მხოლოდ უსასრულოდ იცვლის ფორმას. ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, მწერი, მცენარე — ყოველივე ეს მხოლოდ სულის დროებითი ნაირსახეობაა, მისი „წუთიერი გარსი“. ასე რომ, სიცოცხლე არა არის რა, თუ არა უკვდავი სულის ფორმათა ცვლის უსასრულო ციკლი. ადამიანის მომავალი არსებობის ფორმა, თავის მხრივ, დამოკიდებულია კარმზე, ანუ იმაზე თუ როგორ იქცეოდა იგი წინა გარდასახვაში. ასე რომ, ღარიბი ხარ? განუტყრანავი სხეულები გაწამებს ან წყალობილია დაგიღუპა მოსაგდელი? მხოლოდ შენს სულს და მის წიხა, გარდასახვაში ჩადენილ ცულ საქციელს უნდა დააბრალო. იცხოვრე ისე, როგორც რელიგიური კანონები გასწავლიან და შენც ისევე შეგიძლია დაიბადო ბედნიერი, ქანშირელი და მდიდარი, როგორც უველა სხვა მოკვდავს. ინდოეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ხანსარისა და კარმის თეორიის ფართო გავრცელება იმაზე მიუთითებს, რომ იდეა მომავალ არსებობებზე მილიონობით უბრალო ადამიანს უფრო მოზიზღილი და იმედის მომცემი უნდა მოსჩვენებოდა, ვიდრე აზრი ბუნდოვან საიქიოზე და საღდაც ღრუბლებში გაურკვეველ არსებობაზე; რაც შეეხება ერთეულ მოაზროვნებს, აზრი უსასრულო არსებობისა, გაჩენისა და სიკვდილისა, მათთვის ბოლომდე დამაპყროფებელი არ აღმოჩნდა. გარდასახვის სიკვდილიც სიკვდილად რჩება, მილიონჯერ და მილიონჯერ სიკვდილი კი სულ უარესი, ან თუნდაც მილიონჯერ სიცოცხლე — არის კი რაიმე აზრი უსასრულო, გაუთავებელ და უფერულ არსებობაში? ამ კითხვაზე ძველმა ინდოელმა მოაზროვნემ ჩანს უარყოფითად უპასუხა, რადგან მღელ კაცობრიობას მან ახალი თეორია მოუვანა. ამ თეორიის მიხედვით, არსებობს უსასრულო ციკლიდან თავის დაღწევა (პურუშა), უწინასი ქვეშარების მიღწევა და ამრავად „თავის ხსნა“ (მოკშა) შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი შესძლებს დაუფუფიკო. წ. მისტურ კონიერებას და უკანასკნელი კი ღრმა მედიტაციით, ფსიქიკისა და სხეულის დაუფლებით ხდება. ამგვარი „ხსნისკენ“ მიმავალ ერთ-ერთ გზას იოგა ეწოდება.

იოგა სანსკრიტული სიტყვაა და კავშირს ერთობას, ერთიანობას ნიშნავს. სიტყვის გაშიფრვა ხდება როგორც ეიწრო, ასევე ფართო გაგებით. დასავლეთში უფრო გავრცელებული მნიშვნელობით სიტყვა იოგა სხეულისა და გონების ერთიანობას გულისხმობს. სიტყ-

* „Ioga. Essays“ Shr; Iogendra. Bombay, 1973. გვ. 170.

ვის ამგვარი ახსნა გამოწვეულია იოგას მრავალ-
მიმდინარეობიდან იმ სისტემების არჩევით.
რომლებიც ფიზიკური სავარჯიშოების ფუნქცი-
ონებს ასრულებენ სხვადასხვა ვარიაციებით და
ანავე დროს ფსიქიკის ტრენინგის ელემენტებ-
საც შეიცავენ. კლასიკური იოგას თერაპი-
კოსების პრაქტიკის სიტუციის ფართო მნიშვნელობა
თითო იოგას მთავარ მიზანზე, ადამიანის სული-
სა და ე. წ. ტრანსდენტალური, ანუ უნივერსალური
სულის ერთობაზე მიუთითებს.

იოგას პრინციპები ამ საბით, როგორც მათ
ჩვენამდე მოაღწიეს, უკვე ძვ. წ. მე-2 საუკუ-
ნეში ვიწმე პატანჯალის მიერ იქნა ჩამოყალიბ-
ებული. მისი ცნობილი ნაწარმოები „იოგა-სუ-
ტრა“ — ფძველესი ხელნაწერი იოგაზე —
მოკლე აფორიზმებისა და გამოთქვამებისაგან
შესდგება. ამ უნიკალურ ნაშრომს ყოველი
ნაშდელი იოგი თავის წმინდა სახელმძღვანე-
ლოდ თვლის, რის გამოც პატანჯალი იოგას
სამუაროში „მთავარ გურუთაც“ არის ცნობი-
ლი. პატანჯალის შემდეგ იოგამ მნიშვნელო-
ვანი ცვალებები განიცადა, საუკუნეების გან-
მავლობაში მის ერთიან სისტემაში უაღრეს-
ბოდა ახალი მიმდინარეობები, იქმნებოდა სკო-
ლები, რომლებიც უკეთ პასუხობდნენ დროთა
მოთხოვნებს. დღეისათვის მსოფლიოში უმე-
თარესად იოგას მ მიმდინარეობაა გაერთიან-
ებული.

— პატანჯალი იოგა — საქმისა და მოქმედების
იოგა. მის მიხედვით „უშნეისი კეშმარიტების“
მიღწევა უანგარო შრომის, საქმის უსაზღვრო
სიუარულისა და ერთგულების გზით ხდება
(ასე, მაგალითად, მამატმა განდი ინდოეთში
კარმა იოგადაც არის ცნობილი).

— რაჯა იოგას შესწავლისა და დაუფლე-
ბის საგანია ადამიანის გონება და მისი ფსიქიკა.
— პათია იოგა — ადამიანის ფიზიკური და
ზნერბივი დახვეწის მეთოდი.

— ჰათათი იოგა ადამიანის სიუარულის
გრძნობაში ღვთაებრივ გამოხატულებას ხედავს
და ამიტომ მის ისეთ ამალელებასა და განვითარ-
ებას ისახავს მიზნად, როცა იგი უნივერსალურ
და ყოვლისშემძლე ძალად იქცევა.

— ჯანანა იოგა, ანუ ცოდნის გზა. მის მი-
ხედვით „უშნეისი კეშმარიტება“ მხოლოდ
საკუთარ თავზე, სამუაროსა და ღმერთზე სი-
მართლის გაგებით შეიძლება იქნას მიღწეული

— ლაია იოგა ადამიანის „ხსნას“ საკუთარ
თავში ღვთის გადმოხატვისა და სამუაროსთან
გაიგივებაში ხედავს.

კლასიკური იოგას განსაკუთრებული სახეცე-
ლა ჩვენს დროში, მეცნიერულ-ტექნიკური რე-
ვოლუციის ეპოქაში მოხდა. მისი შემდგომი
განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის
ე. წ. ინტეგრალური იოგას იდეის ავტორსა
და ამ მიმდინარეობის დამფუძნებელს სვამი
ვიკიანანდას. იუენებს რა იოგას არსებული სი-

ხტემების პოზიტიურ მიღწევებს ადამიანის
მოქმედების სხვადასხვა სფეროში, ეს მიმდი-
ნარეობა მიზნად ისახავს ადამიანის პარმონულ
განვითარებას როგორც ბიოლოგიურ, ასევე
სოციალურ ასპექტებში. „ინტეგრალური იოგა.
— წერს იოგენდრა — თუკი მას ჩამოყალი-
ბებთ სიფრთხანა მეტაფიზიკურ და რელი-
გიურ-რიტუალურ აზლადებს. წარმოდგენს
ადამიანის სულიერი აღზრდის ტექნოლოგიას
და მისი მეშვეობით მთლიანად საზოგადოების
ევოლუციისა და დახვეწის გზას... (ინტეგრალ-
ური) იოგაში დანახულია ადამიანის ფიზი-
კური, მორალური, ემოციური, სოციალური,
გონებრივი და სულიერი ევოლუციის უმაღლე-
სი გამოხატულება“.

პატანჯალის შემდეგ მიუხედავად იოგას ასე-
თი დივერსიფიკაციისა და გათანადეროვე-
რებისა, მას დღემდე საფუძლად „მთავარი გუ-
რუს“ მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები
უდევს. ლაპარაკია პატანჯალის ცნობილ 8 ლი-
მბზე, ანუ 8 საფეხურზე, რომლებიც იოგას
ყოველი მიმდინარეობის ძირსა და ფესვს წარ-
მოადგენს. ფაქტურად ყოველი მიმდინარეო-
ბის ღედარსი და ხასიათი დამოკიდებულია
იმაზე, თუ პატანჯალის რომელ საფეხურს ეყ-
რდნება იგი უმთავრესად.

პატანჯალის მიხედვით იოგას „უმალღესი
მიზნის“ მიღწევა ნელ-ნელა, თანდათანობით
ხდება. მის მწვერვალზე მოსახვედრად საჭიროა
იმ 8 საფეხურთან „კიბის გავლა“, რომლის
თითოეული საფეხურს გარკვეული მნიშვნელო-
ბა ენიჭება: 1. თვითკონტროლი (იამა), 2.
თვითშეკავება (ნიამა), 3. სიულის ვარჯიში
(ასანა), 4. სუნთქვის რეგულირება (პრანაიამა),
5. თვითგანეწება (პრატიახარა), 6. გონების
კონცენტრაცია (დჰარანა), 7. მედიტაცია (დჰი-
ანა) და 8. ღრმა მედიტაცია (სამაძია).

დღეისათვის, იოგას მრავალ სისტემათა
შორის, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული
და პრაქტიკულად გამოუენებულია ჰათია იოგა.
მართალია, მასში პატანჯალის რვავე საფეხუ-
რის ელემენტებს ვხდებით, მაგრამ უმთავრე-
სად იგი პირველ ოთხ საფეხურს ეყრდნობა.
განვიხილოთ ეს მიმდინარეობა უფრო ღებ-
ლურად.

ჰათია იოგა

სიტუა „ჰათია“ ორი სანსკრიტული ფუძის
შენაერთია. „ჰა“ ზნეს ნიშნავს, „თა“ — მთავარ-
რეს. მზე დადებითი ენერგიის სიმბოლოა.
მთავარ ეკ უარყოფითის. სიტუვის ეტიმოლო-
გია იმაზე მიუთითებს, რომ ჰათია იოგა ადა-

* „Ioga. Essays“. გვ. 14-15.

ჯურბა აბაშიძე
იოგას პირველი ბაგინიერი

მიანის განმარტებლობის საფუძვლად მის ორგანიზმში მარწმინდული ბალანსის დაცვას თვლის, ხოლო ავადმყოფობის მიზეზად კი ამ ბალანსის დარღვევას ერთ-ერთ რგოლში, მოგვსებ-რით აღწერა. როგორც ვხედავთ, ეს გზით ხდება ეს უკანასკნელი? როგორც უკვე ითქვა, მათმა იოგა უმთავრესად პატანჯალის მიერ ჩამოყალიბებული სისტემის პირველ ოთხ საფეხურზეა აგებული. სწორედ ამ სისტემის პირველი ორი საფეხური — იამა და ნიამა — ეხებოდა ადამიანის ზეგონების-ფიზიკური აღზრდის საკითხებს, საფულისხმოა, რომ ეს ორი საფეხური თავისებურ ფუნდამენტს წარმოადგენს არა მხოლოდ მათა იოგასათვის, არამედ იოგას უკვე-ლა სხვა მიმდინარეობისა და სკოლისათვის. ასე რომ, თვითონტროლისა და თვითშეკავების პრინციპების დაცვა აუცილებელი და უპირველესი წინაპირობაა უკველი იმისათვის, ვისაც გადამწყვეტია იოგას უმდიდრეს სამყაროს ეზიაროს. ეს იოგას საუკველთაო და უმნიშვნელოვანესი კანონია. ჩვენც ამ პრინციპების გატოვებით დავიწყეთ ჩვენი „მოგზაურობა“.

თვითმართვლი (იამა) და
თვითშეკავება (ნიამა)

მაშ ასე, მათმა იოგას დაუფლება თვითონტროლისა და თვითშეკავების უნარის გამოშვებით იწყება. უპირველეს უვლისა დამწყებ იოგს თავისი უკველდლიური ცხოვრების აგება იამასა და ნიამას შემდეგი 10 პრინციპის მიხედვით მოეთხოვება (შეგიძლიათ პარალელ-ად გაატაროთ ქრისტიანულ 10 მცნებასთან), ეს პრინციპებია: არაძალადობა, სიმართლე, ქურდობისაგან თავის შეკავება, სქესობრივი ენერგიის შენარჩუნება, მომხმეკელობის უარყოფა, სიწმინდე, ემოფილიება, ასკეტიზმი, დიშკალინა და თვითშეწირვა.

არაძალადობის მცნებას (აპიმსა) იოგას სისტემაში, ისევე როგორც მთლიანად ინდურ აზროვნებაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ინდუიზმისა და სხვა ინდური რელიგიების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. უკველდურისი განვითარება მან ჭაინიზმში ჰყოვა, ასე მაგალითად, ჰეშმარიტ ჭაინისტს არა მარტო ხორცეულისა და თევზეულის ჰამა ეჭმადლება, არამედ გაუფილტრავი წყლის ცემც, რადგან იგი უმცირეს ცოცხალ ორგანიზმებს შეიცავს. ინდოეთის კალაქების ქუჩებში დღესაც ვხვდებით ჭაინისტ მონაწენებს, რომლებიც პატარა ცოცხლი ინთავისუფლებენ გზას ჰიანქველებისა და მწერებისაგან, ხოლო სახიერ პირბადე აქვთ აკრული, რომ შიგ შემთხვევით ბუნი ან სხვა არსება არ შეუფრინდეს. ადრე ჭაინისტს მიწათმოქმედებაც კი ეკრძალებოდა, რადგან მათი რწმენით მიწის დამუშავება ნიადაგში მცე-

ნარების, ცხოველების, მწერებისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების განადგურებას იწვევს. ჭაინიზმი კრძალავს ცეცხლის დანთებას, რადგან ეს დამლუპველად მოქმედებს ატმოსფეროსა და თვით სანვად მასალაში ცოცხალ ორგანიზმებზე. კრძალავს ცეცხლის ჩაქრობას, რადგან ეს თვით ცეცხლის არსებობის შეწყვეტას იწვევს და ა. შ.

მართალია აპიმსას მცნებას იოგაში ასეთი უკველდურისობისათვის არ მიუღწევია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მისი სისტემის ერთ-ერთ უპირველეს და უმთავრეს პრინციპად რჩება, აზრის განვითარება, გამარტებული სახით, ასე ხდება:

...ადამიანი სულის გარდასახვის უმაღლესი ფორმაა, სულის უკველადე უფრო სრულყოფილი გამოხატულება. მისი სრულყოფა კი იმით განისაზღვრება, თუ რაოდენ განსხვავდება იგი ცხოველისაგან, გარდასახვის კატეგორიებში სულის უფრო დაბლა მდგომი ფორმისაგან. ძალადობა ადამიანს ბუნებამ (პრაკრიტი) მისცა, მაგრამ მამე დროს, ის არ შეეფერება ადამიანის შინაგან ბუნებას (სუბაჰუ). ძალადობა ცხოველის, მტეცის ბუნებაა, რადგან მას შემეცნების უნარი არა აქვს და არსებობის მონიშნ მხოლოდ ერთი არჩევანი გააჩნია — ძალადობა. სწორედ ამიტომ არ არის განსხვავება მტეცის ბუნებასა და მისი არსებობის სტილის შორის. სხვა არის ადამიანი, რომელსაც არსებობისათვის შეუძლია არჩევანის გაკეთება ძალადობას (ცხოველის ბუნებას) და არაძალადობას (ჰუმანურობას) შორის. ადამიანის ჰუმანურობა სწორედ ამ არჩევანით იწყება და განისაზღვრება. ძალადობა ცხოველის აწყოა, ადამიანს კი წარსული. ადამიანს არა მხოლოდ შეუძლია, არამედ ვალდებულია იეოს არამოძალადე წინააღმდეგ შემთხვევაში ზაზი ესმევა მისი სულის გარდასახვის აზრს დაბალი საფეხურიდან უმაღლესამდე, ანუ, მეცნიერების ენით რომ ვთქვათ, მის ევოლუციას ცხრველური სტადი-იდან ჰუმანოიდამდე.

საგულისხმოა, რომ ძალადობაში იოგა არა მარტო სულის, არამედ სულის დავადებასაც ხედავს. სწორედ ამიტომ, საკუთრველთ არ არის, რომ რადიკალიტის, ასტმის ან სურდოს საჰყრნალო სავარჯიშოებთან ერთად „ძალადობის მოსარჩენი“ სავარჯიშოებიც არსებობს. მაგალითად, ზოგიერთი გურუ ასეთ სავარჯიშოს თავზაობს ზედმეტად აგრესიულ პაუიენტს: „ძალადობისაგან განსაკუთრვად უპირველეს უკველისა საჰყროა საკუთარ თავში მტეცის აღმოჩენა და დანახვა. ჩაიხედეთ სარკეში, ეცადეთ გაბრაზდეთ ისევე, როგორც დღეს დილით, გუშინ საღამოს ან შარშან შემოდგომაზე გაბრაზდით. მიიღეთ რაც შეიძლება შემზარავი და შიშის მომგვრელი გამომეტველება. თუ სარკის დამტკრევას მოისურვებთ, დამტკრევი და დი-

ნახეთ თუ რისი გაცემა შეუძლია მხტვს, რომელიც თქვენში ბუდობს.

ახლა კი დადეთ თქვენს წინ ბალიში ან მუთაქა და აიხვითო თვალები ნაჭრით. ბავშვობაში, ურბოებაში ან სულ ახლო წარსულში მიუყენებულ შეურაცხყოფა დღემდე ხომ არ აწუხებს „მეცს“? თუ ასეა, დასხვით „შეურაცხყოფის მიმუყენებელს“, ურტყით რამდენიმე მოგუჯრყოთ ცოტა ხომ მოგვითხვით გულზე? ახლა თვალეხიდან ნაჭერი მოიხსენით და ისევ სარკეში ჩაიხედეთ“.

დავუბრუნდეთ ისევ ამისას. მიუხედავად ძალადობის ამგვარი კატეგორიული უარყოფისა, იოგა არ გამოირიცხავს უხეშ, გაუმართლებელ ძალადობაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას. ის აუცილებლადაც კი თვლის არაძალადობასა და მორჩილებას შორის განსხვავების დანახვას. უნდა ითქვას, რომ ეს მტკაღმნიშვნელოვანი მომენტია იოგას სწავლების სწორად გაგებასათვის და ამჟღად დროს იმ მცდარი წარმოდგენის გასაქარწყლებლად, რომლის მიხედვითაც, თითქმის იოგა სრულ პასუხისმგებლობას ქადაგებს. ამ მხრივ საკულისხმოა რამყარშნას* მიერ მოთხრობილი ასეთი იგავი: „ერთ პატარა სოფელთან ახლოს საშინელი შხამიანი კობრა ცხოვრობდა, მას მთელი სოფლის მოსახლეობა სასტიკად დაშინებული ჰყავდა. მისულა ერთ დღეს მასთან მოხუცი გურუ და უთქვამს: „შვილო ჩემო, შენ რომ ღომა ან ვეფხე იყო და შესაქმელად ჰქლავდე ცოცხალ არსებებს, კიდევ გასაგები იქნებოდა შენი საქციელი, მაგრამ მხოლოდ საამოყენისათვის სიცოცხლის მოსპობა გაუმართლებელია და რაც მთავარია, დიდი ბოროტება“. ჩაუფიქრებია კობრა მოხუცის სიტყვებს, მიმხედარა ნაკუთარ დადნაჟოდ და მოუნანიებია კიდევაც მოსტყვად ცოდვები. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მისულა მოხუცი თავის მოსწავლესთან და საშინელი სურათი დახედრია: „რა დაგე-მართა შვილო ჩემო, ვინ მოგქცა ასე უღმოდლად, ასე შემწარავად ვინ დაგასაჩინრა?“, „ნაჟო, — უპასუხა კობრამ — ეპიკოდის ისე, როგორც შენ დამარცხე, ვცხოვრობდი ჩემთვის წყნარად, ყოველნაირად ვცდილობდი შენთვის მოცემული პირობა არ დამერღვია და არავისთვის მეტინა. მაგრამ, აი სადამდე მიმიყვანა შენმა ჰქუის სწავლებამ. სოფლის ეშმაქმა ბიჭებმა შეამჩნიეს ჩემი გამოსწორება, მტაცეს უღუში ხელი და იმდენი მათრიეს ღობე-უორეში, რომ ცოტაც და იმ ქვეყნად მიხილავდი“. „შვილო ჩემო, — უთქვამს გურუს — შენ გეტყობა სწორად ვერ გაიგე ჩემი დარიგება. მე გთხოვე, არავის უტყვიო, თორემ არ

ისისინო-თქო როდის ვითხარი. მაგ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თავის დაცვა აქვებდა“.

რაც შეეხება იამას შემდგომ მუხლებს, სიმართლეს (სატინამ) და ჰურდოზისაგან თავის შემპაშვას (ასტინამ), მათი არსი მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნას გაგებული. ასე მაგალითად, ჰურდობად არა მხოლოდ საგნის მოპარვა და სხვისი ქონების მოყვისება ითვლება, არამედ სხვისი აზრის გამეორება და სხვისი მიზანძაც კი. იოგა ყოველადამიანში უნიკალურ მოვლენას, განუყოფელ ხელსახელებს და ამიტომ, ყოველი მათგანის უპირველეს მოვალეობად საყოთარო თავის შესწავლას, დაუფლებასა და დახვეწას თვლის. მაგრამ სწორად ისეც ხდება, რომ ამ მოვალეობის შესრულების მაგივრად ადამიანი იწყებს სხვის ბაძვას, იგი „მოპარავს“ სხვის იდეებს, აზრებს, შეფასებებს, თვისებებს და იწყებს „მოპარული“ ფასეულობებით ცხოვრებას. ასეთ ადამიანში სხულის გარდა არაფერი რჩება საყოთარო. მისი პიროვნება ხაზს უფრო წააგავს, რომლის „მოპარული“ ფორტულებისაგან გაუცქენის შემდეგ ხელში აღარაფერი გვრჩება. ასეთი ადამიანი არა მხოლოდ სხვას მარცხავს, არამედ უპირველეს ყოვლისა საყოთარო თავს. ყოველი ადამიანის არსებობას გარკვეული მისია, ადგილი და აზრი აქვს სიცოცხლის უსასრულო პროცესში. ამიტომ ის, ვინც სხვას ბაძავს ან სხვისი იდეების მიმდევარია, ძალუენებურად უარს ამბობს საყოთარო მისიის შესრულებაზე და ხდება მხოლოდ უვარგისი ასლი არსებული ორგანიზმისა. ამრიგად, ასეთი ადამიანის არსებობა მოკლებულია ყოველგვარ აზრსა და მინას.

იოგას მიხედვით თვალმაცოცხაც ჰურდობის ერთ-ერთი ფორმაა. „ნუ დამალავ სიბრუნეს, თუკი ვაბრუნებულა ხარ და სიბრუნეს, როცა ბედნიერი ხარ“ — ამბობს პატანჯალი. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნუ მოპარავ საყოთარო თავს სიბრუნის, შიშის, სინანულის ან აღტაცების ზუსტებას. იოგაში გრძნობების ქეშმარტის სასიათის გამოცნობა და საბოლოოდ მათი დაუფლება მხოლოდ გულწრფელობის გზით შეიძლება. ამბობენ, თითქმის ბუდას ეთქვას: „მიყვარს, რაღომ ბრუნდებიან სხვებზე ადამიანები, ისინი ამით ხომ თავის თავს სჯიან სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო“.

იოგას ოროლოქნალოდ კანონებს თუ ვიწმუნებთ, ჰურდოდ უნდა ჩაითვალოს ისიც, ვინც სხვის დამსახურებას ან სცნობს. ჰურდობა სხვისი სიტყვების გამეორებაც ავტორის ან პირველადი წყაროს დასახელების გარეშე. „როდესაც რამყარშნა ვინმეს ციტირე

* რამყარშნა (1836-1886) — ინდოელი ფილოსოფოსი, გაგებების რედომატორი

მდა, იგი უოველთვის პათივისცემითა და მოყ-
რძალეობით იხსენიებდა სიტყვების ავტორს".*

საქსობრივი ენერგიის შენარჩუნება (ბრძა-
მბარსა) იოგას მიხედვით, საჭიროა ადამიანში
ფიზიკური, გონებრივი და სულიერი სიწმინ-
დის დასაცავად, სქესობრივი ცნობიერების გა-
მო აღმზიანის სხეული და გონება უსასრულოდ
განიცდის მოწინააღმდეგე სქესზე რეაქციებს.
რანიერი ხასიათიც არ უნდა ჰქონდეს ამ რეა-
ქციებს, ისინი უოველთვის გონების გაფანტვა-
სა და მოჩლუნგებას იწვევენ. ეს კი ძირეუ-
ლად ეწინააღმდეგება მათა იოგას პრინციპებს,
რომელიც ძლიერ სხეულს, განმართელ ნერვულ
სისტემასა და ცდუნებებისაგან თავისუფალ
გონებას ითხოვს. დამწუხები იოგებისათვის არ-
სებობს სქესობრივი ენერგიის შენარჩუნების
უნარიის გამომამუშავებელი სავარჯიშოები.
რაც შეეხება კვების რეჟიმს, მასზე ერთი აზრი
არ არსებობს. თუმცა ითვლება, რომ აღდგალუ-
რი იოგის საკვები სავსებით უნდა გამოირცხა-
ვდეს აღმზიანად ნივთიერებებს, ალკოჰოლს,
ხახვს, ზორცს. იოგას უფრო ორიოდოქსალუ-
რი წარმომადგენლები დასაშვებ და დაუშვებ-
ლად ჰყოფენ არა მარტო საკვებს, არამედ
ფერებს, მუსიკას, სუნს და ა. შ.

თქვენ, რა თქმა უნდა, უკვე მიხვდით, რომ
იამს ეს პუნქტი იმდენად ბუნებრივ ფიზიო-
ლოგიურ ძალას კი არ ებრძვის, რამდენადაც
უფრო გარყვნილების წინააღმდეგაა გამიზნუ-
ლი. თუმცა უნდა ითქვას, რომ იოგას იმ მიმ-
დინარეობებში, რომლებიც უმეტესად ადამიან-
ის შინაგან სამყაროზე აკეთებენ აქცენტირებას,
ეს პრინციპი უფრო „შორს მიმავალ“ მიზნებ-
საც ისახავს. ასე მაგალითად, რაჟა იოგა სქე-
სობრივ ენერგიას ადამიანის ე. წ. მაიცოცხლე-
ბელი ძალის შემადგენელ ნაწილად თვლის. ეს
იქ ძალაა, რომელსაც ადამიანის სული გარდა-
სახვის უსასრულო პროცესში ინარჩუნებს.
სქესობრივ ენერგიას რაჟა იოგა ორ ასპექტში
განიხილავს: მატერიალურსა და სულიერში.

ენერგიის მატერიალური, ანუ ბიოლოგიური
ასპექტიდან განსხვავებით, სულიერი ენერგიის
აღდგენა არ ხდება, რაც დროის განმავლობა-
ში მაიცოცხლებელი ძალის დაშრტებას იწვევს.

ასე რომ, სქესობრივი ენერგიის შენარჩუნება
რაჟა იოგაში არა მხოლოდ ადამიანის მიწიერ
არსებობას აწესრიგებს, არამედ მისი სულის
მარადიულობაზეც ახდენს დადებით გავლენას.

იამს მე-ა მუზლის — მომხმეველომის
უპარყმის (აპარმირება) — მიხედვით წარ-
მოვიდგინოთ თუ როგორ შეიძლებადა ეს სქე-
ლა ჩვენთვის უცნობ სოფისტ გუტუს ათეუ-
ლი საუკუნეების წინ ადამიანში მომხმეველო-

ბის სურვილის თავისებურებებზე და მის ხა-
სიათზე:

„...დავუშვათ, მე ათი მონა ვიყავი და ათი
მონის ბატონი გავხდი. ერთ მშვენიერ დღეს ეს
მონები რომ გამეცნენ, მათთან ერთად ჩემს
მფლობელობასაც ხომ დავკარგავ? გამოდის,
ჩემი მფლობელობა მონებზე უოფილა დამოკი-
დებული და არა ჩემზე. ანუ მფლობელობის
საწყისი ჩემში კი არა, მონებში უოფილა. მაშ,
ეს თუ ასეა, როგორღა ვარ მე მათი მფლო-
ბელი? მართლაც, განა შეეძლება ვიყო მფლო-
ბელი მონების გარეშე? გამოდის, მონების
მფლობელად გახდომით მე ერთდროულად მათ
მონადაც ვქცეულვარ.

მომხმეველობაში და საგნის დაუფლების
სურვილში მონობის საწყისია ჩამალული. საგ-
ნის დაუფლება ჩვენ მათ მონად გვაქცევს. ნამ-
დვილი მფლობელია მხოლოდ ის, ვინც არა-
ვის და არაფერს არ ფლობს, რადგან ასეთი
მფლობელია უსასრულო და აბსოლუტური.
ის, ვისაც ცხოვრების მიზნად საგნების მოხვე-
ჭა, მათი დაუფლება და მოვლა-პატრონობა
გაუხდება, ვერასდროს ვერ მოიღწევს საწადელს.
რადგან დაუფლება რა საგანს, ერთდროულად
იგი მის მონად იქცევა. ასეთ ადამიანს აიწუ-
დება უბრალო ქეშმარიტება იმის შესახებ, რომ
საგნები არსებობენ ადამიანის მოსავლელად
და არა პირიქით. უფრო სწორად, მან არ იცის
ეს, რადგან საგნები თავისთავად კი არ მოსუ-
ლან მასთან, არამედ უოველთვის თვითონ იგი
მიიღწეოდა მათკენ. საგნება არასდროს არ
ეძებენ ადამიანს, ადამიანი კი მათ მუდმივ ძებ-
ნაშია — კიდევ ერთი ანალოგია მონასა და
პატრონს შორის: ვინ ვის დასდევს, მონა პატ-
რონს თუ პატრონი მონას?

ადამიანი თავისივე სურვილით იხვევს კისე-
რზე მონობის ჭაჭვს. მისივე სურვილზეა და-
მოკიდებული ამ ჭაჭვისაგან განთავისუფლება.
მდიდარია ის, ვინც უარს ამბობს სიმდიდრეზე,
სიმდიდრე შენშია დამალული და არა გარე სა-
მყაროში. ეძებე და ჰპოვე იგი...“

ადვილი წარმოსადგენია თუ სად მიიყვანდა
შორეული გუტუს ასეთი დოგმა მომხმეველო
ზოგერთი იოგების თაობაზე გუტუს გულ-
უბრყვილო ცდაში. დაენახებინა ადამიანისათ-
ვის ზარბობისა და მომხმეველობის უაზრო-
ბა, ბევრმა მატერიალური. სამყაროს ანსურ-
დობა ამოიკითხა, ხლო რჩევაში სიმდიდრის
გარე სამყაროს მაგივრად შინაგან სამყაროში
ძებნის, ანუ სულიერი გამდიდრების შესახებ,
მატერიალური სამყაროს სრული იგნორირება
და მივიწყება. სწორედ ამან გამოიწვია მოგ-
ვიანებით პათოლოგიურ უკიდურესობამდე მი-
სული სხვადასხვა მიმდინარეობების გაჩენა,
რომლებიც სავსებით უსაბუთოდ ასაღებენ
თავს იოგას ქეშმარიტ წარმომადგენლებად.
ასე მაგალითად, ინდოეთსა და ნეპალში დღემ-

* Swami Gnaneshwarananda „Yoga for
Beginners“ გვ. 98

დე გვხვდებიან ე. წ. განდეგილები, რომლებიც ცივილიზებული სამყაროდან მოშორებით ტყე-
დრებსა და გამოქვაბულებში ცხოვრობასა და
მისტიური უზენაესი ქვეშაობების ძებნაში ხე-
დავენ ადამიანის არსებობის აზრსა და დანიშ-
ნულებას.

სიწმინდის მცნებაში (სოქნა) მხოლოდ
ფიზიკური სიწმინდე როდია ღაპარაკი. იოგა-
ში ფიზიკური სისუფთავე განუყოფლად ითვ-
ლება სულიერი სიწმინდისაგან. საინტერესოა
ვიცოდეთ, რომ თურმე სხეულის გატუქიანე-
ბა სულიერ გაბნეულებას იწვევს და პრაქტიკო-
რად არის საჭირო იმისათვის, ეს რომ არ მოხ-
დეს? უპირველეს უოვლისა, სხეულის ჰაიგიენის
დაცვა. მეცნიერების მიერ შეწავლის სტა-
დიაშია სპეციალური პროცედურები, რომლის
დროსაც რამდენიმე მეტრი სახვევის გადაუ-
ღავითა და შემდეგ მისი უკანვე ამოღებით,
როგორც იოგა ვარჯიშების, კუჭისა და საუ-
ლბაის გაწმენდა ხდება. იოგურ თერაპიაში
ფართოდ იყენებენ ცხვირის, თვალებისა და
უფრების „გასასუფთავებელ“ პროცედურებს,
რომელთა დეტალური აღწერა არც ჩემი
თარხისაში მიზანს არ შეესატყვისება და არც
თქვენს წარმოდგენას ჰაიგიენაზე. რაც შეეხება
სულიერი სიწმინდის დაცვას, რეკომენდირე-
ბულია მოვერიდოთ ჭორებს, ეჭვებს, ტუფი-
ლებს, შერიანობას, ტრამპსს, ცინიზმს, პათი-
ნაურებს... თქვენ ამ სიის გაგრძელება არ გა-
გონებდებით.

მასპოზიციების მცნების (სანდოშა) არსი
მოკლედ იოგას ასეთი ლოზუნგით შეგვიძლია
გავშიფროთ: „თავად ის, რაც გაგანია და არა
ის, რაც არ გაგანია“. იოგას სახელმძღვანე-
ლოებში ხშირად მოჰყავთ ხოლმე იაკი ერთ
განსწავლულ კაცზე, რომელსაც ასე ასწავლა
კეთა მოხეტიალე ბებიარმა:

განსწავლულ, მაგრამ ღატაკ ახალგაზრდას
ბებიარისათვის შეუჩივლია, „ჩემზე უბედური
კაცი არ ღადის ქვეყანაზე, ფული არა მაქვს
და თავი უნდა მოვიკლო“. „ფული თუ გინდა,
წამოდე ჩვენს მეფესთან და ის აუდიის შენს
ფეიქფასელობებსო“ — უთქვამს ბებიარს. —
„ნეტაკ რა ფეიქფასელობებზე ღაპარაკობ,
ხუთი ღლეა საკმელი არ მიქამიაო“ — გაჰყი-
რებია ახალგაზრდას. „წამოდე მეფესთან და
ნახავ რაზეც ვლაპარაკობ, ის აღმოგიჩენს
ფეიქფასელობებსო“. დათანხმდა ახალგაზრ-
და და წავიდნენ ორთავე მეფესთან. გზაში
ბებიარი ეკითხება: „პო, მართლა, რამდენი
ათასი რუპია გინდა მოგცეს მეფემ უფრებში,
ცხვირში, თვალებში, ფეხებსა და ხელებში?“
მის ათასი, 100 ათასი თუ მილიონი? — „ხოშ
არ გაგივდი, ვის გაუგია ხელების, ფეხების ან
თვალების გაუდიგაო — უფერიაა შეშინებულ
ახალგაზრდას — რა ფული და ოქრო-ვერცხ-
ლი უნდა მომცნ, საკუთარი ცხვირი რომ მო-

ვიჭრა და მეფეს მივუძღვნაო“. „მე გავივდი
თუ შენ? მილიონების საფასური ვანას პატ-
რონი უფილხარ და კიდეც იმაზე „ღარიბი
ვარ, თავი უნდა მოვიკლო“ — გაჰყიკვებია
ბებიარს და თანაც დაუძმინია: „ღმერა-
თი უველას აურაცხელი სიმდიდრით ასატუ-
რებს, მხოლოდ მისი ძებნა საჭირო და პოვნა
ღმერთის უველაზე ძვირფასი საჩუქარი სი-
ცოცხლეა, ის, ვინც სიცოცხლეში ვერ პოუ-
ლობს სიმდიდრეს, ვერც რაიმე სხვაში იპოვ-
ნის მას“.

რადგან იოგა ასპამიზმის მცნების (ბა-
პა) შესრულებას ითხოვს, ბევრს ისევ წარ-
მოუდგენია, რომ მანძილში იოგი აუცილებ-
ლად ნახევრად შიშველ-ტატუელ და მშვიერ
ცხოვრებას უნდა ეწოდეს. ეს, რა თქმა უნდა,
ასე არ არის. ასკეტური ცხოვრების სტილი,
უპირველეს უოვლისა, დამწყები იოგისათვისაა
საჭირო, მისი გონებისა და სხეულის გამოსა-
წრთობად. ადამიანს ცხოვრების უკიდურეს
სიტუაციებში თითქმის ისევე ხშირად უხდება
უოფნა, როგორც ნორმალურ პირობებში არსე-
ბობა. იმისათვის, რომ მომავალში იოგმა შეს-
ძლოს ცხოვრების „ტალღების“ გადალახვა,
მან დასაწყისშივე საკუთარ თავზე უნდა გამო-
სცადოს თუ რა არის ჯანმრთელობა და ავად-
მყოფობა, სიმდიდრე და სიღარიბე, დასურება და
შემშილი, სიციხე და სიცივე. ასეთი გამოცდის
შემდეგ იგი აუცილებლად მიხვდება, რომ ცხო-
ვრების უკიდურესობანი მხოლოდ ერთი მო-
ნეტის სხვადასხვა მხარეებია და თუ ვესურს
მივალწიოთ გონების სიმშვიდესა და მუხდრო-
ბებსა, საჭიროა მივიღოთ ეს უკიდურესობანი
ერთიანებაში. განუყოფლად, სხეულისა და სუ-
ლის ამგვარი გამოწრთობით იოგმა უნდა მიად-
წიოს ისეთ სტადიას, როცა მას ადვილად შეეძ-
ლება გადალახოს შემშილი, ავადმყოფობა, სი-
ცივე, შიშა და სხვ. ამგვარი სპარტანული აღზ-
რდით კავდება არა მარტო სხეული და გონება,
არამედ იოგის ხასიათიც. ასკეტისმის მცნების
დაცვა ღაპარაკივით საჭიროა, რადგან ბევრი
და უაზრო ღაპარაკი აჩლუნდება ადამიანის
გონებას და მისი ხასიათის ბევრ დადებით
მხარეს უშლის გამოქვადვინებას. მათთვის, ვი-
საც ზედმეტი ღაპარაკი სჩვევიათ, ასეთი იოლი
სავარჯიშოც კი არსებობს: შეეცადეთ კვირა-
ში ერთი დღე სავთოდ არ ილაპარაკოთ. „ნუ
ლაპარაკობთ ენით, დღე თქვენმა ხასიათმა
ილაპარაკოს“ — გვიჩვენებს იოგა.

ბოლო ორი მცნება დისკინდინა (სამად-
კინია) და თმირეზაფირმა (ისპარაპარანიშა-
ნა) დამწყები იოგისაგან საქმიანში გაღლისუფ-
რით მიდგომას, რელიგიური წიგნების საფუძ-
ლიან შესწავლას და ბოლოს „უმადლეს არსება-

ჯეშრამ აბაშვიდ
იოგას პირველი ბაკვიმოლი

ზე“ შარადიულ ფიქრს, უკუელი სიტყვისა და მოქმედების მისკენ გამიზნას ისახავს.

დააკმაყოფილებს რა აღწერილი მცნებებას მოთხოვნებს, დამწეობი იოგა მზადა შეუდგას იოგას სტეკილური სავარჯიშოების. ანუ ასანების შესრულებას. ამ დროს, როგორც წესი, მათ ასეთი კითხვა ეზადებათ: რით განსხვავდებიან ასანები ჩვეულებრივი სავარჯიშოებისაგან?

უპირატესეს უფლისა თვალში გვეყვება ასანების სტატიურობა. ეს სავარჯიშოები იჭენად აჩიან მოკლებული გარეგნულ დინამიურობას, რომ თავიდან ისინი სრულიად უმოძრაოდაც კი შეიძლება გვეჩვენოს. მართლაცდა ასანების შესრულების დროს იოგი გაქავებით ფიქრებს უფრო წაგავს, ვიდრე ტანმოვარჯიშეს. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა, სინამდვილეში ასანები აღსავსაა შინაგანი დინამიზმით. ადამიანის ორგანიზმში გამუდმებით მიმდინარეობს სხვადასხვა შინაგანი პროცესების ჩასახვა, განვითარება და დასრულება. ასანები სწორედ ამ პროცესებისა და ადამიანის ორგანიზმის დინამიური წონასწორობის დაცვას უწყობენ ხელს.

განსხვავება ჩვეულებრივი სავარჯიშოებისაგან იმაშიც მდგომარეობს, რომ ასანები მიზნად ისახვენ არა მხოლოდ სხეულის განვითარებასა და გაქანებას, არამედ მის დახვეწას გონებასთან კავშირში. ჩვეულებრივ ფიზიკულტურას უმთავრესად ადამიანის კუნთებთან აქვს საქმე და ნაკლებად ეხება მის შინაგან სამყაროს. რაც შეეხება იოგას სავარჯიშოებს, მათი ავტორები ჭკრი კიდევ ათეული საუკუნეების წინ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფიზიკური განმრთელობას მაშინ აქვს ფასი, როცა ის პარმონიულ დამოკიდებულებაშია ადამიანის გონებასთან. იოგაში განმრთელობის შეფასება ბდება არა მხოლოდ სხეულის ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით არამედ იმითაც, თუ რაოდენ ემსახურება იგი ადამიანის გონებას. განმრთელობა სიმდიდრეა მხოლოდ მაშინ, როცა ის გონებას ემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ადამიანის დაავადებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს (იოგას სავარჯიშოების ხასიათის უკეთ გასაგებად თანამედროვე კულტურაში შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც განმრთელობის საკითხიხადი დამატრადულად მოწინააღმდეგე მხრიდან მიდგომის მანგალით). უკველივე ამის გამო ასანების რაიექტს კუნთებთან ერთად ადამიანის ფსიქიკა და მისი ნერვული სისტემაა წარმოადგენს.

ჩვენთვის ზნირად იხტება „ვარჯიში“ ოფლის მოღვაწის ნიშნავს, ხოლო სპორტული თამაშობე — შეიგბრს: ვინ უფრო სწრაფად გაიქცევა, ვინ უფრო ჩქარა გაკურავს, ვინ უფრო მაღლა ან შორს გადახტება და ა. შ. ასეთი ვარჯიში ჩვენად გარკვეულ დაძაბულობას მოითხოვს და ბოლოს სიამოვნებასთან ერთად დადლილობაც მოაქვს. გულწრფელად რომ ვთქვათ, თანამედროვე სპორტი იოლი და ევლასათვის ხელმისაწვდომი საქმე როდია.

იოგი სხვა კუთხით უდგება ადამიანის განმრთელობის საკითხს. საუკუნეების განმავლობაში დაკვირვების შედეგად მან შესძლო დამეშავებინა ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც მინიმალური დატვირთვით მაქსიმალურ შედეგებს იძლევიან. რა გზით მოხდა ეს? უპირველეს უფლისა იოგამ თავისი ვარჯიშებდან გამოირცხა ნერვობის ფაქტორი და მათ მიზნად დაისახა არა სიმძიმის აწევა ან ქვის რაყ შეიძლება შორს გადასროლა, არამედ სხეულის ისეთი პოზიციის დახვეწა, რომლებიც დაუხმარებია ადამიანს დაიქუნაროს ნერვები, დამიშვიდოს გონება ან მოიჩჩინოს ესა თუ ის დაავადება. სწორედ ამიტომ ასანები ხელმისაწვდომია უფელ ასაკის, სქესის, ზომის, წონის (სხვათა შორის ასანებით ვარჯიში ეფექტური საშუალებაა ზედმეტი წონის დასაგდებად), ფიზიკურად მომზადებული და მოუზადებელი ადამიანისათვის. ასანები, როგორც უკვე ითქვა, ნაკლები დამაბულობისა და ენერგიის დახარჯვის გარეშე გვაძლევენ იგვე და ზნირად უკეთეს შედეგებს, ვიდრე ჩვეულებრივი ვარჯიშები. მართალია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის მსოფლიო რეკორდების დამყარება იოგას ვარჯიშებით უფრო ადვილი იქოს რა თქმა უნდა, არა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იოგა სრულიად არ ისახავს მიზნად რეკორდების დამყარებას.

ასანების ეფექტურობის მთავარ მიზეზს იმაში ხედავენ, რომ მათ ფუნქციონალური პროფილი გააჩნიათ და გამოწეულად დადებით გავლენას ახდენენ ადამიანის ფიზიოლოგიაზე. იოგას დამფუძნებლებმა და მათი საქმის გამგრძელებლებმა საუკუნოვანი დაკვირვებით, სწავლითა და პრაქტიკული გამოცდილებით შესძლეს შეუდგენილიყნათ სხეულის ისეთი პოზიციები, რომლებიც ცენტრალური ნერვული სისტემის ზედამხედველობით მაქსიმალურად უწყობენ ხელს არა მარტო კუნთების მუშაობას, არამედ შინაგანი სერკუციის ჩირკვლებს, ნივთიერებათა ცვლის პროცესებისა და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას.

ასანების ეფექტურობის ერთ-ერთ მიზეზად სხეულისა და სუნთქვის ვარჯიშების იდეალურ შერწყმას თვლიან. ეურადლებას იმსახურებს ასევე ის გარემოებაც, რომ მრავალი ასანა ცხოველების დაკვირვებისა და მათი მოძრაობის შესწავლის შედეგადაა დამუშავებული, ამაზე არა მხოლოდ ასანების პოზიციები, არამედ მათი დასახელებებიც მიუთითებენ: „კობრას პოზა“, „ლომის პოზა“, „კალმის პოზა“ და ა. შ. იოგებმა შესძლეს მიეცვლიათ მთავალი იმ „საიდუმლო“ ბერძნისათვის, რომლებსაც ეს ცხოველები ინტინქტურად იყენებენ თვითმკურნალობის მიზნით და აგრეთვე დადლილობისა და დამაბულობის მოსახსნელად. იოგები ასევე თვლიან, რომ ასანები მოძრაობაში იმერებენ სიცოცხლის იმ ფორმებს, რომლებიც ადამიანმა თავისი

განვითარების გზაზე განვლო უმარტივესი ორ-
განისმიდან დღევანდელ დღემდე.

ინდური ლეგენდის მიხედვით ასანების შემ-
ქმნელი თვით ღმერთი შივაა. ლეგენდაში შივას
მეორე შექმნილი ასანების მტად საინტერესო
ცნობა მოყვანილი — 84000, მოკვანიებით
„იოგას მამას“ — პატანჯალის — ასანების ან დი-
დი რაოდენობიდან მხოლოდ 84 ძირითადი პოზა
შეუტრეცია როგორც საუკეთესო და მათზე აუგია
ვარჯიშების მთელი სისტემა. დღესდღეობით ინ-
დოეთში ასზე მეტი ასანაა ცნობილი (ასე მაგა-
ლითად, თავის ცნობილ წიგნში „იოგას სხივები“
მის ავტორს ბ. ს. აიენგარს 200 ასანა აქვს აღ-
წერილი). რადგან ამ ასანების უმრავლესობაზე
როგორც ინდოეთში, ასევე მის ფარგლებს გა-
რეთაც ქერ კიდევ ბშირად გამოითქმის საწი-
ნააღმდეგო აზრი და რადგან მათი შესრულება
მხოლოდ გამოყვანილი იოგის მეთვალყურეობის
ქვეშ შეიძლება, გათვალისწინებ ამ ასანების აღწე-
რას, რომელთა დადებითი თვისებებს დღეს სა-
უოველთაო აღიარება აქვთ მოპოვებული. სანამ
თვით ასანების აღწერას შევუდგებოდეთ, შევა-
ჩინოვებ თქვენს ყურადღებას კამოდენიმე მეტად
მნიშვნელოვან მომენტზე.

იოგას სავარჯიშოებით სასურველი შედეგე-
ბის მიღწევა, ისევე როგორც ეველგან და ევე-
ლაფერში, შრომითა და მონადირებით ბდება.
ამიტომ ის, ვინც კამოდენიმე დღეში სასწაუ-
ლის მოხდენას ელის, ბუნებრივია სულ მალე
გულგატეხილი აღმოჩნდება. რწმენა, მონადირე,
რეგულარობა — აი ის მოთხოვნები, რომელთა
შესრულებას გარეშე უოველგარ „სასწაულზე“
ფიქროს კი ზედმეტია. ბშირად ასეთ კონცეპსაც
სვამენ: თუკი ეველა ამ მოთხოვნას სრულყოფილად
შევასრულებ, რამდენ ხანში მოხდება სასწაული?
ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია,
რადგან იგი არასწორადაა დასმული. იოგას იმ
სავარჯიშოებში, რომლებზეც ახლა ლაპარაკი
გვქმნება, ადამიანის სხეულისა და გონების „სა-
სწაულებრივ“ გარდაქმნას კი არ უნდა შეუწყონ
ხელი, არამედ პირიქით. მათი ბუნებრივი, ზორ
მალური მდგომარეობის შენარჩუნებას ან აღ-
დგენას. მართლაც, განა განმართლება ადამიანის
უფრო ბუნებრივი მდგომარეობა არ არის, ვიდრე
ავადმყოფობა? ან რომელი უფრო „სას-
წაულია“, განმართლი ფსიქიკის სტრუქტურა
ნება თუ ნერვებდატლული, შემოკრწნისა
წორებას მოკლებული ადამიანი? თუმცა განმ-
ართლება ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა,
არც ავადმყოფობა მისთვის სრულიად უცხო.
იოგ კი თავისებური და მეტად ეფექტური ბა-
რიერი სხეულებათა წინააღმდეგ, სწორედ ამას
იკონუბენ ბშირად იოგას ვარჯიშის დროს: „აღარ
ავადმყოფობ არა იმიტომ, რომ ასანებით ვვარ-
ჯიშობ, არამედ იმიტომ, რომ სხეულებმა აღარ
მეურება“ — იტყვიან ზოლმე. მაგრამ საქმარი-
სია ვარჯიში შევწყვიტოთ, რომ ადრე თუ გვიან
ისევე „შეგვეურება სხეულებმა“.

უოველზე ეს არც ისე უნდა გავიგოთ, თო-
ქოს იოგას სავარჯიშოების შედეგები ჩვენთვის
მუდამ შეუმჩნეველი უნდა რჩებოდეს. რა თქმა
უნდა, არა, რიგ ასანებისა და სუნთქვის ვარჯი-
შებს არა მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში
მოაქვთ დადებითი შედეგი, არამედ სწრაფ და
ეფექტურ რეზულტატებსაც იძლევიან.

ასანებით ვარჯიში დღის უოველ მონაკვეთში
შეიძლება თუმცა ეველასე შესაფერის დროდ
მანც ადრე დილა ითვლება. მართალია, ძილის
შემდეგ სხეული ნაკლებადაა ელასტიური და გან-
წყობილი ფიზიკური დატვირთვისათვის, მაგრამ
თუ დასაწყისში შევედებით ამ ბარიერის გა-
დალბავს, სულ მალე აღმოვჩინებ, რომ დაილა-
რობით ასანებით ვარჯიში არა მხოლოდ საინა-
მოვნო და გამომცობლებელი უოფილა, არა-
მედ სხეულის ფიზიოლოგიური მოთხოვნილე-
ბაც. საღამოს ვარჯიში კარგია დადილობის მო-
სახსნელად და დღის განმავლობაში დატვირთუ-
ლი დაძაბულობისაგან განსამუხტავად. ამავე
დროს უნდა გვახსოვდეს, რომ საღამოს, განსა-
უთრებით ძილის წინ, ბევრი ვარჯიში არ არის
რეკომენდირებული. ასანებს არც ზედმეტად
გადაღლილ გონებასა და სხეულზე შეუძლია
რამე სიყეთის მოტანა. საერთოდ, სინაგანი
განწყობის გარეშე ასანების მექანიკური შეა-
რულებისაგან ეგზოტიკური ატმოსფეროს შეე-
მნის გარდა ძნელია ეველდოთ რამე სერიო-
ზულ შედეგს.

ასანებით ვარჯიში ცარიელ კუბზე ან საკე-
ბის მიღების შემდეგ შა საათის შემდეგ ხე-
ბა. დილით ვარჯიშის წინ შეიძლება ჩიხს, რძის
ან ოთხის ტემპერატურის ქვა შელის დალე-
ვა. რაც შეეხება თვით იოგას ევენის დიდება,
იგი სულ სხვა კლმატური პირობებისა და
ცხოვრების სტილისათვის არის გათვალისწინე-
ბული და ამიტომ მისი ბრმა შესრულება არა
ვითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. სა-
ერთოდ კი იოგა ზომიერ, თავშეკავებულ ევებას
გვიჩვენებს: „იკვებე, რომ იარსებო და არა მი-
რიქიო“.

მწელია ზუსტად განსაზღვრა იმისა, თუ რა-
მდენი ხანი უნდა მოვანდომოთ უოველდღიურად
ასანებით ვარჯიშს. ამის შესახებ ათავითარი ნო-
რმატივები და ლიმიტები არ არსებობს. ეველა,
ფერი ცალკეულ პაროვნებასა და ორგანიზმზე
დამოკიდებული. ვისთვის 10-15 წუთია საკმა-
რისი, ვისთვის კი 1 საათიც არ ემარა. რა თქმა
უნდა, დღევანდელ დღეს, სპორტსმენების გარ-
და, ძნელად თუ მოპოვება ისეთი ადამიანი,
რომელსაც უოველდღიურად საათობით შეუძ-
ლია იზრუნოს საკუთარ სხეულზე, თუმცა და-
მეთხანებით, არც ისეთი ადამიანის პოვნა იქ-
ნება ადვილი. ვისაც დღეს განმავლობაში 10-15
წუთიც კი არ მოეპოვება თავის მისხებდად

ზურაბ ზაბუნძე

იმზას პირველი ზაგვითელი

ანტომ, სჭობს ვიხელმძღვანელოთ საკუთარი საშუალებებითა და მონღოლებით. ოღონდ ურვე-
ლოთის უნდა გვახსოვდეს იოგას კანონი იმის
შესახებ, რომ ნაქლები ვარჯიში იმდენად საში-
ში არ არის, როგორც თავის ზედმეტად გადუ-
ვირთვა. იოგას სავარჯიშოები სრულიად გამო-
რიცხვენ ურველგვარ ძალდატანებას. სიტყვა
„ასანა“ იოლის, მოხერხებულს ნიშნავს. ნუ აქ-
ცევთ მას რთულად და მოუხერხებლად. თუკი
„შინაგანი სიგნალიზაციის სისტემა“ გაცნობებთ
რომ საქმარისა, მეტი არ არის საჭირო ვარ-
ჯიში, ენდეთ მას. თუ დასაწყისში რომელიმე ას-
ანის შესრულება გაგიძნელებდათ, ნუ დაისაზოვთ
მიზნად განმარტოლობის ფასად მის დაუფლებას.
სჭობს ჯერ ერთი სავარჯიშო ათვისობით ბოლომ-
დე. შემდეგ კი ნელ-ნელა, ძალდატანების გარე-
შე გადახვიდეთ მომდევნოზე. პირველი ორი
კვირის მანძილზე გირჩევთ მხოლოდ 2 იოლი და
„რთული“ ასანით ივარჯიშოთ და მხოლოდ
შემდეგ გადახვიდეთ სხვა ვარჯიშებზე.

არც ვარჯიშების თანმიმდევრობაზე დაუდგე-
ნია ვინმეს უველახათვის აუცილებელი კანონი.
ურველი ვარჯიში გარკვეული ეფექტისათვის არ-
ის გათვლილი და სხვა ასანებისაგან დამოუკი-
დებელი თვისებები გააჩნია. თუმცა ითვლება,
რომ ვარჯიშის დაწყება „ენერგიის თავმოყრე-
ლი“ ასანებით სჭობს (სუქასანა, სიდასანა, პალ-
მასანა). ასევე რეკომენდირებულია შედარებით
რთული და იოლი ვარჯიშების შენაცვლებით შე-
სრულება. ვარჯიშის დამთავრება სასურველია
ე. წ. გვამის პოზით, თუმცა გეთანხმებით, ამ ას-
ანის დასაბელება ნაკლებად განაწყოებს დასას-
ვენებლად. სასურველია ასანების სუთთა პა-
ერზე, ნაქლებად ხმაურიან ადგილს ჩატარება.
ვარჯიში ხალჩაზე ან თბელ საფეხზე სჭობს.
გირჩევთ ისეთი სავარჯიშო ტანსაცმელი შეარ-
ჩიოთ, რომელიც ხელს არ შეშლის თავისუ-
ფალ მოძრაობას, სუნთქვასა და სისხლის მიმოქ-
ცვას. კარგია ვარჯიშის შემდეგ შხაპის მიღე-
ბა. ასანებით ვარჯიშის დროს სუნთქვა მხოლოდ
ნესტოებით ხდება ზუსტად იმ თანმიმდევრობით,
როგორც ეს ქვემოთ იქნება აღწერილი. ვარჯი-
შის დროს აუცილებელია გამოვეთხოთ გარე
საწყაროს და კითხვით მხოლოდ სავარჯიშო-
ებზე. იმაზე, თუ რაოდენ დიდი საკეთის მო-
ტანა შეუძლიათ ჩვენთვის მათ. ამავე დროს ვარ-
ჯიში უნდა მიმდინარეობდეს ბუნებრივად, გო-
ნებრივი და ფიზიკური დაძაბულობის გარეშე.
შეიძლება ეს ორი მცნება თქვენ საწინააღმდე-
გე გეჩვენოთ. მარტლაც, ასანების დაძაბულობის
გარეშე შესრულებაზე მუდმივი ფუჭი განა თა-
ვისთავე გონებისა და სხეულის დაძაბვას არ
გამოიწვევს? (მოვიკონოთ უველახათვის კო-
დაც ცნობილი მაგალითი: — „არ იფიქრო თუარ
გადეხე“). რა თქმა უნდა ძნელია მოუთხოვით
დაწყებები იოგისაგან ასანების ზუსტად იმგვარ-
ი შესრულება, როგორც იოგა ითხოვს. ასანე-
ბის ათვისების საწყის სტადიაში აუცილებლად

ექნება ადგილი სხეულისა და გონების გარკვე-
ულ დაძაბვას, რაც სავარჯიშოების დახვეწის-
თან ერთად ნელ-ნელა თვითონ გაქრება. თუ
რაოდენ ჩქარა მოხდება ეს, დამოკიდებულია
მონაწილის მონდობისა და მის პირად მონა-
ცემებზე. თუკი ატყობთ, რომ იოგა უარყოფი-
თად მოქმედებს თქვენს განმარტოებაზე, და-
უყოვნებლივ შესწუებით ვარჯიში და თავი და-
იწუნებთ იმ პატივს, რომ კაცობრიობის უმე-
ტეს ნაწილს იმის გაკეთებას კი არ უცდია, რაც
თქვენ უკვე გააკეთეთ.

მთავარი რჩევა ბოლოსათვის შემოვიწახე:
თქვენს გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი ექ-
იმის გადაწყვეტილება. იოგაში გამოტყდუ-
ლია ურველგვარი „თვითმოქმედება“. თუკი რა-
მე დაავადება გაწუხებთ ან დარღვევებს ატ-
ყობთ თქვენს ორგანიზმს, აუცილებლად პაი-
ბით გამოვიდით ექიმს. შეიძლება თუ არა მოპ-
კიდოთ ხელი ასანებით ვარჯიშს (განსაკუთრე-
ბული სიფრთხილე ასაკში შესულებს მოეთხო-
ვებათ). „სიფრთხილეს თავი არ სტიკიაო“ ნათ-
ქვამია. თქვენც ნუ აიტყვებთ აუტყვარ თავს

1. მარტინი კოზა (საქსანა). წინ გაწ-
ლილი ფეხებით იატაკზე (ხალჩაზე) დატყდით.
მარჯვენა ფეხის ტერფი მარცხენა ბარძაყის
ქვეშ ხელით ამოიდეთ. მარცხენა ფეხის ტერფი
კი მარჯვენა ბარძაყის ქვეშ. მუხლები რაც შე-
იძლება დაბლა დაწვიეთ. იქვეით გამართულად,
თვალბედაბუკული. ხელები ისე დაიწეეთ მუ-
ხლებზე. ხელსაგულები მაღლა რომ იყოს მთ-
მარტოლი. სხვა თითების მოუხრელად ცერები და
საჩვენებელი თითები შეაჩრეთ (ხელების ეს
პოზა იოგაში სწავლის სიმბოლოდ ითვლება).
დაბუკული თვალებით შეეცადეთ თვალბსშეა
წერტილს „დააკვირდეთ“. იყავით ამ პოზაში 1-2
წუთი. ეს ასანა ნერვული სისტემის დამშვიდე-
ბასა და გამაგრებას უწყობს ხელს (ფრ-
ტო № 1).

2. ლონოსის კოზა (პალმასანა). იოგაში-
ხედვით, უველახე სრულყოფილად ადამიანის
სხეულის ინტეგრირ წონასწორობას ლოტოსის
პოზა აღადგენს.

მარტოვი პოზის მსგავსად ფეხები ტანთან მის-
წიეთ. ოღონდ ამკრად ისე, რომ ტერფები ქვე-
მოად კი არა, ზემოდა მოეცნენ ბარძაყებს.
წელში გასწვრიდით. თვალბით დაბუკეთ და
„დააკვირდეთ“ თვალბს შორის წერტილს ან
ცხვირის წერტს. შეგძლიათ მთელი ურთადდე-
ბა გულის ცემაზე გადაიტანოთ, ისუნთქეთ
ღრმად და რთმიულად. ამ პოზაში 1-2 წუთი
გაჩერდით.

რადგან „ლოტოსის“ დაუფლება ერთბაშად
საქმად ძნელია, დასაწყისში შემდეგი სავარ-
ჯიშო შეგიძლიათ მოსინჯოთ: დაიდეთ მარცხენა
ტერფი მარჯვენა ბარძაყზე და დაიწეეთ მუხ-
ლის ზემოთ-ქვემოთ მოძრაობა. ეცადეთ მუხლით
იატაკს შეეხოთ. შემდეგ მარჯვენა მუხლზე შე-
ასრულეთ იგივე სავარჯიშო. გარკვეული დრო-

ის შემდეგ თქვენი ქვედა კიდურები „შეაღი იქნებიან“ ლოტოსის პოზიციისთვის.

„დინამიური წრის სხეულში შესაყრად“ იოგები ამ პოზიციის კიდევ ერთი დეტალი ამოიღებენ: ზურგს უკიდან მარჯვენა ხელით მარჯვენა ფეხის ცერს იჭებენ, ხოლო მარცხენაით — მარცხენა ფეხის ცერს.

ერთი კვირის განმავლობაში ეს ასანა უოველდღიურად შეასრულეთ. ამის შემდეგ პოზიციის უოფის დრო 2-3 წუთით შეგიძლიათ ზარდოთ უოველკვირეულად. დროის განმავლობაში ამ მონაკვეთის გაზრდა 15 წუთამდე შეიძლება (ფიგურა № 2).

3. იოგა მუდრა, ანუ იოგას სინგოლუ. დაიკავეთ ლოტოსის ან იოლი პოზიციის ზურგს უკან მარცხენა ხელი ჩასხიდეთ მარჯვენა ხელს. ღრმად ჩაისუნთქეთ, დაიღუნეთ და მუხლი ერთ-ერთ მუხლს შეიხედეთ. ამ პოზიციის 10-15 წამი შეტერდით სუნთქვაზეკრული. გასწორდით და ამოისუნთქეთ. გაიმეორეთ ასანა მეორე მუხლზე.

უოველკვირეულად სუნთქვის შეტერება 1-2 წამით შეგიძლიათ ზარდოთ. 30 წამზე მეტი ამ პოზიციის უოფს არ აჩრის რეკომენდირებული (ფიგურა № 3).

4. ფეხის პუსლეზა ჯდომა (პაიარასანა) მუხლზე ჩაიოკეთ. უკან ფეხები შეაერთეთ და ფეხის ქუსლებზე ფეხები და ჩაოკეთ. შეეცადეთ იატაკს ფეხების მთელი სიგრძით შეიხედეთ. წელში გასწორდით და ხელები მუხლებს მოჰკიდეთ. მოადუნეთ სხეული და გონება ისუნთქეთ ღრმად, დამახურობის გარეშე, გაჩერდით ამ პოზიციის 1-2 წუთს.

5. პალმის პოზი (პინარასანა). ვაიარასანას პოზიციიდან უკან გადაიხარეთ და ფეხის ქუსლებს ხელებით დაეყრდნეთ. რაც შეგიძლიათ თვე უკან გადახარეთ, ღრმად ჩაისუნთქეთ და შეძლების მიხედვით ტორის ნელ-ნელა მალა ასწიეთ. შეეცადეთ ამ პოზიციის 2-3 წამს შეტერდით. აუჩქარებლად დაუშვით ტორის ფეხის ქუსლებზე, თავი წამოაწიეთ და ამოისუნთქეთ.

პირველი ორი კვირის განმავლობაში ასანა შეასრულეთ უოველდღიურად. ამის შემდეგ ასანა ვარჯიშის დროს შეიძლება ორჯერ შეასრულეთ, პოზიციის შეტერების მონაკვეთი კი უოველკვირეულად შეგიძლიათ ზარდოთ 5 წამამდე. 15 წამზე მეტი ამ პოზიციის უოფს არ აჩრის რეკომენდირებული (ფიგურა № 4).

6. ლომის პოზი (სიმასანა). ამ უცნაური ასანით იოგები ანგინასა და ლარინგატს ჰქურნალობენ საწყის სტადიაში.

ფეხის ქუსლებზე ჩაოკეთ. ხელებით მუხლებს დაეყრდნეთ და ფართოდ გაჩრებით თითები, ღრმად ჩაისუნთქეთ. ამოისუნთქვის დროს ენა ბოლომდე გამოავიეთ და რაც შეგიძლიათ დიდზე გააღეთ პირი და თვალები. ამოისუნთქეთ პაერი ბოლომდე, სანამ კისერში

ხიცის არ შეიგრძნობთ. შეასრულეთ სავარჯიშო 2-3-ჯერ ენერგიულად, მთელი სხეულის დაძაბვით. ასანის გამეორება დღის განმავლობაში შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგრძნობთ, რომ იგი ტკივილს გიზიზნულებთ (ფიგურა № 5).

7. თავერის პოზი (მასინასანა). ლოტოსის პოზიციიდან იდაუვზე დაუდნობით უკან გადახარეთ და თავი იატაკზე მოახვედით. რამდენიმე წამს შეიხედეთ, თავზე დაუდნობით სხეული მალა ასწიეთ და ხელებით ჩაეჭიდეთ ფეხის ტერფებს (თუ დასაწყისში ამის გაკეთება გაგიჭირდებათ, შეგიძლიათ ხელები თავის ქვეშ ამოიღოთ). ამ პოზიციის შეტერდით 5-10 წამი, ისუნთქეთ მშვიდად. აუჩქარებლად დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ.

მატსიასანა საკმაოდ რთულია ერთბაშად ასათვისებლად. დასაწყისში ვარჯიშს გასაადვილებლად მუთაქა ან ბალიში შეგიძლიათ იხმაროთ წელქვეშ ამოსადგებად.

ასანა ერთი კვირის განმავლობაში უოველდღიურად შეასრულეთ. ამის შემდეგ პოზიციის შეტერების მონაკვეთი 5 წამით შეგიძლიათ ზარდოთ უოველკვირეულად. 1 წუთზე მეტი ამ პოზიციის უოფს არ აჩრის რეკომენდირებული (ფიგურა № 6).

8. უნივერსალური პოზი (სარმანასანა) ანუ მსრბზე დგომა. ამ ასანის სახელწოდება სანსკრიტული „სარმანა“-დან მოდის, რაც „თითოეულ ნაწილს“ ნიშნავს. სიტუაციის ეტიმოლოგია იმავე მიუთითებს; რომ სავარჯიშოს შესრულებაში სხეულის უოველი ნაწილი იღებს მონაწილეობას.

დაწიეთ ზურგზე, ხელები ტანთან ახლოს დაიწყოთ, ფეხები გაშართეთ. მუხლებში მოუხრებლად ფეხების ნელ-ნელა მალა აწევა დაიწყოთ, როდესაც ფეხები სხეულის შიშართ ვერტიკალურ მდგომარეობაში მოექცევიან, შეტერდით და ოდნავ შეიხედეთ. ამის შემდეგ აუჩქარებლად, იდაუვზე დაუდნობით, მთელი სხეული მალა ასწიეთ და მისი სიძიმე მხრებზე გადაიტანეთ. ისუნთქეთ მშვიდად და რითმით, ეცადეთ წონასწორობა არ დაჰკაროთ. დასაწყისში ამ პოზიციის გაჩერება 20-30 წამი საკმარისია. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას იმავე თანმიმდევრობით. ასანა უნდა სრულდებოდეს რაც შეიძლება დინად, ბიძგების გარეშე.

ასანა ერთი კვირის განმავლობაში უოველდღიურად შეასრულეთ. ამის შემდეგ პოზიციის შეტერების მონაკვეთი 15 წამით შეგიძლიათ ზარდოთ უოველკვირეულად. 3 წუთზე მეტი ამ პოზიციის უოფს არ აჩრის რეკომენდირებული.

უპრბა ბაზშიმ

იოგას პირველი პაპიტილი


იოგების აზრით პერიოდულად თავდაუირა
დგომა აახალგაზრდავებს ორგანიზმს. განსაკ-
უთრებით ეს სასარგებლოა მათთვის, ვისაც
ღლის განმავლობაში ბევრი სიარული ან დი-
დნანს ფეხზე დგომა უზღევთ (ფოტო № 7).

II. სპირალი (ბრღა-მბტსინდარსანა). და-
ჭებით, ფეხები გამართეთ. მარჯვენა ფეხი
მარცხენა ფეხზე გადაატარეთ. ტერფი იატაკ-
ზე (ხალიჩაზე) დადგით და მუხლი რაც შეიძ-
ლება ახლოს მიიტანეთ შერდთან. მარცხენა
ფეხის ტერფი მარჯვენა ბარძაყთან ისე მისწი-
ეთ, მუხლით იატაკს რომ ეხებოდეთ. ტორსი
შეძლების მიხედვით მარჯვნივ შეაბრუნეთ.
მარცხენა ხელით მარჯვენა ფეხის ცერს ჩაეჭ-
იდეთ. ზოლო მარჯვენა ხელი ეცადეთ რაც შე-

იძლება ახლოს მიიტანოთ ზურგიდან მარჯვენა
ფეხთან. იუორეთ მარცხენა მხარის მიმართუ-
ლებით, ისწოტეთ ღრმად, მშვიდად. ამ პოზაში
20-30 წამი შეჩერდით, შემდეგ დაუბრუნდით
საწყის მდგომარეობას და შეისვენეთ. შეასრუ-
ლეთ ასანა საწინააღმდეგო მხარეს, სავარჯიშო
შ-ტერ გაიმეორეთ.

ასანა ერთი კვირის განმავლობაში უოველ-
დღიურად შეასრულეთ. ამის შემდეგ პოზაში
შეჩერების მონაკვეთი 30 წამით შეგძლიათ
ზარდოთ უოველკვირეულად. 3 წუთზე მეტი ამ
პოზაში უოუნა არ არის რეკომენდირებული.

იოგები სთვლიან, რომ ეს ასანა განამტკიც-
ებს ადამიანის შეუპოვრობასა და გამბედაობას.
...ანვტრებს ხერხემაღს" პირდაპირი და გადა-
ტანითი მნიშვნელობით (ფოტო № 8).



ფოტო 33



ფოტო 44



ფოტო 45



ფოტო 42



ფოტო 46



ფოტო 43



ფოტო 41



ფოტო 48



ფოტო 40



ფოტო 47



ფოტო 49

10. „სპირალის“ გამარტივებული ვარიანტი (ვარპასნა) სრულდება ისევე, როგორც „სპირალი“ მარცხენა (პოზის მხარის შეცვლის შემდეგ კი მარჯვენა) ფეხის მოუღუნავად.

11. წინ ბაღახრა (პასკიმოტანსანა). დაჯექით, ფეხები გამართეთ და შეაერთეთ, რამდენჯერმე თავისუფლად ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. ხელების მალა აწევით პირი ამოისუნთქეთ და ნელ-ნელა წინ გადაიხარეთ. ხელები ფეხის ტერფებს მოჰკიდეთ, თუ ტერფებს ვერ მისწვდებით, შეგიძლიათ დასაწყისში წვივებს ჩუქიდოთ. თავი რაც შეიძლება ახლოს მიიტანეთ მუხლებთან, ეცადეთ ფეხები

მუხლებში არ მოგხაროთ. ამ პოზაში 10-15 წამი შეჩერდით სუნთქვაშეკრული (მოშავალში, ასანის ათვისების შემდეგ, თანაბრად სუნთქვა დასაწყებია), შემდეგ კი აუჩქარებლად წამოიწიეთ, ხელების მალა აწევით ჩაისუნთქეთ და საწყის პოზიციას დაუბრუნდით. შეასრულეთ ასანა ვარჯიშის დროს მხოლოდ ერთხელ.

ასანა ერთი კვირის განმავლობაში უოველდღიურად შეასრულეთ. ამის შემდეგ პოზაში შეჩერების მონაცემი 10-15 წამით შეგიძლიათ ზარდოთ უოველკვირეულად. 3 წუთზე მეტი ამ პოზაში უოფნა არ არის რეკომენდირებული.

12. გუთნის კოზა (გალსანა). დაწვეით ზურგზე, ფეხები გამართეთ, ხელები ტანის გასწვრივ დააწვეთ. მუხლების მოუხრელად და ხელების იატაკიდან აუღებლად თანაბარი მოძრაობით ფეხების მალა აწევა დაიწყეთ. როცა ფეხები ტანის მიმართ ვერტიკალურ მდგომარეობაში მოექცევიან, ოდნავ შეისვენეთ, შემდეგ კი აუჩქარებლად კიდურები თავს უკან გადაიტანეთ. ეცადეთ ფეხის თითებით იატაკს შეეხოთ, მუხლები არ მოხაროთ, ხელები იატაკიდან არ ასწიოთ. ისუნთქეთ ღრმად და თანაბრად. ამ პოზაში რამდენიმე წამი შეჩერდით, შემდეგ კი ნელ-ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. შეასრულეთ ასანა ვარჯიშის დროს მხოლოდ ერთხელ.

ასანა ორი კვირის განმავლობაში უოველდღიურად შეასრულეთ. ამის შემდეგ პოზაში შეჩერების მონაცემი 5-7 წამით შეგიძლიათ ზარდოთ უოველკვირეულად. 1 წუთზე მეტი ამ პოზაში უოფნა არ არის რეკომენდირებული (ვორონ ს. 9).



13. კომბრას კომზა (ბაშკანბასანა). დაწე-
ქით მუცლით იატაკზე, შუბლით იატაკს შეეხეთ.
ხელებით მხრების გასწვრივ იატაკს დაეურდენ-
ით ისე, იდაუვებით მალდა რომ იყოს მიმართ-
ული. ფეხები გამართეთ და შეაერთეთ. ღრმად
ჩაისუნთქეთ და ხელებზე დაუკნდობით ტორსა
შეძლების - მიხედვით მალდა ასწიეთ. თვა-
ლები ფართოდ გააღეთ. ამ პოზაში 5-10 წამი
შეჩერდით სუნთქვაშეკრული, ამოისუნთქეთ და
ნელ-ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.
შეისვენეთ. გაიმეორეთ სავარჯიშო. მომავალში,
ასანის დაუფლების შემდეგ, შეეცადეთ დატვი-
რთვა მთლიანად გულმეგრდისა და ზურგის
კუნთებზე გადაიტანოთ.

შეასრულეთ ასანა ერთი კვირის განმავლ-
ბაში უოველდღიურად. ამის შემდეგ, ასანის
გამეორების რაოდენობა ერთით ზარდეთ უო-
ველკირეულად. ერთდროულად ამ ასანის 5-
ჯერ მეტი შესრულება არ არის რეკომენდირე-
ბული (ფონტი № 10).

14. მშვილდის კოზა (ღანაშასანა). მუ-
ცელზე დაწეკით. მუხლები მოხარეთ და ხელე-
ბით ფეხებს კოჭებთან ჩაეკიდეთ. 1-2 წამს ასეთ
პოზაში იუავით. ჩაისუნთქეთ. ერთბაშად თავი,
გულმეგრდი და ბარძაყები ისე ასწიეთ მალდა,
თითქმის სხეულით „მშვილდს სქიპავდით“. ამ
პოზაში 3-5 წამს შეჩერდით სუნთქვაშეკრული
(მომავალში, ასანის დაუფლების შემდეგ, შე-
გიძლიათ ამ მდგომარეობაში თანაბრად ისუ-
ნოქოთ). ამოისუნთქეთ და საწყის მდგომარე-
ობას დაუბრუნდით.

ასანა ორი კვირის განმავლობაში უოველდღი-
ურად შეასრულეთ. ამის შემდეგ პოზაში შეჩ-
ერების მონაკვეთი 3-5 წამით შეგიძლიათ
ზარდოთ უოველკირეულად. ამ პოზაში 15 წა-
მზე მეტი უოფნა არ არის რეკომენდირებული
(ფონტი № 11).

15. პალნი (შალაბასანა). მუცელზე დაწ-
ეკით. ფეხები გაშალეთ და შეაერთეთ. ხლები
ტანის გასწვრივ დააწეეთ. ნიკაპთ იატაკს
შეეხეთ. ჩაისუნთქეთ. მუხლებში მოუბრელად
ორივე ფეხი შეძლების მიხედვით მალდა ას-
წიეთ. ამ პოზაში შეჩერდით რამდენიმე წამი.
შემდეგ კი საწყის პოზიციას დაუბრუნდით და
ამოისუნთქეთ. გაიმეორეთ სავარჯიშო.

ასანა ერთი კვირის განმავლობაში უოველ-
დღიურად შეასრულეთ. ამის შემდეგ ვარჯიშის
დროს ასანის შესრულების რაოდენობა შეგი-
ძლიათ ერთით, ხოლო პოზაში შეჩერების მო-
ნაკვეთი 5 წამით ზარდოთ უოველკირეულად.
ერთდროულად ასანის 3-ჯერ მეტი შესრულება.
ხოლო პოზაში 15 წამზე მეტი უოფნა არ არის
რეკომენდირებული (ფონტი № 12).

16. „პალნის“ ბამბარბიკაული ვარინანტი.
სრულდება ისევე, როგორც „კალია“, საითათოდ
ფეხების შეჩაყდებით.

17. მუცლის მარჯონი (უღიან-ბანდა).

ფეხები მხრების სიგანეზე გაშალეთ. მუხლებში
ოდნავ მოხარეთ და ხლებით ბარძაყებს და-
ეურდენით. რამდენიმეჯერ ღრმად ჩაისუნ-
თქეთ და ამოისუნთქეთ. ერთბაშად მთლიანად
ამოისუნთქეთ მკერი და მუცელი ისე ღრმად
შესწიეთ, თითქმის მის ხერხემალთან მიტანს
ცდილობდით. ამ პოზაში 5-7 წამს შეჩერდით
სუნთქვაშეკრული. შეისუნთქეთ მკერი და გა-
იმეორეთ ასანა.

ასანა ერთი კვირის განმავლობაში უოველ-
დღიურად შეასრულეთ. ამის შემდეგ პოზაში
უოფნის დროს მუცელი 2-3-ჯერ ბოლომდე
„გამოხეწეთ“ და ისევ შესწიეთ. პოზაში 10
წამზე მეტი უოფნა არ არის რეკომენდირებული
(ფონტი № 13).

18. ბის კოზა (პარასასანა). დადგით სწო-
რად, ფეხები შეაერთეთ. ნელ-ნელა მარჯვენა
ფეხი ხლებთან ერთად მალდა ასწიეთ და მა-
რცხენა ფეხის ბარძაყს ისე მიახენით, მუხლი
რომ მარჯვენა მხარის მიმართულებით „იუერ-
ებოდეს“. იდაუვებში მოუბრელად ხლებს
ხელისკლებით შეაერთეთ. ამ პოზაში 15-20
წამი შეჩერდით. ისუნთქეთ თანაბრად. დაუბ-
რუნდით საწყის მდგომარეობას და გაიმეორეთ
ასანა მეორე ფეხზე.

19. თავში ღმზმა (სირშასანა). იოგები
სთვლიან, რომ განმრთელი (!) ორგანიზმისათვის
არც ერთი ასანა არ შეიცავს იმდენ პროფილ-
აქტიურ თვისებას, რამდენსაც სირშასანა. აქვე
უნდა აღინიშნოს, რომ სირშასანას სარგებლო-
ბის მოტანა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში.
როცა იგი სწორად არის შესრულებული. ეს კი
შემდეგანაირად ხდება:

ა) დაიკეთეთ. იდაუვებით იატაკს დაეურდე-
ნით. ხლები შეაერთეთ და მელავებით სამეუ-
თხედი გააკეთეთ. თავი დაღუნეთ და „სამეუ-
თხეში“ ხალჩიას (ან პატარა ბალიშს) დაეურ-
დენით. ნელ-ნელა მუხლებში გაიმართეთ და
ფეხის წვერებზე დადგით (ფონტი № 14).

ბ) მოკლე ნაბიჯებით მიუახლოვდით „სამ-
ეუთხეს“. ერთი ფეხი მუხლში მოხარეთ და
მალდა ასწიეთ. მეორე ფეხი თავისთავად გაა-
კეთებს იგივე მოძრაობას, ოდნავ შეისვენეთ.

გ) დაიწეთ ფეხების მუხლებში გამართვა,
ისუნთქეთ რითმიულად. მშვიდად. ეცადეთ არ
იფოქოთ წონასწორობის დაკარგვაზე, როცა
ფეხებს ბოლომდე გაშლით და თქვენი სხეული
ვერტიკულურ მდგომარეობას მიიღებს, ამ პო-
ზაში 10-15 წამი შეჩერდით (დასაწყისში სავა-
რჯიშო კედელზე მიუდგომით შეგიძლიათ
აკეთოთ). დაუბრუნდით აუჩქარებლად საწყის
მდგომარეობას.

სირშასანას შემდეგ აუცილებელია მკირე
შეჩვენება. როგორც წესი იოგებო ამ ასანის
შემდეგ „გვამის პოზას“ არსებობენ. თქვენც
იმსავ გირჩეთ.

შეასრულეთ სირშასანა ორი კვირის განმა-

ვლობაში უოველდღიურად. ამის შემდეგ კოზ-
აში უოფნის მონაკეთი 15 წამით შეგძლიათ
ზარდათ უოველუკირებულად. მ წუთზე მტტი ამ
პოზაში უოფნა არ არის რეკომენდირებული
(შეშეშე 15).

20. მზანის პოზა (შეშანან). დაწეით ია-
ტკეშ პარაღა, გაშლილი ზელებითა და ფეხ-
ებით. ისევე მტტი რითმითა და ზელებითა. ეც-
ადეთ შეიგარაოთ სხეულის სიმძიმე. მოდუნ-
დით. მოადუნეთ კიდურები. სხეულის უოველი
კუნთი და ნაწილი: თავი, კისერი, მხრები, გუ-
ლმკერდის არე. მკლავები, ზელები, მუცელი.
ბარბაქები. მუხლები, ტერფი და ფეხის თითე-
ბი. მოადუნეთ სახის კუნთებიც. შუბლი, თვა-
ლები, ღოუბი. პირი, ნიკაპი. „გამოწურეთ“
თქვენი სხეულიდან დაძაბულობა. როცა მოდუ-
ნებას იგრძნობთ, გაიმეორეთ ასანა თავიდან და
აღმოჩინეთ, რომ აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენი-
ლა „დაძაბულობის ბუდეები“. იფიქრეთ სიმ-
შვიდრე. ვარსკვლავებით მოკედით ცაზე, ამ-
უაროს უსასრულობაზე.

სულ მალე მიხვდებით, რომ ამ პოზაში 1-10
წუთი უოფნა უკეთესი დასვენებაა. ვიდრე 1
საათი ძლია.

პრანაიამა - მაცოცხლებელი ძალა.

ინდოელებისათვის ჯერ კიდევ პატარაობაში
იყო ცნობილი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელო-
ბა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სწორ
სუნთქვას. ასე მაგალითად. „ბრიჰადარანიაკა
უპანიშადში“. რომელიც დაბლობებით შპ სა-
უფარის წინ იქმნებოდა. მათხრობილია, თუ
როგორც გადაწვითა ღმერთმა ბრამამ დავა
პირველობაზე ადამიანის შეგარძნებებს შორის:
„ის შეგარძნება უველაზე მნიშვნელოვანი, რო-
მლის გარეშეც სხეული ვერ შესძლებს არსე-
ბობას“. რა თქმა უნდა, შეგარძნის შემდეგ,
უველა შეგარძნებამ თავი დაშარებულად სცნო
სუნთქვის წინაშე*. თუ რაოდენ დიდ მნიშვნე-
ლობას ანიჭებდნენ სუნთქვის პრობლემებს ინ-
დოელთა წინაპრები, უველაზე უკეთ მოწმობს
ის ფაქტი, რომ დაბლობებით 2400 წლის წინ
პატარალის მიერ შექმნილი სისტემის მეოთხე
მუხლი — პრანაიამა — მთლიანად ეთმობა ამ
საკითხებს, რაც შეიხება თანამედროვე იოგას,
მის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელს ბ. კ.
აიენგარს ასეთი შედარებაც კი აქვს მოყვანილი:
„იოგის სიცოცხლე განისაზღვრება არა წლების,
არამედ სუნთქვის რაოდენობით“.* მაგრამ თა-
ნამედროვე იოგისაგან განსხვავებით მის შორ-
ეულ წინაპრს სულ სხვანაირად წარმოედგინა

როგორც მის გარშემო არსებული სამყარო.
ასევე საკუთარი თავიც. სწორედ ამიტომ, სუნ-
თქვის ვარჯიშების შექმნის და შემდგომ მათი
განვითარების დროს იგი არა საკუთარი ჯანმრ-
თელობის განმტკიცებას ან რაიმე სხეულების-
აგან განკურნებას ისახავდა მიზნად, არამედ
იოგას „საბოლოო მიზნისაკენ“ მიმავალი ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი საფეხურის გავლას. უფ-
რო სწორად, პრანაიამა* სავარჯიშოები ხელს
უწყობდნენ მისი სხეულის გაქანსალებას იმ-
დენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო მისი
სულის „გადასარჩენად“. თუმცა, შეიძლება
უოვედნენ ეს მას გაცილებით უფრო კონკრე-
ტულადაც კი წარმოედგინა. თვითონ ჯანსაღი...

ძველ ინდოელებს სჭროდათ, რომ ატმოს-
ფეროში ჰაერის გარდა არსებობს ე. წ. მაიცო-
ხლებელი ძალა, ანუ პრანა, რომელიც უოველ-
გვარი ენერგიისა და ძალის სულისჩამდგმელია.
მათი აზრით პრანათა გაუღენითლია უოველი
არსება და სავარი, იგი სხვადასხვა ფორმით
გამოხატულებას პოულობს სამყაროს სხვადა-
სხვა მოვლენებში. პრანა ხან სინათლედ და სი-
თხოდ გვევლინება, ხან მაგნიტურ ენერგად,
ხან გრავიტაციის ძალად და ა. შ. ასე, რომ
პრანა წარმოადგენს სამყაროს არსებობის წყა-
როსა და ენერგიას, იგი „სუნთქვაა მსოფლიო
სულისა“ (პარამაჰმ). ისევე როგორც უოველი
არსება, ადამიანიც არსებობს იმდენად, რამ-
დენადაც მისშიც მოიპოვება „კიანაშური სუ-
ნთქვის“, ანუ უსასრულო მსოფლიო ენერგიის
ოქანის — პრანის — ერთი პატარა ნაწილი.
შორეული იოგი სწორედ სხეულის ამ ენერგიის
დამორჩილებას, ხოლო შემდგომ კი ინდივიდ-
უალური სუნთქვის (პინდაპრანა) „კონსოტრ-
სუნთქვასთან“ (ბრამანდაპრანა) შერწყმასა და
შეკავშირებას ისახავდა მიზნად.

...პრანა ადამიანის სხეულში ორი არხის
(ნადის) მეშვეობით მოძრაობს. ეს ორი არხი
(პინგალა და იდა) ნესტოებში იღებენ სათავეს
და ზერზემლის დაბლობებზე. კუდუსუნის ავა-
რდთან უერთდებიან ერთმანეთს. პინგალა და
იდა ზერზემლის გასწვრივ რამდენიმეჯერ გადა-
კეთენ მოვარ არხს (სუსუმნა ნადის), რომელიც
ვით ბერებშალში მდებარეობს. ამ ორი არხის
გადაკეთის წერტილები „ჩაკრებად“. ანუ ბო-
რბლებად არიან ცნობილი. წარმოადგენენ რა

* „პრანა“ — სანსკრიტზე სუნთქვას. შე-
სუნთქვას, სიცოცხლეს. ნიავს, ენერგიას, ძალას
ნიშნავს. „იამა“ — საე ასევე ფართო მნიშვნელო-
ბა გააჩნია: სიგრძე, გაფართოება. გავრცე-
ლება. შეგრეება. ასე რომ, ამ ორი ჟღერის
კომბინაცია სუნთქვის გაგრძელებასა და მის
კონტროლზე მიუთითებს.

ზურაბ ბაბუნიძე

იოგას პირველი გაკვეთილი

* როგორც ჩანს სუნთქვას ინდოელთა წინა-
პრები ადამიანის ერთ-ერთ შეგარძნებად თვლი-
დნენ.

* B. K. S. Iengar „Light on Iyoga“.
გვ. 43

ადამიანის ორგანოების ასტრალურ სიმბოლოებს. ეს ბორბლები ადრე სხეულის ანატომიურ ცენტრებადაც წარმოდგინათ, რომლებსაც გარკვეული ფუნქციები აქისრიათ. ასე მაგალითად: პირველი ბორბალი (მულადჰარა ჩაკრა) კუდუსუნის ძვალთანაა განლაგებული და იგი ორგანიზმიდან ნივთიერებათა გამოყოფის პროცესს აწესრიგებს. ამავე დროს მულადჰარა ჩაკრა შეიცავს კუნდალინს, იოგას მიხედვით, ადამიანის სხეულში ჩამალული საოცარი თვისებების მქონე ენერგიაა, თუკი ადამიანი შესძლებს ამ ენერგიის „გაღვიძებას“ და შემდეგ ხერხების, ან უფრო სწორად სუსუმნა ნადის, გზით მის ტვინისაკენ აღმართვას, იგი თავისთავში აღმოაჩენს ისეთ გასაოცარ თვისებებს, რომლებზეც ადრე ვერც კი იოცნებებდა. კუნდალინის ძალის დაუფლებულ ადამიანს, ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ სუპერმენს, გააჩნია უდიდესი ფიზიკური ენერგია, ამავე დროს ტელეპათიის, წინასწარმეტყველების, უჩინაჩინობისა და ე. წ. ასტრალური პროექტირების უნარი. ეს ბოლო უნარი საშუალებას აძლევს მას სურვილისდა მიხედვით „მოიტოვოს“ საკუთარი სხეული და გაემგზავროს იქით, საითაც გულის და სულის გაუხარდება: მთვარეზე, მზეზე, ვარსკვლავებზე და ა. შ. ასე რომ, პრანაიამას სავარჯიშოებითა და ღრმა მEDITაციით იოგები სწორედ ამ ენერგიის „გაღვიძებას“ და აღმოჩენილებას ცდილობდნენ.

გავაგრძელოთ საუბარი „იოგას ანატომიაზე“, მომდევნო ბორბალი (სვადჰისტანა ჩაკრა) სახელოს ორგანოების მიდამოებზეა განლაგებული, იგი ადამიანის სექსუალურ ენერგიას არეგულირებს. ე. წ. მზის წყლის გასწვრივ მდებარეობს „კუბის ტვინი“, ანუ საცეცხის გადაშენებისა და მონღების მონღულირებული ბორბალი (მანიპურა ჩაკრა). იმ ადგილის გასწვრივ, რომელიც მედიცინის ენაზე Cardiac plexus-ად არის ცნობილი, მდებარეობს „სუნთქვის ბორბალი“ (ანჰატა ჩაკრა). კისრის უკან განლაგებული მებუთე ბორბლის (ვისუდჰა ჩაკრა) კონტროლის სფერო მტკვებლებაა. წარბებს შორის მდებარე „აჩანა“ ნერვული სისტემის ცენტრი და ამავე დროს წარმოადგენს მისტიკურ „მესამე თვალს“. და ბოლოს „აჰასფურკეტა ლოტოსი“ (საპასარა ჩაკრა), განლაგებული ზედ ტვინის ქერქზე. სწორედ ამ ადგილას ხდება კუნდალინის ძალის მსოფლიო ენერგიასთან შეერთება, ბოლო ადამიანის სულის მსოფლიო სულთან შერწყმა.

თვალის ერთი გადავლებით ასე გამოიყურება სამაოდ დახლართული, თუმცა ამავე დროს უანტაზიოთ აღსავსე პრანაიამას მისტიკურ-ელოგიური მხარე, საეცვოა, რომ დღეს, კოსმიურ ხანაში, იგი რაიმე პრაქტიკულ ფასეულობას წარმოადგენდეს მეცნიერებისათვის და კერ-

ძოდ მედიცინისათვის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი სრული ახსრადობის მტკიცებაც არ იქნებოდა სამართლიან. მართლაც, ვანაკოტა მოულოდნელი აღმოჩენა გაუეთვლია მეცნიერებას ჩვენი შორეული წინაპრების „გულუბრუვილი“ შემკვიდრებაში?

რაც შეეხება პრანაიამას სავარჯიშოებს, მეცნიერები დღეს უკვე თითქმის ერთხმად სცნობენ მათ დადებით თვისებებს. როგორც ინდოეთში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც, სუნთქვის სავარჯიშოებს ეფექტურად იყენებენ კუჭის, ფილტვების, სასუნთქო გზების სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ, განსაკუთრებით კი ნერვული სისტემის განსამკაცრებლად. დადლილობის, სტრესების მოსახსნელად და ა. შ. სანამ ამ სავარჯიშოების აღწერას შევუდგებოდე, კვლავ მოკლედ შევხვოთ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს.

როგორც წესი იოგი დღეში ოთხჯერ ასრულებს სუნთქვის ვარჯიშებს. თქვენთვის ორჯერ 10-10 წუთი ვარჯიშაც საკმარისი იქნება, ოღონდ შეეცადეთ სმარად ცვალოთ სავარჯიშოები. კარგია ვარჯიში ადრე დღით და საღამოს მზის ჩასვლის 1-2 საათის შემდეგ. სუნთქვის ვარჯიშები მათი შემსრულებლისაგან რამოდენიმე უძველესი კანონის დაცვას ითხოვენ:

- ივარჯიშეთ სუთთა ჰერზე;
- არ ისუნთქოთ პირით (გრადე „სიტაქარისა“ და „სიტალის“);
- არ შეისუნთქოთ და ამოისუნთქოთ ერთი და იგივე ნესტოთი (ერთი და იგივე ნესტოთი ამოისუნთქვა და შესუნთქვა დასაშვებია);
- არ ივარჯიშოთ ორპირ ქარში;
- ასანებით ვარჯიში პრანაიამას შემდეგ მხოლოდ ერთი საათის ინტერვალით შეიძლება, ბოლო ასანების შემდეგ სუნთქვის ვარჯიშების შესრულება 15-20 წუთის განვლით;
- ვარჯიშის შემდეგ დაისვენეთ „გვამის პოზაში“;

— თუ შეამჩნევთ, რომ პრანაიამა თქვენს ქანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ვარჯიში;

— და ბოლოს კვლავ შეგახსენებთ ჩვენს მთავარ კანონს: „თქვენს გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი ექიმის გადაწყვეტილებაა“.

1. შმბიძნება (სიტაპირი პრანაიამა). დაქმეით ლოტოსს ან იოლ პოზაში, თვლები დახუკეთ, პირი ოდნავ გააღეთ. ენის წვერი კბილებით დაიჭირეთ და ჰერის ნაკადი ღრმად პირით შეისუნთქეთ. შეიკავეთ სუნთქვა 3-10 წამს, შემდეგ კი ნესტოებით ამოისუნთქეთ, გაიმეორეთ სავარჯიშო 3-4-ჯერ.

2. სიზრილე (სიტაპირი პრანაიამა). ტუჩებს „0“ ფორმა მიღებინეთ, ენა მილივით მოამრგვალოთ და პირიდან ოდნავ გამოუვით. ჩაისუნთქეთ ღრმად ჰერის, პირი დაკუთხეთ და თავი ისე დაღუნეთ, ნაკადი რომ მერდეს მიდგე.

ნოს. ამ პოლში 8-10 წამი შეჩერდით სუნთქვა-შერბოლი, ხოლო შემდეგ კი მშვიდად ამოი-სუნთქეთ ჰაერი ნესტოებით და თავი ასწიეთ. გაიმეორეთ სავარჯიშო 2-3-ჯერ.

3. მზის ამოსვლა (მზრან პრანაიამა). და-ეკეთ ლოტოსის ან ილ პოლში. ცერებით ურბები დაიხშეთ, საჩვენებელი და შუა თითებით თვალები დაიფარეთ, მესამე თითებით ნესტოები დახუროთ. ხოლო წეის თითები ტუჩებზე დაი-დეუ (ფოტო №16). ჰაერი პირით ღრმად შეი-სუნთქეთ, თავი დაღუნეთ და ნიკაი გულმკერდს მიახლოებდით. ამ პოლში 8-10 წამი შეიკავეთ სუნთქვა. ნესტოებით ჰაერი ამოსუნთქეთ და თავი ასწიეთ. გაიმეორეთ სავარჯიშო 2-ჯერ.

1. სპარკველი (გასხიპა პრანაიამა). და-ეკეთ ლოტოსის ან ილ პოლში. რამდენჯერ-მე ცხვირით ღრმად და ენერგიულად ისე ჩაი-სუნთქეთ და ამოსუნთქეთ, თითქმის „ღუმელის სახერეული იუთ“. ხოლო ღრმა ჩასუნთქვის შემდეგ ცერით მარჯვენა ნესტო დახუროთ, ხო-ლო მეთოხე თითით და ნიკით — მარცხენა. თავი დაღუნეთ. ნიკაი გულმკერდს მიაღეთ და სუნთქვა შეიკავეთ იმდენ ხანს, სანამ სუნთქვა-შერბოლი უოფა არ გაგიპრადებთ (უკველ-გვარა ძალდატანება გამორიცხულია). ამოი-სუნთქეთ მარჯვენა ნესტოთი, შემდეგ იგივე ნესტოთი ისევ უცხად შეისუნთქეთ ჰაერი და კვლავ შეიკავეთ სუნთქვა. გაკეთეთ სავარჯიშო მარცხენა ნესტოზე. მთლიანი ციკლის თავიდან გაიმეორებად შეისვენეთ 20-30 წამი.

4. მზრანრი (გასხიპარი პრანაიამა). ისუნ-თქეთ ღრმად ცხვირის ნესტოებით. შესუნ-თქვისა და ამოსუნთქვის დროს (დაახლოებით 10-10-წერა) შეეცადეთ ფუტკარივით იბზუ-ოლოთ.

6. ცურკა (პლანინი პრანაიამა) ეს სუნ-თქვის სავარჯიშო კარგია ფიზიკური მუშაობის შემდეგ დაღლილობის მოსახსნელად.

ფეხზე მდგომარე პოლში ჰაერი ცხვირით ღრმად ჩაისუნთქეთ, ხელები მალა ასწიეთ და ამოსუნთქვად პირადმა დაეშვით იატაკზე გაშლილი ხელებითა და ფეხებით. ეცადეთ სუ-ნთქვაშერბოლმა „გაშის პოლა“ შეასრულოთ, იოლად არავითარ შეთხვევაში ძალა არ დაა-ტანოთ თავს. წამოგეკით და მშვიდად ამოი-სუნთქეთ. გაიმეორეთ სავარჯიშო 2-ჯერ.

7. მონაცვლივითი სუნთქვა ცხვირით (ანელმამ-ლმამ-პილმამ). დაეკეთ ლო-ტოსის ან ილ პოლში. მარჯვენა ხელის თითები ისე დაიდეთ ცხვირის ნესტოებზე, როგორც „საბერველინი“ აღწერილი. ცხვირით ამოსუნთქეთ ჰაერი და სავარჯიშოს დასაწყე-ბად მუდმავდეთ.

ცერით მარჯვენა ნესტო დაეკეთეთ და მარ-ცხენა ნესტოთი ჰაერი ისე ღრმად ჩაისუნთქეთ, რომ რვაშდე დათვლა მოახსროთ. ახლა მარ-ცხენა ნესტოც დაახშეთ. სუნთქვა შეიკავეთ და

ნიკაი გულმკერდს მიაღეთ. აუჩქარებლად 8-მდე დაითვალეთ. მარცხენა ნესტო გაანთავის-უფლეთ და თავის ნელ-ნელა აწევით ისევ რვაშდე დათვლის მონაცვით ჰაერი აუჩქარ-ებლად (მარცხენა ნესტო დახშული რჩება) ბო-ლომდე ამოსუნთქეთ. ამოსუნთქვის დროს შეე-ცადეთ მუცლის ვარჯიში (უდიანაანდა) შე-ასრულოთ. ჰაერის ამოსუნთქვის შემდეგ ისევ შეისუნთქეთ ჰაერი მარჯვენა ნესტოთი (რვაშდე დათვლა არ დაგვიწყდეთ). გააგრძე-ლეთ სავარჯიშო „ნესტოების ცვლითა“ და სუნთქვის შეკავების დროს მუცლის ვარჯი-შის შესრულებით. საწყის პოლაკაში დაბ-რუნების შემდეგ თქვენ სავარჯიშოს ერთი ციკლი გეგნებათ შესრულებული. დასაწყის-ში 4 ციკლის გაკეთება სრულად საქმარი-სია. უკველკვირულად თითო ციკლის მო-მატება შეიძლება. ერთდროულად 7 ციკლზე მეტის შესრულება არ არის რეკომენდირებული. 7 ციკლის ზღვარის მიღწევის შემდეგ თვლის რითში შემდეგნაირად შეიძლება შეიცვალოს: შესუნთქვა — 1, სუნთქვის შეკავება — 16, ამოსუნთქვა — 8.

8. ნერპულმონის და დაბაბულმონის მოსახსნელი სპარკველი. ფეხები მხრების სიგანეზე დადგით, წელში მოხსარეთ. იდაუ-ვები მხრების სიმაღლეზე ასწიეთ და ცერებით ნესტოები დაიხშეთ (ფოტო № 17). დაიწყეთ წელში აუჩქარებლად გამართვა და თან პირით „სიკლამის“ მსგავსად ღრმად ჩაისუნთქეთ. მა-ერა, როცა ჰაერს ბოლომდე ჩაისუნთქავთ და წელში გაიმართებით, თავი დაღუნეთ და ნიკა. პი მერდს მიაღეთ (ფოტო №18). პაერით ოდ-ნავ „მოაწიეთ ტვის“, ლოუები გამობერეთ და ამ პოლში 10-15 წამი შეჩერდით სუნთქვაშერ-ბოლი და თვალებდახუტული.

ნელ-ნელა დაიწყეთ ამოსუნთქვა და ერთ-დროულად თავისა და ხელების მალა ისე აწევა, თითქმის გაფრენას აპირებდეთ. როცა ბოლომდე ამოსუნთქავთ, ხელები დაუშვით და შეისვენეთ. სავარჯიშო მხოლოდ ერთხელ შეასრულეთ.

9. ვიხაც დიდხანს ქლომისაგან ან გონებრივი შრომისაგან თავის ტკივილი ან „ურბეში წუ-ილი“ აწუხებს, ასეთი მეთად იოლი სავარჯიშოს გაკეთებას ვურჩევ.

დაეკეთ თავისუფლად სკამზე, მოდუნდით. ეცადეთ ურბადლება მთლიანად გადაიტანოთ რაიმე ისეთ საგანზე, რომელიც თქვენზე დამა-მშვიდებლად მოქმედებს (მაგ. უკვილზე, კედ-ლის სათზე, რაიმე სურათზე და ა. შ.). ღრმად შეისუნთქეთ ცხვირით ჰაერი და რამოდენიმე წამით ძალდაუტანებლად სუნთქვა შეიკავეთ.

ზურბა ბაბშიძე

იოტას პირმელი ბაკპიოილი

ამოისუნთქეთ და გაიმეორეთ სავარჯიშო 4-ს-
ჯერ.

10. პრანაიამას სავარჯიშოების ეფექტის გა-
საძლიერებლად იოგები ზშირად ვარჯიშის ბო-
ლოს მათთვის მისტიური დანიშნულების ბგერ-
ებს იყენებენ. ამ ბგერებს „მანტრამ“ ეწოდე-
ბათ. უველაზე ცნობილი მანტრაში სანსკრიტუ-
ლი „აუმ“-ია. თუ რას ნიშნავს ეს ნიტყვა და
როგორ ხდება მისი ეტიმოლოგიური გაშიფრ-
ვა, იოგას თეორიაში სხვადასხვა აზრი აჩ-
სებობს. ასე მაგალითად, უველაზე გავრცელე-
ბული ვერსიის მიხედვით ეს სამი ბგერა ინ-
დუიზმის რელიგიის წმინდა სამების — ბრამ-
ჰა, ვიშნუ და შივა ღმერთების სიმბოლოს წა-
რმოადგენს. გამოითქმის აზრი, რომ სამი ბგერა
შეესაბამება სამ დროს: წარსულს, აწმყოსა და
მომავალს, ხოლო ბგერათა ერთიანობა ფაშთა
ცვალებადობაზე მაღლა მდგომი უზენაესი ტე-
შმარიტების სიმბოლოა. სხვა ვერსიის მიხედვით
აუმ-ი სამი გრძნობის: სურვილის, შიშისა და

სიბრაზის დამორჩილების აუცილებლობაზე
მოუთხოვს და ა. შ.

შეტად საინტერესო სანახაობას წარმოადგენს
იოგი მისთვის ამ მაგიური ბგერების წარმოთ-
ქმის პროცესში. იგი ჭერ ლოტოსის პოზაში
მოთავსდება, შემდეგ თვალებს დახუჭავს და
ღრმად შეისუნთქავს ჰაერს. შესუნთქული ჰაე-
რის დაახლოებით 1/3-ით იგი ისე წარმოთქვამს
პირველ ბგერას, თითქოს მუცლის სიღრმიდან
ამოჰქონდეს, შემდეგ ამ ბგერას „ცხვირში
გაატარებს“ და დაკუმული ტურბით ცდილობს
რაც შეიძლება ღიბიდან გააგრძელოს მისი
ვიბრირება. იოგი ნელ-ნელა ზმას დაუწყებს და
ბოლოს ჩუმდება. იგი კიდევ ღიბიდან ზის
თვალებდახუჭული ისეთი გამომეტყველებით,
თითქოს ახლავე წარმოთქმული ბგერების
ეჭოს უსმენდეს. ამ პროცესის მიტო ეფექტუ-
რობისათვის იგი შეიძლება შეკადრდეს „მან-
ტრამ“-ის სანსკრიტულ დამწერლობასაც აკვი-
რდებოდეს. აი ისიც:

ბომბეი, 1980 წელი.



ჩვენ მიხედვით: თბილისი, 880007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 88-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-80.
მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-80, ლიტერატუ-
რული თანამშრომლები — 72-47-82, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო —
72-48-75.

გაყიდა ასაწყობად 15. 12. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 2. 82 წ., ქალაქის ზომა
70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ-საგ.
თანხა 15.85. შეჯ. № 3140. უფ 06086. ტიოაი 52 900.

საქართველოს კ კ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

650/44.



ფან 60 353.

0520360 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ